

პრ. ნაწარმოებია

**ბაბს უბრუნო
ქათვი
წითლანახა**

K31.570
2



სახელმწიფო
კამოტეკულოზა «კოვანი»
19-თბილისი-64

„ტარას შევჩენკო ქართულ ლიტერატურაში“
ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში
მოცემულია ტარას შევჩენკოს შემოქმედების
კრიტიკულ-ბიოგრაფიული მიმოხილვა, ხოლო
მეორე ნაწილი შეიცავს ბიბლიოგრაფიულ
ცნობებს იმის შესახებ, თუ შევჩენკოს რა ნა-
წერები გადაითარგმნა ქართულ ენაზე, ვინ
გადაითარგმნა, როდის ან სად დაიბეჭდა ისინი;
ნაშრომის ამ ნაწილში ნაჩვენებია აგრეთვე
შევჩენკოს ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი
მიძღვნილი სტატიები და წერილები, რომლე-
ბიც ქართულ პრესაში დაიბეჭდა 1881-1963
წლებში.

წიგნის ავტორის შევჩენკოს მიერ შესრულე-
ბული მ. წახატი.

შ ე ს ა ვ ა დ ი

ადამიანის უკვდავების პირველი და ყველაზე
საიმედო საწინდარი სამშობლოსათვის
თავდადება.

ცდიქროს, ვინც იღვწის ქვეყნისათვის, იგი
ბრძენია,
თავის თავისთვის ვინც ფაცურობს, ის
რეგენია.
საადი შირაზელი

1964 წლის 9 მარტს სრულდება 150 წელი
უკრაინის სახალხო პოეტის ტარას გრიგოლის ძე
შევჩენკოს დაბადებიდან.

ტარას შევჩენკო უკრაინის ხალხის სიამაყე და
მშვენიერებაა. იგი ახალი უკრაინული ლიტერატურის
ფუძემდებელი და ამ ლიტერატურის რევოლუცი-
ურ-დემოკრატიული მიმართულებას უდიდესი
წარმომადგენელია. მისი შემოქმედების ნიშან-
თვისებებია: ხალხურობა, ჰუმანიზმი, დემოკრა-
ტიზმი, ლირიზმი და უმაღლესი ოსტატობა.

ლენინმა შევჩენკოს უწოდა „უკრაინის დიდი
მწერალი, ცოცხალი უკრაინული სიტყვის დიდი

შემოქმედი, მისა ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელი“.

„შევჩენკო იმით არის დიადი, — წერდა ა. გერცენი (1812 — 1870), — რომ იგი სრულქმნილი სახალხო მწერალია, ისევე როგორც ჩვენი კოლცოვი; მაგრამ შევჩენკოს კოლცოვზე უფრო დიდა მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ამავე დროს პოლიტიკური მოღვაწეა და თავისუფლებისათვის მებრძოლი“.

პლახანოვი დიდად აფასებდა შევჩენკოს შემოქმედებას. იგი წერდა: „ტარას გრიგოლის ძე ეკუთვნის ყველაზე დიდ სახალხო პოეტთა რიცხვს, რომელსაც კი იცნობს მსოფლიო ლიტერატურის ისტორია“.

ტარას გრიგოლის ძე შევჩენკო მახლობელი და ძვირფასია ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა ხალხისათვის. მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე პოეტი უმღეროდა ხალხთა შორის ძმობას, სამშობლოს სიყვარულს, მისთვის თავგანწირვას. გმარობას; შევჩენკოს პოეტური შემოქმედების წყარო, უკრაინელი ხალხის ბედი, მისი გმირული წარსული, აწმყო და მომავალი იყო.

შევჩენკო იყო მგზნებარე პატრიოტი და უკრაინის მშრომელი ხალხის მომღერალი. მისი პოეზია უკრაინის ხალხის წარსული ტანჯვა-წამების, მწუხარებისა და მრისხანების პოეზიაა. ამიტომ იყო იგი გასაგები და მახლობელი ყველა იმ ხალხისათვის, ვინც მეფის დესპოტიზმისა და დიდმპყრო-

ბელური შოვინიზმის სულშემხუთავ პირობებში განიცდიდა დევნასა და შევიწროებას.

შევჩენკომ პირველმა გამოხატა უკრაინა თავისი ნამდვილი ცხოვრებით. „შევჩენკოს მუზამ ჩამოხა ხალხის ცხოვრებაზე გადაფარებული საბურველი და გამოჩნდა სურათი, რომელიც ჩემთვის ერთსა და იმავე დროს საშინელი, თანაც მომხიბვლელი, მტკუნეული და თანაც წარმტაცი იყო“, — ამბობდა პროფ. ნ. კოსტომაროვი (1817—1885).

შევჩენკოს „სიმღერები“ და „ფიქრები“ იყო უკრაინის ხალხის გულის სიღრმიდან ამოტანილი ჰანგები, ხალხის გონებიდან გამოტანილი ფიქრები. იგი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მომღერალი; ამიტომ უყვარდა ხალხს ტ. შევჩენკო, ამიტომ ვრცელდებოდა მისი „სიმღერები“ ხალხში. მისი ხმა სწვდებოდა, უკრაინის ხალხის მსგავსად, ცარიზმს მიერ ჩავრულ სხვა ხალხებს, მათ შორის — ქართველ ხალხსაც.

შევჩენკოს ბევრი ლექსი გახდა რევოლუციონერთა საბრძოლო სიმღერა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ რევოლუციამდელ საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მღეროდნენ შევჩენკოს ლექსს:

ნეტავ ვიცოდე, სად დავლევ სულსა,
ვის ქვეყნის მიწას მივებარები!..
მოკვდები, მაგრამ ამის შემდეგა
ნეტა თუ ვისმე გაეახსენდება?..

ქართველი ხალხი, მთელ საბჭოთა ხალხთან და პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად, დაბადების 150 წლისთავზე სიყვარულით იგონებს ტარას შევჩენკოს, როგორც გენიალურ პოეტს, დიდ მხატვარს, შესანიშნავ ადამიანსა და მოქალაქეს.





ბ ე ვ შ ვ მ ბ ე

ტარას შევჩენკო დაიბადა 1814 წლის 9 მარტს, კაევის გუბერნიის ზვენაგოროდის მაზრის სოფ. მორანცაში, უმის ოჯახში, რომელიც ეკუთვნოდა მემამულე ვასილ ვასილისძე ენგელგარდტს. ტარასი სამი წლისა იყო, როცა მისი ოჯახი გადასახლდა მეზობელ სოფელ კირილოვკაში.

მომავალ პოეტს აკვნიდანვე ფრიად უსიხარულოდ შეხვდა ცხოვრება: თბლობა, სიღარიბე, სულატაკე, დევნა, შევიწროება — აი, მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრები.

ტარასს, ჯერ კიდევ 9 წლისას, გარდაეცვალა დედა. თბლად დარჩენილ ხუთ ბავშვსა და ოჯახს მზრუნველი სჭირდებოდა. მამამ-სმა მეორე ცოლად შეირთო სამბავშვიანი ქვრივი. პატარა, ღარიბულ ძველ ქოხში გაჩნდა „მზრუნველი“ დედინაცვალი საკუთარი ნაშიერებით. დედინაცვალმა სულ მალე აითვალწუნა ბუნებით მზარეული, ცოცხალი ბავშვი, დაუწყო მას დევნა და შევიწროება; რამდენიმე წლის შემდეგ გადასახლებაში მყოფი შევჩენკო წერდა: „ვინც თუნდ შორიდან მაინც დაინახა ავი. დედინაცვალი და ეგრეთ წოდებული

ნაგერალი ბავშვები, მას, მაშასადამე, დაუნახავს ჯოჯოხეთი საოცარი და საზიზღარი ზეიმის ხანაში“.

ტარასი თერთმეტი წლისა იყო, მამა რომ გარდაეცვალა. სიკვდილის წინ გრიგოლ შევჩენკოს, როცა იგი თავის ღარიბულ მემკვიდრეობას შვილებს უნაწილებდა, უთქვამს: ტარასს არაფერი არ სჭირდება, რადგან სხვანაირი ბიჭია. მისგან ან შესანიშნავი ადამიანი გამოვა, ანდა დიდი გაიძვერა, — არც ერთსა და არც მეორეს ეს ლატაკური ავლადიდება არ სჭირდებაო.

ღარჩა პატარა ტარასი მარტოდმარტო. უფროსი და კატრუსია, ტარასის ერთადერთი ნუგეში, მისი მომთმენი, ნაზი გადია გათხოვდა და წავიდა მეზობელ სოფელში, ხოლო დედანაცვალი ოცნებობდა, როგორმე თავიდან მოეშორებინა გერი. აკი მოიშორა კიდეც — დააყენა მწყემს-მოჯამაგირედ მღვდელთან. პატარა ტარასი მთელ დღეებს მინდორში, საძოვრებზე ატარებდა.

შევჩენკოს ჯერ კიდეც მამის სიცოცხლეში შენიშნეს სწავლის, განსაკუთრებით — ხატვის სიყვარული. მამამ, რომელსაც ესმოდა განათლების მნიშვნელობა და სარგებლიანობა, შვილი მიაბარა მოხეტიალე მასწავლებელს — მედავითნე გუბს. სკოლა მაშინ როგორც ოფიციალური, ისე კერძო, მთლანად დაფუძნებული იყო ცემა-ტყეპაზე, როზგზე. პოეტის ერთი ახლო ნათესავის მოგონების მიხედვით, ამ სკოლაში თვით მოსწავლენი

ვალდებულნი იყვნენ ყოველ შაბათობით თავიანთ ვასაროზგად გამოეჭრათ ალუბლის წიკებლები. „გვცემდნენ ხშირად და მაგრად“, ამბობს ის. განსაკუთრებით ხვდებოდა ტარასს, რადგან იგი დაქარავებული ჰყავდა მედავითნეს და სწავლის შემდეგ უნდა ეზიდა მისთვის წყალი, დაეჩხა შეშა და ა. შ.

არანაკლები ტირანი და ვერაგი აღმოჩნდა ტარასის მეორე მასწავლებელი მედავითნე — პეტრე ბოგორსკი, რომელთანაც შევჩენკომ ორი წელიწადი დაჰყო. ბოგორსკი ლეკმაპურისა და სწავლისათვის აიძულებდა ტარასს შეესრულებინა მძიმე სამუშაოები. ბავშვი ეზიდებოდა წყალს, ალაგებდა სკოლას შენობას ცემისა და როზგის ქვეშ. პოეტს ამის შესახებ თავის ავტობიოგრაფიულ წერილში აღნიშნული აქვს: „ეს იყო პირველი დესპოტი, რომელსაც გადავეყარე ჩემს ცხოვრებაში, მან შთამინერგა უღრმესი ზიზღი და სიძულვილი ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრისა“. „ერთხელ, — განაგრძობს იქვე შევჩენკო, — ვნახე მედავითნე უგრძნობლად მთვრალი, მე ვიბძარე მის წინააღმდეგ მისივე საკუთარი იარაღი — როზგი და, რამდენადაც ეყოფოდა ბავშვის ძალა, გადავეხადე სიამკაცრისა და ავკაცობისათვის“.

როგორც ჩანს, 10 წლის ბავშვი „აუჯანყდა“ შემავიწროებელ, მკაცრ მასწავლებელ მედავითნეს, შური იძია მასზე და მერე მეზობელ სოფელში გაქცევით უშველა თავს.

მაშინდელი ბარბაროსული სასწავლო მეთოდის მიუხედავად, სწავლა შედარებით იოლი იყო ნიჭიერი ბავშვისათვის. შევჩენკომ ორ წელიწადში სავსებით აითვისა პირველდაწყებითი წერა-კითხვა. წერა-კითხვის მცოდნე ტარასი მისწრაფვის მოხვდეს ხატვის რომელიმე მასწავლებელთან. ბავშვობიდანვე დიდ სიყვარულსა და მიდრეკილებას იჩენდა ხატვისადმი, მაგრამ ვერც ერთმა მასწავლებელმა ვერ შესძლო რაიმე ესწავლებინა ნიჭიერი მოწაფისათვის. ბავშვს მალე დაეკარგა ამ მასწავლებლებისაგან სწავლის იმედი და გადაწყვიტა მოჰკიდებოდა სოფლის მეურნეობას უფროსი ძმის მიკიტას ხელმძღვანელობით. მიუხედავად ამისა, ხატვისადმი ბუნებრივმა მისწრაფებამ გადაადგო იგი სოფელ ხლებნოვკაში მცხოვრებ მღებავთან. მაგრამ მღებავმა უარი უთხრა. ტარასი ყმა იყო და ბატონისაგან არ ჰქონდა ხლებნოვკაში მცხოვრების ნებართვა.

სწორედ ამ დროს მემამულე პავლე ვასილის ძე ენგელგარდტმა მემკვიდრეობა მიიღო თავისი ძუნწი მამისაგან. ის ფლობდა რამდენიმე სოფელს ზვენიგოროდის მაზრაში და ხელგაშლილად ცხოვრობდა. ხშირად იყო კიევში, ვოლნოსა და პეტერბურგში. თან ახლდნენ ფარეშები, მათ შორის — ტარას შევჩენკოც.

შევჩენკო მოხვდა მემამულე პავლე ენგელგარდტას შინაყმათა რიგებში. თხუთმეტი წლის ტარასი ჯერ მზარეულობდა, შემდეგ ბატონის ოთახ-

ში ფარეშად გადაიყვანეს. ფარეშის მოვალეობას შეადგენდა სრულიად უძრავად და მდუმარედ დგომა დერეფნის რომელიმე კუთხეში, ბატონის დაძახილზე უნდა გაქანებულყო და დროდადრო მიეწოდებინა მისთვის ჩიბუხი, ანდა ასანთი. მოძრავი ბავშვისათვის ასეთი მდგომარეობა კატორღაზე უარესი იყო. ასეთ თანამდებობაზე მყოფი იგი მემამულეს მაჰყვება ვილნოში, სადაც შეისწავლა პოლონური ენა, შემდეგ თავისუფლად კითხულობდა დედანში აღამ მიცკევიჩისა (1798—1855) და პოლონეთის სხვა მწერლების ნაწარმოებებს.

ვილნოში, ენგელგარდტის შინ აჩუბინისა, 1829 წლის 6 დეკემბერს, ღამით შეეჩენკომ მანუაწებით დაიწყო 1812 წლის სამამულო ომის ერთ-ერთი გმირის — კანაკ პლატოვის პორტრეტის ხატვა. ამ დროს, უცერად მოვიდა ბატონი. „მან გამხეცებულმა ამწია ყურები და სილა გამაწნა, — იგონებს შეეჩენკო, — მეორე დღეს უბრძანა მეეტლე სოდორკას მაგრად გაველახე. რაც შესრულებულ იქნა შესაფერისი გულმოღვივნებით“.

პ ე ტ ე რ ბ უ რ ბ შ ი

1831 წელს ენგელგარდტი საცხოვრებლად გადავიდა პეტერბურგში, ტარასი სხვა შინაყმებთან ერთად, თან გაჰყვა ბატონს. „ზამთრის სუსხი, გაზაფხულის თოვლ-ჰყაპი, თბელი დაკონკილი ტა-

ნისამოსი“, აი, მისი თანამგზავრი. ვ. ბელოზერსკი (1829—1899) წერს თავის მოგონებებში: „შევჩენ-
კომ მიაშობ: ვალნოდან მივყავდით ეტაპით პე-
ტერბურგისაკენ. გზაზე ცალი ფეხსაცმელი სრუ-
ლიად დამეხა. რადგანაც ფეხის მოყინვის მეშინო-
და, ცალ ფეხსაცმელს (რომელიც მთელი შემრჩა),
ხან ერთ ფეხზე ვაცვამდი და ხან მეორეზე. ამის
გამო ხშირად მიხდებოდა გზაზე შეჩერება. ჯარის-
კაცებს მობეზრდათ ჩემი აშკვარი ჯახირი და ერთი
მათგანი რამდენიმეჯერ გამიმასპინძლდა თოფის
კონდახით“; ეს ჯოჯოხეთური მგზავრობა ორ თვეს
გაგრძელდა.

სწორედ ამ მგზავრობის მწარე მოგონებამ
ათქმევინა პოეტს:

მეც გრძელ შარას, ჩემო ძმანო
და მამებო, ვიცნობ, ვგონებ,
გულიც ყინვით მიცივდება,
როცა შორ გზას მოვიგონებ!

მე გრძელი გზა მითელიაო, მწარედ დასძენდა
პოეტი.

პეტერბურგში შევჩენკო ძველებურად ენგელ-
გარდტის ფარეშად იყო. ბატონის მდიდრულ
სახლში თავს იყრიდა დიდძალი სტუმარი, მათ
შორის — ლიტერატურისა და ხელოვნების თვალ-
საჩინო მოღვაწეები. ნიჭიერ, დაკვირვებულ და

¹ თარგმანი სიმონ ჩიქოვანისა.

სწავლამოწყურებულ შევჩენკოს შეეძლო ბევრი რამ გაეგო და ესწავლა მათგან.

მალე შევჩენკოს ცხოვრებაში მოხდა ზოგიერთი ცვლილება. ბატონმა შეიწყნარა შევჩენკოს დაჟინებითი თხოვნა და 1832 წელს მიაბარა იგი ჯერ ოთხი წლით, ხოლო შემდეგ კიდევ ორი წლით სამხატვრო საქმის ოსტატს — ვასილ გრიგოლის ძე შირიაევს. შირიაევთან სამსახურს შევჩენკოსათვის უქმად არ ჩაევლია. შირიაევს არტელი საკმაოდ რთულ სამხატვრო-დეკორაციულ სამუშაოებს ასრულებდა, სადაც შევჩენკომ ძალიან მალე დაიკავა თვალსაჩინო ადგილი. 1836 წელს შირიაევმა აიღო სამუშაო — მოეხატა დიდი თეატრა (ამჟამად ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის სახელობის ლენინგრადის კონსერვატორია), რაშიც მონაწილეობდა შევჩენკოც. თვით შირიაევი. პოეტის მოგონებათა მიხედვით, აერთიანებდა წინანდელ ტირან მასწავლებელთა ყველა უარყოფით თვისებას.

შირიაევის ბინაში ხშირად იკრიბებოდნენ მხატვრები და არქიტექტორები, რომლებიც საუბრობდნენ მხატვრობასა და პოეზიაზე. აქ განუვითარდა შევჩენკოს მხატვრობისა და ფერწერის გაგების გემოვნება.


ტარასი გაზაფხულს თეთრ ღამეებში თავისუფალ დროს გარბოდა საზაფხულო ბაღში ქანდაკებებიდან ასლების გადმოსახატავად. და, აი, ერთხელ, ასეთი სეანსის დროს, ამ ბაღში, ის შეხვ-

და თავისი მიწა-წყლის მკვიდრს — მხატვარ ივანე მაქსიმეს ძე სოშენკოს (1806 — 1876). ეს ასე მოხდა: ხეივანში გავლისას სოშენკომ შენიშნა ერთი გათხუპნილხალათიანი ყმაწვილი, რომელიც იხატავდა სატურნის ქანდაკებას. სოშენკო მივიდა მასთან, დახედა ნახატს და მაშინვე მიხვდა, რომ ეს ყმაწვილი ნიჟიერა მხატვარი იყო.

ი. სოშენკო განაცვიფრა ყმაწვილის ნიჭმა და უფრო მეტად — მისმა დუხჭირმა ბედმა. მან გააცნო შევჩენკო მწერალ ე. გრებინკას (1812—1848). სამხატვრო აკადემიის კონფერენც-მდივანს ვასილ ივანეს ძე გრიგორევიჩს (1786—1865. რომელმაც შემდეგ სხვებთან ერთად მსჯრვალე მონაწილეობა მიიღო შევჩენკოს ყმობიდან განთავისუფლებაში). ფერწერის გამოჩენილ რუს მხატვრებს: ალექსი გაბრიელის ძე ვენეციანოვს (1780—1847) და კარლ პავლეს ძე ბრაულოვს (1799—1852). ამხანაგების თხოვნაზე ბრიტლოვი დათანხმდა უფასოდ მიეცა ფერწერის გაკვეთილები შევჩენკოსათვის. აკადემიაში შესვლა კი, როგორც ყმისათვის, მისთვის შეუძლებელი იყო.

შევჩენკო დიდ წარმატებას იჩენდა ფერწერაში. ტრიალებდა იმ დროს უადრესად განათლებულ და მაღალ საზოგადოების წრეში. უხვად და თავისუფლად სარგებლობდა კ. ბრაულოვის მეტად მდიდარი ბიბლიოთეკით. იძენდა მრავალმხრივ ცოდნას. მაგრამ იგი კვლავ ეძებებურად ყმა იყო.

ეს ყმა აკვირველია, მეტად აწუხებდა თავისუფ-



შვეინკოს მშობლების კოხი კირილუკაში.

ლებისმოყვარე ჭაბუკს. მისი ახალი მეგობრები გულმოდგინედ ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ ტარასის ბედი და გადაწყვიტეს, რადაც უნდა დაჯდომოდათ, გამოესყიდათ ის ყმობისაგან.

საჭირო მოლაპარაკება ენგელგარდტთან გამართა თვით სახელმწიფოებრივმა კარლ ბრიულოვმა. მისი ცდა, ბატონყმური მონობისაგან გაეთავსუფლებინა ნიჭით დაჯილდოებული ტარასა, უშედეგო დამთავრდა.

ბრიულოვი ენგელგარდტიდან გაოცებული დაბრუნდა: „ეს არის ყველაზე ბინძური ღორი, რომლისადაც ჩემს ცხოვრებაში შევხვედრივარ, — უთხრა მან ანანაგებს. — დამპირდა შევჩენკოს ფასს ხვალ გაცნობებო“.

მეორე დღეს ენგელგარდტთან წასვლა სთხოვეს მოხუც პროფესორ ვენეციანოვს. იმედი ჰქონდათ, საყოველთაოდ აღიარებულ და პატრესაცემ პროფესორს ვაჭრობას არ დაუწყებდა ენგელგარდტი. ვენეციანოვი სიამოვნებით დასთანხმდა. ეახლა ბატონს. ამ „ბინძურმა ღორმა“ აკადემიის მოხუც პროფესორი მთელი საათი ალოდინა წინკარში შინაყმებთან და ხელზე მოსამსახურებთან ერთად. ბოლოს მიიღო. სიმდიდრით გაზვიადებულმა მემამულემ უხეშად შეაწყვეტინა საუბარი ვენეციანოვს შევჩენკოს ნიჭიერებაზე. „რა შუაშია აქ ნიჭიერება, ფული მოიტათ და მეტი არაფერი!“ — იყო მისი პასუხი.

ენგელგარდტმა, რომელსაც ჰყავდა 17000 ყმა-

გლები და მის მფლობელობაში იყო რამდენიმე ათეული ათასი დესეტინა მიწა, შევჩენკოს გამოსასყიდლად ორი ათას ხუთასი მანეთი მოითხოვა და კაპიკის დაკლებაც არ ისურვა. ეს მეტისმეტად დიდი თანხა იყო, რისა გადახდის საშუალება არც ტარასს და არც მის გულშემმატკივრებს არ გააჩნდათ.

მძიმე მდგომარეობაში მყოფ ახალგაზრდა პოეტს ძმური დახმარება აღმოუჩინა ცნობილმა რუსმა პოეტმა ვასილ ანდრეას ძე ყუკოვსკიმ (1783—1852), რომელიც ტ. შევჩენკოში ხედავდა „ხალხიდან გამოსულ ნიჭიერებას“. ყუკოვსკიმ თხოვნით მიმართა მხატვარ კარლ ბრიულოვს, დაეხატა მისი (ყუკოვსკის) პორტრეტი, რათა ის გაეთამაშათ ლატარიაში. დიდი მხატვარი მაშინვე დასთანხმდა. სულ მალე ყუკოვსკის პორტრეტი მზად იყო.

ლატარიისაგან შემოსული 2500 მანეთით 1838 წლის 22 აპრილს ყმობიდან გამოისყიდეს მაშინ უკვე 24 წლის ტარასი.

— თავისუფლება, თავისუფლება! — ასეთი შეძახილით შევარდა ის სოშენკოსთან და ყელზე მოეხვია მეგობარს. სიხარული გულში ვერ დაეტია და ცრემლად გადმოსკდა; „ორივენი ბალღებივით ავქვეითანდითო“, — იგონებს ივანე სოშენკო.

განთავისუფლების შემდეგ ტარას შევჩენკოს ოცნება ფრთებს ისხამს: ახლა იგი უკვე ოფიციალურად შედის სამხატვრო აკადემიაში, გასამკე-

ცუბული ენერგიით ჰკიდებს ხელს ხელოვნების, ისტორიისა და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკური მემკვიდრეობის შესწავლას. განსაკუთრებით ეწაფება რუსულ ლიტერატურას. სწავლობს სოციალურ-ეკონომიურ მეცნიერებასაც. ეცნობა უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენლების — სენ-სიმონისა და შარლ ფურიეს მოძღვრებას; კითხულობს ადამ სმიტს, პრუდონს, გოდვინს, ტომასონსა და ინგლისისა და საფრანგეთის სხვა ეკონომისტებს, გარდა ამისა, თავისუფალ დროს ესწრება ფიზიკის, გეოლოგიის, ანატომიის, ზოოლოგიისა და ასტრონომიის ლექციებს.

სამხატვრო აკადემიაში სწავლის წლები მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა მისთვის. ამ წლებში ჩამოყალიბდა შევჩენკოს ფილოსოფიურ-ესთეტიკური და სოციალურ-ეკონომიური შეხედულებები. დიდი მხატვრის — კარლ ბრიულოვის სახელოსნოში მუშაობისას და სამხატვრო აკადემიაში ყოფნისას იგი ხარბად ეწაფება რუსეთის, აგრეთვე ევროპის დიდი მოაზროვნეებისა და ფრანგი განმანათლებლების შრომებს, სწავლობს ძველი და ახალი ქვეყნების ისტორიას.

აკადემიაში შევჩენკო ძალიან მალე აღწევს წარმატებებს. იგი ეუფლება გრავიურის ხელოვნებას, ხდება მხატვარ-პორტრეტისტი. 1839, 1840 და 1841 წლებში ნახატებისათვის იგი იღებს სამ ვერცხლის მედალს. შევჩენკოს პორტრეტებმა მალე გაითქვა სახელი მთელ პეტერბურგში. შეკ-

ვეთა შეკვეთაზე მოდიოდა. გაჭირვებასა და სიღატაკეს ბოლო მოეღო. შევჩენკო გახდა უკრაინელა ახალგაზრდა მხატვრების მთელი ჯგუფის მარჩენალი.

ტარასის თემატიკა განსხვავებულია მისი დიდი მასწავლებლის — პროფ. კარლ ბრიულოვის თემატიკისაგან. ამ დროისათვის შევჩენკო უკვე ჩამოყალიბებული რეალისტი მხატვარია. შემდეგ წლებში უფრო იხვეწება შევჩენკოს, როგორც პორტრეტისტის, ოსტატობა. ამ მხრივ შესანიშნავ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს მისი ახლო მეგობრების — დიდი რუსი მსახიობის მიხეილ სიმონის ძე შჩეპკანისა (1788—1863) და ვარვარა ნიკოლოზის ასულ რეპნინას (1808—1891) საყოველთაოდ ცნობილი პორტრეტები. ისინი უკრაინული პორტრეტული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებია, ხოლო შევჩენკოს ოფორტები მხატვრის დახვეწილი გემოვნების უკვდავი ძეგლებია.

მხატვარ შევჩენკოს იტაცებდა არა მარტო სურათები და საღებავები, არამედ უნდოდა სიტყვითაც გამოეხატა თავისი სევდა, გულის წუხილი უკრაინაზე, გაეხსენებინა მისი ბუნება, შეეთხზა სიმღერებში იმ კობზარით, რომელსაც ასე ალღევებით უსმენდა იგი ბავშვობისას. შევჩენკოს, — როგორც თვითონ ამბობს, — ყველასაგან საიდუმლოდ ლექსების წერა დაუწყია 1837 წელს, პეტერბურგის საზაფხულო ბაღში. მაგრამ შევჩენკო არ აძლევდა დიდ მნიშვნელობას ამ ლექსებს.

რცხვენოდა კიდევ, ეჩვენებინა ისინი მეგობრება-სათვის. მის თანამედროვეთა მოგონებებში მოთხრობილია, თუ როგორ ეყარა ახალგაზრდა მხატვრის პატარა ოთახში იატაკზე ლექსად დაწერილი ქაღალდის ნაკუწები. ერთხელ შევჩენკოს ერთმა ნაცნობმა აკრიფა რამდენიმე ასეთი ნაკუწი ქაღალდი, წაიკითხა და აღფრთოვანებული დარჩა ახალგაზრდა პოეტის ლექსებით. ნაცნობს დიდი ჯაფა და ვაივაგლახი დასჭირდა, რომ დაეყოლებინა შევჩენკო ამ ლექსების პატარა წიგნაკად გამოცემაზე. ამის შემდეგ ტარასი დიდი გულმოდგინებით შეუდგა პოეტურ შემოქმედებას. 1839 წელს მან მოამზადა თავის ნაწარმოებთა პირველი კრებული „კობზარი“, რომელიც გამოვიდა 1840 წლის დამდეგს.

არაჩვეულებრივად მკაცრმა და მომთხოვნმა ახალგაზრდა პოეტმა 1838—1839 წლებში დაწერილი ნაწარმოებებიდან „კობზარში“ შეიტანა მხოლოდ რვა: „ჩემი ფიქრები“, „პერებენდია“, „კატერინა“, „ვერხვი“, „ივანე პიდკოვა“, „ტარასის ღამე“, „ოსნოვიანკო“, „ფიქრები“ („რად მინდა მე შავი წამწამები“).

ამ პატარა წიგნაკით გაიხსნა უკრაინის ლიტერატურის ახალი პოეტური სამყარო. მან უდიდესი ინტერესი გამოიწვია უკრაინასა და პეტერბურგში. მოწინავე რუსული პრესა მეგობრულად და მოწონებით შეხვდა შევჩენკოს პოეზიას. „ოტჩინესტვენნიე ზაპისკის“ რეცენზიაში ნათქვამი იყო: „ბ-ნ

შევჩინკოს სახელი, თუ არ ვცდებით, პირველად გამოჩნდა რუსულ ლიტერატურაში, მით უფრო სასიამოვნო იყო მისი შეხვედრა იმ წიგნში, რომელიც კრიტიკის ყოველმხრივ მოწონებას იმსახურებს“. რეცენზენტი აღნიშნავდა შევჩინკოს სახლოვეს უკრაინულ ხალხურ სიმღერებთან, პოეტის ლექსების ბუნებრიობას, რასაც ის წიგნის დირსებად თვლიდა. „ლიტერატურაშია გაზეტას“ კრიტიკოსი შევჩინკოს ლექსებში ხედავდა „ბევრ ცეცხლს, ბევრ გრძნობას“ და „სამშობლოს მხურვალე სიყვარულს“.

მოხუცა უკრაინელი მწერალი გ. ფ. კვიტკა-ოსნოვიანენკო (1778 — 1843) აღფრთოვანებულ წერილს უგზავნის ახალგაზრდა პოეტს: „თქვენი „კობზარი“ წავიკითხე, თვალები გამიბრწყინდა... მე ჩავიხუტე თქვენი წიგნი, თქვენი აზრები გულს ხვდება, კარგია, ძალიან კარგია!“

რეაქციული კრიტიკა; პირიქით, მტრული ტონით გამოეხმაურა „კობზარს“. შევჩინკო მონათლეს „მუჟიკ“ პოეტად, რომელიც ტყუილად „გრეხავს რუსულ ენას მალოროსიულ ყაიდაზე“. სხვათა შორის, პოეტის სიკვდილის შემდეგ, XIX საუკუნის დასასრულს მ. პ. დრაგომანოვი (1841 — 1895) უნამუსოდ და ცინიკურად, უკრაინელთა პატრიოტული გრძნობის შეურაცხყოფით, აცხადებდა: შევჩინკო არ ყოფილა არც დიდი პოეტი, არც რევოლუციონერი, არც დიდი საზოგადო მოღვაწე, არც პატრიოტი.

შევჩინკოს ფილოსოფია, მისი აზრით, „მუჟიკის ფილოსოფიაა, ფილოსოფია ჯანყისა და ნაჯახისა“. მუჟიკისათვის „უცხოა კულტურა, მათ შეუძლიათ მხოლოდ აჯანყება, იმოქმედონ ნაჯახით და ირწმუნონ ჯადოქარი და ეშმაკები“.

დრაგომანოვი აყენებდა კითხვას, თუ რა შეიძლება იყოს მუჟიკის იმედსა და მისწრაფებაში რევოლუციური და თვითონ პასუხობდა — არაფერიო. ამიტომ დაასკენიდა, ტარას შევჩინკო, როგორც გლახთა იდეოლოგი, არ შეიძლება ჩათვალოს რევოლუციონერად, მით უფრო მოაზროვნედ და პოლიტიკურ მებრძოლადო.

უკრაინელი პოეტის ასეთი „შეფასების“ არსი იმაში მდგომარეობდა, მიეჩქმალათ ის ფაქტი, რომ შევჩინკო პირველი ამადლდა უკრაინაში გლახობის, როგორც რევოლუციის აქტიური ძალის გაგებაზე.

ფალსიფიკატორები ხალხით აგროვებდნენ და ავრცელებდნენ მემამულეების მიერ შეთხზულ ჭორებს შევჩინკოს „პირადი“ ცხოვრების შესახებ. „მუჟიკის ფილოსოფოსი“, „მცირედი კულტურის პოეტი“, „თვითნასწავლი“ და სხვა ასეთი „მარგალიტებით“ ამკობდნენ მას, რომ გაეშავებინათ უკრაინელი ხალხისათვის უსაზღვროდ საყვარელი პოეტის ნათელი სახე, რომლის შემოქმედება დაუფასებელი საგანძურია არა მარტო უკრაინისათვის, არამედ მთელი მსოფლიო კულტურისათვის.

შევჩინკომ სიამაყით მიიღო ეს შერქმეული სა-

ხელი: „ვიყო მუჟიკის პოეტად, მხოლოდ პოეტად ვიყო, მე მეტი არაფერი მინდა“.

აბა, რა იცოდა მაშინ ტარასმა, რომ თავისა ლექსებით „საკუთარი ხელით თავისსავე ბორკილებს სჭედდა“.

ეს მან რამდენიმე წლის შემდეგ გაიგო პეტრე-ბავლეს ციხეში...

სიღარიბემ, აუტანელმა შრომამ, წვალებამ, აბუჩად აგდებამ თავისუფლებას მოწყურებულ პოეტს ადრე აღუძრა მწვავე სიძულვილი ბატონყმური ჩაგვრისა და დესპოტიზმისადმი. ამ გარემოებამ განსაზღვრა მისი ლიტერატურული მიმართულება.

შევჩინეო გრძნობდა თავის პოეტურ ძალას იმაში, რომ ის აღიზარდა გლეხებს შორის, იცნობდა მათ მისწრაფებას, გრძნობებსა და აზრებს. მის ბალადებს მკითხველი შეჰყავს ხალხური ზღაპრების, ლეგენდებისა და თქმულებების მდიდარ სამყაროში.

ტ. შევჩინეომ პირველსავე ლექსებში გამოთქვა თავისი მრწამსი პოეზიისა და პოეტის დანიშნულებაზე. მან გვიჩვენა კობზარის სისხლხორცეული კავშირი თავისი ხალხის მიზნებსა და გრძნობებთან.

„კობზარმა“ მალე მოიპოვა პოპულარობა. მას აღფრთოვანებით შეხვდნენ შევჩინეოს თანამემამულენი, თანაგრძნობით — პროგრესული ქურნა-

ლების რედაქციები და, გასაგებია, მტრულად —
მემამულეები და მეფის მოხელეები.

„კობზარი“ საყვარელი საკითხავი წიგნი გახდა
შინაყმებისათვის. მიუხედავად ასეთი დიდი წარ-
მატებისა, პირველად შევჩენკო თავის პოეტურ
შემოქმედებას არ აძლევდა სერიოზულ მნიშვნე-
ლობას. მას იტაცებდა მხატვრობა და მხატვრის
ფუნჯი. მაგრამ, საბოლოოდ, შევჩენკო დარწმუნდა
იმაში, რომ მისი მოწოდება იყო პოეზია, რომ მის
ძვალ-რბილში გამჯდარი იყო სიყვარული პოეზიი-
სადმი და მანაც მთელი თავისი ენერჯია, ცოდნა და
მომწიფებული პოეტური აღმაფრენა მიმართა
მშობლიური უკრაინის ხალხის სასარგებლოდ.

უკრაინის სახალხო რევოლუციონერ პოეტს
ტარას შევჩენკოს მგზნებარედ უყვარდა თავისი
დაჩაგრული და ექსპლოატირებული სამშობლო.
ერთ-ერთ ადრინდელ (1839 წ.) ლექსში იგი ასე
წერდა:

ფიქრნო ჩემნო, ფიქრნო ჩემნო,
თქვენ ყვაეილნო, გამოზრდილნო,
გასაზრდოვეთ, ვიალერსეთ,
სად გაგზავნით, ჩემო შვილნო.
ნახეთ ჩემი უკრაინა,
მიაკითხეთ მშობელ მხარეს.
იქ, ობლებო, ინავარდეთ,
აქ გავითხრი მე სამარეს.
დაგიხვდებით ვრცელი გული,
სიტყვის თბილად დაძახება,
და იპოვოთ თქვენ ეგების,

სახელი და გამარჯვება.
შენც, მშობელო უკრაინავ,
მიიღე და გაიხარე,
ჩემნი ბავშვნი უგონონი
შვილებივით ჩაიბარე!

უკრაინასა და მშობლიურ ხალხს — აი, ვის ამ-
სახლრა და მიუძღვნა შევჩენკომ თავისი პოეტური
შემოქმედება. უკრაინელი მშრომელი ხალხის სი-
ყვარულითაა გაჟღერებული გენიალური პოეტის
მთელი შემოქმედება.

უ კ რ ა ი ნ ა შ ი

1843 წლის ზაფხულში შევჩენკომ იმოგზაურა
უკრაინაში. იმავე წლის სექტემბერს ის ეწვია
მშობლიურ სოფელ კირილოვკას. ესტუმრა თავის
და-ძმებს და მოინახულა სიმწარეში, სილარიბესა
და უუფლებობაში მყოფი თანასოფლელები. შევ-
ჩენკოს სტანჯავდა იმის შეგნება, რომ ყველა ასი-
ნი მონები იყვნენ და მსხვერპლი აღვირახსნილი
მემამულეებისა. ყმებს ისევ მათრახით სცემდნენ,
ყიდდნენ, ძაღლებზე ცვლიდნენ. ის უკრაინის
სოფლებში ყველგან ხედავდა გამოუთქმელ მწუ-
ხარებასა და ცრემლებს.

უკრაინის დიდი პოეტი შევჩენკო სამოღვაწეო
ასპარეზზე გამოვიდა. იმ დროს, როცა ვ. ლენინის

¹ თარგმანი სიმონ ჩიქოვანისა.

სიტყვით რომ ვთქვათ, იწყებოდა: „ფეოდალიზმი-
სა და აბსოლუტიზმის კრახი“, როცა ხდებოდა
ეროვნული ძალების გამოღვიძება და გლეხთა
ფართო მასების ჩაბმა რევოლუციურ მოძრაო-
ბაში.

ბატონყმური მეურნეობის კრიზისი, რაც უმთავ-
რესად საფაბრიკო წარმოების განვითარების : ლო-
გიკური შედეგი იყო; წარმოადგენდა ისეთ პრო-
ცესს, რომელსაც ეს მეურნეობა დეგრადაციის
გზით მიჰყავდა და; რომელიც ამძაფრებდა წინა-
აღმდეგობას მემამულეებსა და გლეხებს შორის.
ეს კრიზისი კიდევ უფრო აუარესებდა ასედაც
მძიმე მდგომარეობაში მყოფ იმდროინდელი რუ-
სეთის მშრომელთა მატერიალურ პარობებს, აძ-
ლიერებდა ბატონყმურ ტანჯვა-წამებას.

XIX საუკუნის დამდეგოდან კიდევ უფრო
გაღრმავდა ფეოდალური წყობილების რღვევა და
გაძლიერდნენ კაპიტალისტური ელემენტები. ეს
პროცესი იწვევდა კლასობრივი ბრძოლის შემდ-
გომ გამწვავებას.

რუსეთის იმპერიის საზოგადოებრივ-ლიტერა-
ტურულ ცხოვრებაში გარდატეხას მოახდენად
განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ორ დიდ
ისტორიულ მოვლენას: 1812 წლის სამამულო ომსა
და დეკაბრისტების მოძრაობას. რუსეთის გლეხო-
ბამ გამოავლინა ნამდვილად გოლიათური ძალა და
მგზნებარე პატრიოტიზმი. უმთავრესად გლეხობამ
გაანადგურა ნაპოლეონის ლეგენდარული „უძლე-
ველი არმია“.

სამამულო ომმა გამოააშკარავა, თუ რა დიდი წინააღმდეგობა აყო ხალხის გმირულ სულსა და მის მონურ მდგომარეობას შორის. ამ შეგნების განმტკიცებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ რუსეთის ხალხთა მოწინავე წრეები საზღვარგარეთ ლაშქრობის დროს გაეცნენ დასავლეთის ბურჟუაზიული ქვეყნების ცხოვრებას; შეადარეს იგი თავის სამშობლოს მდგომარეობას და კიდევ უფრო დარწმუნდნენ ფეოდალური წყობილების დრომოჭმულობაში. ხალხს იმედი ჰქონდა, მეფე ომის შემდეგ სათანადო რეფორმებს გაატარებს და მრავალმილიონიან გლეხობას ბატონყმობის მძიმე უღლისაგან გაათავისუფლებსო. მაგრამ ეს იმედები არ გამართლდა.

პროგრესულად მოაზროვნე საუკეთესო ადამიანებმა, რადგან ზევდიან რეფორმის იმედი არ გაუმართლდათ, გადაწყვიტეს სამხედრო აჯანყების გზით მოესპოთ საძულველი ბატონყმურ-თვითმპყრობელური წყობილება. დეკაბრისტებმა ფარული ორგანიზაციები ჩამოაყალიბეს. უკრაინა წარმოადგენდა დეკაბრისტული მოძრაობის ერთ-ერთ ცენტრს. 1822 წელს კიევში შეიქმნა „სამხრეთის საზოგადოება“ პავლე ივანეს ძე პესტელის (1793—1826) მეთაურობით, უკრაინაში აყო სერგი მურავიოვ-აპოსტოლიც (1796—1826). და თითქმის ათი წლის სამზადისის შემდეგ, 1825 წლის დეკემბერში, მათ შეიარაღებული აჯანყება მოაწყეს. აჯანყება ჩააქრო მთავრობის ჯარებმა. ამ დროს ტახტზე

ავიდა ნიკოლოზ I — „მეფე ჯალათი“. დეკაბრისტები გაანადგურეს. 5 დეკაბრისტი: ბესტუჟევი-როუმინი, მურავიოვ-აპოსტოლი, პესტელი, რილევი (1795—1826) და კახოვსკი (1797—1826) ჩამოახრჩეს 1826 წლის 13 ივლისს გათენებისას პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრეში (პეტერბურგში). აჯანყების მრავალი მონაწილე ციმბირში გადაასახლეს, მაგრამ დეკაბრისტების გავლენა იმ დროის საუკეთესო ადამიანებზე, განსაკუთრებით ლიტერატურის მოღვაწეებზე, არ შეწყვეტილა. ლენინის თქმით, „მათი საქმე არ დაკარგულა“. მოწინავე ინტელიგენცია განაგრძობდა დეკაბრისტთა საქმეს.

ეპოქის ისტორიულმა ვითარებამ განაპირობა მაშინდელი ლიტერატურის აღმავლობა და ხასიათი. სამამულო ომით გამოწვეულმა პატრიოტულმა თვითშეგნებამ, საზოგადოებრივი აზრის ძლიერმა განვითარებამ, დეკაბრისტთა მოძრაობამ თავისი მკვეთრი გამოხატულება ჰპოვა მწერლობაში.

ბატონყმური სისტემის ღრმა კრიზისმა უკიდურესობამდე გაამწვავა კლასობრივი წინააღმდეგობა. განუწყვეტლავ იზრდებოდა გლეხთა აჯანყებები. ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში, მათ შორის უკრაინაშიც. აჯანყებულ გლეხობის წინააღმდეგ საბრძოლველად მეფის მთავრობა ხშირად მიმართავს სამხედრო ძალებს, რომ მკაცრად გაუსწორდნენ „მეამბოხეებს“.

საერთოდ ცნობილია, რომ XVIII საუკუნის მი-

წერულისადაც უკრაინაში მოხშირდა გლეხთა აჯანყებები. მეფის მთავრობა სასტიკად უსწორდებოდა აჯანყებულებს; სპობდა უკრაინელი ხალხის ეროვნულ თვითმყოფადობას, სპობდა მისი კულტურისა და განათლების კერებს. მაშინ უკრაინის ძირითადი კულტურული ცენტრები იყო ქალაქები: კიევი და ხარკოვი. კიევის აკადემიის კედლებიდან გამოვიდა უკრაინის კულტურის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორც იუვენ თ. პროკოპოვიჩი (1681—1736), გ. კონისკი და სხვები.

მეფის მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა გამოედევნა აკადემიიდან საერო სული, აკადემიაში არ იძლეოდნენ უკრაინულ ენაზე სწავლის უფლებას. 1769 წელს მთავრობამ აკრძალა უკრაინული ანბანის ბეჭდვა.

უკრაინის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი გამოვიდა თავისი ხალხის, მისი ენისა და ლიტერატურის დასაცავად. უკრაინაში გამოჩნდნენ მოხეტიალე მასწავლებლები; რომლებიც დადიოდნენ სოფლიდან სოფლად და ასწავლიდნენ ხალხს წერა-კითხვას, ამავე დროს მოუწოდებდნენ მარჯვედ დახვედროდნენ მტერს. ერთ-ერთი ასეთი მასწავლებელი იყო ფილოსოფოსი, პოეტი და უკრაინის მოწინავე მოღვაწე გ. ს. სკოვოროდა (1722 — 1794). უკრაინას ჰყავდა გამოჩენილი ფილოსოფოსები და მეცნიერები: მ. მ. ტერეხოვსკი (1740—1796), ა. მ. შუმლიანსკი (1748—1795) და სხვები. შეფჩენკომ, მასივე აღიარებით, ბევრი რამ

ისწავლა მათგან. ისინი იდგნენ ფილოსოფიური მატერიალიზმის პოზიციებზე.

შევჩენკო, როგორც უკრაინის ეროვნული კულტურის მოწინავე წარმომადგენელი, არ იყო შემთხვევითი ადამიანი ამ კულტურისათვის. როგორც პოეტს, მოაზროვნეს და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეს, მას ჰყავდა თავისი წინამორბედები და ღირსეული მომხრე-მამლევრებიც¹.

უკრაინის გამოჩენილი მოღვაწე ივანე პეტრეს ძე კოტლიარევსკი (1769—1838) სკოვოროდას საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელი იყო. მან დიდა გავლენა იქონია შევჩენკოზე.

შევჩენკომ ღრმად შეითვისა კოტლიარევსკის მოწინავე იდეები და მის ხსოვნას მოუძღვნა ასეთი გულთბილი სტრიქონები:

მზით გაათბო საუკუნემ
ამ კობზარის ხსოვნა.
შენ იცოცხლებ მამობილო,
სანამ ხალხი ღელავს,
სანამ ცაში მზეა სხივით
ეხსომები ყველას.²

გლებთა მოძრაობის ზეგავლენით რუსეთისა და მასში შემავალი ნაციონალური მხარეების მოწი-

¹ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის უკრაინის თითქმის ყველა გამოჩენილი პოეტი-დემოკრატი შევჩენკოს მოწაფედ თვლიდა თავს და ცდილობდა, დიდი პოეტის მსგავსად „დაეყენებინა თავისი სიტყვა დამონებული მშრომელი ხალხის სადარაჯოზე“.

² თარგმანი სიმონ ჩიქოვანისა.

ნავე ინტელაგენციაში იზრდებოდა ანტიბატონყ-
მური განწყობილება.

უკრაინის სოფლებში ნახულმა საშინელმა ამბებ-
მა რისხვითა და აღშფოთებით აღავსო შევჩენკო.
1843 წელს უკრაინაში მოგზაურობამ დიდი როლი
ითამაშა პოეტის მსოფლმხედველობის ჩამოყალი-
ბებაში, მისი მუზის მომწიფებასა და შემოქმედე-
ბით დაჯაყაცებაში. ტარას შევჩენკოს იმდროინ-
დელ სურათებსა და ლექსებში აღბეჭდილია
დამონებული უკრაინის აუტანელი და ბეჩავი
ცხოვრება. მძიმე შთაბეჭდვლებით ტოვებს პოეტი
უკრაინას:

ჰე, მშვიდობით, ჩემო მხარევ,
დარდის დიღო მხარევ,
მე ჩვენს ტანჯვას შეუდარელს
ღრუბლებს მოვაფარებ.¹

კვლავ პეტერბურგში

ასევე მძიმე შთაბეჭდილებით დაბრუნდა შევ-
ჩენკო პეტერბურგში 1844 წელს:

უკრაინა, უკრაინა,
ჩემო სულის კვნესავ,
შენი ბედი მაგონდება,
გულს ნაღველი ლესავს.²

¹ თარგმანი კონსტანტინე ლორთქიფანიძისა.

² თარგმანი მისივე.



კიეში. სერიიდან „თვალწარმტაცი უკრაინა“. ოფორტი.

უკრაინაში ნანახი სურათებით აღშფოთებულ-
მა პოეტმა თავშეუკავებლად გადმოათრქვა თავი-
სი გულისწყრომა პოემა „სიზმარში“. „სიზმარი“
მძაფრბ გროტესკული სატირაა ცარიზმზე. პოემას
საფუძველი გახდა შევჩენკოს — თავისი მნიშვნე-
ლობით მრავალფეროვანი — პარადი შთაბეჭდი-
ლებანი. მათ შორის უკრაინის გლენებთან შეხვედ-
რა, მუდმივი ფიქრი დეკაბრისტებზე, რომლებიც
ციმბირის მალაროებში იტანჯებოდნენ, მეფისა და
მისი ამალის ფუქსავატური ცხოვრება სატანტო
ქალაქში, აი, პოეტური მასალა, რომელიც „სიზ-
მარშია“ გამოყენებული. პოეტი გვიხატავს მოგ-
ზაურობას ციმბარში, მოსკოვსა და პეტერბურგში.
ციმბირში მან ნახა:

ქვეშ ფუსფუსებს ხალხი ბარად,
თითქოს მკვდრებმა კუბო ბნელი
დასტოვეს და წამომდგარან,
განსჯის დღეა საზარელი.
უწირველი, დაუმარხი,
შექედილი ხუნდით ყველა,
იქ ცოცხალი დადის ხალხი,
არ მოელით ციდან შველა.
და რომ უხვად ჰქონდეს უძლისს
ბნელ ჯიბეში. სოროს მობრუნნი,
ოქროს ზიდვენ, ღმერთმა უწყის,
რისთვის გახდნენ კატორღელნი.
ან თვით ღმერთიც ვერ ჰვრეტს მალღით,
ვერ გაიგო ვინ რად წვალობს...!

1 თარგმანი დავით გაჩეჩილაძისა.

აქ შევჩენკო გვიხატავს დეკაბრისტთა წამებას ციმბირში, მათი კატორღული ცხოვრების მძიმე სურათებს და გასაოცარი ექსპრესიითა და სარკაზმით თავს ესხმის ნიკოლოზ I, მკუთითებს, რომ ამ „უანდარმის“ მთელი რეჟიმი დაყრდნობილია განსაკუთრებით მუშტის უფლებებზე, სასტიკ, ველურ და უხეშ ძალდატანებაზე.

თქვენ კი ისევ ულლით ასე
დახვალთ მთა და ველად.
ედემს ეძებთ? ქვეყანაზე
ვერსად ნახოთ, ვერა...
გადახედეთ ამას, იმას,
ადამის შვილთ ყველას,
იქ ის მეფის სახლში ბრწყინავს,
ამის ქოხში ბნელა!

მთელი პოემა არსებითად წარმოადგენს ავტორის ლირიკულ მონოლოგს, რომელიც ზოგჯერ წყდება პატარა დიალოგებითა და წიაღსვლებით. შევჩენკომ სათუთად, ლირიკული საღებავებით დაგვიხატა ბუნების მთელა სურათი და იქვე გვერდით მრისხანე — პუბლიცისტურ სტრიქონებში გამოხატა თავისა აღშფოთება და სიძულვილი მეფისადმი.

ო, შენ საძაგელო,
მეფევ, ბილწო, მეფევ ფლიღო,

¹ თარგმანი დავით გაჩეჩილაძისა.

უძლომოდ და გველო,
სად არიან კაზაკები,
სად ჩაღუპე ასე,
კეთილშობილ მათი ძვლებით
ტლაპო ამოავსე...¹

ასე გაბედულ, უღმობელ ატესტაციას აძლევს პოეტი ყველა უბედურების წყაროს, სიმართლას მდევნელ რუსეთის დესპოტ თვითმპყრობელ მეფეს.

შეფჩენკომ მეფის პოლიტიკის აშკარად და უშაშრად მხილებასა და ძაგებაში იმდენი გამბედაობა გამოიჩინა, რამდენიც არ გამოუჩენია მის თანამედროვე არც ერთ პოეტს. ამ მხრივ მან გადააჭარბა დეკაბრისტ პოეტებს და სხვებსაც².

შეფჩენკოს ამ წლების პოეტური შემოქმედება მეტყველებს მისი ნიჭის არაჩვეულებრივ სწრაფ ზრდაზე. უკრაინის შთაბეჭდილების ზეგავლენით

¹ თარგმანი დავით გაჩეჩილაძისა.

² თუ არ მივიღებთ მხედველობაში ა. ოლოვესკის ბრწყინვალე რევოლუციურ ლექსს, რომლითაც ის გადასახლებულ დეკაბრისტა სახელით გამოეხმაურა ა. პუშკინის ცნობილ ლექსს — „მიმართვა ციმბირს“.

დიდო პოეტო! იყავი მშვიდად!
არ ენანობთ, ბედმა რაც გავეიმზადა!
ჩვენ კვლავ დავცინით ცხრაკლიტულიდან
მეფეს მასხარას და არამზადას.

(თარგმანი გ. ქუჩიშვილისა)

ის ხდება მემამულეებისა და თვითმპყრობელური წყობილების შეგნებული რევოლუციონერი მამხილებელი.

ღირიკიდან პუბლიცისტიკაზე, პათეტურობიდან სატირაზე გადასვლა ახალი სიტყვა იყო არა მარტო უკრაინის, არამედ რუსეთის პოლიტიკურ პოეზიაშიც.

შევჩენკოს შემოქმედება ატარებს მკვეთრად გამოხატულ პოლიტიკურ ხასიათს. ის გამსჭვალულია ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ საშინელი სიძულვილით. მისი შემოქმედება იყო მშრომელთა ფართო მასებზე რევოლუციური ზემოქმედების მძლავრი ფაქტორი. ის გამოხატავდა არა მარტო ხალხთა აღშფოთებასა და გულანწყრომას, ხალხთა მასების ბრძოლას სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, არამედ პირდაპირ მოუწოდებდა აჯანყებისაკენ.

გავლესოთ ყველამ ერთგული ცული,
მოვაფოლადოთ ყველამ ნაჯახი.
თორემ საშინელ იმ სამსჯავროზე
თავისუფლების მზეს ვერ ვიხილავთ.¹

„იბრძოლეთ და გაიმარჯვებთ“, მოუწოდებდა პოეტი ხალხს პოემა „კავკასში“.

შევჩენკოს ხმა გაისმოდა, როგორც საბრძოლო ძახილი, როგორც მოწოდება მტრის დასათრგუნ-

¹ თარგმანი იასამანისა.

ნად, მისი სიტყვები და ლექსები აღსავსე იყო რწმენითა და გაბედულებით.

რასაკვირველია, შევჩენკოს არ შეეძლო ეოცნება „სიზმრის“ დაბეჭდვაზე. მაგრამ ის ფართოდ გავრცელდა ხელნაწერის სახით. მოწინავე ახალგაზრდობა აღფრთოვანებით შეხვდა მას. ის ხელიდან ხელში გადადიოდა და ვრცელდებოდა მთელი რუსეთის იმპერიაში.

პოემა „სიზმარი“ ჟანდარმერიამ შეათასა როგორც ნიკოლოზ I შეურაცხმყოფელი ნაწარმოები. აი, რატომ იყო „სიზმარი“ გამოყენებული პოეტის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრალდების ერთ-ერთ საბუთად.

მეორედ უკრაინაში

1845 წელს ტარას შევჩენკომ დაამთავრა აკადემია და მიიღო თავისუფალი მხატვრის წოდება. ის კვლავ მიემგზავრება უკრაინაში. იმ დროს მთელი უკრაინა ბობოქრობდა. ყმაგლეხები აუჯანყდნენ თავიანთ მიხაგვრელებსა და ბატონებს, იწყება ყმაგლეხების გათვითცნობიერება და დარაზმვა საძულველი ბატონყმური ურთიერთობის დასაანგრევად. ხელისუფლების წარმომადგენლები ნათლად ხედავდნენ და აღიარებდნენ, რომ ხალხთა მასების აღშფოთებამ უცხოელთა და ბატონყმური ჩაგვრას წინააღმდეგ კულმინაციურ წერტილს მიაღწია და ამ ჩაგვრის მოსპობისაკენ მისწრაფება ყოველწლიურად იზრდებოდა გლეხთა მასებში.

უკრაინაში ყოფნის დროს განცდილმა და ნაწახ-
მა ღუხჭირმა ცხოვრებამ ათქმევინა პოეტს:

მიწაზე უფრო მიწისფერ სახით,
იმ კარგ სოფელში ბოგინობს ხალხი,
ჩამონგრეულა დამპალი სახლი,
ამწვანებული დაფშენილა ბაღი.
პრიალა ტბაზე ძეძვნარით ბნელა,
ის მხარე თითქოს ცეცხლს გაღუცეღავს;
თითქოს სოფელში შეშლილა ყველა.¹

შევჩენკომ აქ მრავალი ლექსისა და პოემის
გარდა, დაწერა სახელგანთქმული პოემა — „კავ-
კასი“. დიდი მოაზროვნე პოეტი გასაოცარი სიღრ-
მითა და გამბედაობით ამხელს ცარიზმის დამპყ-
რობლურ ძალადობასა და უხეშობას, რომლებიც
„უმადლესი კულტურისა და ქრისტიანობის“ სახე-
ლით იმონებდნენ თავისუფლების მოტრფიალე
კავკასიელებს. მაშინ, როდესაც ველიკორუსული
შოვინიზმით დაავადებული ზოგიერთი პოეტი კავ-
კასიის დამპყრობთ ქება-დიდებას უძღვნიდა, შევ-
ჩენკო გაბედულად და აშკარად მიმართავდა
თვითმპყრობელთა წინააღმდეგ ამხედრებულ
მთიელებს:

დიდება თქვენს ვაჟაკობას,
თოვლიანო მთებო,
თქვენ — დიდება. არ დანებდეთ
მოძალადე სეავებს.

¹ თარგმანი დავით გაჩეჩილაძისა.

იბრძოლეთ და გაიმარჯვეთ,
შორეულო ძმებო...!

პოემიდან „კავკასი“ ჩანს, თუ რამდენად გაღრმავდა შევჩენკოს მსოფლმხედველობა. პოემა „კავკასში“ შევჩენკო ინტერესს იჩენს ცარიზმის მიერ დაჩაგრული კავკასიელი ხალხების მიმართ, უსურვებს მათ ბედნიერებასა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამარჯვებას, ის თანაუგრძნობს კავკასიელებს.

შევჩენკომ „კავკასში“ გვიჩვენა, რომ მეფის რუსეთი საპყრობილე იყო მასში შეშავალი ყველა ხალხისათვის. ეს „ხალხთა საპყრობილე“ ასეა გამოხატული ლექსში:

მოდღაველთა მინდვრებიდან
ფინეთამდე ყველა ხარობს.
ყველას ენა დავადუმეთ,
რომ ლოცვებით ინეტარონ².

მაგრამ პოეტს სჯერა, რომ „სიმართლე არ მოკვდება, ვერ ჩაკლავენ ლაღებს“, „რაგინდ ხარბი გული გქონდეთ, ვერ გადახნავენ ტალღებს, ვერ შებორკავენ კაცის სიტყვას“. შევჩენკო იგონებს პრომეთეოსს, — რომელიც ანსახიერებს დაუმორჩილებელ ნებისყოფას.

ეს მგზნებარე სტრიქონები აღაფრთოვანებდა

1 თარგმანი კონსტანტინე ლორთქიფანიძისა.

2 მისივე.

არა მარტო შევჩენკოს თანამედროვეებს, არამედ მათ შთამომავალთაც. 1908 წელს გამოჩენილმა რუსმა მხატვარმა ილია რეპინმა (1844—1930) გააკეთა „პრომეთეს“ აკვარელური მონახაზი და მიაწერა: „უკრაინის დიდი სახალხო პოეტის სახსოვარი“.

„კავკასიში“ შევჩენკო გვევლინება დაჩაგრულ ხალხთა ქომაგად, მათი თავისუფლების მოტრფილედ. პოეტი გრძნობს, თუ რა უხეში ძალით მოქმედებდნენ კავკასიაში მეფე-ჯალათი და მისი სალაზნები:

ქვრივების ცრემლი, დედების გლოვა
და ქალწულების ფარული მოთქმა,
სუყველა ერთად რო მოაგროვა, —
ჩაიხრჩვებოდა ხელმწიფის მოდგმა¹.

შევჩენკომ ხმა აიმაღლა და პროტესტით მიმართა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას, მან გაბედულად გამოააშკარავა თვითმპყრობელობის მტაცებლური ბუნება:

მთების იქით მთები, შებურვილი ნისლით,
მწუხარებით სავსე და მორწყული სისხლით.
ღარიბ-ღატაკებს მიუვალ მთებში,
ჩვენი წყალობის თვალი დაჰყურებს.
მთები დავცხრილეთ ტყვიების თქეშით,
თავისუფლება გავენადგურეთ.

¹ თარგმანი კონსტანტინე ლორთქიფანიძისა.

რამდენი სისხლი, ცრემლი მრავალი
იგი ათობდა იმპერატორებს,
ძლებოდა მათი შთამომავალი.

დაპატიმრება და გადასახლება

შევჩინეკომ 1845—47 წლები უკრაინაში დაჰყო. ამ პერიოდში ის დიდ და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა: ამ წლებში შექმნა მან ბევრი საუკეთესო ნაწარმოები. მასთან, არც მხატვრობას ივიწყებდა. აწარმოებდა ძველი ძეგლების გადაღებას, ხატავდა პეიზაჟებს, ქმნიდა ახალ სურათებს. მისი მხატვრული ნაწარმოებები გაუღწეოდა რევოლუციური სულისკვეთებით.

გარდა შემოქმედებითი მუშაობისა, პოეტა ცდილობდა პრაქტიკული მონაწილეობა მიეღო რევოლუციის მომზადებაში, ამ მიმართულებით ის ატარებდა ყმაგლეხებში სათანადო მუშაობას: მოუწოდებდა გლეხებს მასობრივი აჯანყებისაკენ და აგრეთვე უკითხავდა მათ დიდი პატრიოტული გრძნობით, რევოლუციური პათოსითა და ოპტიმიზმით გაუღწეოდა ლექსებს.

შევჩინეკო უახლოვდება 1846 წლის იანვარში კიევში ჩამოყალიბებულ ე. წ. კირილე-მეთოდეს ძმობას ფარულ საზოგადოებას (რომელსაც, საჭმალად უტოპიურ-ეფემერული მიზანი ჰქონდა — მიუხედავად ამისა, მაინც დადებითი როლი ათამა-

1 თარგმანი კონსტანტინე ლორთქიფანიძისა.

შე უკრაინაში მასების პროგრესული აზრისა და პოლიტიკური ბრძოლის განვითარების საქმეში). ეს საზოგადოება თავისი პროგრამითა და შეხედულებით ლიბერალური იყო. იგი მიზნად ისახავდა სლავი ხალხების გაერთიანებას, ბატონყმობის გაუქმებას და მასებში განათლების გავრცელებას. როგორც ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, შევჩენკო არასოდეს ყოფილა ამ საზოგადოების წევრი, შევჩენკოს ზოგიერთი ბიოგრაფი და მკვლევარი კი პირიქით — იმ აზრისაა, რომ შევჩენკო ეკუთვნოდა კარილე-მეთოდეს ძმობის ჯგუფს, მაგრამ ამ ჯგუფში გამოირჩეოდა, როგორც უფრო მემარცხენე და უფრო რადიკალური აზრების მქონე, რადგან მისი იდეები საზოგადოების წევრთა იდეებზე უფრო რევოლუციური იყო. იგი ხშირად ხვდებოდა საზოგადოების წევრებს: ახალგაზრდა მეცნიერს, ისტორიკოს ნ. კოსტომაროვს, პ. კულიშს (1819 — 1897), ვ. ბელოზერსკის, ნ. გულაკსა (1822 — 1899) და სხვებს.

იმ დროს, როცა საზოგადოების ლიბერალურ ნაწილს შესაძლებლად მიაჩნდა მემამულეების „გარდაქმნა“ ისე, რომ მათ თავისი ნებით გაეთავისუფლებინათ გლეხები, შევჩენკო არავითარ ილუზიებს არ ქმნიდა მემამულეებისა და ცარიზმის „გაკეთილშობილებისა“ და „გარდაქმნის“ შესახებ. მას აუცილებლად მიაჩნდა ცარიზმის მოსპობა გლეხთა ძალებით, რევოლუციით. მან იცოდა, რომ უბრძოლველად და უმსხვერპლოდ თავისუფლე-

ბის მოპოვება არ შეიძლებოდა. „ძმობის“ წევრთა შორის არ იყო აზრთა ერთობა.

როცა კიევის უნივერსიტეტის სტუდენტის, ვინმე ა. პეტროვის დასმენით დააპატიმრეს საზოგადოების წევრები, მაშინ შევჩენკოც დაატუსაღეს კიევის მახლობლად. ეს იყო 1847 წლის 5 აპრილს. 6 აპრილს შევჩენკო პეტერბურგში გადაჰყავთ. დაპატიმრებისას მას აღმოაჩნდა „საშიში ბარგი“: ხელნაწერი ლექსები: „სიზმარი“, „სამი წელი“ და სხვ., აგრეთვე მის მიერ დახატული კარიკატურები. კარაღე-მეთოდეს საზოგადოებაში მონაწილეობის ბრალდება შევჩენკოს ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ ეს არც იყო საჭირო მეფისა და ჟანდარმერიისათვის. პოემა „სიზმარი“, რომელიც გამსჭვალულია თვითმპყრობელობისა და ბატონყობის სიძულვილით, უფრო საშაშად მოეჩვენათ, ვიდრე საზოგადოების წევრთა ოცნება. მით უფრო, პოემა „სიზმარი“ პოეტის დაპატიმრებამდე ხელნაწერის სახით საგრძნობი რაოდენობით ვრცელდებოდა რუსეთის დიდ ქალაქებსა და გუბერნიებში.

გარდა ამისა, ჟანდარმერიას ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ძმობის“ კრებებზე იკითხებოდა შევჩენკოს აშკარად კანონსაწინააღმდეგო ლექსები, სადაც ის თავს ესხმოდა და აუგად იხსენიებდა მეფის ოჯახის წევრებსა და გვარეულობას.

დაკითხვისას ჟანდარმთა შეფუმა ორლოვმა მიუთითა შევჩენკოს იმ უმადურობაზე, რომელსაც ის

იჩენდა მისი კეთილისმყოფელი მეფის ოჯახის მიმართ, რომელმაც თითქოს ასეთი დიდი როლი ითამაშა შევჩენკოს ყმობისაგან გამოსყიდვის საქმეში (დიდხანს არსებობდა ლეგენდა, თითქოს შევჩენკოს გამოსასყიდად გათამაშებული ლატარიის ყველა ბილეთი შეიძინა მეფის ოჯახმა). შევჩენკომ გულისწყრომით უარყო ეს საყვედური. შემდეგ პოეტი თავის დღიურში წერდა: „უსულგულო სატრაპმა და მეფის ჯალათმა თქვა, თითქოს ყმობიდან განთავისუფლებული და აღზრდილი ვარ მეფის ხარჯზე და მადლობის ნიშნად დავხატე ჩემი „კეთილისმყოფელის“ კარიკატურა...“ საიდანაა ეს უაზრო ზღაპარი — არ ვიცი“¹.

მ. მორონეცის გამოკვლევით დოკუმენტურად დამტკიცებულია, რომ მეფის სასახლეში შექმნილი აქნა 400 მანეთის ლატარიის ბილეთი. მეფის ოჯახს, როგორც აქედან ჩანს, დიდი ხელგაშლილობა არ გამოუჩენია და არც იყო ვინმე დაინტერესებული რომელიღაც ყმა მხატვრის ბედათ.

სწორედ ამიტომ ქანდარმერიის დადგენილება შევჩენკოს დასჯის შესახებ მოტივირებულა მისი ლექსების მავნებლობით და არა კირილე-მეთოდეს ძმობის საზოგადოებაში მონაწილეობათ. შევჩენკოს „ლექსები ორმაგად მავნებელი და საშიშია“, დასძენდა ქანდარმერიის შეფი თავის დადგენილებაში.

¹ Тарас Шевченко, Собрание сочинений, т. 5, 1956, стр. 24.

საზოგადოების ლიბერალურ წევრ-პატიმრებთან შედარებით, შევჩენკოს დაკითხვაზე ღირსეულად და ვაჟკაცურად ეჭურა თავი. მან გაბედულად განაცხადა, რომ წერდა რევოლუციური შინაარსის ლექსებს, რადგან ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნის დროს ყველგან ესმოდა მეფისა და მთავრობის უკანონო მოქმედებისა და თვითნებობის შესახებ, რომ ის აღშფოთებული იყო უკრაინის გლეხობის მძიმე მდგომარეობით, რომლებსაც მემამულეები უმოწყალოდ ექცეოდნენ.

1847 წლის 30 მაისს კირილე-მეთოდეს ძმობის საქმეზე პასუხისგებაში მიცემულ ყველა პირს გამოუცხადეს განაჩენი და ნიკოლოზ პირველის კონფირმაცია¹.

შევჩენკოს სასჯელი განსაზღვრა თვით მეფემ. მან განაჩენს საკუთარი ხელით დააწერა: „გამწესდეს რიგით ჯარისკაცად და გაიგზავნოს ორენბურგის ცალკე კორპუსში უსასტიკესი ზედამხედველობის ქვეშ, წერისა და ხატვის აკრძალვით“. შევჩენკო თავის დღიურში 1847 წლის 19 ივნისს წერდა ამის შესახებ: „ჩემ საწყალ არსებობას წაართვეს უკეთილშობილესი ნაწალი. ტრიბუნალი სატანის თავმჯდომარეობით ვერ შესძლებდა ასეთი ცივი, არაადამიანური განაჩენის გამოტანას,

¹ კონფირმაცია — უმაღლესი ხელისუფლების მიერ დამტკიცებული განაჩენი.

განაჩენის უგულო შემსრულებლებმა კი შეასრულეს იგი აღმაშფოთებელი სიზუსტით“¹.

პოეტი-პატიმარი მაინც თავის საყვარელ უკრაინაზე ოცნებობს:

ჩემთვის ერთია სადაც ვიქნები,
უკრაინაში თუ სხვა მხარეში,
დე, დამივიწყონ ჩემი წიგნებით,
ჩამქოლონ თოვლის ცივ სამარეში.

• • •
მე თან წამყვება, როგორც სინაზე,
ფიქრი საყვარელ უკრაინაზე.

• • •
მაგრამ არ არის ჩემთვის სულ ერთი,
რომ ურდოები საშინელ მტერთა
ჩვენს უკრაინას დააძინებენ,
გასძარცვავენ და გააღვიძებენ.
სისხლიდან დაცილს, ცეცხლმოკიდებულს,
გადაოხრებულს, მტვერში დაგდებულს,
ო, ეს არ არის ჩემთვის სულ ერთი!²

კაზემატში პოეტი გამომწყვდეული იყო 1847 წლის 17 აპრილიდან 30 მაისამდე. ამ პერიოდში მან დაწერა 13 ლექსი. ის მიეჩნია ახალ გარემოს. „მე შევეჩვიე ოდნავ ამ რკინებს, კარებს, ბოქლომით გადაკეტილებს“.

პოეტი გოდებდა:

¹ Тарас Шевченко, Собрание сочинений, т. 5, 1956, стр. 24.

² თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილისა.

...ასე რად მოხდა,
რომ ლაფში ჩაჰკლეს თავისუფლება?
როს წარმოვიდგენ, გული მიკვდება,
რომ სხვაგან მელის მე დასასრული:
უკრაინაში არ მომიხდება
უკვე ცხოვრება და სიყვარული¹.

შევჩინე თავის ფიქრებს უკრაინის მომავლის
შესახებ ამთავრებს იმედითა და მოწოდებით:

გახსოვდეთ, ძმებო, თქვენ ერთმანეთი,
დე, უკრაინა ღვივოდეს თქვენში,
გიყვარდეთ იგი... ჟამსა ბნელეთის
და უკანასკნელ მძიმე წუთებში,
ილოცეთ მისთვის².

შევჩინე ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეტა-
პი — უხალისო და უსიხარულო დღეები. ის
გააგზავნეს იმ დროისათვის შორეული ორენბურ-
გის მხარეში. პეტერბურგიდან ორენბურგამდე
2100 ვერსი გავილილი იქნა საფოსტო ეტლით
7 დღე-ღამეში. ორენბურგის კორპუსის გენერალ
ვ. ა. ობრუჩევის განკარგულებით შევჩინე გა-
იგზავნა ორსკში, ორენბურგადან 265 ვერსის და-
შორებით. იქ, სადაც საბჭოთა პერიოდში შეიქმნა
ორსკი-ხალილოვსკის მეტალურგიული კომბინატი.
ეს იყო უდაბნო, უსივრცო, მზითგადახრუკული,
გამოფიტული, უმცენარეო და უწყლო. უკრაინის

¹ თარგმანი იასამანისა.

² თარგმანი შალვა აფხაიძისა.

მშვენიერი ბუნების შემდეგ აქ ცხოვრება ჯოჯოხეთში ყოფნას უდრიდა.

ტარასი აგრძელებს საყვარელ სამშობლოზე სიმღერას, ოცნებობს პანებას ჩაგვრისაგან მის განთავისუფლებაზე. ჰუმანისტი შევეჩენკო გადასახლებაშიაც არ კარგავს სიმბნევეს და ხალისს: „ვიტანჯები, ვწვალობ, მაგრამ არ ვნანობო“, ამბობდა პოეტი.

მოკვდევ ასე!... ოჰ, უფალო
მე მალისე ცქერა,
თუნდ ჩაგრულის ჩვენის ხალხის,
უკრაინის მზერა!
ამაცდინე უცხო ქვეყნად
განწირვის ბედს მწარესი
თუნდაც ერთხელ მე შევხედო
იმ სანატრელ მხარეს!

მიუხედავად მკაცრი აკრძალვისა, პოეტი მაინც განაგრძობს ლექსების წერას.

ისევ ვწერ ლექსებს... დღენი მირბიან.
კვლავ ვავსებ წიგნაკთ განაფრთხილები...
ვიცი, მოჰყვება მათ ბორკილები,
თუ იმ მოკეთეთ გამიგეს ესა.
მაგრამ არ ვნაღვლობ, ჯვარსაც რომ მაცვან,
სული ულექსოდ ვერ მოისვენებს².

1 თარგმანი იასამანისა.

2 მისივე.

ტარასი ნაწერს ინახავს ჩექმის ყელში. გადასახლებიდან მეგობრებისადმი გამოგზავნილი წერილები შეიცავს თხოვნას, გაეგზავნათ მისთვის წიგნები, საწერი ქაღალდი, ფანქრები და საღებავები.

ვარვარა ნიკოლოზის ასულ რეპნინასათვის¹ გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში პოეტი წერს: „ხატვის ნება. რომ მქონდეს, რამდენ ახალ და ორიგინალურ ნახატებს გამოგიგზავნიდი, მაგრამ რა ვქნა! საშინელებაა უყურებდე და არ ხატავდე. ეს ასე-

¹ ვარვარა რეპნინა იყო უკრაინელი მემამულის განათლებული და ჰუმანიური ოჯახიდან, იგი ბატონყმობისადმი ზიზღის გრძნობით იყო აღზრდილი.

ვ. რეპნინას ზრუნვის შედეგად 1847 წელს შეეჩინკო მიწვეული იქნა კიევის უნივერსიტეტში ხატვის მასწავლებლად.

როგორც ვარვარა რეპნინასადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, სწორედ იმ დღეს, როცა უნივერსიტეტში ხატვის მასწავლებლად დანიშვნის შესახებ ცნობა მიიღო ტარასმა, ის დააპატიმრეს და კიევის უნივერსიტეტის მასწავლებლობის ნაცვლად აღმოჩნდა ორენბურგის სახაზო გარნიზონის რიგით ჯარისკაცად.

წლების მანძილზე ვ. რეპნინა თავგამოდებით ცდილობდა პოეტის მდგომარეობის შემსუბუქებას, მის განთავისუფლებას გადასახლებიდან. ჰქონდა მიწერ-მოწერა მასთან (შევჩინკომ პირველი წერილი და ამანათი წიგნებით რეპნინასაგან მიიღო), ვიდრე მესამე განყოფილება ორლოვის სახით უხეშად არ ჩაერია და არ დაემუქრა მას და მის ოჯახს რეპრესიით.

მას შეუყვარდა ყოფილი ყმა, ნიკიერი პოეტი და მხატვარი ტარას შეეჩინკო. „თავისი სიყვარული მას შეეჩინკო-

თი წამებაა, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ჰემარატი მხატვარი მიხვდება“¹.

1848 წელს რუსეთის არმიის გენერალური შტაბის ოფიცერთა ჯგუფი ა. ი. ბუტაკოვის² მეტაფორით აწყობს სამეცნიერო ექსპედიციას არალის ზღვის ფლორისა და ფაუნის შესასწავლად, მის ნაპირებზე მეტეოროლოგიური და ასტრონომიული დაკვირვების საწარმოებლად.

ბუტაკოვი იყო ენერგიული კაცი, რომელიც გულმოდგინედ ემზადებოდა ამ ექსპედიციისათვის. ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ადამიანების შერჩევას, რომელიც საჭირო იყო ექსპედიციის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად. მისი არჩევანი შეჩერდა ტარას

სათვის ერთი სიტყვითაც არ გაუმკლავნებია. ეს იყო უსიტყვო, მაგრამ თავგანწირული სიყვარული“ (კ. პასტოვსკი, ტარას შევჩენკო, გვ. 45).

¹ Тарас Шевченко, Собрание сочинений, т. 5, 1956, стр. 271.

2 ალექსი ივანეს ძე ბუტაკოვი (1816 — 1869) — რუსი მეცნიერ-მეზღვაური, კონტრ-ადმირალი, მოგზაური, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების წევრი. მისი „მგზავრის წერილები“ (ნარკვევები) იბეჭდებოდა „ოტჩინესტვენნიე ზაპისკიში“, რომელთაც დიდ შეფასებას აძლევდა ბ. ბელინსკი. არალის ექსპედიციის მუშაობა ცნობილი შეიქნა რუსეთის გარეთაც. ბუტაკოვი ამ შრომებისათვის არჩეული იქნა ბერლინის გეოგრაფიული საზოგადოების წევრად, მანვე მიიღო მედალი ლონდონის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოებისაგან.

შევჩენკოზე, რომლისათვის შეეძლო მაინდო არა-
ლის ზღვის ხედების ჩახატვა.

შევჩენკო სიხარულით შევიდა ექსპედიციას შე-
მადგენლობაში, მას არ აწინებდა ის სიძნელები,
რომელიც მოელოდა ექსპედიციის მონაწილეებს.

ექსპედიციის პირველი ეტაპი იყო გადასვლა
ორენბურგიდან (შევჩენკოსათვის ორსკის სი-
მაგრიდან), ყარა-ყუმის ქვიშიანი უდაბნოს გავლით,
რაიმის სიმაგრემდე. ექსპედიციის უდიდესი ქარა-
ვანი შედეგებოდა სამი ათასი საზიდრისა (ოთხთვალა)
და ათასი აქლემისაგან. აქ ააწყეს და არალის ზღვა-
ში ჩაუშვეს ხომალდი.

1848 წლის 28 ივლისს ექსპედიცია გავიდა
ზღვაში. 2 თვის დაძაბული მუშაობის შემდეგ,
სექტემბრის ბოლოს, ხომალდმა ლუზა ჩაუშვა
სირ-დარიის შესართავთან, კოს-არალის ფორტზე.
ექსპედიცია მოეწყო დასაზამთრებლად. შევჩენკო
აქ ბევრს წერდა, ლექსები კოს-არალის ცოკლიდან
ატარებს ინტიმურ, ლირიკულ ხასიათს; მასში არ
არის უიმედობისა და პესიმიზმის ნატამალი. შევ-
ჩენკოს სჯეროდა მომავლის, მისი აზრი და გონება
შამართული იყო ბედნიერი მომავლისაკენ.

მშვენიერია და მრავალფეროვანი შევჩენკოს ამ
პერიოდის ლირიკა. თავის პატარა ლექსებში პოე-
ტი ხან პირად განცდებს გამოხატავს:

ეს სიბნელე გულს აგლოვებს,
და არ იცი, სად წახვიდე.

ელოდები იმ ქვეყანას,
როგორც ბავშვი დედის ნანას.¹

ტანჯული ცხოვრებით განაწამები პოეტი ეკითხება თავის თავს:

იქნებ მე არ მიწერია
ნახვა მშობელ მთების?
იქნებ მევე მომიხდება
კითხვა ამ ლექსების?²

როცა მისი მდგომარეობა აგონდება, დაჰკვნის უკრაინას, მაგრამ გულს მაინც არ იტეხს, კვლავ თვალწინ უდგას „ის უკრაინა, ის ვრცელი, თუმცა მისთვის მარტოხელი... დალუპვის კარამდე მუყელი“ დასძენს პოეტი.

ყირგიზეთის ტრამალებში მყოფ მგოსანს თითქოს იღუმალი ხმა ჩასძახის:

ძმავ, გადიყარე გულს დარდი!
მხნედ იყავ, გახდი ფოლადი!³

იგი განაგრძობს ლექსების წერას, კმაყოფილია, რომ ეს ორი წელი აღარ გაცდა და ახლა მშვიდობით იწყებს მესამეს.

- 1849 წლას გაზაფხულზე ექსპედიცია კვლავ გადის ზღვაში და აგრძელებს მეცნიერულ და-

¹ თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილისა.

² თარგმანი იასამანისა.

³ მისივე.

კვირვებებს; ხედების ჩახატვას, რუკების შედგენას და სხვ. ექსპედიციის მუშაობა გრძელდება ამავე წლის სექტემბრის ბოლომდე, რის შემდეგ ექსპედიციის შემადგენლობა მდიდარი მასალებით გაემართა ორენბურგისაკენ.

ორენბურგში მიმავალი პოეტი ლექსით („აღსრულდა, უკვე ვაგშაღეთ აფრა“) ემშვიდობება კოს-არალის უდაბნოს, სადაც მან ორი წელი დაჰყო.

გემშვიდობები, არ გამიკილავს
და არც მიქია უდაბნო შენი,
მაგრამ ეგების, უცხო მხარეში,
მე მოვიგონო ტანჯულნი დღენი...!

მნიშვნელოვანია როლი შეასრულა ამ პერიოდის შევჩენკოს ჩანახატებმა და აკვარელებმა, რომელიც იძლეოდა არალის ზღვის ნაპირების ნათელ სურათს.

არალის ექსპედიციის პერიოდის შევჩენკოს ნამუშევრები წარმოადგენდა დიდ შემეცნებითსა და მეცნიერულ ღირებულებას. ამაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტი: გამოჩენილი რუსი გეოგრაფ-მეცნიერი პეტრე პეტრეს ძე სემიონოვ-ტიანშანსკი (1827—1914) თავის სახელმძღვანელო თერთმეტ-ტომიან თხზულებაში — „რუსეთი. ჩვენი სამშობლოს მთლიანი გეოგრაფიული აღწერა“ — ფარ-

1. ტარგმანი სიმონ ჩიქოვანისა.

თოდ იყენებს შევჩენკოს რუკებს, ჩანახატებსა და ჩანაწერებს.

1849 წლის 6 ნოემბერს შევჩენკო დაბრუნდა ორენბურგში. ლეიტენანტ ბუტაკოვის შუამდგომლობათ მას ქალაქში ცხოვრების ნება დართეს ალბომებისა და ჩანახატების მოსაწესრიგებლად.

ორენბურგი მაშინ პროვინციული ქალაქი იყო. ტარასი აქ გაეცნო და დაუმეგობრდა გადმოსახლებულ პოლონელ რევოლუციონერებს — ბრონისლავ ზალესკისა (1820—1880) და სიგიზმუნდ სერაკოვსკის¹ (1826—1863). პოეტი აქ ასე თუ

¹ ნიკოლოზ პირველის სიკვდილის შემდეგ ს. სერაკოვსკი შეიწყალეს და — პეტერბურგში დააბრუნეს. 1863 წელს, როცა პოლონეთის მეორე აჯანყება დაიწყო, ის აჯანყებულებს მიემხრო, სათავეში ჩაუდგა პარტიზანულ რაზმს. ერთ-ერთი ბრძოლის დროს სერაკოვსკი მძიმედ დაიჭრა. კრილობისაგან შეწუხებულმა ვერ შეძლო მძალვა და ტყვედ ჩაუვარდა გენერალ განეცკის გვარდიის ნაწილებს.

სამხედრო-საველე სასამართლომ, რომელსაც სხდომა პოსპიტალში ბრალდებულის სარეცელთან ჰქონდა, დახვრეტა მიუსაჯა მას. ცნობილმა ქალათმა მურავიოვმა დახვრეტა ჩამოხრჩობით შეუცვალა.

განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი. პოლონეთის დიდი პატრიოტი და რევოლუციონერი, ოცდათექვსმეტი წლის სიგიზმუნდ სერაკოვსკი ჩამოახრჩეს ქ. ვილნოში, ბაზრის მოედანზე, 1863 წლის 27 ივნისს.

რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია (ა. გერცენი, ნ. ჩერნიშევსკი) დიდად აფასებდა სერაკოვსკის, როგორც მამაცს, კეთილშობილსა და მოწინავე იდეებით გამსჭვალულ აღამიანს.

ისე თავისუფლად გრძნობდა თავს. ცხოვრობდა კერძო ბინაში, სადაც მოაწყო სახელოსნო და ხატავდა პორტრეტებს.

ექსპედიციის ხელმძღვანელმა ბუტაკოვმა მხარის უფროსს ობრუჩევს ექსპედიციის მუშაობის შესახებ მოხსენებით ბარათთან ერთად გადასცა ტარას შევჩენკოს ნახატების ალბომი. ობრუჩევს ნახატები ძალიან მოეწონა, გადაწყვიტა შევჩენკო წარედგინა უნტერ-ოფიცრობაზე. ამისათვის საჭირო აყო პეტერბურგის ნებართვა. ობრუჩევმა საჭირო მოხსენება წარადგინა სატახტო ქალაქში.

შევჩენკოს ჰქონდა საფუძველი ეფიქრა თავის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მაგრამ პოეტის იმედები არ გამართლდა. 1850 წელს პეტერბურგიდან მოვიდა ცნობა, რომ ობრუჩევს წარდგინება დატოვებული იქნა უშედეგოდ.

ამას კვლავ დაერთო ახალი უსიამოვნება. პირადი ანგარიშების ნიადაგზე ორენბურგის ბატალიონის ოფიცერმა ისაევმა პოეტი დააბეზლა გენერალ ობრუჩევთან. „შევჩენკო ცხოვრობს კერძო ბინაში, დადის ქალაქში სამოქალაქო ტანისამოსით, წერს ლექსებს, ეწევა მხატვრობას და აწარმოებს მიწერ-მოწერას გარე სამყაროსთან, რაც ეწინააღმდეგება მისი უმაღლესობის განკარგულებას“. გენერალმა ობრუჩევმა კარგად იცოდა ამის შესახებ (შევჩენკოს მან დაახატვინა ცოლის პორტრეტი). გარდა ამისა, პირველად ობრუჩევი გადასახლებულ პოეტს ძალიან მოწყალებით ეკი-

დებოდა, ნება დართო არალის ექსპედიციაში მონაწილეობა მიეღო; იშუამდგომლა მასი უნტერ-ოფიცრად დაწინაურებაზე და სხვ.

დასმენის შემდეგ თბრუჩევი იძულებულა იყო დაუყოვნებლივ გაეცა განკარგულება, დაეპატიმრებინათ შევჩენკო და გაეჩხრიკათ მისი ბინა. ბრძანება შესრულდა. პოეტი დააპატიმრეს 1850 წლის 27 აპრილს. რამდენიმე თვე დაპატიმრებული ჰყავდათ ყოველგვარი საფუძვლის გარეშე.

1850 წლის 5 სექტემბერს ის გაანთავისუფლეს პატიმრობიდან. მეფის პირადი ბრძანებით შევჩენკო ეტაპით გაგზავნეს ძალზე დაშორებულ და უკაცრიელ ნოვოპეტროვსკის ფორტში. პოეტის მდგომარეობა აქ საგრძნობლად გაუარესდა არალის ექსპედიციასთან შედარებით. მით უმეტეს, გაიცა განკარგულება, შევჩენკო ჰყოლოდათ სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ და არ მიეცათ მისთვის უმნიშვნელო საშუალებაც კი წერისა და ხატვისათვის. არალის ექსპედიციაში მისი მონაწილეობა ჩათვლილ იქნა, როგორც მეფის განკარგულების დარღვევა, რისთვისაც ექსპედიციის უფროსს ლეიტენანტ ბუტაკოვს და ასეულის მეთაურს მეშკოვს დისციპლინარული სასჯელი დაედოთ.

ვერც ამან გატეხა მებრძოლი პოეტის სული, ვერც ამან შეანელა მისი თავდავიწყებით სიყვარული უკრაინელი ხალხისადმი, რომლის მომავალი ყოველთვის აწუხებდა არა-მარტო მის მახვილ

გონებას; არამედ მუდამ აღელვებდა მის მგრძნობიარე გულსაც. შევჩენკომ მთელი თავისი ცხოვრება სამშობლოს გარეთ გაატარა, მაგრამ სამშობლოს სიყვარული არასოდეს შენელებია.

უკრაინა. შეიყვარეთ,
- შეავედრეთ იგი უფალს
დაივიწყეთ ისიც, ძმებო,
წყევლა-კრულვას რომ ემონეთ,
ციხის სასტიკ ბორკილებში
მეც ხანდახან მომიგონეთ.¹

მიუხედავად ამ მძიმე მდგომარეობისა, მან თავისი პოეზია აიყვანა დიდ პრინციპულ სიმალლეზე. შევჩენკომ გაიარა ცხოვრების მეტად მძიმე ნარ-ეკლიანი გზა. სიცოცხლის 47 წლიდან 24 წელს ყმა იყო და 10 წელი გადასახლებაში გაატარა. დევნილს, „წერისა და ხატვის“ უფლება აყრილს, ერთხელაც არ უფიქრია გადაეხვია თავისი რწმენიდან. პირიქით, გაუძლიერდა მისწრაფება ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლისა. შევჩენკოს ხმა ისმოდა, როგორც საბრძოლო ძახილი, როგორც მოწოდება დაჩაგრულები-სადში, ამდგარიყვნენ მჩაგვრელთა და მათ დამცველთა წინააღმდეგ.

ტ. შევჩენკომ აღადგინა უკრაინელი ხალხის საუკეთესო პატრიოტული და რევოლუციური ტრადიციები.

¹ თარგმანი იასამანისა.

შევჩენკო გამოდიოდა, როგორც უკრაინისა და რუსეთში რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი, როგორც გერცენისა და ბელინსკის (1811—1848) თანამებრძოლი, როგორც ნ. ა. დობროლუბოვისა (1836—1861) და ნ. გ. ჩერნიშევსკის (1828—1889) იდეური თანამოდგაწე, მიმდევარი და მოწაფე.

„იგი ლექსებს სისხლით სწერდა და ცრემლით კი ალტობდა“. ნ. ნეკრასოვის (1821 — 1878) საიტყვით: „შევჩენკომ გამოცადა ყველაფერა: პეტერბურგის საპყრობილე, გამოძიება, დაკითხვები, ჟანდარმთა „თავაზიანობა“, ორენბურგის თვალუწვდენი ტრამალებიც და მისი ციხეც“.

უკრაინის დიდმა პოეტმა უდიდესი როლი შეასრულა დამონებული გლეხების სოციალური და ეროვნული თვითშეგნების განვითარებისათვის. მის ნაწერებში: ლექსებში, პროზაში, დღაურებსა და წერილებში წითელი ზოლივით გავლებულია სახალხო აჯანყების იდეა. ის იყო რევოლუციის მგზნებარე მომღერალი. თავისუფალი უკრაინა იყო მისი ოცნების მიზანი, რევოლუცია იყო მისი მისწრაფება. ის აჩქარებდა რევოლუციას, მაგრამ რევოლუცია მაშინდელ პირობებში შეუძლებელი იყო.

მისი პოეზია ნიმუშია ნამდვილი რევოლუციური პოეზიისა. ის მოუწოდებდა საუკეთესო მერმისისათვის და მტკიცედ სწავდა, რომ სიმართლე

გაიმარჯვებდა და იზიემებდა. ის ცხოვრობდა მომავლის იმედით, ბედნიერი დროის მოლოდინში, როცა უკრაინა განთავისუფლდებოდა მონობისა და ჩაგვრისაგან. მას სწამდა, რომ:

ეს ტაძარი — მკვდართა ბინა
დაინგრევა, ნანგრევიდან
წამოდგება უკრაინა.
წამოდგება, ბნელეთს მოსპობს,
სიმათლის შუქს გაშლის:
ილოცებენ ლაღად მაშინ
ძველ მონათა ბავშვები!

შევჩენკოს პოლიტიკურმა ლექსებმა განსაკუთრებული ძალა მოიპოვა. მისი ხმა ვაჟკაცურად გაისმოდა მაშინ, როცა რუსეთში მძვინვარებდა ნიკოლოზ I რეჟიმი, ხოლო ფეოდალურ-მონარქიული რეაქცია სისხლში ახრჩობდა ევროპის მოწინავე ხალხების მებრძოლ ძალებს. შევჩენკო შეუურიგებლად ებრძოდა მონარქიულ რეჟიმს. პოეტის რევოლუციური შეგნება იზრდებოდა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან ერთად — დეკაბრისტებთან — რევოლუციონერ-დემოკრატებამდე.

შევჩენკო გადასახლებაში წერს მთელ რიგ ლექსებსა და მოთხრობებს (ამ უკანასკნელთ რუსულ ენაზე), რომლითაც ამხელს ბატონყმურ რეჟიმს და მემამულეების, ბატონებისა და სამხედრო მოხე-

¹ თარგმანი სიმონ ჩიქოვანისა.

ლევების მთელ სიდამპლეს. პოეტი-რევოლუციონერი გადასახლებიდან განაგრძობს ბრძოლას ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ.

1853—1856 წლებში მან გადასახლებაში დაწერა ოცამდე ნაწარმოები რუსულ ენაზე, რომელთაგანაც ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ცხრამ. ისინი დააბეჭდა პოეტის გარდაცვალების შემდეგ.

1858 წლის თებერვალში ტარას შევჩენკო სწერდა ცნობილ რუს მწერალ ს. ტ. აქსაკოვს (1791—1859): „ჩემთვის ძნელია ველიკორუსული ენის დაუფლება, მაგრამ მისი დაუფლება აუცილებელია. ის ახლა ჩემთვის საღებავია პალიტრაში“.

რუსული ენის „საღებავს“, მით უკრაინული მხატვრული სიტყვის გამდიდრებას არა ერთხელ მიმართავდა თავის სიცოცხლეში „კობზარის“ დიდი ავტორი. 1841—1843 წლებში რუსულ ენაზე მან დაწერა მოთხრობები: „ნიკიტა გაიდაი“, „ბრმა“ და სხვ. მეორედ შევჩენკომ რუსულ ენას მიმართა მივარდნილ ნოვოპეტროვსკის სამაგრეში, სადაც დაჰყო გადასახლების უკანასკნელი 7 წელი.



1855 წელს გარდაიცვალა რუსეთის მეფე-ჯალათი ნიკოლოზ I. ტარას შევჩენკოს ამედი ჰქონდა, რომ დააბრუნებდნენ გადასახლებიდან. მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. „ლიბერალმა“ ალექსანდრე II ვერ დამალა თავისი სიძულველი. „მუჟიკი“ ტრიბუნისადმი, როცა მას ტახტზე ასვლას-

თან დაკავშირებით მიართვეს ამ გადასახლებულთა სიები, რომელთაც ამნისტია ეკუთვნოდათ, იმპერატორმა გადაიკითხა ეს საები და თავისი ხელით გულდასპით ამოშალა მხოლოდ შევჩენკოს გვარი, თან ერთობ თავაზიანად გაიღიმა და თქვა: „ამ კაცმა მეტისმეტად შეურაცხყო ბებიაჩემი და მამაჩემი, პატაება არ შემოძლია“. იმპერატორი გადაკვრით მიუთითებდა სატირა „სიზმარზე“.

უშედეგოდ რჩებოდა პეტერბურგელი მეგობრების, რუსეთის მოწინავე ადამიანების, უმთავრესად სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის მოქანდაკე თედორე პეტრეს ძე ტოლსტოის (1783—1873) და მისი მეუღლის, უადრესად კეთილშობილი ადამიანის ანასტასია ივანეს ასულის (1816—1889) ყოველი ცდა მიეღწიათ პოეტის განთავისუფლებისათვის. ყველა შუამდგომლობას მეფე უარით უპასუხებდა.

თედორე ტოლსტოი ცდილობს პოეტისა და მხატვრის განთავისუფლების საქმეში ჩააბას სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი მარიამ ნიკოლოზის ასული.¹ თედორე ტოლსტოის ქალიშვილის ე. თ. იუნგის მოგონებებში არის მეტად საინტერესო ეპიზოდი შევჩენკოს გადასახლებადან განთავისუფლების კეთილშობილური საქმისადმი მარიამ ნიკოლოზის ასულის დამოკიდებულებას შესახებ.

¹ მეფე ნიკოლოზ I უფროსი ქალიშვილი, სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი 1852 წლიდან.

თავდაპირველად ის დაეთანხმა თ. ტოლსტოის თხოვნას — ხელი მოეწერა შევჩინკოს გადასახლებიდან განთავისუფლების შესახებ შუამდგომლობაზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც ალექსანდრე II ამნისტარებულ „პოლიტიკურ დამნაშავეთა“ სიიდან შევჩინკო ამოშალა, მარიამ ნიკოლოზის ასულმა შეუძლებლად ჩათვალა შემდგომში თავისი ყოველგვარი მონაწილეობა ამ საქმეში. „კარგი, მე თვითონ ჩემი სახელით გავგზავნი თხოვნას!“ — უთხრა გაცხარებულმა მამამ, — იგონებს ე. თ. იუნგე. „რა მოგივიდათ, — უპასუხა მარიამ ნიკოლოზის ასულმა, — მე, ვერ ვბედავ ამის გაკეთებას, თქვენ კი“... — „მე კი აღვძრავ შუამდგომლობას!“ — „ჰო! თქვენ ჭკუიდან ხომ არ შეიშალეთ!“ — წამოიძახა მარიამ ნიკოლოზის ასულმა. მიუხედავად ყველაფრისა, მამამ შეასრულა თავისი განზრახვა“.¹

თედორე პეტრეს ძე ტოლსტოი და მისი მეუღლე ანასტასია ივანეს ასული იმედს მაინც არ კარგავდნენ. 1856 წლის 8 ოქტომბერს ანასტასია ივანეს ასულ ტოლსტაია გადასახლებასში მყოფ პოეტსა და მხატვარს სწერს: „ყველაფერი, რის გაკეთებაც კი შეიძლებოდა, გაკეთებულა. ვიმედოვნებ, უახლოეს დროში გაცნობოთ ამბები და იქნებ პირადადაც გნახოთ, მანამდე კი ეცადეთ უიმედობამ არ დაისადგუროს თქვენს სულში.

¹ Е. Ф. Юнге, Воспоминания, стр. 127—128.

გაბედულად მომმართეთ თქვენს საჭიროებებზე, როგორც თქვენ მიმართავდით, არ ვიტყვი დედას (ჩემი უფროსი ქალიშვილი 13 წლისაა), მაგრამ როგორც თქვენს დეიძლ დას“¹.

შევჩენკო ძველებურად იტანჯებოდა გადასახლებაში. ის პეტერბურგელი ამხანაგებიდან იღებდა წერილებს ნოვოპეტროვსკის სამაგრეში, ზოგი ამხნევებდა პოეტს, ზოგიც იმედს უკარგავდა უპერსპექტივო მდგომარეობით. 1857 წლის ივნისში შევჩენკომ მიიღო ერთი მეგობრისაგან სასიხარულო წერილი, რომლითაც ატყობინებდა, რომ ახლოვდებოდა განთავისუფლების საათი. მეგობარი მოუწოდებდა შევჩენკოს, გამოეჩინა წინდახედულება და არ გაეფუჭებინა საქმე რაიმე მოუფიქრებელი საქციელით.

დაიწყო ლოდინი... ტანჯვის დღეები. განთავისუფლების ქაღალდი კი არ მოდიოდა. სასიხარულო საათის მოლოდინში შევჩენკომ იწყო დღიურების წერა (1857 წლის 12 ივნისს). მას არ ჰქონდა ლიტერატურული ჟანრის პრეტენზია, შევჩენკო სრულებით არ ფიქრობდა რაიმე „ჟანრზე“. ავტორმა რა აცოდა, რომ მის მიერ შექმნილი წიგნებიდან ეს „დღიურები“ გახდებოდა ერთერთი საინტერესო და საყურადღებო ნაწარმოები. ეს არა მარტო შევჩენკოს ცხოვრების ბიოგრა-

¹ Тарас Шевченко, Собрание сочинений, т. 5, 1956, стр. 527.

ფიულის დოკუმენტია, არამედ თავისებური ავტო-
პორტრეტიცაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს
ინტიმურად მივუახლოვდეთ პოეტს, მის გრძნო-
ბებს, აზრებს, ფილოსოფიურ-პოლიტიკურ შეხე-
დულებებსა და მრწამსს.¹

გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა

ბოლოს, გასჭრა მეგობრების ღონისძიებებმა და
1857 წლის 21 ივლისს პოეტს ოფიციალურად
გამოუყვანდეს, განთავსუფლებული ხარ და შე-
გაძლია დატოვო ნოვოპეტროვსკის სიმაგრეო.

გადასახლებაში შევჩენკომ დაჰყო 10 წელი,
3 თვე და 27 დღე. „დღიურში“ პოეტი განცვიფრე-
ბით წერდა, თუ როგორ გაძლო მან საშინელ
ათწლიან გადასახლებაში. „მე მგონია, ზუსტად
ისეთი ვარ, როგორიც ვიყავი 10 წლის უკან. არც
ერთი თვისება ჩემს შინაგან სამყაროში არ შეცვ-
ლილა“. ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონიაო,
დასძენდა იგი. პირიქით, გადასახლებაში, გაჭირ-
ვებაში შევჩენკო უფრო გაკაჟდა სულიერად. მაგ-
რამ ფიზიკურად მოტეხალი, დაავადმყოფებული,
დატანჯული მოხუცი (ის მაშინ მხოლოდ 43 წლის
იყო) ბრუნდებოდა გადასახლებიდან.

¹ შევჩენკოს თხზულებათა ხუთტომეულის (რუსულ
ენაზე) მეხუთე ტომი უკავია პოეტის „ავტობიოგრაფიას“
(45—48 გვერდი) და „დღიურებს“ (51—285 გვერდი), რომ-
ლებზეც შეუწელებელი ინტერესით იკითხება.



ბ. გ. შვეჩენკო. ავტომატორტრეტი.

1857 წლის 15 აგვისტოს შევჩენკომ დატოვა ნოვოპეტროვსკი. მეთევზეთა ნავით გადასერა კასპიის ზღვა და 3 დღის შემდეგ ჩავიდა ასტრახანს. აქ ადგილობრივმა უკრაინელებმა, პოეტის თაყვანისმცემლებმა, გულთბილი და საზეიმო შეხვედრა მოუწყეს მას. ამ გულთბილმა შეხვედრამ გაამხნევა პოეტი. მაგრამ ის მიეშურებოდა პეტერბურგისაკენ, სადაც იმედი ჰქონდა შეხვდებოდა კეთილ, გულახშიერ მეგობრებს. მას დიდი მისწრაფება და სურვილი ჰქონდა ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ეტრიალა და ჩაფლულიყო შემოქმედებით საქმიანობაში.

ასტრახანიდან შევჩენკო გიმ „კნიაზ პოქარსკით“ მიღის ნიჟნი-ნოვგოროდში (ამჟამად ქალაქი გორკი). აქ მას დახვდა მეტად არასასიამოვნო ამბავი. გამოირკვა, რომ შევჩენკოს არ ჰქონდა სატახტო ქალაქში ცხოვრების უფლება და ნოვოპეტროვსკის კომენდანტმა არ იცოდა რა ამის შესახებ, შეცდომით მისცა პეტერბურგში წასვლის ნება. საქმე იმაშია, რომ ბრძანებაში შევჩენკოს განთავისუფლების შესახებ, ცალკე იყო მინაწერი, რომ მას ცხოვრება ეკრძალებოდა ორივე დედაქალაქში. როგორც ირკვევა, ამის შესახებ არათერა უცნობეობით ნოვოპეტროვსკს სიმპარის კომენდანტის — ირაკლი ალექსანდრეს ძე უსკოვისათვის, ამ უკანასკნელმა კი საშვები და ბილეთი გასცა პოეტის პეტერბურგში წასასვლელად და საცხოვრებლად. მისი განმარტებით ეს მან გააკეთა

შევჩენკოს პატივისცემისათვის, რომ პოეტს დიდი დრო არ დაეკარგა შორი გზის მოვლით, თავიდან აეცდინა ორენბურგით მისთვის ზედმეტი ათასი ვერსის გავლა, ხოლო ასტრახანით უმოკლესი გზით ემგზავრა პეტერბურგამდე.

ამ საქმეში აჩქარებისათვის უსკოვმა „სასტიკი შენაშენა“ მიიღო, ხოლო შევჩენკო დიდი ხნით შეაჩერეს ნიჟნი-ნოვგოროდში.

პოეტის „დღიურში“ ამის შესახებ 1857 წლის 5 აგვისტოს ჩანაწერში ვკითხულობთ: „ირაკლი ალექსანდრეს ძე (უსკოვი, — გ. ნ.) უცებ დამეთანხმა ჩემთვის მოეცა საშვები პირდაპირ პეტერბურგში. მეორე დღეს თავისი სიტყვა შეასრულა, ხოლო მესამე დღეს, ე. ი. 2 აგვისტოს (ძველი სტილით, — გ. ნ.), საღამოს 9 საათზე დავტოვე ნოვოპეტროვსკის სიმაგრე და სამი დღე ზღვით მშვიდობიანი მოგზაურობის შემდეგ ასტრახანში ჩამოვედი“.¹

ნიჟნი-ნოვგოროდის პოლიციამ შევჩენკოს გამოუცხადა წასულიყო ორენბურგში საბუთების მისაღებად. დიდი შრომისა და დავიდარაბის შემდეგ, ავადმყოფობის მომიზეზებით, შევჩენკომ შესძლო ნიჟნი-ნოვგოროდში დარჩენა, სადაც დაჰყო 1858 წლის 10 მარტამდე.

ნიჟნი-ნოვგოროდი მაშინ წარმოადგენდა დიდ სავაჭრო-საბაზრო ქალაქს. აქ იყო ბაზლიოთეკა და კარგი თეატრი. ქალაქში შემონახული იყო

¹Тарас Шевченко, Собрание сочинений, т. 5, 1956, стр. 97.

უძველესი საინტერესო ძეგლები. შევჩენკო კითხულობდა წიგნებს, ესწრებოდა თეატრალურ წარმოდგენებს. განსაკუთრებით იტაცებდა რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურა: გერკენის „კოლოკოლის“ საზღვარგარეთული გამოცემა, სადაც აბეჭდებოდა ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის წერილები. განთავისუფლებამ ხალისი დაუბრუნა პოეტს. დაიწყო თავისი ნაწერების გადაკითხვა, შესწორება, გადაკეთება და დახვეწა. ას უფრო მკვეთრს ხდიდა თავის პოეტურ სიტყვას.

ამავე დროს შევჩენკოს გაცხოველებული მიმოწერა ჰქონდა მეგობრებთან. ერთ-ერთი ამ მიგობართაგანა — ცნობილი მსახიობი მ. ს. შჩეპკინი — რამდენიმე დღით კიდევ ჩამოვიდა მოსკოვიდან. შევჩენკოსათვის ეს იყო „დღესასწაულთა დღესასწაული და ზეიმთა ზიჰი!“¹, როგორც ის ამის შესახებ წერდა „დღიურში“¹.

ისინი საერთო ბედმა, უკუღმართი ცხოვრებას მძიმე ხვედრმა დაამეგობრა, ერთიცა და მეორეც ყმები იყვნენ და თავიანთ თავზე გამოსცადეს ბატონყმური უღლის მთელი საშინელება. შჩეპკინიცა და შევჩენკოც — პირველი დღიურში, მეორე — ლექსებში უსაზღვრო ზიზლითა და სიძულვილთა აღწერდნენ მემამულეების ახირებულობასა და თვითნებობას. შჩეპკინი 26 წლით უფროსი

¹Тарас Шевченко, Собрание сочинений, т. 5, 1956, стр. 178.

იყო შევჩენკოზე, მაგრამ ასაკობრივ განსხვავებას ოდნავადაც არ შეუშლია ხელი მათი დაახლოებისა და დამეგობრებისათვის.

შჩეპკინი დემოკრატიულ-ჰუმანურმა აზრებმა და შეხედულებებმა დაახლოვა შევჩენკოსთან. ასევე ახლო იყო ის დაკავშირებული რუსეთის ინტელიგენციის პროგრესულ წრესთან, მეგობრობდა გერცენთან, ბელინსკისთან, გოგოლთან და სხვ.

1858 წლის 2 მარტს შევჩენკო პეტერბურგიდან ანასტასია ივანეს ასულ ტოლსტოისაგან წერილს იღებს: „...ჩემი გულითადი ოცნება სრულდება: მე თქვენ მალე გნახავთ, — ჩემო სასურველო სტუმარო ტარას გრიგოლის ძევ! უკვე ერთი კვირაა დედაქალაქში თქვენი ცხოვრებასა და აკადემიაში დასწრების შესახებ მოვიდა ხელმწიფის ნებართვის ქალაქი. ჩამოდით მალე! მეტის წერა არ შემიძლია, მოუთმენლობისა და სიხარულისაგან ხელები მიკანკალებს“¹.

1858 წლის 9 მარტს — მისი დაბადების დღეს, შევჩენკოს მოუვიდა სასიხარულო ცნობა: მას ნება დართეს პეტერბურგში ცხოვრებისა. ის დაუყოვნებლივ მიემგზავრება მარხილით ჯერ მოსკოვში, ხოლო მოსკოვიდან 25 მარტს ახლად-

¹ Тарас Шевченко, Собрание сочинений, т. 5 1956, стр. 485.

გაყვანილი რკინიგზით¹ — პეტერბურგში; სადაც ჩადის 27 მარტს.

შევჩინკოს მალე გამოუყვეს სამხატვრო აკადემიის შენობაში ადგილი სახელოსნოს მოსაწყობად. იქვე მისცეს საცხოვრებელი ოთახაც.

იგი პეტერბურგში ჩასვლის პირველი დღიდანვე უახლოვდება თანამოაზრეებს: ყოფილ პოლონელ პოლატიკურ გადასახლებულებს, ჩერნიშევსკისა და სხვა რევოლუციონერ დემოკრატებს, რომლებიც დაჯგუფებული იყვნენ XIX საუკუნის 50-იან წლებში მოწინავე აზრების ნამდვილი ტრაზუნის ეურნალ „სოვრემენნიკის“ გარშემო. შევჩინკო ცდილობს ჩერნიშევსკის გარშემო შემოკრიბოს უკრაინელი ხალხის მოწინავე ადამიანები.

პეტერბურგში დაბრუნებას შემდეგ შევჩინკო ინტენსიურად იწყებს ლიტერატურულ მოღვაწეობას. პირველი ლექსი, რომელიც პოეტმა დაწერა გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, აყო „სიზმარი“. საწყალი გლეხი ქალი საბატონო ბეგარით წელში მოკაკულა, მხოლოდ სიზმარში ხედავს თავის პატარა შვილს თავისუფალსა და ბედნიერს. პოეტი ფიქრობდა სამშობლო უკრაინაზე და ოცნებობდა, სიზმარი თავისუფლებისა და ბედნიერების შესახებ სინამდვილედ ქცეულაყო.

¹ მოსკოვ-პეტერბურგის რკინიგზის მაგისტრალი გაყვანილი იქნა 1851 წელს.

შევჩინკოსათვის ეს იყო რკინიგზით პირველი მგზავრობა თავის სიცოცხლეში.

1859 წელს შევჩენკო უკანასკნელად იყო სამ-
შობლოში. ინახულა თავისიანები და ნახა ისეთივე
სიღარიბე, თავისუფლებასმოკლებული ცხოვრება,
ისეთივე კატორღული მუშაობა ლუკმაპურის მო-
საპოვებლად, რაც წინათ იყო. ბუნებრივია, ტარას
შევჩენკოსთანა ადამიანს არ შეეძლო გულდამშვი-
დებით ეცქირა ამ კოშმარული სურათისათვის.
პოლიცია კი საიდუმლო მეთვალყურეობას აწარ-
მოებდა; ბოლოს პოეტი კვლავ დააპატიმრეს. ბრა-
ლი დასდეს ხელისუფლების საწინააღმდეგო აგი-
ტაციაში, რომ ის გამოდიოდა ღვთისსაგმობი
სიტყვებით და აცხადებდა, „არ გვინდა არც მეფე,
არც მღვდლები და არც პანება“. დიდი გაწამაწია
დასჭირდა შევჩენკოს პატიმრობისათვის თავი
დაედო. მას აუკრძალეს უკრაინაში ცხოვრება და
იძულებული გახდა დაბრუნებულიყო პეტერ-
ბურგში.

აქ ის ძლიერ დაუახლოვდა ნ. ჩერნიშევსკის, მის
ოჯახს და, საერთოდ, რუს რევოლუციონერ-
დემოკრატებს.

შევჩენკოს დაახლოებას რუს რევოლუციონერ-
დემოკრატებთან განსაკუთრებით დიდი მნიშვნე-
ლობა ჰქონდა პოეტის იდეური განვითარებისა-
თვის. 60-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრა-
ტები უღრმეს პატივს სცემდნენ პოეტს-გაბედულ
რევოლუციური მოწოდებისათვის, ცარიზმის წი-
ნააღმდეგ ბრძოლისა და ხალხის მხურვალე სიყვა-
რულისათვის.

დიდ პოლიტიკურ-რევოლუციურ მუშაობასთან ერთად, შევჩენკო პეტერბურგში ეწევა ინტენსიურ შემოქმედებით საქმიანობას, როგორც პოეზიის, ისე სახვითი ხელოვნების ასპარეზზე. ამ პერიოდში მას დიდი მიღწევები აქვს ოფორტისა და გრავიურის დარგში. საუკეთესო ნამუშევრისათვის 1860 წლის 4 სექტემბერს სამხატვრო აკადემიის წლიურ კრებაზე შევჩენკოს მიანიჭეს გრავიურის აკადემიკოსის წოდება.

იმავე წელს, ხანგრძლივი მეცადინეობის შემდეგ, მან მიიღო ნებართვა, გამოეცა „კობზარი“ — თავისი ახალ ლექსთა კრებული. ამის გამო შევჩენკო წერდა: „ღღეს ცენზურამ თავისი ბრჭყალებიდან ძლივს გაუშვა ჩემი უბედური საქმერები, და ასე იმ წყეულებმა, ისე გაწმინდეს, რომ მე ძლივსღა ვიცანი ჩემი ბალები“.

რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატები ცდლობდნენ ფართოდ გაეცრელებინათ შევჩენკოს ლექსები და გაეცნოთ მკითხველებისათვის მისი ცხოვრება. ჟურნალ „სოვრემენნიკში“ დაიბეჭდა ნ. ა. დობროლობოვის სტატია „კობზარის“ შესახებ. რევოლუციონერ-დემოკრატი მ. ი. მიხაილოვი (ჩერნიშევსკის ახლო მეგობარი და მიმდევარი) გაზ. „რუსსკოე სლოვოში“ მიესალმა შევჩენკოს ლექსების ახალ გამოცემას. მ. მიხაილოვი იყო შევჩენკოს პატივისმცემელი და პირველი მთარგმნელი რუსულ ენაზე.

მიუხედავად იმისა, რომ შევჩენკოს ბედი, რო-

გორც ადამიანისა და პოეტისა, ღრმად ტრაგიკულა იყო და მთელი მისი ცხოვრება უკიდურესობამდე აღსავსე ბედუკუღმართობით, 1860 წელი განსაკუთრებით ბედნიერი აღმოჩნდა შევჩენკოსათვის: იანვარში გამოვიდა „კობზარი“, თებერვალში აღმანახ „ხატაში“ დაიბეჭდა შევჩენკოს მთელი რიგი ლექსები, ჟურნალ „ნაროდნოე ჩტენიეს“ რედაქტორ-გამომცემელი ა. ა. ობოლენსკის (1825—1877) თხოვნით შევჩენკომ დაწერა ავტობიოგრაფია, რომელიც (პ. კულაშის მიერ გადაამუშავებული) დაიბეჭდა ამ ჟურნალის მარტის ნომერში; მარტიდან სექტემბრამდე პოეტი, ჩერნიშევსკასთან ერთად, ცდილობდა ლიტფონდის მეშვეობით ყმობიდან გამოესყიდა თავისი უახლოესი ნათესავები; ნოემბერსა და დეკემბერში უდიდესი წარმატებით გამოდიოდა ლიტერატურულ საღამოებზე.

ყოველდღიურად იზრდებოდა შევჩენკოს ავტორიტეტი და ეფინებოდა არა მარტო რუსეთის იმპერიას ყველა კუთხეს, არამედ მან საზღვარგარეთაც გაითქვა სახელი. 1859 წელს ლაიფციგში, პუშკინის ლექსებთან ერთად, გამოიცა მისი ლექსების კრებულიც.

შევჩენკო მახლობელია ყველა დაჩაგრული ერი-სათვის, მისთვის უცხოა რაიმე რასობრივი ან ეროვნული შეზღუდულობა. პოეტისათვის ძვირფასი და მახლობელია ყველა მშრომელი ადამიანი — მებრძოლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ, განურჩევლად ეროვნებისა.

შევჩენკო აღსავსე იყო ფართო შემოქმედებითი გეგმებით. გამოსაცემად მოამზადა უკრაინული „ანბანი“. მრავალი ხელისშემშლელი მიზეზის მიუხედავად, ეს „ანბანი“ გამოვიდა 1860 წლის ნოემბერში. პოეტი ფიქრობდა მოემზადებინა არათმეტიკის, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიისა და ისტორიის წიგნები, მაგრამ ამ ჩანაფიქრს განხორციელება ვერ მოასწრო.

1861 წელს უკრაინელმა მემამულეებმა მოითხოვეს შეევჩენკოს უკრაინულა „ანბანის“ აკრძალვა, რასაც მიაღწიეს კიდევ 1863 წელს. მეფის განსაკუთრებული განკარგულებით სკოლებში აიკრძალა სწავლება უკრაინულ ენაზე. ასევე ჩერნიშევსკის მხარდაჭერის მიუხედავად, შეევჩენკომ ვერ შეძლო საკუთარი ჟურნალის დაარსება.

მთავრობისა და ქანდარმერიის თვალში შეევჩენკო არ ითვლებოდა საიმედო კაცად, მას ეჭვის თვალით უყურებდნენ, რის გამოც მისი ნაწერები მკაცრ ცენზურაში ტარდებოდა.



როგორც ვიცით, ტარას შეევჩენკო გამოსყიდულ იქნა ბატონ-მემამულისაგან, მაგრამ მისი დაძმები ისევ ყმები იყვნენ და განიცდიდნენ არაადამიანურ ტანჯვა-წვალებას, რაც გულს უთუთქავდა პოეტს. ამ გარემოებას ანგარიში გაუწიეს რუსმა ლიტერატორებმა ნ. ჩერნიშევსკის მეთაურობით. მათ

თხოვნით შიმშართეს მემამულეს, გაენთავისუფლებინა პოეტი-მხატვრის და-ძმები ლიტერატურის პატივისცემისათვის, საერთოდ, და, კერძოდ, ტარასი გრიგოლის ძე შევჩენკოს დამსახურებისათვის.

მემამულემ „ანგარიში გაუწია“ ლიტერატორთა თხოვნას და დასთანხმდა გაენთავისუფლებინა პოეტის მახლობლები, მხოლოდ... უმიწაწყლოდ, ეს კი მათ შიმშილით საკვდილს უქადდა.

შევჩენკო ვერ მოესწრო თავისიანების განთავისუფლებას. ისინი განთავისუფლდნენ მხოლოდ პოეტის სიკვდილის შემდეგ, 1861 წელს, მეფის მანიფესტით.

30 — 40-იან წლებში, გადასახლებაში — შორეულ ორსკას ციხეში, კოს-არალის უდაბნოსა თუ ნოვოპეტროვსკის სიმაგრეში და იქიდან დაბრუნების შემდეგაც, პოეტი განუწყვეტლივ განაცდიდა მშობლიური დამონებული ხალხის მძიმე ხვედრს.

შევჩენკო უმღერის თავისი ხალხის გმირულ წარსულს, მის ტანჯულ აწმყოს, მის დიდებულ მომავალს, და, როგორც პოეტი და მხატვარი, ლექსებითა და ფუნჯით გადმოსცემს უკრაინის ტკივილს.

პოეტის ავტობიოგრაფიაში არის ასეთი შესანიშნავი ადგილი: „ჩემი ცხოვრების ისტორია შეადგენს ჩემი სამშობლოს ისტორიის ნაწილს“. მართლაც, შევჩენკოს ცხოვრების ბედისწერა შეიძლება გამოვლენს თვალსაჩინო ილუსტრაციად უკრაინის ხალხის ისტორიისათვის. პოეტს სრული

უფლება ჰქონდა დაეწერა ეს სიტყვები, ვინაიდან მისი რევოლუციური და ლიტერატურული მოღვაწეობა სამუდამოდ და განუწყვეტლად დაკავშირებული იყო უკრაინასთან.

სამშობლო ქვეყანა და მშობელი ხალხი მუდამ იპყრობდა შევჩენკოს ყურადღებას. მას დიდად აღშფოთებდა თავადაზნაურულ-ჩინოვნიკური რუსეთის შემადრწუნებელი სინამდვილე. იგი თავის ლექსებში მძაფრად და დაუნდობლად ამხელდა მშრომელი ხალხის საშინელ მდგომარეობას, მის სოლატაკესა და უუფლებობას.

მშობლიური უკრაინის სიყვარულს შევჩენკო ათავსებდა რუსი და მსოფლიოს ყველა იმ ხალხის სიმპათიასთან, რომლებიც იბრძოდნენ სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის.

პოეტს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ დასცხრომია რისხვა მეფეების მიმართ. იგი ერთმანეთს უკავშირებს მეფეების მძლავრობას და მშრომელი ხალხის ჩაგვრას, კენესასა და უსამართლობას.

- ხალხის მჩაგვრელებად და მტრებად შევჩენკო თვლიდა ცარაიზს, უკრაინის ზეჰამულეებსა და პოლონელ შლიახტებს. 40-იან წლებიდან 60-იან წლებამდე შევჩენკოს არ შეუწყვეტია ცარიზმისა და მისი ავანჩავანის წინააღმდეგ ბრძოლა.

მისი მისწრაფება იყო — ებრძოლა პოლიტიკური თავისუფლებისათვის და დაეცვა თავისი ეროვნული ინტერესები, სამშობლო ენა, ხალხური პოეზია.

პოეტს სწამდა, რომ ხალხისა და მეფის კეთილ-
დღეობა ერთად ვერ თავსდება: „საცოდავი ხალხი
სჭკნება, ღნება, მეფეებს კი ხორცი ემატებათ,
ქონი ეკვრით“, დასძენდა პოეტი.

უკრაინელი ხალხის დიდი შვილი ავიდა პოეზიის
მოელვარე მწვერვალზე, მისი მხურვალე გული
ძგერდა ნიკოლოზ პირველის დროინდელ რუსე-
თის მიერ დამონებულ ხალხთა საუკეთესო წარმო-
მადგენლების გულთან ერთად, რომლებიც ოცნე-
ბობდნენ და იბრძოდნენ თავიანთი ხალხის გაზაფ-
ხულისათვის.

შევჩენკო თავისი ლექსებით ბედნიერი მერმი-
სისათვის ბრძოლაში ამხნევებდა არა მარტო
უკრაინელებს, არამედ — ცარიზმის მიერ დამო-
ნებულ ყველა ხალხს. ამიტომაც მისი პოეზია
ცხოველმყოფელი და უჭკნობი დღესაც. ამავე
დროს შევჩენკოს პოეზია გამსჭვალულია კლასობ-
რივი ბრძოლისა და რევოლუციური პატრიო-
ტიზმის სულისკვეთებით. თავისი პოეზიით მან
უმდერა მშობლიური ხალხის გმირობასა და ვაჟა-
ცობას. რევოლუციურ ჰიმნში — „ლოცვა“ შევ-
ჩენკო მოუწოდებს სასტიკად დაისაჯონ საძულვე-
ლი მეფეები.

მეფე-ჯალათნი, სირაჯნი,
დასჭედე რკინით, დალახვრე,
და აკლდამაში დამარხე!¹

¹ თარგმანი ალექსანდრე ქუთათელისა.

შევჩენკოს პოეზია გამსჭვალულია ადამიანთა სიყვარულითა და ოპტიმიზმით. უკანასკნელ (სიკვდილის წინ დაწერილ) ლექსში შევჩენკო მიმართავს თავის მუზას და ლაპარაკობს ცხოვრების სიხარულისა და ნათელი მომავლის შესახებ:

დაუმცხრალო ჩემო ბედო,
გზა იპოვე ფართე,
ნუ ხარ ასე უიმედო —
წელში გაიმართე!
შენ ვარსკვლავო — ბედით კრულო,
ჩემებრ ღამეს ათევე,
მალე მხარე მხიარული
გადმოგვაყრის ნათელს.
აღარ დაგვდღის მაღალ მთაზე
მხიარულად ასვლა,
იქ შევხედავთ ნათელ ცაზე
შენს მეგობარ ვარსკვლავს!
დავისვენებთ, ვნახავთ დები:
თვალუწვდენელ ცაზე —
მისცურავენ ვარსკვლავები
სხივით მოსილ გზაზე.

გავხედოთ ხუტორებს ტყიანს,
ყურღანებს, ტრამალებს ხშიანს
და მოვყვით მხიარულ სიმღერებს.¹

ეს იყო გედის სიმღერა. ამ ლექსით დაიბურა „კობზარი“. ამას შემდეგ მხოლოდ თერთმეტი დღე იცოცხლა პოეტმა.

¹ თარგმნილი კალე ბობოხიძისა.

ნაადრევი სიბერე ახლოვდებოდა. ცხოვრებისა-
გან განაწამებ პოეტს გაუჩნდა სამშობლოში --
უკრაინაში პატარა სუფთა ქოხში, იმ ბუნების წი-
ალში დასახლების სურვილი, რომელიც ასე
უყვარდა და რომელსაც გულით უმღეროდა, რომ
იქ მშვიდად ეცხოვრა, ეკითხა წიგნები, ეწერა
ლექსები და ამოეჭრა ფერწერის საუკეთესო ნა-
წარმოებებიდან გრაფიურები. მაგრამ არც ამ გან-
ზრახვიდან გამოვიდა რაიმე. მძიმე ავადმყოფობამ
ბოლო მოუღო მას და მის ყველა განზრახვასაც.

პოეტი გადასახლებიდან დაბრუნდა მოშლილი
ჯანმრთელობით, — ქოშინი და გულას ტკივილი
აწუხებდა დღენიადაგ განუშორებლად.

ათწლიანი გადასახლების მძიმე, ტანჯვითა და
მწუხარებით აღსავსე წლებმა, განუწყვეტელმა
დევნამ, კასპიისპირეთის უდაბურ, ქვიშიან ველზე
მარტოობაში წვალებამ და წამებამ, უკანასკნელ
წლებში ლექსებისა და რწმენისათვის უშედიგო
და უნაყოფო ბრძოლამ მეფისა და ცენზურის წი-
ნააღმდეგ შეარყია დაუცხრომელი მებრძოლის, რე-
ვოლუციონერ-დემოკრატისა და ხალხის მეგობრის
ტარას შევჩენკოს ჯანმრთელობა და დააჩქარა
არასახარბიელო ცხოვრების ბოლო.

1861 წლის დასაწყისში პოეტი წერს თავის
ახლო ნათესავს ბართლომე შევჩენკოს: „ისე ცუ-
დად ვარ, ძლივსღა მიკავია კალამი ხელში“.

სიკვდილის წინ მოწვეულმა ექიმებმა შევჩენ-
კოს მდგომარეობა უიმედოდ სცანეს. საღამოს
ავადმყოფის განწყობალება რამდენადმე გაუმჯო-
ბესდა, დამე ლოგინზე წამოჯდა. დილის 5 საათზე
დიდი ვაივაგლახით ჩავიდა თავის სახელოსნოში.
რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ დაიყვირა და
ჩაიკეცა. მძიმე და აუტანელი ცხოვრებით ქანც-
გამოლეულმა პოეტის გულმა შეწყვიტა ძგერა... ეს
იყო 1861 წლის 10 მარტს. 47 წლის ტარასი გარ-
დაიცვალა.

ასე უდროოდ შეწყდა დიდი კობზარის ცხოვრე-
ბა და მოღვაწეობა.

ბევრი ცრემლი დაიღვარა, ბევრი გულითადა და
მგრძნობიარე სიტყვები წარმოითქვა. გამოსათხო-
ვარი სიტყვები ისმოდა უკრაინულ, რუსულ და
პოლონურ ენებზე. დაკრძალვაში მონაწილეობ-
დნენ ნ. ა. ნეკრასოვი, ი. ს. ტურგენევი (1818 —
1883), ვ. ს. კრიუჩკინი (1831 — 1875). ნ. კოსტომა-
როვი, მ. ე. სალტაკოვ-შჩედრინი (1826—1889),
თ. მ. დოსტოევსკი (1821—1881), პიპინი, ვ. მ. ბე-
ლოზერსკი, პ. ა. კულიში, გ. ნ. ჩესტოხოვსკი და
სხვა ცნობილი მწერლები და მხატვრები.

ნ. ნეკრასოვმა დაწერა გრძნობით აღსავსე ლექ-
სი, რომელშიაც ამათრახებდა თვითმპყრობელურ
რეჟიმს პოეტის დაღუპვისათვის.

შევჩენკოსაც წილად ჰხვდა გაეზიარებინა რუ-
სეთის სხვა გამოჩენილ ლიტერატორთა უკუღ-
მართი ბედი. როზა ლექსემბურგი, ნარკვევში —

რუსულ ლიტერატურაზე, ეხებოდა ლიტერატურის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლებს დღემოკლეობას, წერდა: „ისინი ათასობით იღუპებოდნენ ნიჰის გაფურჩქვნის ასაკში, თითქმის ყრმებზე, 25—27 წლის, ანდა უკეთეს შემთხვევაში, 40 წელს ძლივს გადაბიჯებულნი, იღუპებოდნენ სახრჩობელაზე, აშკარა ან დუელით შენიღბული თვითმკვლელობით, ჭკვაზე შეშლით, ნაადრევი გამოფიტვით“.

დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი გერცენი რუსეთის მოწინავე ადამიანების მიმართ მეფის ხელისუფლების მიერ უსასტიკესი რეპრესიების გამოყენებისა და მათი დღემოკლეობის შესახებ წერდა: „საშინლად შავბნელი ბედი ჩვენში წილად ჰხვდება ყველას, ვინც კი გაბედავს და თავს იმპერატორის კვერთხით მონიშნულ დონეზე მაღლა ასწევს; უღმობელო ბედისწერა ასამარებს პოეტს, მოქალაქეს, მოაზროვნეს. ჩვენი ლიტერატურის ისტორია არის ან მარტიროლოგია, ანდა კატორლის რეგისტრი. ისინიც კი, ვინც მთავრობამ დაზოგა, გაფურჩქვნა ვერ მოუხსწრიათ ისე იღუპებიან და ჩქარობენ ცხოვრებას გამოეთხოვონ...“

რილეევი — ნიკოლოზმა ჩამოახრჩო.

ოცდათვრამეტი წლის პუშკინი დოელში მოკლეს.

გრიბოედოვი — თეირანში აკუწეს.

ოცდაათი წლის ლერმონტოვი დუელში მოკლეს, კავკასიაში.



„კატერინა“.

ოცდათოთხმეტი წლის კოლცოვი მისმა ოჯახმა მოკლა.

ოცდათხუთმეტი წლის ბელინსკი შიმშილმა და სილატაკემ მოკლა.

პოლეჟაევი — სამხედრო ჰოსპიტალში მოკვდა, მას შემდეგ, რაც მ წელიწადი ჯარისკაცად იმსახურა კავკასიაში.

ბარატინსკი — მოკვდა თორმეტი წლის გადასახლების შემდეგ.

ბესტუჟევი — მოკვდა კავკასიაში, სულ ახალგაზრდა, ციმბირში კატორღული მუშაობის შემდეგ...¹

ამათ სიას ემატება ტარას შევჩენკოც, რომელსაც ბედმა არგუნა იმ უბედურ დროში ბატონყმური მონობა, დევნა, თვითმპყრობეღური კატორღა და დღემოკლეობა.

მონარქიულ რუსეთში მშრომელთა უფლებების, მათი ადამიანური ღირსების შელახვამ და დამცირებამ ათქმევინა მეორე დიდ რევოლუციონერდემოკრატ ბესარიონ ბელინსკის: „ვინ მისცა ზოგიერთ ადამიანს ეს დამღუპველი უფლება — თავისი ძალაუფლებით დაიმონოს მის მსგავს სხვა არსებათა ნება, წაართვას მათ წმიდათა-წმიდა საუნჯე — თავისუფლება? ვინ მისცა მათ ნება — შებღალონ ბუნებულსა და ადამიანობის უფლებები?... კაცთა მეუფევე! მიპასუხე: ნუთუ შენმა

¹ А. И. Герцен, Полное собрание сочинений и писем, т. VI, 1919, стр. 359.

ყოვლად ბრძენმა ხელმა გააჩინა ქვეყნად ეს გვე-
ლები, ეს ნიანგები, ეს ფოცხვერები, რომელნიც
თავიანთ მოყვასთა ძვლებითა და ხორციით საზრ-
დობენ და მათ სოსხლსა და ცრემლებს ისე
სვამენ, როგორც წყალს“¹.

სწორედ ამ „გველების“, „ნიანგებისა“ და
„ფოცხვერების“ წინააღმდეგ ბრძოლას შეაღია
თავისი მეტად დრამატული, მაგრამ ლამაზი სი-
ცოცხლე ტარას შევჩენკომ.

პოეტის სიკვდილმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა
მაშინდელი რუსეთის მოწინავე საზოგადოებაში.
შევჩენკო დაკრძალულ იქნა პეტერბურგში, სმო-
ლენსკის სასაფლაოზე.

საფლავის ზემოთ მიმაგრებულ სპილენძის ფირ-
ფიტაზე იყო ასეთი ეპიტაფია: „შენი ფიქრები,
შენი სიმღერა, არ მოკვდება, არ გაქრება“.

მეფის მთავრობამ მხოლოდ ორმოცეა დღის შემ-
დეგ დართო ნება პოეტის მეგობრებს, შევჩენკოს
ნეწტი პეტერბურგიდან უკრაინაში გადაეტანათ.

მბღლოერმა ერმა შეასრულა შევჩენკოს ანდერძი:
დნეპრის ნაპირას, მაღალ გორაკზე, სადაც დასახ-
ლებასა და დასვენებაზე ოცნებობდა პოეტი, დაა-
საფლავეს იგი 1861 წლის 10 მაისს.



¹ В. Г. Белинский, Полное собрание сочинений,
т. I, 1900, стр. 122.



შევიწყო და ჩავმეხსიანებოდი საქართველო

შევჩინე ცხოვრება და შემოქმედება მიმდინარეობდა სასტიკი ბატონყმური ურთიერთობის პირობებში, გამათავისუფლებელი მოძრაობას მშფოთვარე ეპოქაში, როცა მეფის სატრაპების მიერ შექმნილი უმკაცრესი პოლიტიკური რეჟიმის დროს ფეხქვეშ ითელებოდა ადამიანური მორალის საერთოდ მიღებული ნორმები, როცა ადამიანის მიერ ადამიანის აუტანელი ჩაგვრის წინააღმდეგ მძაფრი პროტესტი სულ უფრო მკვეთრ ხასიათს აღებდა. ამ უკუღმართ ეპოქაში უფრო განმტკიცდა საქართველოსა და უკრაინას შორის ძველი დროიდან ჩასახული მეგობრობა და ურთიერთობა.

უკრაინელ და ქართველ ხალხებს ურღვევი მეგობრობა აკავშირებს, რომელიც შორეულ წარსულსავე მიგვათითებს. პროფ. ტრიფონ რუხაძე წერს: „ქართველებისა და უკრაინელების კულტურული დაახლოება, რუსეთისა თუ დამოუკიდებელი გზით, მათი კულტურის ურთიერთგამდარება დავით გურამიშვილის (1705—1792) დროიდან კი არ იწყება, როგორც ამას სამწუხაროდ, ზოგჯერ ხატავენ, არამედ ამას შორეულ ისტორია აქვს.

ჯერ კიდევ კიევის რუსეთის პერა ოღში (IX—
—XII) ქართველ მხატვრებს მონაწილეობა მიუ-
ღიათ კიევის საქვეყნოდ განთქმული მღვამის ე.წ.
„კიევო-პეჩორის“ ლავრის მოხატვაში. კიევის
ლავრა აშენდა ათონის ივერიის ტაძრის ყაიდაზე.
დაახლოებით XI საუკუნის მეორე ნახევარში
ათონში უმოგზაურია ანტონ პეჩერსკის (985—
—1073), რომელსაც კიევში ჩამოუტანია „სახე
ათონისა“¹.

უკრაინულ და ქართულ ლიტერატურულ-კულ-
ტურულ ურთიერთობას რამდენიმე საუკუნას ის-
ტორია აქვს, რაც ამ ორი მოძმე ხალხის დაახ-
ლოებისა და მეგობრობის მნიშვნელოვან ფაქტორს
წარმოადგენს.

ისტორიულ ბედის ერთგვარობამ განსაზღვრა
ამ ორი ხალხის ურთიერთდამოკიდებულება. მართ-
ლაცდა, საქართველოსა და უკრაინის მშრომელთა
ცხოვრებაში ბევრი რამ იყო საერთო.

ორივე ეს ქვეყანა რევოლუციამდე დიდი იმპე-
რიის კოლონიას წარმოადგენდა, რომელაც მწვა-
ვედ განიცდიდა მონარქიზმისა და ბურჟუაზიის
მძიმე ექსპლოატაციას. ცხადია, ეს მდგომარეობა
დიდად აფერხებდა დამორჩილებული ქვეყნების
ეროვნული კულტურის განვითარებას.

¹ ტ. რ უ ხ ა ძ ე, უკრაინულ-ქართული ლიტერატურის
ურთიერთობის სათავესთან, უნივერსიტეტის გაზეთი, 1954
წელი, 27 თებერვალი, № 8.

ორივე ქვეყანაში ერთნაირი სიმკაცრითა და საზიზღარი ცინიზმით იღევნებოდა დედაენა. „ეს ორი ხალხი — უკრაინელები და ქართველები — თითქმის ერთსა და იმავე ისტორიულ პირობებში, ერთსა და იმავე დროს ერთნაირად წყვეტდა საკუთარი ქვეყნის მომავალს“¹.

კარგად აქვს ნათქვამი პოეტ გოორგი ქუჩიშვილს ლექსში „უკრაინა და საქართველო“:

ჩვენ ძმები ვართ!
 ჰირიც, ლხინიც
ერთად ვზიდეთ,
 ერთად ვნახეთ,
ულელში თუ ბორკილებში
 ერთნაირად ვივაგლახეთ,
ენას გვპრიდნენ,
 სულსაც გვხდიდნენ,
გვმარხავდნენ და ვერ დაგვმარხეს.
• • • • •
და მონობა საზიზღარი
 სამუდამოდ ძირს დავამხეთ.

უკრაინა-საქართველოს მეგობრული ურთიერთობა რევოლუციამდელი ხანგრძლივი ძვარფასი ტრადიციის ბრწყინვალე დაგვარგვანებაა. წარსულს სუსხიან საუკუნეებში გამომჟღავნებული ეს ძვარფასა და მისაბაძი ტრადიცია კიდევ

¹ ი. ცინცაძე, უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1954, გვ. 34.

უფრო გაღრმავდა და განვითარდა საბჭოთა პერიოდში.

მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით უკრაინელმა და ქართველმა მწერლებმა ბევრა რამ გააკეთეს. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს ქართველი მოღვაწეების, უმთავრესად — ქართველი პოეტების დამოკიდებულება შევჩენკოსა და მისი შემოქმედებისადმი. გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები თავიანთ სტატიებსა და პირად წერილებში მაღალ შეფასებას აძლევდნენ შევჩენკოს შემოქმედებას და ამით ხელს უწყობდნენ მის პოპულარიზაციას ჩვენში. ქართველ პოეტებს შევჩენკოსთან აკავშირებდა შემოქმედების საერთო მოტივები, არსებული უმსგავსოების წინააღმდეგ შეუწყნებელი ბრძოლა და თავისუფლებისადმი მისწრაფება. შევჩენკოს ლექსები თემატიკითა და იდეურობით უპასუხებდნენ ქართველი საზოგადოების გულის წუხილს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ისინი სიამოვნებით თარგმნიდნენ შევჩენკოს ნაწარმოებებსა და, რამდენადაც ამის შესაძლებლობა იყო მაშინდელ პირობებში, ახმიანებდნენ და აქლერებდნენ მის სტრიქონებს საქართველოში.

* * *

ტარას შევჩენკოს შემოქმედების პირველ ქართველ დამფასებელთა შორის უნდა დავასახელოთ სახელგანთქმული პატრიოტი და საზოგადო მო-

ღვაწე დიმიტრი ყიფიანი (1814—1887). 1860 წლის 10 ნოემბერს პეტერბურგში ყოფნისას დასწრებია სალიტერატურო კითხვას. ამ საღამოზე მიღებულ შთაბეჭდილებას იგი წერილში უზიარებს თავის მეუღლე ნინოს. „გუშინწინ (ე. ა. 10 ნოემბერს, — გ. ნ.) ვიყავი ლიტერატორების საჯარო კითხვაზე პასაჟში. კითხულობდნენ: ბენედიქტოვი — მშვენნივრად; ჩვენი პოლონსკი აქ ახლა შესანიშნავი პოეტია, — კარგად; მაიკოვი — მშვენნივრად; დოსტოევსკი, პისემსკი — საშუალოდ და შევჩენკო, მალოროსიელი პოეტი და მხატვარი, საუცხოოდ... დარბაზი გაჭედილი იყო“¹.

დიმიტრი ყიფიანის ამ შეხედულებას ადასტურებს და შევჩენკოს არაჩვეულებრივ პოპულარობაზე მეტყველებს ანალოგიური შინაარსის წერილთა, რომელიც 1860 წლის 11 დეკემბერს ნ. ობრუჩევს გაუგზავნია დობროლუბოვისათვის: „პასაჟში იყო სალიტერატურო კითხვა დოსტოევსკის, ბენედიქტოვის, მაიკოვისა და შევჩენკოს მონაწილეობით. ბენედიქტოვს) და მ(აიკოვს) შეხვდნენ დიდი აპლოდისმენტით, აიძულეს ორ-ორჯერ წაეკითხათ ლექსები. შევჩენკოს კი შეხვდნენ ისეთი აღფრთოვანებით, როგორც ხდება იტალიურ ოპერაში“².

1 გაზ. „კომუნისტი“, 1938 წ. აპრილი 241, ი. ენიკლოფოვის წერილი „ტ: შევჩენკო დიმიტრი ყიფიანის მოგონებებში“.

² Н. Ф. Бельчиков, Т. Шевченко, Критико-биографический очерк, 1961, стр. 200.

ოსებ გრიშაშვილის ცნობით, დიმიტრი ყიფიანის გარდა, ტარას შევჩენკოს შემოქმედებას ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში იცნობდნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი და აკაკი წერეთელი¹.

მოწინავე ქართველ ახალგაზრდობაში შევჩენკოს სახელის პოპულარობაზე მეტყველებს ნიკო ნიკოლაძის „მოგონებები სამოციან წლებზე“.

1861 წლის გაზაფხულზე რუსეთისაკენ მიმავალი სტუდენტი ნიკო ნიკოლაძე გზაში შეხვდა შევჩენკოს ცხედარს, რომელსაც სამშობლოში მიასვენებდნენ. რაოდენ გაუგებარი დარჩა მისთვის, როცა ამ დროს გონებრივ სიბნელეში მყოფი ხალხის საკმაო ფენა ჯერ კიდევ არ იცნობდა დიდ კობზარს. ამ შემთხვევით გაკვირვებული ნიკო ნიკოლაძე გულისტკენით შენიშნავს: „მე უზომოდ განმაცვიფრა იმ გარემოებამ, რომ როდესაც ეკატერინოსლავსა და ხარკოვს შუა, გზაზე, ჩვენ შემოგვხვდა ტარას შევჩენკოს კუბო, არც ერთს იამშიკს, არც სტაროსტას და არც ზედამხედველს, ვისთანაც არ მოგვიხდა ლაპარაკი, წარმოდგენა არ ჰქონდათ განსვენებული პოეტის შესახებ“².

1 ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, 1952, გვ. 184.

2 ნიკო ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, „ქართული წიგნის“-ს გამოცემა, 1931, გვ. 91—92.

შევჩინკოს კარგად უნდა ცნობოდა და მასთან მეგობრულ ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო შევჩინკოსავით ყმაგლეხი, ბატონყმობიდან განთავისუფლებული, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის მოსწავლე (1837 წლიდან) გრიგოლ მაისურაძე (1814 — 1885). ამ საკითხზე მოკლე, მაგრამ მეტად საინტერესო წერილი დაბეჭდა ირ. ხმაალაძემ თელავის გაზეთში¹. წერილის სათაურია „ტ. შევჩინკო და გრ. მაისურაძე“, რომელშიაც ვკითხულობთ:

„დიდმა ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ ალ. ჭავჭავაძემ თავის ყმას, წინანდლელ გრიგოლ მაისურაძეს მხატვრობის ნიჭი შენიშნა. სასიქადულო პოეტმა გადაწყვიტა არ დაეღუპა გრ. მაისურაძის მომავალი, მან იგი 1837 წელს ყმობიდან განთავისუფლა და პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მოაწყო.

პარველი ქართველი რეალისტი მხატვარი — გ. მაისურაძე პეტერბურგში უკრაინელი ხალხის საამაყო შვილთან — ტ. შევჩინკოსთან ერთად სწავლობდა.

უნიჭიერესი მხატვარი, პოეტი და მოაზროვნე, ახალი უკრაინული ლიტერატურის ფუძემდებელი ტ. შევჩინკო მაშინ მძიმე მდგომარეობაში იყო;

¹ გაზ. „კოლმეურნის ხმა“, 1954 წ., № 33.

იგი ყმობიდან ძლივს გამოისყიდა შევჩენკოსა და გ. მაისურაძის მასწავლებელმა, სახელგანთქმულმა დიდმა რუსმა მხატვარმა, აკადემიკოსმა კარლ ბრიულოვმა.

არის ცნობები, რომ პეტერბურგში ყოფნისას ტ. შევჩენკო და გრ. მაისურაძე ახლო მეგობრები იყვნენ.

წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს განზრახული აქვს მიმდინარე წელს ლენინგრადის ცენტრალური არქივიდან ამოკრიფოს მასალები ტ. შევჩენკოსა და გრ. მაისურაძის ურთიერთობის შესახებ“. რაც ამ საინტერესო საკითხის გარკვევაში უფრო მეტ სინათლეს შეიტანდა.

რამდენადაც ვიცით, შემდეგ პრესაში ამ თემაზე არაფერი დაბეჭდილა, ჩვენთვის არც ისაა ცნობილი, რა შედეგი მოჰყვა წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის განზრახვას — ამოეკრიფათ ლენინგრადის ცენტრალური არქივიდან ტ. შევჩენკოსა და გრ. მაისურაძის ურთიერთობის დამადასტურებელი საბუთები. ერთი კი ცხადია, წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ისინი (შევჩენკო და მაისურაძე) ერთმანეთს იცნობდნენ და, შეიძლება ახლო მეგობრებიც იყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, რაიმე საბუთებზე წერალის ავტორი (ირ. ხმალადე) არ მიუთითებს.

ასე იქცევა ხელოვნებათმცოდნე შალვა კვასხვაძეც, რომელიც თავის წიგნში „გიორგი მაისურაძე“ (გვ. 160) მხოლოდ ამას წერს: „მაისურაძე და

შევჩინკო ერთმანეთს მხოლოდ ზედა კურსებზე გაეცნენ და დაუახლოვდნენ“.

XIX საუკუნის ოთხმოციან-ოთხმოდდაათიანა წლების მოწინავე ქართველი ინტელიგენციის რევოლუციურად განწყობილი ფრთა დიდი მზრუნველობითა და გულისხმიერებით ეპყრობოდა ტარას შევჩინკოს შემოქმედებს.

პირველად მისი სახელი ქართულ პრესაში 1881 წელს გამოჩნდა. ილია ჭავჭავაძის ეურნალ „ივერიაში“ (1881 წლის № V) მოთავსებულია შევჩინკოს პოემა „მუშა ქალის“ ქართული თარგმანი. ეს იყო შევჩინკოს პირველი ნაწარმოები, რომელიც ქართულ ენაზე დაიბეჭდა. ამ პოემით დაიწყო შევჩინკოს შემოქმედების გადმოქართულება. სქოლიოში მითითებულია, რომ „ტარას შევჩინკო მალაოროსიის გამოჩენილი პოეტია“. პოემას ბოლოს მთარგმნელის სახელისა და გვარის აღმნიშვნელად ნ. ლ. უზის. ეს, იოსებ გრიშაშვილის ცნობით, მწერალ-ბელეტრისტის ნიკოლოზ ურის (1852—1915) ინიციალებია,¹ რომელმაც, როგორც ვიცით, თავისი მოღვაწეობა ლექსებით დაიწყო. პოემა უთარგმნია ნ. ლომოურს, როგორც ეს პოემის ბოლო მინაწერიდან ჩანს, კიევიში ყოფნის დროს, 1877 წელს.

აი, ორი სტროფი თარგმანიდან:

1 ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, 1952, გვ. 180.

დილის ბურუსით დაფარულს
ველს ტკბილად ჩასძინებოდა
და ამ ბურუსში, ამ ნისლში
ერთს სერზედ ნელ-ნელ ჩნდებოდა

ყმაწვილი ქალი ქაწია...
მას ხელში რაღაც პაწია
ეჭირა, გულში იკრავდა
და ბურუსთან ბაასობდა.

ეს თარგმანი, რასაკვირველია, ვერ დგას მაღალ მხატვრულ დონეზე, მაგრამ მას მაინც ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ქართველმა მკითხველმა პირველად 1881 წელს ნიკო ლომოურის ამ თარგმანით გაიცნო ტარას შევჩენკო.

შევჩენკოს მეორე მთარგმნელი და პოპულარიზატორია ფ ა ზ ე ლ ი (მამია გ უ რ ი ე ლ ი; 1836—1891), რომელმაც თარგმნა ლექსი „გარბიან დღენი, მიჰქრიან ღამეები“¹. ლექსი ასე თავდება:

მომეც სიცოცხლე, ცის შემოქმედო,
სიამოვნების და სიხარულის
და მომეც გულით, გულით ვიცხოვრო,
რომე შემეძლოს ძმათ სიყვარული...
უმნიშვნელოდ თუ კაცი ისპობა,
სიკვდილ-სიცოცხლე მაშინ ერთია.

გაზ. „ივერიის“ 1893 წლის 22 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულია ს ი ლ ო ვ ა ნ ი ს (ხ უ ნ-

¹ „საყოველ-კვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზ. თეატრი“, 1886 წლის 12 სექტემბრის № 38.

დაძე; 1860—1928) თარგმნილი შევჩენკოს ლექსი „ქრიან ქარნი“¹.

ქუთაისის გაზეთი „კოლხიდა“ 1911 წლის № 42-ში ათავსებს. დ. თომასვილის (დომენტი ოყრეშიძე; 1876 — 1952) მიერ თარგმნილ ტარას შევჩენკოს ლექსებს — „ქრის გრიგალი ქარიშხალი“, „ტურფა მწვანე ჭალიდან“ და „ნეტავ ვიცოდე, სად დავლევ სულსა“. ეს უკანასკნელი დიდი მოწონებითა და პოპულარობით სარგებლობდა რევოლუციურად განწყობულ ქართველ ახალგაზრდობაში. იგი სიმღერებად ვრცელდებოდა.

ტ. შევჩენკოს გარდაცვალების 50 წლისთავს გამოეხმაურა ჟურნალი „განათლება“ (რედაქტორა ლუარსაბ ბოცვაძე 1867—1919). 1911 წელს (№ VII) ს. ა.-ძის ხელმოწერით ჟურნალში დაიბეჭდა პოეტისადმი მიძღვნილი ლექსი სათაურით „ტარას შევჩენკო დნებრის ნაპირას“. ამ ლექსის შესახებ ლევან ასათიანი (1900—1955) წერს: „საგულისხმოა ანონიმი ავტორის ლექსა დამახასიათებელი სათაურით“². ს. ა.-ძე ქართველი პედაგოგის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სავლე

¹ ამ ლექსის ავტორად ი. გრიშაშვილი თვლის ი. კობლარევსკის (იხ. მისი ლიტერატურული ნარკვევები, გვ. 182).

² ა. ბარამიძე, ლ. ასათიანი, ბ. ქლენტი, საქართველოსა და უკრაინის კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 40.

იოსების ძე აბულაძის (1890 — 1964)
ინიციალი. ქართველებიდან ტარას შევჩენკოს
პირველი ლექსი სავლე აბულაძემ მიუძღვნა.

სდგას დნებრის პირას ტარასი,
ხელში უჭირავს ფანდური.
მგოსანს ნათელსა თვალებში
ცეცხლი უბრწყინავს ციური.

დნებრი დღეს იმავე ალაგსა
ქვითინებს მწარედ და მოსთქვამს
და გვაგებინებს, რაც მისთვის
მგოსნის ფანდურსა აღუთქვამს.

1911 წელს იასამანმა (მიხეილ კინწურა-
შვილმა; 1885 — 1955) შევჩენკოს ორი ლექსი
თარგმნა: „მწვანე ველო, გახსენ გული“ და „ერთია
ჩემთვის“¹.

რევოლუციამდელ პერიოდში ტ. შევჩენკოს პო-
პულარობას ხელს უწყობდა მისი შემოქმედების
გარჩევა ისეთ ცნობილ მოღვაწეთა მიერ, როგო-
რიც იყვნენ: იაკობ გოგებაშვილი (1840—1912),
ალექსანდრე წერეთელი, მიხეილ ნასიძე (1859—
—1935), ალექსანდრე გარსევანიშვილი (1864—
1936), იპოლიტე ვართაგავა, დათიკო ივრელი (და-
ვით ნახუცრიშვილი, 1874 — 1932) და სხვები.

დღეი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგება-
შვილი გულთბილად გამოეხმაურა ტ. შევჩენ-
კოს გარდაცვალების 50 წლისთავს; ის 1911 წელს

¹ ურნ. „განათლება“, 1911 წ., № IX, გვ. 547 — 548.

აქვეყნებს ორ მეტად საინტერესო სტუდიას, ერთს საყმაწვილო, ნახატებთან ერთად „ჭეჭილში“ და მეორეს — „სახალხო გაზეთში“.

„ჭეჭილში“ გამოქვეყნებული წერილის სათაურია „ტარას შევჩენკო — დიდა პოეტი უკრაინაში“.¹ გოგებაშვილი ასე იწყებს თავის წერილს: „უკრაინა არის ერთი ნაწილი დასავლეთ რუსეთისა. უკრაინას უწოდებენ ასეთს სახელს თვითონ უკრაინელები; რუსები კი მალოროსიას უძახიან.

... ტარასი... იყო მოყმე გლეხის შვილი და მონობაში იხილა დღის სინათლე... მიუხედავად ყოველგვარის დაბრკოლებისა, თავის-თავად წიგნიც კარგად შეისწავლა და ხატვაშიაც საოცარი ნიჭი გამოიჩინა...

ტარასიმ არამც თუ ჩინებულად შეისწავლა ხატვა და მრავალი შესანიშნავი სურათი შექმნა, არამედ ზედმიწევნით გაიცნო და შეითვისა საუკეთესო რუსული წიგნები და თხზულებანი, დაუაბლოვდა სახელოვანს რუს მწერლებს, მოექცა მათ მახლობელს ნაცნობებში და გახდა განათლებულ ადამიანად... მან შექმნა ბევრი, ძალიან ბევრი ლექსი და პოემა უკრაინულს ენაზე და მთელი თავისი სამშობლო აღტაცებაში მოიყვანა. აღტაცებაშივე მოვლდნენ თვით რუსეთის საუკეთესო მწერლები და პოეტები. აღიარეს იგი დიდ პოეტად, ბევრი მისი

¹ ეს წერილი შემოკლებით შესულია იაკობ გოგებაშვილის იტომეულის IV ტომში (იხ. გვ. 403—405), თბილისი, 1955.

ნაწარმოები გადათარგმნეს რუსულად და გამოსცეს ცალკე წიგნებად...

მაგრამ ტარასი ამით არ დაკმაყოფილდა. იმან მოიწადინა გაუქმება ბატონ-ყმობისა თავისს სამშობლოში და აღდგენა უკრაინულის ენის უფლებისა, და ამ წადილით გამსჭვალულმა შექმნა საიდუმლო საზოგადოება, რომლის წევრებად გახდნენ საუკეთესო სწავლულნი უკრაინისანი. მთავრობამ ეს შეუტყო და დასასჯელად... ტარასი გაგზავნილ იქნა მიყრუებულ ადგილს შუა აზიაში... სადაც მთელი ათი წელიწადი დაჰყო“.

შემდეგ იაკობ გოგებაშვილი ამცნობს მკითხველს, რომ „26 თებერვალს (1911 წელს, — გ. ნ.) მთელმა უკრაინამ უსაზღვრო სიმწუხარით და სიყვარულით გადაიხადა ორმოც-და-ათის წლის იუბილეი შევჩენკოს სიკვდილის დღიდან. შევჩენკომ ასეთი სამაგალითო სიყვარული მთელს სამშობლოში დაიმსახურა იმითი, რომ უსაზღვროდ უყვარდა თავისი ბედკრული ქვეყანა, მისი ბუნება, მისი ენა, მისი მდიდარი სახალხო პოეზია და უმეტესად კი უკრაინელი გლეხობა, ბურჯი ეროვნულის არსებობისა, სიცოცხლისა, განვითარებისა. ამ ძლიერმა სიყვარულმა შეაქმნევიანა მას დედაენაზე მრავალი ჩინებული ლექსი და პოემა, რომელნიც ასულდგმულებენ, ამხნევებენ, აღფრთოვანებენ მშობლებსაც და შვილებსაც, დადსაც და პატარასაც, ქალსაც და კაცსაც და უმზადებენ ნათელს მომავალსა.

უკვდავ შევჩენკოზე ზედგამოჭრილია უნიჭიე-

რესი ქართველი მგოსნის შემდეგი მშვენიერა
ლექსა:

კაცი ის არის, ვინც არის
ზეგარდმო მადლით ცხებული,
მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ,
მით მხარე დამშვენებული“.¹

რომ იაკობ გოგებაშვილი სიყვარულითა და
დიდი პატივისცემით იყო გამსჭვალული ტარას
შევჩენკოსადმი, ეს იმ მოწოდებიდანაც ჩანს,
რომლითაც მან ქართველ პოეტებს მიმართა:
„გაამდიდრონ ჩვენი ლიტერატურა შევჩენკოს
ქმნილებათა თარგმანებით“. ჩვენ საჭიროდ მივიჩ-
ნეთ ეს წერილი — „პატარა ბარათი დიდი პოე-
ტის შესახებ“ მთლიანად მიგვეწოდებინა დღევან-
დელი მკითხველისათვის:

„რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცეულია,
სხვათა შორის, ერთი ხალხი, რომლის ბედი ძლიერ
ემსგავსება საქართველოს ბედსა და რომლის
შვალთა შორის კაი ხანია დაიბადა და აღიზარდა
თანაგრძნობა და სიმპათია საქართველოსადმი. ამ
ქვეყანას ჰქვია უკრაინა, ანუ მოლოროსია, ამ
სიმპატიურის ქვეყნის დიდებას და სიამაყეს შეად-
გენს ერთი საოცარი ნიჭით შემკული მგოსანი,
რომლის გარდაცვალების დღიდან ამას წინად გა-
ნვლო ორმოც-და-ათმა წელმა, რის გამოც გამო-

¹ უკრ. „ჭეჭილი“, 1911 წ., № 3, გვ. 39 — 43.

უთქმელი აღტაცებით მთელმა უკრაინამ გამართა იღბილი ნიშნად თავისი სასიკადადულო მგოსნის უღრმესი სიყვარულს და პატივისცემისა. მე მოგახსენებთ შევჩენკოზე, რომელიც იყო შვილი მოყმე გლეხისა და პირადად თავისს თავზე გამოსცადა უმძიმესი. უღელი ბატონ-ყმობისა. როცა ამ უღელს თავი დაახწია და გადაიქცა განვითარებულ ინტელიგენტად, შევჩენკოს დაადგა კისერზე კიდევ უფრო უარესი უღელი ბიუროკრატიამა.

მიუხედავად შესაზარის ბედისა, რომელიც წილად ჰხვდა შევჩენკოს, მან შექმნა თავისს საყვარელს დედა-ენაზე იმისთანა მომხაზლავი პოეტური ქმნილებანი, რომ იგინი ახლა გადათარგმნილი არიან ყველა მთავარ კულტურულს ენაზე და დიდის სიხარბით იკითხებიან. მხოლოდ არ ამშვენებენ იგინი იმ ერთს ენას, რომლის მდგომარეობასა და ტანჯვა-წვალებასზე ზედ გამოჭრილი არიან. ამ სამწუხარო გამოკლებას შეადგენს ქართული ენა, ქართული ლიტერატურა, რომელსაც შევჩენკოს უკვდავი ქმნილებანი, ვიმეორებ, ბევრად უფრო შეესაბამებიან, ვიდრე სხვა ენებსა და ერებსა.

აღვნიშნავთ რა ამას, ვუ რ ჩ ე ვ ჩვენებურ პოეტებს გაამდიდრონ ჩვენი ლიტერატურა შევჩენკოს ქმნილებათა თარგმანებით. ეს თარგმანები ჯერ ბეჭდონ ყურნალ-გაზეთებში და შემდეგ ცალკე კრებულად გამოსცენ, როგორც ეს მოიქმედეს საუკეთესო რუსმა მწერლებმა, რომელთაც მთელ ტომად გამოსცეს შევჩენკოს ლექსები და პოემები

ამ სათაურით: Кобзар Шевченко в переводе русских писателей“¹.

როგორც ზემოთ ითქვა, უტრნალმა „ჭეჭილმა“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო ცნობილი მწერალი, საზოგადო მოღვაწე ქალი, გიორგი წერეთლის მეუღლე ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა (1849—1932), მოათავსა იაკობ გოგებაშვილის წერილი შევჩენკოს შესახებ. იმავე ნომრის 177—180-ე გვერდზე ა. ფ. ხელმოწერით დაბეჭდილია პოპულარული, ყმაწვილთათვის გასაგები ენით დაწერილი წერილი — „ტარას შევჩენკო“, რომელიც შეიცავს პოეტის ბიოგრაფიულ ცნობებს. ავტორი დასასრულს წერს:

„შევჩენკო აღვიძებდა ადამიანში სიყვარულს, უჩვენებდა მას მოძმეთა ტანჯვას, უჩვენებდა სიმატლის გზას, ასწავლიდა თავისიანებს, როგორ ღონდა უყვარდეთ თავისი ერი, თავისი პატარა სამშობლო. მისმა „კობზარმა(კ)“ შეასრულა თავისი დანიშნულება, — ეს არის წიგნი სიყვარულისა და უზომო ტანჯვისა“.

უტრნალის იმავე ნომერშია (გვ. 181—182) ლადო გეგეჰკორის ლექსი — „მგოსნის საფლავი“:

ენახე საფლავი: ზედ ია
და ვარდი ამოსულიყო,

¹ „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., № 254. ეს წერილი შეტანილია იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა IV ტომში (გვ. 372).

იქ ახლოს ნარი ჰქნებოდა,
ეკალი დაჩაგრულიყო!

— მგოსანო, შენი მოძღვრება
და სიტყვა შენგან თქმულიო, —
ღრმად ჩასწვდა ჰკუა-გონებას
და აგვიძგერა გულიო!

მარადისობა შენს სახელს,
უკვდავ ძეგლს გიდგამს ერიო;
გულში ჩაიჭდევს შენს ხსოვნას,
შენითვე ბედნიერიო!

უკრაინის 181-ე გვერდზე შევჩენკოს სურათია მოთავსებული.

ტარას შევჩენკოს შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ცნობილ პედაგოგსა და ლიტერატორს ალექსანდრე გარსევიჩანის შვილს. ალ. გარსევიჩანის შვილი 1911 წლის 13 მარტს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტში კითხულობს ლექციას თემაზე „ტარას შევჩენკოს პოეზიის მნიშვნელობა“. ეს ლექცია შემოკლებული სახით დაიბეჭდა იმავე წელს ქუთაისის გაზ. „კოლხიდას“ 1 და 3 მაისის ნომერში (გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე).

ალ. გარსევიჩანის შვილი მკითხველს ამცნობს, რომ „შევჩენკო უკრაინის ანუ მცირე რუსეთის პოეტია“. ის აყენებს კითხვას, თუ რით იზიდავს მკითხველს შევჩენკოს პოეზია და პასუხობს, რომ „შევჩენკო

უკრაინელებისათვის არის წმინდა სახელა, რომელსაც ქალი თუ კაცი, პატარა თუ მოხუცი მოწონებით იხსენებს; შევჩენკო არაჲ ჭეშმარიტი ხალხის შვილი და თავისი სამშობლოს უკეთესი ტრადიციების დამცველა“.

ავტორის თქმით, „უკრაინელები ცხოვრობენ გარდა უკრაინისა, ავსტრია-უნგრეთში, ამერიკაში და სხვაგან და ესენი კარგად იცნობენ თავის დიდებულ მგოსანს. გაფანტული ხალხი — უკრაინელები შევჩენკომ თავისი ღრმა პოეზიით შეაკავშირა ძმურად¹, გააბა მათ შორის ძაფი. გალიციიდან წასული გლეხი ამერიკაშიც არ ივიწყებს სახალხო

¹ ალ. გარსევანიშვილის სიტყვის ერთ-ერთ ჭეშმარიტ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ ამ წერილის გამოქვეყნების 40 წლის შემდეგ, სახელდობრ, 1951 წლის 1 ივლისს კანადელ უკრაინელთა ემიგრაციის 60 წლის-თავზე (1891 წელი იყო გალიციიდან, ბუკოვინიდან და ამიერკარპატებიდან კანადაში უკრაინელთა მასობრივი ემიგრაციის წელი), ქალაქ პალერმოში (კანადა) თავი მოიყარა კანადის ყველა კუთხიდან 45000 უკრაინელმა, სადაც შევჩენკოს სახელობის ბაღში დიდი ზეიმით გაიხსნა ამერიკის კონტინენტზე პირველი და ერთადერთი — ტ. გ. შევჩენკოს ძეგლი (ქურნალ „სლავიანე“, 1951, № 7. გვ. 49 — 52).

აღნიშნული ძეგლის გახსნის წლისთავზე, 1952 წლის 29 ივნისს, იმავე ქალაქში გაიხსნა შევჩენკოს მუზეუმი, რომელიც უკრაინული კულტურის გამავრცელებელი ცენტრი გახდა კანადაში.

აქ ყოველწლიურად ეწყობა კანადელ უკრაინელთა სიმღერის, მუსიკისა და ცეკვის დიდი ფესტივალი (ქურნ. „სლავიანე“, 1952, № 8).

მგოსანს და მოწაწვებით კითხულობს მის ნაწერებს...

ვინ არ იცის, რომ თუ ხალხმა თავისი ენა დაკარგა, მან ყველაფერი დაკარგა. ამისთანა ხალხის ხსენებაც მალე მოიხსობა დედამიწის ზურგადან. სამართლიანად ამბობს ჩვენი პოეტი გრიგოლ ორბელიანი „რა ენა წახდეს — ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას“!. ტარას შევჩენკო სწორედ იმ დროს დაიბადა, როცა უკრაინელებს ეკარგებოდათ ეს კულტურული განძი; ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში გაიხსნა შევჩენკოს ციური ხმა; მასმა ღრმა პოეზიამ გაიტაცა ტანჯული ერი და მისცა მას ზნეობრივი ძალა... ნელნელა ინგრეოდა კედელი და მგოსანმა გაამაგრა მისი საძარკველი“.

ალ. გარსევანიშვილის სამართლიანი გამოთქმით, „თავის მოძმეებს და მთელ კაცობრიობას შევჩენკომ დაუმტყიცა, თუ რა მდიდარია უკრაინელთა ენა და რა დიდებული, შინაარსით სავსე წარსული ჰქონიათ მათ“. ამიტომაც, რომ მადლიერმა ერმა მუხლმოდრეკათ თაყვანი სცა იმ მგოსანს, რომელიც მას თავის უკეთეს წარმომადგენლად მიაჩნდა.

„როცა ტარას შევჩენკოს პოეტურ ნაწარმოებს ვკითხულობთ, — განაგრძობს ავტორი, — გულის სიღრმეში ვგრძნობთ, მწუხარებას და ღრმა სევდას. აგი აგვიწერს სიანამდვილეს, რომელიც სავსეა უსამართლობით და ცბიერებით; მიუხედავად ამისა, ეს სევდა არ იწვევს თქვენში სიძულვალს

ცხოვრებისადმი... არა, ცხოვრება ჯარგია, — განსაკუთრებით მშვენიერია დედამიწის ეს ტურფა კუნჭული, რომელსაც უკრაინა ქვია... დიად, სამწუხაროა, პოეტის აღწერით, უკრაინის აწმყო! ყველგან მგოსანი ხედავს მხოლოდ სიყალბესა და სასტიკობას... გარშემო სუფევს უსამართლობა და მონობა, ვით შავბნელი ღამე. ბედკრული ხალხი კი ამავე დროს სდუმს, ვით ცივი სამარე“.

ალ. გარსევანიშვილს მოჰყავს პროფ. ნ. კოსტომაროვის აზრი უკრაინელი მგოსნის შესახებ: „ტარას შევჩენკო ეს თვით ხალხია. მისი სიმღერა არის სწორედ ის სიმღერა, რომლის დამღერა შეეძლო მხოლოდ მთელ უკრაინის ხალხს“... მისი ლექსები აკმაყოფილებენ უკრაინელების გულს და ამაღლებენ მის სულს...“

ალ. გარსევანიშვილის აზრით, შევჩენკოს პოეზია, ვით წმინდა წყარო, აგრძნობინებს მკითხველს თავისებურ ბედნაერებას. იგი დარწმუნებულა, რომ სამშობლო, ეს „დედა საბრალო“ კვლავ გაიხარებს, ძველი დიდება მკვდრეთით აღდგება და ისევ განახლდება. მას მოყავს შევჩენკოს ლექსი, რომლითაც ის თავის მოძმეებს მიმართავს:

დედა საბრალო კვლავ გაახარეთ,
თვალსა შეუშრეთ ცრემლი მღუღარე...
იგი დალოცავს თვის ერთგულ შვილებს,
ცათ დაკოყრებულს ალაპყრობს ხელებს:
დიდი ხნის ტანჯვა, უკმენტო რისხვა
წავა, გაქრება, დაგვავიწყდება, —
და უკრაინის ძველი დიდება
კვლავ განახლდება, მკვდრეთით აღსდგება!

ა. გარსევანიშვილის აზრით, ტარას შევჩენკო არ იყო ვიწრო პატრიოტი; მისი მსოფლმხედველობა ფართო და საკაცობრიოა. შევჩენკო ყოველ ერს სცემდა პატივს, მას დაჩაგრულ ერთათვის მუდამ სურდა უკეთესი მომავალი. ეს ეტრფოდა თავისუფლებას:

ჩემთვის ის იქნება
სიმდიდრე და ლხენა,
რომ გულს თავისუფლად
შეეძლება ფრენა.

მგოსანი თავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლია და მასთან მთელი კაცობრიობის წარმატებას მქადაგებელი.

„ასეთი იყო უკრაინის პოეტი, რომლის სახელს, ეჭვი არ არის, თქვენც ამის შემდეგ მოწიწებით მოიხსენიებთ“, — ასკენის ალ. გარსევანიშვილა თავის წერილში და პოეტის შემოქმედების ღრმა შესწავლისაკენ მოგვიწოდებს.

ალექსანდრე გარსევანიშვილის საქმიანობა ტარას შევჩენკოს შემოქმედებას პოპულარიზაციის საქმეში ამით არ დამთავრებულა. მან 1912 წელს ქუთაისში ცალკე ბროშურად გამოსცა „უკრაინის მგოსანი ტარას შევჩენკო“. ის განაგრძობდა ლექციების კითხვას საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და დაბაში.

ალ. გარსევანიშვილის ლექციებმა, სტატიებმა და ზემოდასახელებულმა ბროშურამ ქართველი

საზოგადოების ფართო ფენას შევჩენკოს შემოქმედების გაცნობის ინტერესი გაუღვიძრა.

* * *

როგორც ვხედავთ, ტარას შევჩენკოს გარდაცვალების 50 წლისთავს საკმაოდ ფართოდ გამოეხმაურა საქართველოს პრესა და ქართველი საზოგადოებრიობა; ტარდება ლექციები, იბეჭდება წერილები და ნარკვევები ტარას შევჩენკოს ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

1911 წელს „სახალხო გაზეთის“ № 239-ში „სალამური“ ხელმოწერით მოთავსებულა წერილი — „ტარას შევჩენკო 1861—1911 წწ.“, რომელიც შეიცავს ტ. შევჩენკოს ბიოგრაფიულ ცნობებს. ავტორი ასკვნის, რომ შევჩენკოს მუდამ გული სტკიოდა მივიწყებული და დამცირებული თავისი ერისა და ყველა დაჩაგრულ ხალხის ბედით.

გაზეთი იუწყება, რომ „1914 წელს კიევში შევჩენკოს ძეგლს დგამენ და კიევშივე უნდა გაეგზავნოს გაზეთ „რადას“ ყოველგვარი შეწირულებანი, უკრაინა მხნედ ემზადება ამ დიდებული ეროვნული დღესასწაულისათვის. კარგა იქნება, რომ ქართველებმაც მიიღონ მონაწილეობა უკრაინის ეროვნულ დღესასწაულში“.

იმავე გაზეთის 1911 წლის 12 მარტის ნომერშია მ. ი. ხ. ნ. ა. ს. ი. ძ. ი. ს. წერილი-კორესპონდენცია ბაქოში შევჩენკოს დღესასწაულის ჩატარების შესახებ.

ამ წერილიდან ჩანს, რომ 1911 წლის 6 მარტს „მალოროსებს“ დიდი ამბითა და აღტაცებით გადაუხდიათ თავიანთი ეროვნული დღესასწაული: მ. ნასიძე წერს: „ამ დღეს ნამდვილი დღეობა იყო: ეროვნული სიმღერები, ეროვნული პიესა, ეროვნული ტანისამოსი, ეროვნული მასლაათი, ეროვნული სიტყვები და ლექსები, — ერთი სიტყვით, საღამოს ისეთი ელფერი ედო, რომელაც დაღებდა, უკრაინა ცოცხალია და ეროვნული ცხოვრება სწყურიანო“.

საღამოს დასწრებია სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, მათ შორის — ქართველებიც. „ყველა მოსულა „ბატკო“ ტარასის და მისი ერის პატივსაცემად“.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს განყოფილების სახელით გამოსულ ორატორს უთქვამს: „მოგილოცავთ დიდებულ დღესასწაულს, თუმცა ამ დღესასწაულს ცოტა შეუფერებელი სახელი ჰქვია; შევჩენკოს გარდაცვალების 50 წლისთავი! მაგრამ განა შევჩენკო მოკვდა? არა, ის არ მომკვდარა და არც მოკვდება, ვიდრე ქვეყანაზედ ერთი უკრაინელი მაინც ცოცხლობს, ერის ამისთანა დიდებული ჭირისუფლები არ იხოცებიან, უკვდავნი არიან!..“

კარგად გვესმის უკვდავი ქნარი შევჩენკოს მუზისა... ჩვენი მხცოვანი პოეტი აკაკი წერეთელი — რომელაც პირადად იცნობდა ტარას შევჩენკოს იმავე გრძნობებს გვიღვიძებდა ჩვენც, ქართვე-

ლებსო. ეს მსგავსება ორის ნიჭიერის პოეტისა აიხსნება, არა მიმბაძველობათ და გრძნობათა და აზრთა სესხებით ერთმანეთისაგან, არამედ იმით, რომ უკრაინა და საქართველო ერთგვარ ისტორიულ სვე-ბედს განიცდიან. მართლაც და განა დაცანვა არ არის ბედისა ჩვენს თავს, რომ ამგვარს ერს, რომელთაც გამჩინმა სულიერი ნიჭიერება უხვად მიანაჭა, სამოთხის მსგავსი მიწა-წყალი მისცა, ისეთი გარემოება დაუდგა, რომელიც ჰქმნის მხოლოდ პოეზიას ცრემლისა და გოდებისა!... -

შევჩინკოს ცრემლი სასოწარკვეთალებაში და სილაჩრის მორევში არ გვაგდებს... ის არ გვოკლავს რწმენას საუკეთესო მომავლისა... შევჩინკო მოტრფიალე თავისი ერისა და მისი უკეთესის მომავლისა, არსად ცუდად არ იხსენიებს სხვა ერებს. ის ურჩევს პირიქით, ისწავლონ და მიიღონ სხვათგან ყოველივე კარგი, მხოლოდ ნუ დაივიწყებენ თავის ერს, რადგან, ვინც დედას ივიწყებს, მას ღმერთი სჯის (Бо хто матір забуває, того Бог карає).“

ამ საღამოს ქართულ ენაზე წაკითხულა შევჩინკოს შემდეგი ლექსი:

ედემის მსგავსსა ჩემს სამშობლოში,
რომ მე ვცხოვრობდე, არ მაქვს უფლება,
ღმერთო მაღალო, შენ მომეც მოხუცს
ტკბილ-სანეტარო თავისუფლება!
მაშინ ვნახავდი ჩემს უკრაინას,

ჩემსა სახლ-კარსა დაობლებულსი,
იქ თანამოძმე მომცემდა სალამს,
მოხუცს მხცოვანსა, შორით მოსულსა.
დავისვენებდი იქ ცოტაოდენ,
ვუძღვნიდი ღმერთსა ქებათ-ქებასა,
იქ მე... მაგრამა ფუჟია ფიქრი,
რას ვაქნევ სიზმართ აღმა-ფრენასა!
წილად მხვდა, ვხედავ მე ტყვეობაში.
უნუგეშობის აღში ტრიალი,
მასწავლეთ, ძმანო, როგორ ჩავაქრო
ამ ბედ-კრულ გულში ცეცხლი ტიალი!

შემდეგ აქა-იქ ჩვენს პრესაში ჩნდება ნიმუშები
შევჩენკოს პოეზიისა.

1911 წელს პოეტ გიორგი ქუჩაშვილს
(1886—1947) უთარგმნია შევჩენკოს პოპულარუ-
ლი ლექსი „ანდერძი“.

როდესაც მოვკვდე, დამმარხეთ,
ჩემ უკრაინის მხარეში:
ვრცელ მინდორ შუა, საყვარელ
მშობლიურ არემარეში.
იქ გამითხარეთ საფლავი,
სადაც დნებრია მტირალი:
რომ კვლავ მოვავლო სამშობლოს
თვალნი მწუხარედ მზირალი.¹

„ნაკადულის“ იმავე ნომერში დაბეჭდილია
ტარას შევჩენკოს მეორე ლექსი „დნებრი უსა-

¹ ქურნ. „ნაკადული“, 1911 წ., № 3, გვ. 44.

ზღვრო...“, რომლის თარგმანი ეკუთვნის ა. შან-
შიაშვილს.

დნეპრი უსაზღვრო ჰელავეს, ღრიალებს,
მკაცრი გრიგალი დაჰქრის, გრიალებს;
ყად ატყორცნილი ნორჩი შტო ბზისა
თავსა ჰხრის დაბლა, კვნესით შრიალებს.
ამ დროს მიმქრალი ზეცის გუშაგი —
მთვარე შუქს აფრქვევს, თან იბურება.
და, როგორც ნავი ლურჯ ზღვის ტალღებში,
ხან ზედ დასცურავს, ხან იძირება!
დიდი ხანია არავის სძინავს,
არა ხმაურობს ადამიანი;
მხოლოდ ქოტისა ისმის ძახილი,
გულის მომკვლელი და სევდიანი.

„ანდერძი“ 1911 წელს უთარგმნია მ ა ხ ე ი ლ
უ ზ ნ ა ძ ე ს ა ც; დაბეჭდილია ქუთაისის გაზეთ
„კოლხაის“ № 96-ში. აა, რამდენიმე სტრიქონი
ამ ლექსიდან:

...როცა დამმარხოთ, მყისვე აღსდექით,
დალეწეთ მედგრად რკინის ბორკილი,
თავისუფლების ძლიერი სხივით
დათრგუნეთ მტერი — მოსპეთ წუხილი...
და თავისუფლად მყუდრო ოჯახში
განცხრომით, შვებით რომ მოისვენოთ,
გემუდარებით, ვით მეგობარი,
კეთილი სიტყვით მეც გამიხსენოთ...

ჩვენი სასიქადულო პოეტი აკაკი წერეთელი პირადად იცნობდა ტარას შევჩენკოს. შევჩენკო მას გაუცნია, პეტერბურგში სტუდენტობის წლებში (ვალერიან იმედაძის (1899 — 1963) ცნობით — 1860 წელს) უკრაინელი ისტორიკოსის პროფესორ ნიკოლოზ ივანეს ძე კოსტომაროვისას, რომლის მეგობარი და სასურველი სტუმარაც იყო ტ. შევჩენკო. მათ შეხვედრისას ჰქონდათ მეტად გულთბილი და გულწრფელი პატრიოტული საუბარი, რომელიც ღამის 3 საათამდე გაგრძელებულა. ეს შეხვედრა აკაკი წერეთელს აღწერილი აქვს თავის მოგონებაში: „Мои воспоминания о Шевченке“, რომელიც ყოველდღიურ გაზეთ „ზაკავკაზიეს“ 1911 წლის 26 თებერვლის ნომერშია დაბეჭდილი. ამ მოგონების ავტორად, დაწერილი რუსულ ენაზე, სახალხო განათლების მუზეუმში ინახება.¹ ვათავსებთ ამ მოგონებას მთლიანად.²

„ტარას გრიგოლის ძე შევჩენკო, — წერს აკაკი, — მე ვნახე მხოლოდ ერთხელ ჩემ სიცოცხლეში, — რუსული ისტორიის პროფესორ ნიკოლოზ ივანეს ძე კოსტომაროვისას. უნდა ვაღიარო, ჩემი პირველი შთაბეჭდილება მისთვის სასარგებლო არ

¹ საქმე № 2646.

² ვსარგებლობთ ქართული თარგმანით ლევან ასათიანის წიგნიდან, — „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, 1953, ვვ. 128—131.

იყო: ჩემს ჭაბუკურ ოცნებას იგი მუდამ ეხატებოდა ზღმბერაზად, რომელსაც თავს ედგა დიდებულ შარავანდედი, სინამდვილეში კი ჩემს წინ იდგა ჩვეულებრივი სათნო მოხუცა, უფრო ქანც-გამოლეული, ვიდრე იდეური მებრძოლი.

მასპინძელმა შეამჩნია ჩემი დარცხვენა. გააწორა სათვალე და დამიწყო შეკითხვები, რომლებზედაც მე არა ერთხელ შემხვედრია პასუხის გაცემა.

— თქვენ, ქართველები, მართლმადიდებელა ქრისტიანები ხართ? — მკითხა მან მოულოდნელად.

— დიახ, რასაკვირველია! — ვუპასუხე მე.

— რა დროიდან?

როცა პარველ საუკუნეში პონტოსის ნაპირებს ეწვია ანდრია პირველწოდებული თავის თანამგზავრ სიმონ კანანელთან ერთად (რომელიც დამარხულია ჩვიში, აფხაზეთში), მაშინ მოციქულმა ბევრი ქართველთაგანი მოაქცია ქრისტიანობაზე დასაჯლეთ საქართველოში. ხოლო მეოთხე საუკუნეში მთელმა საქართველომ აღიარა ქრისტიანობა, როგორც იმერეთსა ისე ამერეთში, — დასაჯლითმა და აღმოსავლეთმა ნაწილმა საქართველოისამ ქრისტიანობა მოციქულთა სწორად წმინდა ნინოს ხელით მიიღო.

— ყოველივე ეს თქვენ ზეპირადმოცემით იცით, თუ არსებობს აგრეთვე წერილობითი ცნობებიც?

— რასაკვირველია, წერილობითი!..

— მაშასადამე, თქვენ დამწერლობაცა გაქვთ? ჩაერია უცებ საუბარში შევჩინკო, — რომელი საუკუნნიდან?

— ზეპირგადმოცემებში, თქმულებებსა და ზღაპრებში ჩვენ გვაქვს მითითება, რომ მისი დასაწყისი ეკუთვნის წინა-ქრისტიანულ პერიოდს, ხოლო უეჭველი საბუთები კი ამის შესახებ მოგვეპოვება მე-5 საუკუნნიდან. ჩვენს დრომდე შენახულან მანუსკრიპტები, გუჯრები და ისტორიული თხზულებანი.

— მეთორმეტე საუკუნეში, თამარ მეფის დროს, თქვენი ლიტერატურა სრულს აყვავებას განიცდიდა? — იკითხა ისევ კოსტომაროვმა.

— წინათაც ჰყვოდა, მაგრამ მაშინ გამოჩნდნენ სახელოვანი წინასწარმეტყველები, მოსე ხონელის მსგავსნი და მსოფლიო პოეტები რუსთაველი, შავთელი, ჩახრუხა და სხვები.

— მაშ რატომ არავინ არაფერი იცის ყოველივე ამის შესახებ? — ჩაერია ისევ შევჩინკო.

— მაჰმადიანობასთან მარადუამული ომიანობის წყალობით ქართველები კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ და იღუერი მუშაობა მუდამ ფარულად მიმდინარეობდა.

— მაგრამ ეხლა ხომ უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც თქვენ დამშვიდლით — რუსეთის ხელში? ჰოდა რის გამო არის, რომ თქვენ, თანამედროვე ქართველები, გაჩუმებულნი ხართ? ან იქნებ თქვენ უკვე აღარ გაინტერესებთ თქვენი წარსული?



ვ. ნ. რეპინინას პორტრეტი.

— ამას ბევრი მიზეზი აქვს, მაგრამ... ნება მიბოძეთ მათ შესახებ გავჩუმდე.

— აა... გასაგებია... გასაგებია...

— მე მაინც სულ იმაზე ვფიქრობ, — დაიწყო ისევ კოსტომაროვმა, — რომ ამ სამეფომ, ყოველი მხრით მაჰმადიანობით გარშემოზღუდულმა, როგორ მოახერხა, როგორც თავისი არსებობის, ისე თავისი მართლმადიდებლობის შენარჩუნება?..

— ქართველებმა, განასახიერეს რა თავისი ეროვნული მეობა სარწმუნოებაში, რამდენიმე საუკუნის მანძილზე აწარმოეს თავდაცვითი ბრძოლა, მოწამებრივი გამირობით მოიტანეს მართლმადიდებლობა მე-19 საუკუნემდე, სამეფოსთან ერთად, წმინდა სახით და ჩააბარეს იგი რუსეთის უძლიერეს საბრძანებელს.

— როგორ სამეფოსთან ერთად? — მკითხა შევჩენკომ.

— ქართველთა მეფემ, ხალხის სახელით, კონტრაქტი დასდო რუსებთან სუზერენობის შესახებ.

— არა, არა! მე მაინტერესებს რელიგიური მხარე. თქვენ სთქვით, რომ მე-19 საუკუნემდე სარწმუნოება თქვენ მოიტანეთ წმინდა სახით. რას ნიშნავს ეს?

— ყოველგვარი მწვალებლობისა და ცრუმორწმუნეობის გარეშე.

— რელიგია ცრუმორწმუნეობის გარეშე? თქვენ არ გწამდათ უწმინდური ძალები და არ იბრძოდით მათ წინააღმდეგ?

— ვიბრძოდით, მაგრამ არა ისე, როგორც სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებში, სადაც მიძინვარებდა ინკვიზიცია და სადაც კუდიანობაში ბრალდებულებს ათასობით წვავენ. ჩვენ თავს ვიცავდით მხოლოდ პირჯვრის დაწერით.

— შეიძლება, ამის შესახებ სდუმან გადმოცემები?

— ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ ჩვენ არაფერს გვეუბნება არც კანონმდებლობა, არც ისტორია.

— როგორ? თქვენ წერილობითი კანონებიც გქონდათ? და არა მხოლოდ ადათები?

— რასაკვირველია, გვქონდა: მეფე გიორგი ბრწყინვალესი, აღბულა ათაბაგის, ვახტანგ მეფის და სხვ., და მათ მიხედვით წყდებოდა საქმეები.

ამ ცნობამ გააკვირვა შევჩენკო, ის უფრო ახლოს მომიჯდა, ლაპარაკის ხალისი მოემატა და დამიწყო გამოკითხვა ბევრი რამის შესახებ.

— რა ბევრი რამა აქვს საერთო ამ ხალხს ჩვენს ხალხთან! — შენიშნა მან. შევჩენკომ ამოიოხრა და დაიწყო ლაპარაკი უკრაინაზე, უნიაზე და სხვ. ლაპარაკობდა სევდიანი კილოთი, მაგრამ გამოცოცხლებული, და მე ველარ ვცნობდი მასში წინანდელ მოხუცს.

ჩვენი საუბარი გაგრძელდა ღამის 3 საათამდე. ჩვენ გავშორდით, როგორც მეგობრები და პირობა დავდევით, რომ უფრო ხშირად შევხვედროდით ერთმანეთს. მაგრამ ვაი, რომ ჩემს ბედნიერებას

აღარ ეღიროსა განხორციელება: მე ტიფით გავხდა ავად და სამ თვეს ვიწვექი ლოგინში... მას შემდეგ მე აღარ მომცემია შემთხვევა მასთან შეხვედრისა.

მხოლოდ ეს პირველი და უკანასკნელი შეხვედრა დამრჩა ნათელ მოგონებად მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე. აღვიარებ, რომ მე პირველად მისი სიტყვებადან გავიგე, თუ როგორ უნდა სამშობლოსა და საკუთარი ხალხის სიყვარული“.

ასეთია აკაკის ბევრისმთქმელი და მეტად საინტერესო მოგონება „პირველი და უკანასკნელი“ შეხვედრის შესახებ ტარას შევჩენკოსთან.

ტ. შევჩენკოსა და ა. წერეთლის შეხვედრისა და ერთმანეთს გაცნობის ამბავი უშესანიშნავესი ფურცელია უკრაინელი და ქართველი ხალხის ლიტერატურის ისტორიაში.

20 წლის აკაკი წერეთლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ფაქტს. თავისი მოგონების დასასრულს აკაკი ამბობს, რომ მას 50 წლის იუბილეზე (ბაქოში) ყოფილან მისალოცად უკრაინელები, რომლებსაც იუბილარისათვის მოურთმევიათ ტარას შევჩენკოს პორტრეტი, რამაც ძალიან გამახარაო, დასძენს პოეტი.

ამ შემთხვევის შესახებ ასეთ ცნობას გვაწვდის გაზ. „ჩვენი ხმის“, კორესპონდენტი „ღაღღას“ ფსევდონიმით 1909¹ წლის 1 იანვრის ნომერში:

¹ ლევან ასათიანი წიგნში — ცხოვრება აკაკი წერეთლისა (1953, გვ. 447) შეცდომით უთითებს გაზ. „ჩვენი ხმის“ 1900 წ. № 1-ზე. გაზ. „ჩვენი ხმის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1909 წელს 1-ლ იანვარს.

„1908 წლის 21 დეკემბერს ბაქოში, საზოგადო
საქრებულოში, ბაქოელ ქართველებს გაუმარ-
თავთ აკაკის იუბილე. 30-მდე დელეგაციას სატყ-
ვებით მიუმართავს აკაკისათვის, მათ შორის
მალაოროსიის ბაქოს კოლონიადან ეროვნულ ტანი-
სამოსში გამოწყობილ დეპუტაციას თავის ხელით
გადაუცია აკაკისათვის დიდი და ძვირფასად მორ-
თული, მათი მწერლის შევჩენკოს სურათი.
დელეგაციის მისალმებისა და საჩუქრის შესახებ
აკაკის უთქვამს: „მე მუსიკაზე მწყრაღად ვარ, არ
მწყალობს ამ მხრივ ბუნება და ამ ნაკლს მივსებდა
ყოველთვის შევჩენკო. მე სულ ახალგაზრდა ვიყა-
ვი, როცა ნატვრა ამასრულდა და შევჩენკო ვნახე,
მას უკან აღარ მანახავს. დღეის იქით ჩემ კაბი-
ნეტში მეყოლება შევჩენკო. ეს სურათი სიკვდი-
ლამდე იცხოვრებს ჩემთან“.

მართლაც, ტარას შევჩენკოს სურათი აკაკის
სიკვდილამდეც და მისი საკვდილის შემდეგაც
დარჩა აკაკის სახლში — სხვიტორში.



როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართველი საზოგა-
დოება სათანადო ინტერესითა და საცხოველით
გამოეხმაურა შევჩენკოს იუბილეს, რამდენადაც ეს
მოსახერხებელი იყო იმ დროს. მაშინდელ ჟურ-
ნალ-გაზეთებში მოთავსებულაა შევჩენკოსადმი
მაძღვნილი ლექსები და მისი ლექსების ქართული
თარგმანები, აგრეთვე მიმოხილვები შევჩენკოს
ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

გარდა პრესისა, საქართველოს მთელ რიგ ქალაქებსა და დაბებში ჩატარდა შევჩენკოს გარდაცვალების ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი ლექცია-მოხსენებები.

უკრაინასთან ერთად რუსეთი ემზადებოდა ტარას შევჩენკოს დაბადების ასი წლის იუბილესათვის. მზადება რამდენიმე წლით ადრე დაიწყო. გროვდებოდა შემოწირულებანი პოეტის ძეგლის ასაგებად, რომლის გახსნა საიუბილეო დღისათვის, 1914 წელს იყო ნაგარაუდგევი. სხვათა შორის, საქართველოშიც ემზადებოდნენ 100 წლის იუბილესათვის და აქაც გროვდებოდა შემოწირულებანი ძეგლის ასაგებად ფონდისათვის.¹

მაგრამ შევჩენკო, რომელიც საცოცხლეში რუსეთის თვითმპყრობელობისათვის საშიშ ძალას წარმოადგენდა, სიკვდილის შემდეგაც აღმოჩნდა საშიში. მეფის მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა შევჩენკოს ხსოვნისადმი პატივისცემა აღეკვეთა, მაგრამ ამაოდ.

1914 წელს მეფის მთავრობამ აკრძალა ტ. შევჩენკოს დაბადებადან ასი წლისთავის იუბილე; ამ გარემოებამ გამოიწვია მთავრობის საწინააღმდეგო რეაქცია: ეწყობა საპროტესტო კრებები და დემონსტრაციები, გამოშვებულ იქნა არალეგა-

¹ იოსებ გრიშაშვილის ცნობით, თბილისში გამართული ერთ-ერთი საღამოს მთელი შემოსავალი — 97 მან. და 60 კაპ. გადაუგზავნიათ კიევი შევჩენკოს ძეგლის ასაგებ ფონდისათვის (ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, 1952, გვ. 183).

ლური პროკლამაციები, რომელიც ვრცელდებოდა კიევისა და უკრაინის სხვა ქალაქებში. რსდმპ კიევის კომიტეტი მოუწოდებდა მშრომელებს, პატივი ეცათ შევჩენკოს ხსოვნისათვის. კიევში გაიფიცნენ სტუდენტები. კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა მოაწყეს დემონსტრაცია. უკრაინელი ამხანაგებისადმი სოლიდარობის ნაშნად პროტესტით გამოვიდნენ პეტერბურგის სტუდენტებიც.

ამის შესახებ მეტად საინტერესო და დამახასიათებელ მასალებს ვხვდებით მაშინდელ ქართულ გაზეთებში:

„მოსკოვი. შევჩენკოს საიუბილეო კომიტეტმა 19 თებერვალს ათათბირა შევჩენკოს დაბადების 100 წლის შესრულების გამო, დღესასწაულის მოწყობის თაობაზე. კომიტეტი შემდეგ გადაწყვეტილებას დაადგა: განსაკუთრებული პირობების გამო (ხაზგასმულია ჩემ მიერ, — გ. ნ.), რომელიც ნებას არ აძლევს კომიტეტს შესაფერისად მოაწყოს დღესასწაული, კომიტეტი ვერ სცნობს შესაძლოდ რაიმე დღესასწაული გამართოს მოსკოვში, ამის გამო, უარს ამბობს შევჩენკოს პატივსაცემად რაიმე საჯარო დღესასწაულის გამართვაზე.

ხარკოვი. ხარკოვის საეპარქიო სამღვდლოებამ და სასულიერო სასწავლებლებმა განკარგულება მიიღეს, შევჩენკოს დაბადებიდან 100 წლის თავის შესრულების გამო გამართულ დღესასწაულში მონაწილეობა არ მიიღონ.

ოდესა. სალექციო კომიტეტს „შევჩენკოსა და მისი შემოქმედების“ შესახებ ლექციების კითხვა აეკრძალა.

ჩერნიგოვი. კონსისტორიამ¹ მთელი ეპარქიის სამღვდელოებას მისწერა, რომ არას გზით არ გაბედონ შევჩენკოს იუბილეს დღეს მისი სულის მოსახსენებლად პანაშვიდებას გადახდა.

აკრძალვა დასაბუთებულია მით, რომ შევჩენკოს თხზულებანი სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. ოლქის მზრუნველმა საერობო სასწავლებლებს ცირკულარები გაუგზავნა, სადაც წინადადებას აძლევს შევჩენკოს იუბილეს დღეს სწავლა ჩვეულებრივ წარმოებდეს.

კამენეც-პოდოლსკი. გუბერნატორის მოთხოვნით საბჭოს. მორიგ კრების განსახილველი საგნებიდან გამორიცხეს საბჭოს კომისიის მოხსენება შევჩენკოს იუბილეს გამო.

ფიტომირი. საბჭოს კრების დროს. ქალაქის მოურავმა მიზეზის განუმარტებლად მოხსნა რამდენიმე ხმოსნის მიერ აღძრული საკითხი შევჩენკოს იუბილეს დღესასწაულის შესახებ².

„ნაციონალისტები და შევჩენკოს იუბილე. კიევის ქალაქის საბჭომ შეიმუშავა შევჩენკოს იუბილეს გადახდის პროექტი. კიეველი ნაციონალისტები ამის გამო ქალაქის საბჭოს წინააღმდეგ

¹ კონსისტორია — სასულიერო დაწესებულება ეპარქიაში.

² „სახალხო გაზეთი“, 1914 წ., № 1125.

ილაშქრებენ. მათ ორგანოში „კიევი“ მოწოდებაც კი დასტამბეს. ამ მოწოდებაში მიმართავენ ხალხს და ურჩევენ — არ შეიწყნარონ იმის საფლავზე ძეგლის დადგმა, ვინც სეპარატაზმის აზრს აშკარად ქადაგებდა და, ვინც თვითმპყრობელობის დაუძინებელი მტერი იყო. შევჩენკო ეკლესიის დამქოლველი და ქრისტიანობის გამრყენელი მასწავლებელიც იყო. გაზეთი მთავრობას ურჩევს — შეცდომა გაასწოროს და ძეგლის დადგმის უფლება არ მისცეს. გაზეთი მონარქისტულ ორგანიზაციებს, ახალგაზრდობას, ქალებს და ეკლესიის მცველებსაც მოუწოდებს — ხმა ამოიღონ ამის შესახებ და პროტესტი გამოაცხადონ. წერილი ასე თავდება: „აღსდეგი, მართლმადიდებელი რუსეთის კიევი, ერთგულთ თვისა მეფეებისა და ბოგდან ხმელნიცკის ძეგლის ამგებო, როგორც ერთი კაცი, თამამად და უშიშრათ განაცხადე იმ სამარცხვინო შეურაცხყოფაზე, რომელსაც გამზადებენ. გააღვიძე მძინრები, თვალი გაუხილე ბრმებს, აღსდეგი ეკლესიისა და სახელმწიფო სიწმინდის დასაცველათ და ნუ მისცემ ნურავის ნებას, შენი წმინდათაწმინდის შეურაცხყოფის“. ამ წერილმა მთავრობის წრეებში დიდი გავლენა მოახდინა. მთავრობამ მოსთხოვა ქალაქის საბჭოს პროგრამა შევჩენკოს დღესასწაულისა“¹.

„შევჩენკოს იუბილე. პეტერბურგში მყოფმა

¹ გაზ. „ერი“, 1914 წ., № 22, ქუთაისი.

კიევის ქალაქის მოურავმა დიაკოვმა თავის თანა-
შემწეს ასეთი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნა:
შევჩინკოს დაბადებულან ასი წლის შესრულების
გამო დღესასწაული, პანაშვიდი და ძეგლის კურთ-
ხევა არ იქნება. ეს დეპეში პასუხი იყო მიხი თანა-
შემწეს შეკითხვისა: გაიგეთ მაღალ სფერებში რა
აზრისაც არიან შევჩინკოს იუბილეს შესახებო?«¹

„ტარას შევჩინკოს იუბილე. ქ. კიევში 25 თე-
ბერვალს სოფიის სობოროს სამღვდელოებამ უარი
განაცხადა ტ. შევჩინკოს პანაშვიდი გადაუხადოს.
წირვის გათავების შემდეგ თეატრის მოედნიდან
დიდძალა ხალხი დაიძრა დემონსტრაციის მოსახ-
დენად. სობოროსთან მოდარაჯე ცხენოსანი პოლი-
ციელები გაეშურნენ დემონსტრანტების წინა-
აღმდეგ. ხალხი „ნაგაიკებით“ გაფანტეს... უნი-
ვერსიტეტში, პოლიტექნიკუმში, ქალთა უმაღლეს
კურსებზე, საექიმო ინსტიტუტში და საკომერციო
ინსტიტუტში სტუდენტების კოალიციურმა საბჭომ
მოწოდებები გაავრცელა და მოუწოდებდა ერთი
დღით გაფიცვისაკენ. ყველა უმაღლესი სასწავლე-
ბელი გაიფიცა. საკომერციო ინსტიტუტში მოხდა
მცირე შეტაკება სტუდენტებსა და პოლიციას
შორის...

მთელი დღის განმავლობაში მოხდა 30 დე-
მონსტრაცია. არიან დაჭრილები, ცხენებით დასა-
ხიჩრებულნი, დატუსადებულაა სულ 70 კაცი,
უმეტეს ნაწილად — სტუდენტები.

¹ გაზ. „ერი“, 1914 წ., № 31.

უკრაინული კლუბი ნიშნად მწუხარებისა და-
კეტილა.

უკრაინულ საზოგადოებებმა მრავალი წერილი
და დეპეშა მიიღეს ტ. შევჩენკოს დაბადებიდან
ასი წლის შესრულების გამო.

დემონსტრანტების საწინააღმდეგოდ მემარჯვე-
ნეებმა მანიფესტაცია მოახდინეს, მოქონდათ მე-
ფის სურათი და ხატები...

მთელი დღე კიევი სამხედრო ბანაკს წარმოად-
გენს¹.

იმავე გაზეთის 5 და 6 მარტის № 4 და № 5-ში
მოთავსებულია მ. როკითელის „წერილი
ხარკოვიდან“, რომელიც იუწყება, რომ „25 თე-
ბერვალს, უკრაინელებმა ფურცლები გაავრცელეს
და სტუდენტებს მოუწოდებდნენ აღენიშნათ ეს
დღე ქუჩაზე დემონსტრაციის მოხდენით. ამ დღეს,
როგორც მკითხველს მოეხსენება, ასი წელი უხდე-
ბა დაბადებიდან უკრაინის დიდებულ პოეტს ტა-
რასი გრიგოლის ძე შევჩენკოს. ეს დღე უკრაინე-
ლებისათვის დიდ სადღესასწაულო დღეს წარ-
მოადგენდა და ახლაც წარმოადგენს, მაგრამ აღმი-
ნისტრაციის წყალობით ამ დღის აღნიშვნა — ლი-
ტერატურული დილა იქნება თუ საღამო — აკრძა-
ლულია და ამიტომ პროტესტის გამოცხადებით
სურთ ეს დღესასწაული აღნიშნონ...

დღის 10 საათი იქნებოდა, რომ უნივერსიტე-

¹ გაზ. „აზრი“, 1914 წ., № 3.

ტის ეზოში გაიხმა გალობის ხმა, ააფრიალეს შავად მორთული შევჩენკოს სურათი, ისმის გალობა „ვეჩნაია პამიატის“, „მარსელიოზას“, უკრაინელებმა იგალობეს „ქალიბნი მარში“ და „ზაპივიტ“... შემდეგ კრება დაიშალა და გაემართა ქუჩაზე...

როგორც გადმოგვცეს, შევჩენკოს დღესასწაულის მოახლოების გამო დაუტუსაღებიათ რამდენიმე სტუდენტი და კურსისტკა. მათ შორის, როგორც წერილშია აღნიშნული, ყოფილან ქართველი სტუდენტებიც: ლადო სიჭინავა, ივანე ლორთქიფანიძე და ვარლამ შარვაშიძე“.

„კიევი. შავრაზმელთა გამოსვლები გრძელდება. 27 თებერვალს 2 საათზე სტუდენტ შავრაზმელებმა გოლუბევის მეთაურობით მანიფესტაცია მოახდინეს. შევჩენკოს სურათი ფეხქვეშ გათელეს და მერე ის დასწვეს“¹.

„არეულობა უნივერსიტეტში. კიევში, შევჩენკოს დღესასწაულის გამო მთავრობამ დაატუსაღა უმაღლესი სასწავლებლების დიდძალი მოსწავლე ახალგაზრდობა. ამის გამო 3 მარტს მოსწავლეთა კოალიციურმა საბჭომ ფურცლები გამოუშვა და ნიშნად პროტესტისა უმაღლეს სასწავლებლებში საში დღით გაფიცვა გამოაცხადა. ყველა უმაღლეს სასწავლებლებში პოლიციელები დგას. სტუდენტები ლექციებს არ ესწრებიან“².

„შევჩენკოს დღესასწაულის გამო. ორ მარტს ქ. კურსკში, ეკლესიაში შევჩენკოს პანაშვიდი გადაი-

1 გაზ. „აზრი“, 1914 წ., № 4.

2 გაზ. „აზრი“, 1914 წ., № 8.

ხადეს. პოლიციამ სუყველანი დაატუსაღა და ან-
თებული სანთლებით ეკლესიოდან გუბერნატორ-
თან წაიყვანა. რამდენიმე ხნის შემდეგ მათთან გუ-
ბერნატორი მურატოვი გამოვიდა და უთხრა: მე,
ჩემს საბრძანებელში, არავის ნებას არ მივცემ სე-
პარატისტული დემონსტრაცია გამართონ, ამ ერთ-
ხელ მიპატიებია, მხოლოდ შემდეგში არ გაიმეო-
როთო. ამის შემდეგ ყველა გადაწერეს და გაანთა-
ვისუფლეს. დატუსაღებულთა შორის მხოლოდ 3
აღმოჩნდა მალოროსიელი¹.

გაზეთ „აზრის“ კიეველი კორესპონდენტი ა რ-
გ უ ს ი აღწერს ტარას შევჩენკოს პატივსაცემად
25 — 26 თებერვალს კიევში გამართული სტუდე-
ნტთა დემონსტრაციის მიმდინარეობას და, დასას-
რულს, დასძენს, ასზე მეტი სტუდენტია დაპატიმ-
რებული და მათ შორის ხუთიოდე ქართველი იქ-
ნებაო.

ქუთაისის გაზეთი „ჩვენი ერი“ (1914 წლის 10
აპრილის № 18) აქვეყნებს ოდესის უნივერსიტე-
ტის სტუდენტის ს ო ს ო ა ს ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს²
(1892 — 1955) წერილს „ქართველი სტუდენტობა
ოდესაში და მათი ყოფა-ცხოვრება“.

ამ წერილში ვკითხულობთ:

„25 თებერვალს ასი წელი შესრულდა უკრაინე-
ლი მგოსნის ტარას შევჩენკოს დაბადების დღიდან.

¹ გაზ. „აზრი“, 1914 წ., № 8.

² ს ო ს ო (იოსებ) ა ს ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი — საზოგადო მო-
ღვაწე, ექიმი, მთამსვლელი და მკვლევარი.

ტ. შევჩენკო მამაა უკრაინელთა პოეზიის; ეს ასი წლის დღესასწაული აკრძალული იყო მთავრობასაგან, მაგრამ მაინც დიდეს ალტაცებით შეხვდა უკრაინის ერი ამ დღეს. კიევი — დედაქალაქი უკრაინისა, ამ დღეს წარმოადგენდა ზღვას ხალხისას, რომელიც დემონსტრაციებით და პროტესტით შეხვდა მთავრობის განკარგულებას. უკრაინელთა სტუდენტობას მხარი დაუჭირა მთელი რუსეთის სტუდენტობამ, და გაფიცვების გამოცხადებით პროტესტი განაცხადა. ამ პროტესტს მიემხრო აგრეთვე ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტობა და 25 თებერვალს ერთი დღით გაფიცვა გამოაცხადა და ღებეშით მიეგება უკრაინელების დღესასწაულს. ქართველი სტუდენტობა არ დარჩა განზე. მისგან ეს დღესასწაული უკრაინელებისა უფრო აღსანიშნავი იყო, ვიდრე სხვებისთვის. და ქართველებმაც უკრაინულ გაზეთ „რადას“ ღებეშა გაუგზავნეს, რომელიც ვერაფრად ეპიტნავათ ზოგიერთ გაზეთებს... 9 მარტის „რუჟკაია რეჩის“ ნუმერში მოთავსებული იყო დიდი წერილი, სადაც ავტორი წერილისა ვინმე „სკრომნი“ საზიზღარ სიტყვებით გვლანძღავს ქართველებს“...

1914 წლის მარტში მთავრობის განკარგულებით დაიხურა გაზ. „ერი“; დაახლოებით ერთი თვის შემდეგ იწყო გამოსვლა გაზეთმა „ჩვენი ერი“, რომელმაც გააკეთა მიმოხილვა „13 თებერვლიდან 13 მარტამდე“. „Vivat“-ის¹ ხელმოწერით ამ მიმო-

¹ ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის გივი მოქაძის ცნობით „Vivat“ ფსევდონიმია გუცა ფარქოსაძის,

ხილვაში ვკითხულობთ: „ასი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც უკრაინაში დაიბადა შესანიშნავი მამულიშვილი — მგოსანი ტარას შევჩენკო, რომლის ღირსი ტანჯული მამულის საკეთილდღეოდ ყდერდა და რომლის მისწრაფებას მშობელი ქვეყნის ხსნა შეადგენდა. ჩვენი ტანჯული ქვეყნის არ იყოს, არც უკრაინას ახსოვს ბედნიერი წამები მას შემდეგ, რაც მის პოლიტიკურ თვითარსებობას საფრთხე შეექმნა. მისმა ასეთმა მდგომარეობამ არა ერთი და ორი უებრო მამულიშვილი წარმოშვა, მაგრამ მათ შორის პირველი ადგილი ტარას შევჩენკოს უკავია, რომლის ღირსი მშობელი უკრაინის ველ-მინდვრებს დახაროდა და მამულის მწარე ხვედრით გამოწვეულ სევდას დნეპრის ტალღებს უნაწილებ-

პოეტი, ჟურნალისტი და მთარგმნელი გუცა ფარქოსაძე (1892 — 1949) 1909 წლიდან გაზეთებში: „ცნობის ფურცელი“, „თემი“, „კოლხიდა“, „იმერეთი“, „სახალხო გაზეთი“, „ხალხის მეგობარი“, „კომუნისტი“, „მუშა“, „წითელი ვარსკვლავი“, ჟურნალი „ტარტაროზი“ — და სხვებში ათავსებდა ლექსებს, ლიტერატურულ წერილებს და სხვ. „იმერის“, „პასიეთელის“, „გ. რიონიძის“, „უჩარდიას“ და „გუცას“ ფსევდონიმებით.

1926 — 1927 წლებში გაზ. „მუშაში“ დაიბეჭდა გუცა ფარქოსაძის მიერ თარგმნილი ლორენს დესპერის რომანი „გუძონის ნაპირებზე“.

მის პირად არქივში დაცულია გამოუქვეყნებელი ლექსები, მოგონებები (აკაკი წერეთელზე) და სხვა საინტერესო მასალები, რომელიც თავაზიანად გვიჩვენა განსვენებულის მეუღლემ მარიამ ფარქოსაძემ.

და... კარგა ხანია ღნეპრმა დაკარგა გულის მესაი-
ღუმლე, მაგრამ არ მომკვდარა ის საიდუმლო, რომელიც
მგოსანმა ღნეპრს გაანდო, არ მომკვდარა ის შემოქმედება,
რომელიც მამულს მსხვერპლად ეწირებოდა, უმნიშვნელოდ არ ჩაუვლია მისი ჩან-
გის ქლერას და ღღეს, მისი დაბადებიდან ას წელს
შემდეგაც კი, მას არა თუ მარტო უკრაინელები,
სხვაც ბევრი გამოეჩმაურა.

შევჩენკოს ღღესასწაულმა და მის მიერ გამო-
წვეულმა ამბებმა ერთხელ კიდევ დაარწმუნა ყვე-
ლა, რომ რწმენა დიადი, სიყვარული დიადი მამუ-
ლისადმი, ისეთი რამ არ არის, რასაც რაიმე ძალა-
დობა სპობდეს, რომ მშობელი ქვეყნის სიყვარუ-
ლი და მისი დამოუკიდებლობისადმი ღტოლვა
ისეთი რამ არაა, რასაც მახვილით აღმოკვეთ ხალ-
ხის გულიდან, რასაც თოფის კონდახით ჩაახშობ
და ძალმომრეობით მოსპობ, გაანადგურებ. უკრაინის
ღღევანდელი ბატონპატრონი ბევრს ეცადენ, სამარე
გაეთხარათ იმისათვის, რაც შევჩენკოსი და
სხვა მის თანამემამულეთა იდეალს შეადგენდა.
მაგრამ ყოველმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა, შევ-
ჩენკოს მუზის მიერ დატოვებული და დამჩნეული
კვალის აღმოფხვრას შეეცადა ყველა, ბიუროკრა-
ტიის წარმომადგენლებიდან დაწყებული „სოიუზ-
ნიკ გოლუბევამდე“, მაგრამ ის, რაც საუკუნოებით
ქმნილა, რაც ხალხის გულში ღრმად ჩაჭრილა,
ღღეს ასე უცბად და ასე ადვილად ვერ მოსპეს.
თითქმის ქალაქი არ დარჩენილა რუსეთში, სადაც

რითმე მაინც არ აღენიშნათ მგოსნის დღესასწაუ-
ლი და უკრაინის გულში, კიევი, ხომ მანიფესტა-
ციებმა საგრძნობი ხასიათი მიიღო.

ამ დღესასწაულმა ერთხელ კიდევ დაგვანახა,
რომ ძალადობა ძალას ვერ მოსპობს, უსამართლო-
ბა ჭეშმარიტებას ვერ დათრგუნავს და უფრო ად-
ვილია ხალხის ფიზიკურად ამოხოცვა, ვიდრე მისი
სულიერათ მოკვლა და მოსპობა¹.

მიუხედავად მეფის მთავრობის მიერ იუბილია
აკრძალვისა, უკრაინის მუშებმა მაინც აღნიშნეს
შევჩენკოს ხსოვნა.

1914 წლის 26 თებერვალს ხარკოვის გუბერ-
ნატორი სწერს პოლიციის დეპარტამენტს: „დღის
2 საათზე ორთქლმავალმშენებლობის ქარხნის თბო
საამქროს 270 მუშამ დასტოვა თვითნებურად სა-
მუშაო, ამასთან განაცხადეს, რომ ისინი მიდიან
სახლებში მწერალ შევჩენკოს 100 წლის იუბი-
ლის შემთხვევის გამო“.

ასე, რომ იუბილის აკრძალვამ გამოიწვია მთავ-
რობის საწინააღმდეგო რეაქცია.

ლ ე ნ ი ნ ი ამის გამო წერდა სტატიაში — „ნა-
ციონალური პოლიტიკის საკითხები“, „შევჩენკოს
საპატივცემლო ზეიმის აკრძალვა ისეთი ჩინებუ-
ლი, საუცხოო, უაღრესად საბედნიერო და მარჯვე
ზომა იყო მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციის
თვალსაზრისით, რომ უკეთესი აგიტაციის წარ-
მოდგენაც კი შეუძლებელია. მე მგონია, მთავრო-

¹ გაზ. „ჩვენი ერი“, 1914 წ., № 1, ქუთაისი.



„მეფანდურე“.

ბის წინააღმდეგ მოქმედი ყველა ჩვენი საუკეთესო სოციალ-დემოკრატი აგიტატორები ვერასოდეს ვერ მიაღწევდნენ ასე მოკლე ხანში ისეთ თავბრუს-დაძახვევ წარმატებებს, როგორსაც ამ ზომამ მიაღწია მთავრობის საწინააღმდეგო აზრით. ამ ღონისძიების შემდეგ მილიონობით „ობივატელები“ უკვე შეგნებული მოქალაქეები ხდებიან და რწმუნდებიან იმ გამონათქვამის სისწორეში, რომ რუსეთი „ხალხთა საპყრობილეა“¹.

ტარას შევჩენკოს დაბადებიდან ასი წლისთავის იუბილესათვის უკრაინასთან ერთად ემზადებოდა „მის ბედქვეშ მყოფი“ საქართველოც. იუბილეს აკრძალვის მიუხედავად, ქართული პრესა გულმხურვალედ გამოეხმაურა ამ თარიღს.

„სახალხო გაზეთი“ 1914 წლის № 1125-ის მესამე გვერდზე ხუთ სვეტს უთმობს შევჩენკოს ხსოვნისადმი მიძღვნილ მასალებს. „კორდელი“ (კალე ქლენტი) წერილი „ტ. გ. შევჩენკო“ აცნობს მკითხველს პოეტის ბიოგრაფიას, სადაც ხაზგასმულია „უანგარობა და მხურვალე სიყვარული სამშობლოსადმი, რომლითაც სავსე იყო მზრუნველი გული კეთილშობილი პოეტისა“. მისი ყოველი ნაბიჯი, სიტყვა, საქმე იქითკენ იყო მიმართული, რომ:

კვლავ გვიყვარდეს ჩვენ უკრაინა,
ტკბილ სამლოცველო სამშობლო ჩვენი,

¹ ვ. ლენინი, თხზულებანი, ტომი 20, სახელგამი, თბილისი, 1951, გვ. 260 — 261.

იმას შეესწიროთ მძიმე ტანჯვაში
სიყვარული და სიცოცხლის დღენი.

- იქვეა შევჩენკოს ლექსები თარგმნილი განდევნილის (დომინიკა ერისთავი, 1865 — 1929), ს. ფაშალიშვილის, ი. მჭედლიშვილისა (1888 — 1950) და ბაბილინას მიერ.

„განდევნილს“ უთარგმნია „კავკასის“ ნაწყვეტი. ის შეიცავს სულ 10 სტრიქონს; ეს არის პირველი ცდა შევჩენკოს პოემა „კავკასის“ ქართულად თარგმნის. შემდეგ ეს პოემა თარგმნეს ნიკოლოზ მიწიშვილმა; კონსტანტინე ლორთქიფანიძემ და ლადო ასათიანმა (1917—1943); „სახალხო გაზეთის“ ამ ნომერშია ბაბილინას (ხოსტაშვილი — იროდიონ ევდოშვილის და) ნათარგმნი ლექსი „მუზა“.

რევოლუციის შემდეგ ეს ლექსი თარგმნა იასაშვილმა. ის შევიდა ტ. შევჩენკოს ლექსებისა და პოემების კრებულში (1939 წ., გვ. 352 — 353).

იმავე გაზეთშია ს. ფაშალიშვილის მიერ თარგმნილი ორი ლექსი — „მწვანე ტყის სიღრმეში“ და „ვინ უწყის“. და კიდევ ი. მჭედლიშვილის მიერ თარგმნილი ერთი ლექსი ამავე ნომერში ასეა დასათაურებული „ლექსი შევჩენკოდან“, რომლის ორ სტროფს: ერთს — დასაწყისს და მეორეს — დასასრულს ვათავსებთ აქვე:

1 თარგმანი სიკო ფაშალიშვილისა.

სამშობლოსკენ მიმავალი დაკარგა გზები,
ველარ ვნახავ უკრაინას, უცხოეთს მოვეკვდები,
თვითონ მევე წილად მხედება ეს სიძლიერა,
მძიმედ მაწევს გულს სიმღერა, სიამე წამერთო.
მხოლოდ ერთს შევსთხოვ ღმერთსა, დუმილში
მყოფელი:
ვსთხოვ, არ მომცეს უცხოეთში ჰე სამარე
ბნელი,
რომ სიცოცხლის ბოლო მაინც, მკვნარმა

ტყვეობაში,
გავატარო ჩემ სამშობლო ტყბილ უკრაინაში.

„სახალხო გაზეთი“ განაგრძობს ტარას შევჩენკოს პოპულარიზაციას. ის ათავსებს (1914 წლის № 1126 და 1127) ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის, ამჟამად ცნობილი მეცნიერის პროფესორ ალექსანდრე წერეთლის მეტად საინტერესო სტატია-ფელეტონს, რომელსაც უკავია გაზეთის ორივე ნომრის სარდაფი.

წერილის სათაურია „ტარას გრ. შევჩენკო (დაბადებიდან 100 წლისთავის გამო)“. ამ წერილის შესავალ ნაწილში ვკითხულობთ:

„მიმდინარე თებერვალს 25-ს ასი წელი შესრულდა დღიდან უკრაინის დიდებული მგოსნის ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკოს დაბადებიდან. მკითხველებს ალბათ ემახსოვრებათ ის, თუ როგორი ზეიმით სურდათ უკრაინელებს სასიქადულო თანამემამულის ხსოვნის აღნიშვნა, მაგრამ მათ მისწრაფებას წინ გადაეღობა პთავრობა და აკრძალულ იქნა არამც თუ დღესასწაული, არამედ განთ-

ქმულ პოეტის სულის მოსახსენებლად პანაშვიდების მოწყობაც კი. ამის შესახებ ერთი უკრაინელი პროფესორი მწარედ მეუბნებოდა: „ჩვენი, უკრაინელების, ისტორია ძლიერ ენათესავება ქართველების ისტორიას; თქვენი არ იყოს, ჩვენი ისტორიის ფურცლებიც უმეტეს ნაწილად სამგლოვიარო არშინთ არის შემოხაზული... ჩვენი ხალხის სურვილს, დაიცვას თავისი ენა და შეინარჩუნოს საუკუნოებით შექმნილი ეროვნული თავისებურობა, ამ მხრივაც უკრაინელი ხალხი არანაკლებ დევნას განიცდის, ვიდრე მასავით წამებული ქართველი ერი... ხომ მოგეხსენებათ, როგორ შეხედეს შევჩენკოს საპატივცემლოდ განზრახული დღესასწაულის გამართვას... თქვენ, ქართველებს შეძლება გქონდათ შესაფერისი პატივი გეცათ თქვენი ეროვნული სიამაყის, მხცოვანი მოხუცი აკაკისათვის, ჩვენ კი დღეს აწ უკვე კარგა ხნის მიცვალელებულ სათაყვანებელ თანამემამულის სულიან მოხსენებაც აგვიკრძალებს...“

ალ. წერეთელი მკითხველს აცნობს ტ. შევჩენკოს ბიოგრაფიას და მოღვაწეობას;

ბოლოს ავტორი ასკვნის, რომ ბედმა წილად არ არგუნა ამ ყმების ჭირისუფალს, თავისი თვალით ენახა მონობის უღლისაგან განთავისუფლებულ გლეხთა სიზარულის ცრემლები!...

¹ როგორც ვიცით, ტ. შევჩენკო გარდაიცვალა 1861 წლის 10 მარტს, ხოლო მეფის მანიფესტით ბატონყმობა გაუქმებულ იქნა იმავე წლის 18 მარტს.

ალ. წერეთელი ასე ამთავრებს თავის სტატიას: „შევჩინკოს სახელი ძვირფასია უკრაინელებისათვის არა მარტო, როგორც მგოსნისა, არამედ, როგორც უდიდესი მამულიშვილისა, რომელსაც ღრმად უყვარდა თავისი ერი და რომლის აღორძინებას შეაღია თავისი კურთხეული ნიჭი და ენერგია“.

შევჩინკოს დაბადების 100 წლისთავს გამოეხმაურა გაზეთი „თეში“ (1914 წლის № 166), რომლის რედაქტორი იყო გრიგოლ დიასამიძე. გაზეთი ფ. სიბირსკის ხელმოწერით პირველ გვერდზე ბეჭდავს მოზრდილ წერილს — „კავკასია და ტარას შევჩინკოს იუბილე“.

ავტორი აყენებს საკითხს, თუ „რა უნდა იყოს საერთო მდინარე დნეპრის სილამაზის მგოსანსა, ზაპოროჟელების შეუპოვარ ხასიათსა, უკრაინის მძიმე ზვედრსა და კავკასიას შუა“? და უპასუხებს: „შევჩინკო მსოფლიო გენიოსია, ერთი იმ ბუნებისაგან ნაკურთხთაგანი, რომელნიც საუკუნეში ერთხელ იბადებიან. უკრაინას კი არა, არამედ მსოფლიოს ეკუთვნის მისი შემოქმედება... კავკასიის ერებს უფრო გრძნობიერად, უფრო ადვილად უნდა ესმოდეთ შევჩინკოს პოეზია... შევჩინკო მარტო ერის თავისუფლებისათვის მებრძოლი მგოსანი კი არ არის, არამედ ის ხალხთა ძმობის მგოსანია. მისი ძლიერი ჩანგი მასასა მოუწოდებს ერების თავისუფალ და მეგობრულ საერთო ცხოვრების დასამყარებლად.“

ყოველ ერს აქვს უფლება ნაციონალური ცხოვრებისა. ყოველ ერს მართო უფლება კი არა აქვს, არამედ იგი მოვალეცაა იბრძოდეს. უკანასკნელ სიახლის წვეთამდე თავისი ეროვნული ცხოვრების სახის შესანარჩუნებლად იქ, სადაც ძლიერი თავხედურად სჩაგრავს სუსტ ეროვნების თავისუფლებას. იქ მკაცრი ისტორია ჰბადებს „გონტას“ და „ზალეზნიკს“¹, იქ ხალხის ზღვიდან გამოდინან „გალაიდები“...

აქ, კავკასიაშიც, სადაც მეტად საგრძნობლად მძვინვარებს გამარუსებელი ტენდენცია, შექმნილი რუსეთის ცხოვრების დღევანდელი (ლაპარაკია 1914 წლის შესახებ, — გ. ნ.) პატრონებისაგან... სადაც ცდილობენ გააღვიონ ძველი ერთაშორისო შუღლის ნაპერწკალი, აქ ეს ქადაგებაც მეტად საჭიროა“².

უცნობმა მთარგმნელმა X-ის ფსევდონიმით 1914 წელს თარგმნა „ლექსები ტარას შევჩენკოდან“ — „მოთხრილი საფლავი“ და „ჩემო ბრწყინვალე ქვეყანავ“³.

შევჩენკოს საიუბილეო დღეებს გამოეხმაურა ყოველკვირეული სალიტერატურო-კარიკატურებიანი ჟურნალი „ლახტი“, რომელმაც 1914 წელს (№ 1) პირველ გვერდზე მოათავსა ტარას შევჩენკოს სურათი და ბიოგრაფია.

¹ ლაპარაკია აჯანყებული გლეხების მეთაურებზე — ივანე გონტასა და მაქსიმ ჟელეზნიაკზე. — გ. ნ.

² გაზ. „თემი“, 1914 წ., № 166.

³ გაზ. „ივერეთი“, 1914 წ., № 2, ქუთაისი.

1914 წლის 11 აპრილს¹, პარასკევს, თბილისის სახალხო სახლთან (ამჟამად მარჯანიშვილის სახილობის თეატრი) არსებულ უკრაინელთა დრამატულ წრეს ტარას შევჩენკოს დაბადებულან ასოწლის შესრულების აღსანიშნავად საღამო გაუმართავს. როგორც ნ. ინდოაშვილი² იუწყება „დამსწრე უკრაინელთ რაღაც არაჩვეულებრივი სიმხიარულე ეტყობოდათ, ბევრი მათგანი ნაციონალური ტანისამოსით გამოწყობილიყო“. საღამო ხუთ განყოფილებად ყოფილა განაწილებული. პირველ განყოფილებაში დაუდგამთ აპოთეოზი ცოცხალი სურათით შევჩენკოს ბიუსტთან; ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილმა გუნდმა შეასრულა უკრაინული კანტატა. მეორე განყოფილებაში მოუსმენიათ რეფერატი — შევჩენკოს ბიოგრაფია. რეფერენტს აგრეთვე დაუხასიათებია

1 ი. გრიშაშვილი „ლიტერატურული ნარკვევების“ 185-ე გვერდზე, ლ. ასათიანი (ა. ზარამიძის, ლ. ასათიანის, ბ. ჟღენტის, „საქართველოსა და უკრაინის კულტურული ურთიერთობის ისტორიის“ მე-40 გვერდზე) და ვ. იმედაძე გაზ. „კომუნისტის“, 1938 წლის № 241-ში მოთავსებულ წერილში — „ტარას შევჩენკო და აკაკი წერეთელი“, წერენ: 1914 წლის 15 აპრილს, სახალხო სახლში გაიმართა შევჩენკოსადმი მიძღვნილი საღამო, ნამდვილად კი საღამო გაუმართა 1914 წლის 11 აპრილს, პარასკევს, როგორც ამის შესახებ იუწყება „სახალხო გაზეთის“, 1914 წლის, სამშაბათის, 15 აპრილის № 1162-ში ნ. ინდოაშვილის წერილ-რეპორტაჟი საღამოს ჩატარების შესახებ.

² „სახალხო გაზეთი“, 1914 წ., № 1162.

უკრაინის ხალხის მდგომარეობა XII საუკუნიდან მეოცემდე.

ამის შემდეგ სცენაზე გამოსულა ჩვენი მგოსანი აკაკი წერეთელი, რომლის შესახებ „ათეშა, სხვა-თაშორის აუწყებდა ხალხს, რომ სადამოში მონაწილეობას მიიღებს ქართველი პოეტი აკაკი, რომელიც პირადად იცნობდა „ბატკო“ შევჩენკოს“¹.

იოსებ გრიშაშვილის ცნობით, როცა აკაკი გამოვიდა სცენაზე „ოვაციებს საზღვარი არ ჰქონდა. როცა ტაშის ცემა შეწყდა, აკაკიმ დაიწყო: „Да, Я лично знал батько Тараса Григорьевича Шевченко“... ამ სიტყვის თქმა იყო და ახალი ტაშის ჭექა-ქუხილი. ხალხი წამოდგა და, ვიდრე აკაკი თავის მოგონებას დაათავებდა, ფეხზე იდგა. ჩვენი პოეტის ლამაზი და შინაარსიანი სიტყვა აუდიტორიამ ფეხზე დგომით მოისმინა. უკრაინელები პარტერში მყოფ ქართველებს ეხვეოდნენ და კოცნიდნენ. ჭეშმარიტად ეს იყო პროტესტი ცარიზმის პოლიტიკისადმი, რომელიც კრძალავდა შევჩენკოს სახელის ხსენებასაც კი; ეს იყო ორი ერის ერთნაირი გრძნობით გამსჭვალვა, თავისუფალი ამოძახილი და სამშობლოს დროშის ქვეშ გმირული დარაზმვა, სიყვარულით გაერთიანება... აკაკიმ მიულოცა უკრაინელებს მათი ეროვნული დღესასწაული და სიამოვნებით მოიგონა ის დრო, როდესაც პეტერბურგში შემთხვევა მიეცა გაეცნო ტარას

¹ ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, 1952, გვ. 183.

შევჩინკო, რომელსაც იმისთანავე წრფელი და უანგარო სიყვარული უღვივოდა გულში ხალხისადმი, როგორც ჩვენ მგოსანს. მერე აკაკი შეეხა შევჩინკოს მოღვაწეობის დახასიათებას და განმარტა ის, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის უკრაინელი ერის წინაშე.

აკაკიმ თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: გაცვარდეთ თქვენი სამშობლო და დედა-ენა ისე, როგორც განსვენებულ შევჩინკოს უყვარდა, რადგან მისი ხსოვნისათვის ეს საუკეთესო ჯილდო და ხელთუქმნელი ძეგლი იქნებაო“.

სიტყვის წარმოთქმის შემდეგ „აკაკი მიუახლოვდა სცენის შუაგულში დადგმულ შევჩინკოს ბიუსტს, მუხლი მოიყარა მის წინაშე და პატრიარქის წინაშე დახარა ჭაღარა თავი“, რასაც საზოგადოება ტაშის გრძლით შეხვედრია.

ამის შემდეგ წარმოდგენილი ყოფილა ტ. შევჩინკოს პიესა „ნაზარ სტოდოლიას“ I მოქმედება; მისი პოემებიდან კრაპივნიცისა და ტოგობოჩნოგორის მიერ „ნევილნიკიდან“ გაღმოკეთებული IV მოქმედება და „ნაიმიჩკას“ I მოქმედება.

საკონცერტო განყოფილებაში წაუჭიბხავთ ტარას შევჩინკოს რამდენიმე ლექსი და შეუსრულებიათ უკრაინული სიმღერები¹.

პოეტის საიუბილეო დღეებში ტ. შევჩინკოს ცხოვრება და შემოქმედება განიხილეს აგრეთვე და თ ი კ ო ი ვ რ ე ლ მ ა (დავით ნახუცრიშვილ-

¹ „სახალხო გაზეთი“, 1914 წ., № 1162.

მა) და კრიტიკოსმა ი. პ. ოლიტე ვართაძე
გ ა ვ ა მ. 1914 წელს განახლებულ ჟურნალში
„თეატრი და ცხოვრება“ დათიკო ივრელის ხელ-
მოწერათ დაიბეჭდა წერილი „ტარას შევჩენკო“,
რომელიც ასე იწყება: „ამ წლის 25 თებერვალს
შესრულდა ასი წელი შევჩენკოს დაბადებიდან.
უკრაინელები დიდი ზეამით აპირებდნენ ამ დღის
დღესასწაულს, მაგრამ მათ სურვილს და მისწრა-
ფებას წინ გადაეღობენ.

რით იყო მგოსანი შევჩენკო ეგეთი დიდებული,
რომ მთელი უკრაინელი — მალოროსნი მოწიწე-
ბით იხსენებენ მის სახელს?

სანამ ამ კითხვაზე მივუგებდეთ, მოკლედ გავი-
ნოთ მისი მწარე ცხოვრება და მაშინ უფრო ნათ-
ლად წარმოვიდგინოთ მის მნიშვნელობასაც“.

ავტორი აქ იძლევა შევჩენკოს მოკლე ბიოგრა-
ფიულ ცნობებს და წერილს ამთავრებს იმის გა-
მოცემით, რომ ეს უბრალო გლეხისშვილი —
შევჩენკო შეიქმნა თანამედროვე და შემდეგ თაობა-
თათვის სათაყვანებელ პიროვნებად იმ მიზეზით,
რომ მან აამაღლა, გაამშვენიერა თავისი ხალხის
ლიტერატურა, ააყვავა მრავალფეროვან თაიგული-
ვით და აიყვანა იგი იმ დონეზე, რომ მთელი
განათლებული ევროპაც კი სიამოვნებით კითხუ-
ლობს მის პოეზიას. მან გააცნო განათლებულ
საზოგადოებას ის, თუ რას გრძნობს და რას
ესწრაფება უკრაინის ხალხი, რომლის ნამდვილ
წარმომადგენლად და მის სურვილთა გამომხატვე-

ლანდაც შევჩინეთ ითვლება. არამც თუ ევროპას
გააცნო ხალხი, განათლებულს ნაწილს უკრაინე-
ლებისა უჩვენა გზა, რომლითაც მას უნდა ევლო
სამშობლოს საკეთილდღეოდ.

შევჩინეთ იყო უკრაინელთა დიდებული მგოსა-
ნი, მამულიშვილი, მოქალაქე. ისეთივე მნიშვნე-
ლობა აქვს მის პოეზიას უკრაინისათვის, რაც პუშ-
კინს რუსული ლიტერატურისათვის. ჩვენი საზოგა-
დოება ნაკლებად იცნობს მის თავისებურ პოეტურ
შემოქმედებას; სასურველი-კია გადმოითარგმოს.
ის ჩვენც გვაწავლიდა, როგორ უნდა სამშობლოს,
სიყვარული და მისთვის თავის დაღება.

ჟურნალის ამავე ნომერშია ჩვენი მხცოვანი
მწერლის იპ. ვართაგავას წერილი —
„ტ. გ. შევჩინკოს პოეზია. მოკლე დახასიათება“,
ავტორი მკითხველს აცნობს, რომ შევჩინკო
უკრაინელთა საუკეთესო ეროვნული მგოსანია,
რომლის სახელს დღეს, თუ არა ოფიციალურად,
ზნეობრივად მაინც დიდის აღტაცებით იგონებენ
მისი მადლიერი თანამემამულენი.

როგორც ორმოციან-სამოციანი წლების ბევრ
სხვა გამოჩენილ და მოწინავე პირს, შევჩინკოსაც
ერგო წილად გამხდარიყო უბრალო ჯარისკაცად
და ათი წლის განმავლობაში, ყოველსავე თავისუფ-
ლებას მოკლებულს, ეწია ჭაპანი მორიგის ჯარისკა-
ცისა.

იპ. ვართაგავას აზრით, ამ ათი წლის განმავლო-
ბაში ბევრი რამ ჩაკვდა და ჩაიფერფლა შევჩინკოს

აღგზნებულს გულში! ბევრმა გრძნობამ და ცხოველმა აზრმა თავისი მუდმივი სამარე ჰპოვა მგოსნის ფარაჯით მიხურულ გულში... ათი წლის გარინდებული და მოღუნებული არსებობის შემდეგ ის კვლავ დაუბრუნდა ცხოვრებას.

ქურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 1914 წლის № 3-ის, მეორე გვერდზეა შევჩენკოს ლექსი, თარგმნილი და თ ი კ ი ვ რ ე ლ ი ს მიერ:

ვინცა ჰგმობენ თავის სამშობლოს
დიდებას და მწარე წარსულს,
ივიწყებენ დედაენას
და სწირავენ სხვებს სულს და გულს, —
ის ბედკრულნი — გარეწარნი
დაიღუპნენ შერცხვენილნი,
ნულარც მიწა მიიღებს მათ
და სწყველიდნენ მკედრებსაც შვილნი.

ტ. შევჩენკოს გარდაცვალებიდან ასი წლისთავი აღნიშნა ყოველკვირეულმა საზოგადო-ეკონომიურმა და სალიტერატურო ქურნალმა „კლდემ“, რომელმაც „ახალმოსული“¹ ხელმოწერით მოათავსა წერილი — „დიდებას მგოსნის ასი წლის იუბილეი“².

იმავე ნომერშია „შევჩენკოს ლექსებიდან თარგმანი უკრაინულით“:

¹ „ახალმოსული“ ფსევდონიმია მხცოვანი მწერლის გიორგი ნამორაძისა (ავტორის ცნობა).

² ქურნ. „კლდე“, 1914 წ.; № 9.

ჰკენესის, ღრიალებს დნეპრი გულ-ფართო,
 ძლიერად ჰბერავს სასტიკი ქარი,
 ასწლოვან ვერხვებს თავს მიწას უხლის,
 მთასაებრ ააქვს ტალღა მძვინვარი.
 და მკრთალი მთვარეც შავ-ღრუბლებ რტყმული
 ხან მიიმალვის, ხან გამოკრთება,
 როგორც ლურჯს ზღვაში ნავი პატარა,
 ხან ყურყუმელობს, ხან გამოჩნდება.
 მესამედ მამალს არ უყივლია,
 ჯერ არც სად ისმის კაცის ძახილი,
 ჰოტი გასძახის ტყეში თვის სატრფოს,
 ხეს ძალას ატანს კენესა მახვილი.

ლექსის მთარგმნელია გ. ნ.¹.



უნდა აღინიშნოს, რომ შევჩენჯოს ლექსთა ბევ-
 რი რევოლუციამდელი თარგმანი მხატვრულად
 მდარე-ღირსებისაა. ზოგ მათგანს აკლია შევჩენ-
 კოსეული სიმახვილე, სიმძაფრე, სიმკვეთრე და
 პოეტური მუსიკალობა.

შეინიშნება, რომ ზოგიერთ თარგმნილ ლექსა
 ალაგ-ალაგ ახასიათებს დედნისაგან დაშორება.
 ზოგან ტექსტი გავრცობილია, ხან შემოკლებული.
 ბევრგან შეტანილია ახალი სახეები; მიუხედავად
 ამისა, ძველი მთარგმნელების დამსახურება მეტად

¹ გ. ნ. — გივი მიქაძის ცნობით რეციალურია გი-
 ორგი ნამორაძის.

დიდია: მათი უანგარო შრომის შედეგად ქართველმა ხალხმა პირველად გაიკნო მშობლიურ ენაზე გენიალური პოეტის შემოქმედება:

როგორც დავინახეთ, ი. გოგებაშვილის მოწოდებისა და ცალკეულ საზოგადო მოღვაწეთა მრავალგზისი ცდის მიუხედავად, ვერ განხორციელდა ტ. შევჩენკოს ლექსებისა და პოემების თარგმნა და ცალკე წიგნად მათი გამოცემა.

ამას, სხვა მიზეზებს შორის, ხელს უშლიდა საცენზურო პირობებიც. 1953 წელს ა მ ბ. გ ა ჩ ე ჩ ი - ლ ა ძ ე მ გამოაქვეყნა მეტად საინტერესო წერილი: „ნეკრასოვი, შევჩენკო და მეფის ცენზურა“. ამ წერილიდან ვიგებთ, რომ საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში წერილის ავტორს უნახავს საბუთი, რომლიდანაც ჩანს, რომ „1847 წლის ივნისში მეფის მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტი თბილისის სამოქალაქო საქმეთა გუბერნატორს საიდუმლოდ წერს: „...იმპერატორმა ინება, რომ დაბეჭდილი ნაწარმოებები შევჩენკოს კობზარი... აიკრძალოს და ამოღებულ იქნეს გასასყიდ წიგნებიდან. გაუწყებთ რა ამას, ვალდებული ვარ გითხრათ, რომ თქვენი მხრით მიიღოთ სათანადო ზომები აღნიშნული განკარგულების შესასრულებლად. მასთან ერთად გაცნობებთ, რომ განათლების მინისტრმა აცნობა საცენზურო უწყებას: არ დაუშვას ამ ნაწარმოების ხელმეორედ გამოცემა (ფ. 4, საქმე 310)“¹.

¹ გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1953 წ., № 1 (454).
142.

მიუხედავად ამისა, რევოლუციამდელი ქართული ლიტერატურის მოღვაწეები თარგმნიდნენ და ქართველ მკითხველებში ავრცელებდნენ ტარას შევჩენკოს პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს. მაგრამ ეს მაინც შემთხვევით ხასიათს ატარებდა; ამ მუშაობამ ფართო და სისტემატური ხასიათი მიიღო მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში.



შეჯინაქო და საბჭოთა საქართველო

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა პირობები შევჩენკოს შემოქმედების უფრო ფართო მასშტაბით თარგმნისა და გავრცელებისათვის.

ქართული ჟურნალ-გაზეთები სისტემატურად ათავსებენ თავიანთ ფურცლებზე შევჩენკოს საუკეთესო ნაწარმოებებს. ასევე სისტემატურად შუქდება უკრაინის დიდი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხები.

ამ საქმიანობას ხელი მოჰკიდა ქართველი ხალხის შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, რომელიც მუდამ დიდ ინტერესს იჩენდა ჩვენი ხალხის გულამდე ამ ლეგენდარული პიროვნების შემოქმედების მიტანისათვის.

ქართველ პოეტთა საუკეთესო ძალებმა განსაკუთრებით 1936 წლიდან იწყეს დაუცხრომელი და ინტენსიური მუშაობა შევჩენკოს საუკეთესო ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნისათვის.

ამ მუშაობის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს შევჩენკოს პოეტური ქმნილებები, რომელიც სისტე-

მატურად იბეჭდება ჩვენს პერიოდულ პრესაში ქართულ ენაზე და ის ცალკეული წიგნები, რომლებიც ათეული ათასი ტიტაჟით გამოიცა საბჭოთა პერიოდში.

შევჩინაოს ნაწარმოებები ქართულ ენაზე

1936 წელს ცალკე წიგნად გამოიცა შევჩინკოს პოემა „კატერინა“, თარგმნილი უკრაინულიდან პოეტ სიმონ ჩიქოვანის მიერ. ამ ნაწარმოებში პოეტი გვიხატავს ჯერ კიდევ ბატონყმობის უღელქვეშ მყოფი გლეხი ქალის ცხოვრებას, რომელიც იღუპება რუსი ოფიცრის თავაშეებულობის შედეგად. „კატერინაში“ აღწერილი შემთხვევა მიეკუთვნება ნიკოლოზ პირველას ბატონობის პერიოდს. ამ დროს, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, საზღვარი არ ჰქონდა მეფის ოფიცრების აღვირაზსნილობას. პოემაში აღწერილი ამბავი ავტორს აღებული აქვს სინამდვილიდან. გ. პოპოვთან საუბარში შევჩინკოს უთქვამს: „კატერინაში“ აღწერილი შემთხვევა ჩემი გამოგონებული კი არ არის, არამედ ეს ყოველივე სინამდვილეში მოხდა და მეც ნამდვილი ამბავი მხატვრულად გადავამუშავეო“.

პოეტს ეს პოემა მიძღვნილი აქვს ვასილ ანდრიას ძე უუკოვსკისათვის, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ბატონყმური უღლისაგან მის განთავისუფლებაში.

„კავკასის“ ნიკოლოზ მიწიშვილიაეული ნატიფი თარგმანი რაჟდენ გვეტაძის რედაქციით 1937 წელს

გამომცემლობა „ფედერაციამ“ ცალკე წიგნად გამოსცა. მთარგმნელმა — ნიკოლოზ მიწიშვილმა ამ წიგნს მეტად საინტერესო და საყურადღებო შემდეგი წინასაუბრება წაუბმდევარა:

„ისე, როგორც შევჩენკოს მთელი შემოქმედება, ეს პოემა „კავკასიც“ მეტად საგულენახმოა ჩვენთვის, საბჭოთა მწერლებისა და პოეტებისათვისა.

ეს პოემა, რომელიც დაწერილია თითქმის ასაწლის წინათ, წარმოადგენს რევოლუციური პოეზიის ისეთ შედეგს, რომლის მსგავსი არ მოუცია მეცხრამეტე საუკუნის პოეზიას არც რუსეთში, არც საზღვარგარეთ.

შევჩენკოს საქართველოში ვიცნობდით, მაგრამ ჩვენ არ ვიცოდით, თუ ასეთი დიდი და ძლიერი შემოქმედებითი მოვლენა იყო ის.

შევჩენკო გვევლინება როგორც უდიდესი, მსოფლიო მასშტაბის რევოლუციური პოეტი, უღრეკელი პიროვნება, სტოიკური სინილისი თავისი ქვეყნისა, რაინდი. მებრძოლი, რომელსაც ბიოლოგიური სიძულვილით სძაგდა ტირანია და ყოველგვარი ძალმომრეობა.

თავისი შემოქმედებითი დიაპაზონით შევჩენკო უეჭველად ეკუთვნის გენიალურ მწერალთა რიცხვს.

მე ვთარგმნიდი ამ პოემას და ვფიქრობდა: რისი იმედი ჰქონდა ამ ცხოვრებისაგან დევნილსა და განაწამებ ადამიანს; როცა ასეთის თავდავიწყებით, ასეთის პათოსით სწერდა იმპერატორისა და მისი დესპოტიური რეჟიმის წინააღმდეგ.

პოემა „კავკასი“ დაწერილია 1845 წელს, ე. ი. მაშინ, როცა ნიკოლოზ პირველის სალდათური ჩეკმა სრესდა რუსეთს, როცა ბატონყმობის წყვედიადი ჰფარავდა მთელს იმპერიას, როცა არ მოისმოდა „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. დამუნჯებული ქვეყნის ზურგზე სწიოდა მაშინ მხოლოდ სისხლიანი მათრახი.

ასეთ საშინელ დროს ეს კაცი მაინც მოქმედებდა, ჰქმნიდა. მას ასულდგმულებდა უდიდესი რწმენა, მოლოდინი და იმედით მიდიოდა წინ დასისხლიანებული ფეხებით.

რამ გაზარდა მასში იმ შავბნელ დროს ასეთი რწმენა, ასეთი შთაგონება, ასეთი მოქალაქეობრივი სრულყოფილობა; რამ დაანთო მის ლექსში ასეთი ცეცხლი და ასეთი იმედი უჰქნობელი? ეს საკვირველია მით უმეტეს, რომ ამ მასშტაბის ანალოგიებს ლიტერატურაში თითქმის ვერ ვხვდებით...

ასი წლის წინათ თქმული შევჩენკოს მწყურვალე და მშვენიერი სიტყვა დღესაც სდელს უდიდესი აღფრთოვანებით. შევჩენკო დღეს გვაკვირვებს რევოლუციური შთაგონების სიმძაფრით და პოეტური სიტყვის ძლიერებით. ამითაა შევჩენკო განსაკუთრებით საყურადღებო თანამედროვე პოეტისათვის.

საგულისხმოა, რომ თუმცა თავის ლექსთა წიგნს შევჩენკომ ხალხური „კობზარი“ დაარქვა, ამ ლექსებში მან ჩაადუნდა უდიდესი პოზიტიური შთაგო-

ნება — პოეტის, ინდივიდის, საუკუნის კულტურის სიმაღლეზე მდგარი ადამიანის.

და როცა ჩვენ პოეზიის ხალხურობაზე ვლაპარაკობთ, ხშირად და ხშირად უნდა გვაგონდებოდეს ტარას შევჩენკოს მონუმენტური ფიგურა, ვინაიდან ეს ფიგურა დგას ჩვენს წინაშე, როგორც სინტეზი მოქალაქეობრივი მორალის, პოეტური გენიის და შთაგონებული აზროვნებისა. და აქ უნდა ვეძიოთ მიზეზი, თუ რატომაა შევჩენკო უდიდესი ხალხური პოეტი.

ამ უდიდესი პოეტის ცხოვრება და შემოქმედება დღეს მისაბაძი და სამაგალითოა ჩვენთვის და ისეთივე იქნება იგი შემდეგ თაობათა პოეტებისათვის“.

ჰეშმარიტად, რომ სწორი დასკვნაა. ეს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ბრწყინვალე დახასიათებაა. შევჩენკოს „კავკასში“ გენიალური პოეტის მახვილი თვალითაა დანახული ხალხის იმდროინდელი ცხოვრების მანკიერი მხარეები. პოემა რევოლუციური აღმაფრთოვანებელი სულით და გამარჯვებისაკენ მუდმივი სწრაფვით არის შთაგონებული.

ტარას შევჩენკოს შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პოემა „სიზმარს“. ის ნათლად გვიჩვენებს პოეტის იდეური დონის სიმაღლეს და მის პოლიტიკურ სიმწიფეს. ამ პოემით პოეტი გამოვიდა, როგორც გამობრძმედილი რევოლუციონერი. აქ იგი სასტიკად აკრიტიკებს თვითმპყრობელურ რეჟიმს. პოემა „სიზმარი“ ტარას შევჩენკოს

შემოქმედებაში უთუოდ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია თავისი მხატვრულ-იდეური ღირებულებით. ის ცარაზმის წინააღმდეგ მიმართული, უდიდესი სიძულვილითა და შურისძიებით გამსჭვალული ნამდვილი პამფლეტია.

ქართველი მკითხველისათვის ეს პოემა მისაწვდომი გახდა 1937 წელს. ის თარგმნა პოეტმა დავით გაჩეჩილაძემ და გამოიცა ცალკე წიგნად, შემდეგ კი შევიდა 1939 წელს გამოსულ შევჩენკოს ლექსებისა და პოემების კრებულში.

1937 წელსვე „სახელგამმა“ გამოსცა პოეტის ლექსები და პოემები. მასში შესულია: „გაუთხრიათ სამარე“, „შეშლილი“, „კოტლიარევსკის მარადიულ ხსოვნას“, „ივანე პიდკოვა“, „ტარასის დამე“, „გული რატომ ღონდება“, „გოგოლს“, „ცხვირსახოცი“, „პერებენდია“, „სიზმარი“, „გამდელი“ და „გამალია“, თარგმნილი მიქელ პატარის, ხარიტონ ვარლოშვილის, სიმონ ჩიქოვანის, დავით გაჩეჩილაძის, ილო მოსაშვილისა და იასამანის მიერ.

წიგნს წამძღვარებული აქვს წერილი „ტარას შევჩენკო“ (გვ. 3—5).

1938 წელს ქართულ ენაზე ცალკე წიგნად გამოიცა შევჩენკოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები „ჭაიღამაკები“. პოემაში აღწერილი ამბები ეხება 1768 წელს მომხდარ უკრაინელი გლეხების აჯანყებას მაქსიმ ჟელეზნიაკის მეთაურობით, რომელიც ისტორიაში „გაიღამატჩინის“

და „კალიევშიჩის“ სახელით არის ცნობილი. შევჩენკომ პოემის შინაარსის საფუძვლად აიღო გლახთა აჯანყება პოლონელი პანების წინააღმდეგ, რომლის შესახებ ბავშვობისას ზამთრის გრძელ ღამეებში უსმენდა აჯანყების მონაწილეს, — თავის ასი წლის ბაბუა ივანეს, ომელიც კრაქის შუქზე იგონებდა დროთა გარდასულ ამბებს.

გატაცებით უსმენდა შევჩენკო დაკარგულ თავისუფლებაზე მოყოლილ ამბებს და პანების წინააღმდეგ ამ რისხვასა და გულისწყრომაში იზრდებოდა იგი. მისგან გაიგო პოეტმა, თუ როგორ ერეკებოდნენ უკრაინელი კაზაკები პოლონელ შლიახტებს თავიანთი მიწა-წყლიდან. პოემა თავდება სამადლობელი სტრიქონებით:

ო, გამაღობ, ბაბუ, რომ მიამბე ჩემი
სამშობლოს
უბედურება, გაჭირვება, მისი დიდება.
მე ყოველივე შვილიშვილებს ვუამბე ბოლოს
და ყოველივე საუკუნეს დაემკვიდრება.

მიუხედავად ჰაიდამაკების დამარცხებისა, პოემის საერთო ტონი ოპტიმისტურია. პოეტი წინასწარ ხედავს მომავალ დროს, როცა ყველა სლავ ხალხში გაბატონდება მშვიდობა და თანხმობა. „ჰაიდამაკები“ რუსეთისა და ევროპის იმდროინდელ საუკეთესო რევოლუციურ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება.

„ჰაიდამაკების“ ქართული თარგმანი შესრულებულია პოეტ კოლაუ ნადირაძის მიერ კეთილსინდისიერებითა და სიყვარულით.

წიგნის რედაქტორია პოეტი სიმონ ჩიქოვანი. დართული აქვს ვრცელი კომენტარები, რომელიც აადვილებს პოემის გაგებას.

დაბადების 125 წლისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მატულობს ქართველ მკითხველთა ინტერესი და მიდრეკილება შევჩენკოს შემოქმედების გაცნობისადმი. 1939 წელს იბეჭდება „ლექსები და პოემები“ შალვა რადიანისა და სიმონ ჩიქოვანის რედაქციით. წიგნი შეიცავს 430 გვერდს, წამძღვარებული აქვს შევჩენკოს მოკლე ბიოგრაფიული მიმოხილვა და მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წერილი. კრებულში შესულია ტარას შევჩენკოს 140 ნაწარმოები, მათ შორის 14 პოემა და 126 ლექსი.

ეს პოემები და ლექსები თარგმნილი აქვთ საქართველოს მწერალთა საუკეთესო ძალებს. 49 ნაწარმოების მთარგმნელია პოეტი იასამანი, 30-ისა სიმონ ჩიქოვანი, 11-ისა — მიქელ პატარიძე (1895—1959), 9-სი — დავით გაჩეჩილაძე, 6-ისა — ვასო გორგაძე, 2-ისა — ირაკლი აბაშიძე, 2-ის — გრიგოლ ცეცხლაძე, 1-ის — კოლაუ ნადირაძე, 1-ის — ხარითონ ვარდოშვილი, 1-ის — გივი გაჩეჩილაძე, 1-ის — არტემ ახნაზაროვი (ჩიორა, 1866 — 1942), 3-ის — ალექსანდრე აბაშელი (1884 — 1954), 2-ის — მაყვალა მრევლიშვილი, 1-ის — კარლო კა-

ლაძე, 1-ის — კალე ბობოხიძე და 1-ისა — ალექსანდრე ქუთათელი.

წიგნს დართული აქვს სათანადო შენიშვნები (გვ. 391 — 417).

ქართველ მწერალთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი თაოსნობით უკრაინელი ხალხის უსაყვარლესი პოეტური საგანძური — შევჩენკოს „კობზარი“ ასევე ხელმისაწვდომი და საყვარელი გახდა ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვისაც.

აღნიშნული წიგნი ხელახლა გამოიცა 1952 წელს სიმონ ჩიქოვანის რედაქციით. უკანასკნელი გამოცემა საგრძნობლად გაუმჯობესებულია თარგმნის მხატვრული ხარისხის მხრივ. მასში მოთავსებულია შევჩენკოს 130 ნაწარმოები, აქედან 12 პოემაა. წიგნი შეიცავს 421 გვერდს. დართული აქვს მეტად საინტერესო და სასარგებლო შენიშვნები.

საიუბილეო დღეებში (1939) „საბლიტგამმა“ გამოსცა ტ. შევჩენკოს პოემები ალ. სულავას (1908—1942) რედაქციით. წიგნს წამძღვარებული აქვს რედაქტორის შესავალი წერილი — „უკრაინის ხალხის დიდი პოეტი“ (გვ. 5—16). წიგნში შეტანილია: „კატერინა“ (თარგმანი ს. ჩიქოვანისა), „ვერხვი“ (თარგმანი კ. ლორთქიფანიძისა), „გამალია“ (თარგმანი ი. მოსაშვილისა), „სიზმარი“ (თარგმანი დ. გაჩეჩილაძისა), „კავკასი“ (თარგმანი კ. ლორთქიფანიძისა) და „მოსკალის წყარო“ (თარგმანი ი. აბაშიძისა).

ტარას შევჩენკოს გარდაცვალების ასი წლისთა-

ვის საიუბილეო დღეებში (1961 წელს) ქართველმა მკითხველმა კარგი საჩუქარი მიიღო: გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა პოეტის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული, რომელშიაც შესულია 28 ნაწარმოები. თარგმანები შესრულებულია ცნობილი ქართველი პოეტების სიმონ ჩიქოვანის, ილო მოსაშვილის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, დავით გაჩეჩილაძის, ირაკლი აბაშიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის (1889—1941), ვიქტორ გაბესკირიას, შალვა აფხაიძის, კარლო კალაძის, ალექსანდრე აბაშელის, მიქელ პატარიძის, ვასო გორგაძისა და აასამანის მიერ.

წიგნის რედაქტორია სიმონ ჩიქოვანი, მხატვრულად გააფორმა ვერა ბელეცკაიამ.

* * *

საქართველოს სსრ წიგნის პალატის მონაცემებით, გამოჩენილი უკრაინელი პოეტის ტ. შევჩენკოს ნაწარმოებები საქართველოში გამოიცა 9-ჯერ. გამოცემათა საერთო ტირაჟია 39 500 ცალი.

შევჩენკო ქართულ საბავთა პერიოდიკაში

ქართულ საბჭოთა პრესაში პირველად 1935 წლის 12 ნოემბერს „შესანიშნავი ადამიანების“ რუბრიკით დაიბეჭდა წერილი „ტარას შევჩენკო (1814 — 1861)“, რომელიც პოეტის მოკლე ბიოგრაფიას და ზოგიერთ საინტერესო დეტალს შეიცავს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. წე-

რილის დასასრულს ნათქვამია, რომ „კობზარი არ მომკვდარა, ის დადიოდა ისევ ფანდურით ხელში და აღვიძებდა უკრაინის ხალხს, ამხედრებდა და რაზმავდა მას ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად“¹.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1936 წლის 28 მარტის ნომრის მესამე გვერდი მიძღვნილი აქვს ტარას შევჩენკოს. გაზეთი იუწყება, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი აპრილის პირველ რიცხვებში მართავს უკრაინის დიდი პოეტის ტარას შევჩენკოს ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ საღამოს, მისი გარდაცვალებიდან 75 წლისთავის აღსანიშნავად.

იქვეა მოთავსებული პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის დიდი წერილი „მოდმე ხალხის დიდი პოეტი“. წერილის ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შევჩენკოს გარდაცვალების შემდეგ დაიწყო ბრძოლა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ირგვლივ. შავრაზმელები და ლიბერალები ცდილობდნენ დაპატრონებოდნენ პოეტის მემკვიდრეობას და დაეჩრდილათ მისი პოეზიის რევოლუციური შინაარსი. ბრძოლა შევჩენკოსათვის გრძელდებოდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც. უკრაინის ნაციონალისტები უკანასკნელ დრომდე სპეკულაციას ეწეოდნენ დიდი პოეტის სახელით და სურდათ აემართათ ის, როგორც დროშა პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

¹ გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1935 წ., № 258.

გაზეთში დაბეჭდილია პოეტის ორი ლექსი — „ანდერძი“ და „მე გავიზარდე უცხო მხარეში“. პირველის თარგმანი ეკუთვნის პოეტ. სიმონ ჩიქოვანს, მეორესი — პოეტ დავით გაჩეჩილაძეს. აქვეა სევერიან კეცხოველას მიერ შესრულებული ტარას შევჩენკოს სურათი. იმავე გაზეთის № 6-ში დაბეჭდილია გიორგი ქუჩიშვილის ლექსი, „ტარას შევჩენკოსადმი“ და შევჩენკოს ლექსი „შემოდგომით“, დაწერილი 1849 წელს კოს-არალში (თარგმნალი კარლო კალაძის მიერ). ეს ლექსი ზოგიერთი ცვლილებით 1939 წელს შევიდა ტ. შევჩენკოს ლექსებისა და პოემების კრებულში.

გაზეთის ამ ნომერში ტარას შევჩენკო წარმოდგენილია აგრეთვე როგორც მხატვარი — მის მიერ შესრულებული ნახატი — „ჯარისკაცის გაროზგვა“.

„ლიტერატურული გაზეთის“ შემდეგ (7) ნომერშია ნიკოლოზ მიწიშვილის მიერ თარგმნილი პოემა „კავკასი“ (ნაწყვეტი ამ პოემიდან ნ. მიწიშვილმა გამოაქვეყნა გაზ. „კომუნისტის“ 1937 წლის № 95-ში) და სიმონ ჩიქოვანას მიერ თარგმნილი ლექსი „სად ხარ, ბედო?“.

ჟურნალ „მნათობის“ 1936 წლის მესამე ნომერში დავით გაჩეჩილაძის თარგმანით მოთავსებულია ტარას შევჩენკოს ლექსი „ვაუბატონებო, რომ მოგესმინათ“. ამ ლექსით პოეტი მიმართავდა ლიბერალ-თავადაზნაურულ მწერლებს ს. გულაკ-არტიმოვსკის, ე. გრებინკას, პ. კულიშს და სხვ., რომლე-

ბიც ალამაზებდნენ, სამოთხედ ხატავდნენ სოფლის ცხოვრებას და აღტაცებული იყვნენ პანებისა და მენამულეების „ბრძნული“ მმართველობით. „ოფიციალური წრეები, ბენკენდორფებისა და უვაროვების პირით, ამტკიცებდნენ, ნიკოლოზ მეფის რუსეთზე უფრო ბედნიერი ქვეყანა არსად არ მოიპოვება, მისი წარსული დიდებულია, მისი აწმყობა ბრწყინვალეა, მისი მომავალი კი იმდენად მშვენიერი, რომ ადამიანის ოცნებასაც კი არ შეუძლია ლკეთესი რაიმე წარმოიდგინოს“¹.

ვაებატონებო, რომ მოგესმინათ,
საბრალო ხალხი სად კვნესის, გმინავს.
თქვენ ელეგიებს აღარ იმღერდით,
არ შეამკობდით თქვენ ასე ღმერთსა,
და არც ჩვენს ცრემლებს გაამასხრებდით

პოი... ტყვილია. სულ არვის ქება...
ყველგან სისხლია, ცრემლი და წყრომა....

ასე უპასუხებდა შევჩენჯო იმ პოეტებს, რომელთაც სურდათ ხელოვნურად შეეფერადებინათ ცხოვრება და უკრაინის სოფელი ედემის ბაღად წარმოედგინათ:

ეს სურათია და განა ერთგან,
ირგვლივ დიდებულ უკრაინაში,
პანებს ცბიერებს, კისრების დახრით,
მძიმე უღელში გაუბამთ ხალხი...

¹ ს. დანელია, ნარკვევები XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიიდან, 1955, გვ. 237 — 238.

ძნელია ფიქრიც, წუხილი დაგშლის,
ან უდაბნოში იღმუგლებს ქარად...
უფრო ძნელია, — უკრაინაში
სკერეტდევ: იცრემლო და იყო წყნარად-1.

შევჩინკოს დაუფარავ ზიზღს იწვევდა უკრაინის თავადაზნაურული პოეტების ცდა დაეხატათ გლენის ცხოვრება როგორც სამოთხე. პოეტს ანცვიფრებდა, თუ სად იყო მათ მიერ დახატული „ქოხმახი ტყეში, სამოთხე წყნარი?“ შევჩინკოს თვითონ უცხოვრია ამ კვამლიან ქოხში და იცნობს მის ავკარგს, ტანჯვასა და ცრემლს. აქ დაუფრქვევია „მხურვალე ცრემლი“, მაგრამ სიხარული არ უნახავს და ეს გრძნობა არასოდეს განუცდია. ამ ქოხში იხილა მან მხოლოდ „მონობა ჯოჯოხეთური“, „მძიმე შრომისაგან დაღრღნილი ბედი“.

„მნათობის“ იმავე ნომერშია ლექსები: „ეგ ბორკილები ერთობ ძნელია“ და „აქაც და სხვაგან ხსნა არსით არი!“ (თარგმანი იასამანისა) და „ანდერძი“ (თარგმანი ირაკლი აბაშიძისა).

საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ „ანდერძი“, ექვსჯერ თარგმნა ქართულ ენაზე. გარდა ირაკლი აბაშიძისა ის თარგმნა ჯერ კიდევ 1911 წელს გიორგი ქუჩიშვილმა (ყურნ. „ნაკადული“, მოზრდილთათვის, 1911 წლის № 3, გვ. 44), მიხეილ უზნაძემ (გაზ. „კოლხიდა“, 1911 წლის № 96), სიმონ ჩიქოვანმა (გაზ. „ლიტერატურული საქართვე-

1 თარგმანი დავით გაჩეჩილაძისა.

ლო“, 1936 წლის № 3), ნესტორ მალაზონიამ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1939 წლის № 55) და ვასილ ბაიაძემ (გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1961 წლის № 50).

ზემოაღნიშნული ლექსი ისეთი პოპულარულია, რომ ის თარგმნილია მსოფლიოს 44 ენაზე.

„მნათობის“ მესამე ნომერშია ირაკლი აბაშიძის ნარკვევი ტარას შევჩენკოს შესახებ, რომელშიც საკმაო და საინტერესო მასალებია მოცემული პოეტის ბიოგრაფიიდან.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ჟურნალ „ჩვენი თაობის“ 1936 წლის № 4-ში წარმოდგენილია ტ. შევჩენკოს ლექსები: „ხრამის იქით ისევ ხრამი“, „მაისის საღამო“, „ვცხოვრობ უნებლიე სიმარტოვეში“, თარგმნილი სიმონ ჩიქოვანის მიერ; „შეშლილი“, თარგმნილი, ხარიტონ ვარდოშვილის მიერ. იქვეა კრეტიკოს ალი არსენიშვილის (1892—1939) — „ტარას შევჩენკო“. წერილი მიძღვნილია პოეტის გარდაცვალების 75 წლისთავისადმი. ა. არსენიშვილი აღნიშნავს, რომ 75 წლას წინათ უკრაინელმა ხალხმა შესძლო თავისი დიდი პოეტის ანდერძის მხოლოდ ნაწილობრივ შესრულება: მიაბარა აგი სამშობლო მიწას და უკვდავყო თავისი სიყვარულით.

ავტორს მოყავს იმავე ეპოქის დიდი რევოლუციონერ-დემოკრატის დობროლუბოვის აზრი, რომ „შევჩენკო გამოვიდა ხალხის წიალიდან და არა მარტო აზროვნებით იყო ხალხთან მოსული, არა-

მედ მთელი ცხოვრებით, სისხლით და ხორციით იყო მასთან დაკავშირებული“.

სტატიის დასასრულს ალი არსენიშვილი დაასკვნის, რომ ტ. შევჩენკოს სძაგდა ნიკოლოზ I-ის ბატონყმურ-ფეოდალური კოლონიური, პატარა ერების დამპყრობი რუსეთი, მაგრამ იგი მოწიწებით ქედს იხრიდა ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, შჩედრინის რუსეთის წინაშე.

ჟურნალის 40—41 გვერდებს შუა ჩაკრულია ტ. შევჩენკოს სურათი ქართველი მხატვრის თ. გ. მიერ შესრულებული 1936 წელს.

ჟურნალ „ჩვენი თაობის“ 1938 წლის მესამე ნომერში კლასიკური მემკვიდრეობას რუბრიკის ქვეშ მოთავსებულია პოემა „ვერხვი“, თარგმნილი უკრაინულიდან კონსტანტინე ლორთქიფანიძის მიერ. 1939 წელს გამოცემული შევჩენკოს ლექსებისა და პოემების კრებულში ამ პოემას უკავია 42—47-ე გვერდები.

ჟურნალ „ჩვენი თაობის“ 1937 წლის მეოთხე ნომერში მოთავსებულია შევჩენკოს პოემა „ტარასის ღამე“, თარგმნილი კონსტანტინე ლორთქიფანიძის მიერ. იქვეა ილო მოსაშვილის მიერ თარგმნილი „პერებენდია“.

ზემოხსენებული ჟურნალის მერვე ნომერში რუბრიკით კლასიკური მემკვიდრეობა წარმოდგენილია შევჩენკოს ლექსები: * * * („სამშობლოსაგენ მიმავალი“), რომელიც ი. მჭედლიშვილის მიერ არის თარგმნილი და „ზამბახი“ თარგმნილი ირაკლი

აბაშიძის მიერ. აქვეა მოთავსებული პროფესორ ანა ჩხეიძის წერილი „ტარას შევჩენკო“, რომელიც პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვას წარმოადგენს, ავტორის დასკვნით, აღსრულდა პოეტის ოცნება დღეს, „ხალხის დიად ჰერქვეშ ახალ სახლში მარად“ უდიდესი მადლობით ვიგონებთ და ვიხსენებთ დაუვიწყარი მებრძოლი პოეტის სახელს.

ტარას შევჩენკოს ხსოვნას პოეტმა ლადო ასათიანმა მიუძღვნა შემდეგი ლექსი „შევჩენკოს სამშობლოში“, სადაც ვკითხულობთ:

როცა ველებზე დაბრძანდება წითლად დაისი,
მიდის ქალწული მის საფლავთან ნატერის
თვალებით,

მღერის ნარნარად სიმღერების
გაბრწყინვალებით..

ირგვლივ ფერადი ყვავილებით ცეკვავს მაისი.
ულამაზესი, უნაზესი ხმები გაისმის,
დიდი პოეტის უკვდავებას უმღერს ყოველი,
დუღუნებს დნებრი — ბობოქარი,

დაუდგრომელი,
იმედიანი და ცოცხალი, როგორც გაისი.
ამოდის მთვარე პატარძალის ტურფა მშვენების.
მღერის ქალწული, განაბული ხმაგარინდებით
და სცვივა ციდან ვარსკვლავების მარგალიტები.
ქალწულთან ერთად იმღერიან ვრცელი ველები,
რომ მარადია დიდებული მგოსნის სახელი,
მშვენიერების უკვდავების გამომსახველი¹.

¹ ეურნ. „მნათობი“, 1938 წ., № 12, გვ. 83.



„შპიცრუტენებით დასჯა“.
სერიიდან „უძღები შვილი“.

განსაკუთრებით ფართოდ აღინიშნა საქართველოში შევჩენკოს დაბადების ასოცდახუთი წლისთავი. მზადება ადრე დაიწყო, ამ მიმართულებით ჩატარდა საფუძვლიანი მუშაობა. ცნობილი ქართველი პოეტების მიერ თარგმნილი იქნა მისი რჩეული პოემები და ლექსები, რომლებიც 1936—1939 წლებში ცალკე წიგნებად გამოიცა, ამ თარიღთან დაკავშირებით პერიოდულ პრესაში მოხშირდა პოეტის მხატვრული შემოქმედების ცალკე ნიმუშების ბეჭდვა.

საქართველოს მწერალთა კავშირმა გამოჰყო იუბილეს ჩამტარებელი კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ შალვა დადიანი (1874—1959) (თავმჯდომარე), სანდრო ეული, ილო მოსაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ალიო მაშაშვილი (მირცხულავა), შალვა რადიანი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გიორგი ლეონიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და კალე ბობოხაძე¹.

„ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილთა შევჩენკოს ავტოპორტრეტი (1860 წ.) და ორი ლექსი: „წაღები რომ მქონდეს ხვედრი“ და „როცა მოვკვდე“, ორთვე ლექსი თარგმნილია სიმონ ჩიქოვანის მიერ. „ლექსი — „როცა მოვკვდე“, ასე თავდება:

¹ გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1938 წ., № 22.

და მეც ხალხის დიდ კერასთან
ლალ ოჯახში, წყნარად,
გამიხსენეთ, ჩემზედაც სთქვით
თბილი სიტყვა მარად!

პოეტის ნატვრა ასრულდა, „ხალხის დიდ კერასთან“, „ლალ ოჯახში“, „თბილი სიტყვით“ ახსენებენ დიდ პოეტსა და მოაზროვნეს.

ტარას შევჩენკოს საიუბილეო კომიტეტმა თავის პირველ სხდომაზე მიიღო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფდა ამ დიდი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შემდგომ პოპულარიზაციას ქართველ ხალხში. სახელგამის წინაშე დაისვა საკითხი, რათა გამოცემულიყო შევჩენკოს ლექსებისა და პოემების ქართული თარგმანების კრებული; მწერალთა კავშირის მასობრივ სექტორს დაევალა კოლმეურნეობებსა და ფაბრიკა-ქარხნებში შევჩენკოსადმი მიძღვნილი საღამოების გამართვა. გადაწყდა შევჩენკოს პოპულარული ბიოგრაფიის გამოცემა, აგრეთვე ტარას შევჩენკოსადმი მიძღვნილი კრებულის შედგენა-გამოქვეყნება, რომელშიაც შევიდოდა წერილები მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, პოეტისადმი მიძღვნილი ქართველი მწერლების ლექსები და პოემები, ბიბლიოგრაფიული მასალები და შევჩენკოს ნახატების ნიმუშები.

ვ. გორგაძე წერილში — „თავისუფლების მომღერალი“ გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ მკითხვე-

ლებს აცნობს შევჩენკოს ბიოგრაფიას და მოღვაწეობას. პოემა „კავკასს“ ის თვლის შევჩენკოს პოლიტიკური თვითშეგნების მწვერვალად. ეს პოემა პოეტმა მიუძღვნა ჩეჩნებთან ბრძოლაში მოკლულ თავის მეგობარ დე-ბელმენს¹. შევჩენკო არ წყევლის თავისი მეგობრის მკვლელებს და შურს არ იძიებს მათზე. ის ბრალს სდებს თვითმპყრობელობას კავკასიის აწიოკებისა და დე-ბელმენების სიკვდილისათვის².

ქართული პრესა და საზოგადოებრიობა მხურვალედ გამოეხმაურა უკრაინელი პოეტის შევჩენკოს დაბადების 125 წლისთავს. ჯერ კიდევ საიუბილეო დღეების დაწყებამდე, 1938 წლის 20 ოქტომბერს გაზ. „კომუნისტის“ 241-ე ნომრის მესამე გვერდი მთლიანად მიძღვნილი აქვს შევჩენკოს საიუბილეო მასალებს.

ი. ენიკოლოფოვი თავის წერილში ეხება დიმიტრი ყიფიანის მოგონებებს შევჩენკოს შესახებ.

ალ. სულავა წერილში — „უკრაინელი ხალხის სიამაყე“ მიმოიხილავს შევჩენკოს ცხოვრებასა და მოღვაწეობის ზოგიერთ შტრიხს.

ვ. იმედაძის „ტარას შევჩენკო და აკაკი წერეთე-

¹ დე ბელმენი იაკობ პეტრეს ძე (1813—1845) — მხატვარი, შევჩენკოს შემოქმედების ილუსტრატორი. პოეტი მას გაეცნო და დაუმეგობრდა 1843 წელს უკრაინაში მოგზაურობის დროს. ბელმენი დაიღუპა კავკასიაში სამხედრო მოქმედების დროს 1845 წელს.

² გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1938 წ., № 57.

ლი“ ეხება აკ. წერეთლისა და შევჩენკოს გაცნობის გარემოებასა და ამ შეხვედრის თარიღის დადგენის საკითხებს.

ქართველი მკითხველი ამ გაზნით ეცნობა შევჩენკოს პოემა „კავკასის“ კონსტანტინე ლორთქიფანიძისეულ თარგმანს.

გაზ. „მუშა“ 1938 წლის 23 ოქტომბერს მთელ გვერდს უთმობს შევჩენკოსადმი მიძღვნილ მასალებს. აქ დაბეჭდილია კოლაუ ნადირაძის მიერ თარგმნილი პოემა „ჰაიდამაკების“ ეპილოგი (10 სტროფი), შევჩენკოს ლექსი „გოგოლს“, დავით გაჩეჩილაძის თარგმანი და გ. ი.-ის (გრ. იარალოვი) წერილი „პოეტი რევოლუციონერი“.

გაზ. „საბჭოთა აფხაზეთის“ (სოხუმი) 1938 წლის 27 ნოემბრის ნომრის ერთი გვერდი მთლიანად მიძღვნილია ტარას შევჩენკოსადმი. აქ მოთავსებულია შევჩენკოს ორი ლექსი: „რად მინდა შავი წარბები?“ და „გოგოლს“¹, თარგმნილი ბიძინა აბულაძის მიერ. გაზეთში საკმაო ადგილი უჭირავს პოეტის ბიოგრაფიულ ცნობებს და დ. თაქთაქიშვილის ვრცელ სტატიას — „ხალხთა მეგობრობის მედროშე“.

დ. თაქთაქიშვილი წერს, შევჩენკომ ათასზე მეტი სურათი დახატა. თუმცა მისი პოეზიის ბრწყინვალე-

¹ ეს ლექსი ნათარგმნი აქვს აგრეთვე დავით გაჩეჩილაძეს (იხ. ტ. შევჩენკოს „კობზარი“ — „ლექსები და პოემები“, თბ., 1939 წ., გვ. 173).

ბამ მასში დაჩრდილა მხატვარი, მეორე პლანზე დააყენა იგი.

ტარას-შევჩენკოს სძულდა თავადაზნაურობისა და მღვდლების რუსეთი, მაგრამ ამავე დროს ქედს ეხრდა პირველი რუსი რევოლუციონერ-დეკაბრისტების ხსოვნის წინაშე. იგი ახლოს იყო 40-იანი წლების რუსულ რევოლუციურ წრეებთან... შევჩენკოს სიღიადეც იმაში მდგომარეობდა, რომ ის ყოველ ეროვნებაში ჩაგრული მონების ღარიბ-ღატაკთა მხარეზე იყო და მოუწოდებდა მათ „დაემსხვრიათ ბორკილები და მტრის ავი სისხლით მოესხურათ თავისუფლება“.

გაზეთის ამ ნომერშია შევჩენკოს ავტობიოგრაფი.

გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ 1938 წლის 30 დეკემბრის ნომერში მოთავსებულია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ მ. მანიზერის ლენინგრადის სახელოსნოში დამზადებული ტ. შევჩენკოს მონუმენტური 6-მეტრიანი სკულპტურული ფიგურის სურათი. ეს ქანდაკება შესრულებული იყო ძეგლისათვის, რომელიც 1939 წლის 6 მარტს გაიხსნა კიევში უკრაინის დიდი პოეტ-რევოლუციონერის დაბადების 125 წლისთავზე.

გაზ. „ზარა ვოსტოკამ“ (1938 წლის 4 ოქტომბერი) მოათავსა რ. ფერაძის წერილი — „დიდი სახალხო პოეტი“. აქვეა სურათი — ხედი მუზეუმის შენობისა, რომელიც აგებულაა კანევში შევჩენკოს დაბადების 125 წლისთავთან დაკავშირებით.

იმავე გაზეთის, 14 ნოემბრის № 260-შია ბესო
ქლენტის დიდი წერილი — „ხალხთა მეგობრობის
მომღერალი“. ავტორის აზრით, შევჩენკო გამო-
ხატავდა თავისი ხალხის ყველაზე ნათელ, ყველაზე
ღრმა აზრსა და გრძნობებს. დიდი ქართველი პოე-
ტი აკაკი წერეთელი ცნობდა, რომ ის დიდად იყო
დავალებული შევჩენკოსაგან და, მართლაც, ამ ორა-
ღირიკოსის შემოქმედების ანალიზი თვალნათლივ
გვიჩვენებს მათ იდეურ და შემოქმედებით ნათესა-
ობას.

ქართველმა ხალხმა მიიღო და შეიყვარა შევჩენ-
კო და მისი პოეზია, როგორც „მკვიდრი“, რომლის
„ლექსის ბგერა“ იყო „ტკბილი“. ეს სიყვარული
სათანადო აზრითა და გრძნობით გამოხატა პოეტმა
ვალერიან გაფრინდაშვილმა ტარას შევჩენკოსადმი
მიძღვნილ ლექსში:

მეფის პეტერბურგს — ყმების ხელით აგებულ
გოდოლს,
ვით მხეცის ბუნაგს შენ უცქერდი მეტ
სიძულველით.
შენ იგონებდი ღატაკ სოფელს, ტირიფის
ფოთოლს
და ისევ გწვავდა დაუღეგარ ბრძოლის
წყურვილი.

დიდო პოეტო! თვითველი ერი გაფასებს,
შეგვეყვარებიხარ ისე, როგორც მკვიდრი ილია.

გვაქვს შენი-სახე დაბეჭდილი გულის დაფიზე —
დღეს ყველასათვის შენი ლექსის ბგერა
ტკბილია“.¹

გაზ. „კომუნისტი“ (1939 წლის 2 მარტის № 50) იუწყება, რომ საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის სამხატვრო-საწარმოო კომბინატი („სა-ქართველოს მხატვარი“) შევჩენკოს საიუბილეო დღისათვის უშვებს უკრაინის დიდი პოეტის მხატვრულ პორტრეტს მხატვარ ა. ფ. ჩხეიძის ორიგინალურ ავტოლითოგრაფიას, ზომით 50×60 სანტიმეტრს.

ჟურნალმა „ბოლშევიკმა“ (1939 წ., № 5) დაბეჭდა ალ. სულავას ვრცელი წერილი შევჩენკოს შესახებ.

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ 1939 წლის 26 თებერვლის მე-7 ნომერში დაბეჭდილია ალიო მაშაშვილის და სიმონ ჩიქოვანის წერილი — „ტარას შევჩენკოს იუბილესათვის“; წერილში ხაზგასმულია, რომ რეაქციის მძვინვარების დროს ალ. გარსევანიშვილი დადიოდა დაბა-ქალაქებში და კითხულობდა ლექციებს: „უკრაინის ხალხის მომდგრალი ტარას შევჩენკო“; მაშინ, როცა თვით-მპყრობელობის რეჟიმი ანტაგონიზმს თესავდა ერთა შორის და ანადგურებდა იმპერიის მიერ დაპყრობილი ხალხების კულტურას, ქართული პერიოდული პრესა ათავსებდა შევჩენკოს ლექსების

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1939 წ., № 38.

თარგმანებს. ავტორები დასძენდნენ, რომ შევჩენკოს ზოგიერთი თარგმანი ძალიან პოპულარული გახდა; მიუხედავად ამისა, ძველი თარგმანები ვერ გადმოგვცემს შევჩენკოს პოეზიის დიდ მხატვრულ სურათოვნებას და მუსიკალობას, რომ საბჭოთა პროტების მუშაობას მიზანი იყო გაეხმიანებინათ შევჩენკოს ლექსების შინაარსობრივ სიმძაფრესთან ერთად მისი მეტრული და რიტმული თვისებანი, რომ თარგმანს ჰქონოდა ორიგინალის სურნელება.

იქვეა შევჩენკოსადმი მიძღვნილი ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსი — „შევჩენკოს პორტრეტის წინ“.

შევჩენკოს ლექსი — „კოტიარევსკის მარადიულ ხსოვნას“ (სიმონ ჩიქოვანის თარგმანი) — ამშვენებს გაზეთის ამ ნომერს. ილია ხოშტარია თავის ლექსში — „მეგობრობა“ უმღერის უკრაინელ და ქართველ ხალხთა მეგობრობას. წერილში „ტარას შევჩენკო და აკაკი წერეთელი“ — ალ. სულავა მკათხველს აცნობს აკაკის დამოკიდებულებას და პატივისცემას შევჩენკოსადმი.

პოემა ანუ მანტერია „დიდი აკლდამა“, რომელიც დაწერილია 1845 წელს, ტ. შევჩენკოს ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. მკვლევარების აზრით, ის შევჩენკოს შედევრთა რიცხვს ეკუთვნის. ამ პოემის რამდენიმე ნაწყვეტია დაბეჭდილი „ლიტერატურული გაზეთის“ 1939 წლის მერვე ნომერში. თარგმანი შესრულებულია კონსტანტინე ლორ-

თქიფანოძის მიერ. ეს პოემა შესულა შევჩენკოს პოემებისა და ლექსების კრებულში (გვ. 175—191).

ამ გაზეთშივე ვხვდებით გ. ლომიძის საინტერესო სტატიას „გორკი და შევჩენკო“. ავტორი არკვევს გორკის დამოკიდებულებას შევჩენკოსადმი. მას მოჰყავს გორკის აზრი: „შევჩენკო ღირსია მაღალი შეფასებისა, როგორც პირველი და ნამდვილი სახალხო პოეტი, რომელიც სუბიექტური დამატებებით არ ამახინჯებდა ხალხის გულისთქმასა და გრძნობებს. მის ჩივილში პირად ბედზე მოისმის მთელი უკრაინის ჩივილი. მის მოგონებაში კაზაკურ თავისუფლებაზე აგრძნობთ მთელი ხალხის მოგონებას“.

1935 წელს, როცა უკრაინელმა მადლიერმა ხალხმა მონუმენტური ძეგლი აუგო თავის სახელოვან პოეტს ხარკოვში, გორკი აღფრთოვანებით მიეგება მის გახსნას. ის შემდეგი დეპეშით მიმართავს უკრაინის მშრომელთ: „გულითადად მივესალმები უკრაინელ ხალხს იმ დღეს, როდესაც იგი ღირსეულად უკვდავყოფს თავისი შვილებისა და შვილიშვილების ხსოვნაში ცარიზმის მიერ განაწამები, ნამდვილად სახალხო პოეტ-დემოკრატის მშვენიერ სახეს“.

აქვეა პოეტის ორი ლექსი: „ფიქრნო ჩემნო“, „სიზმარში მოვლენ ბავშვნი“ (თარგმანი დავით გაჩეჩილაძისა) და ორი პოეტის თითო ლექსი, მიძღვნილი ტარას შევჩენკოსადმი. საინტერესოა გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსი „რუსთაველი შევჩენკოს ზეიმზე“. მეორე ლექსის ავტორია კალე ბობოხიძე.

გაზ. „კომუნისტის“, 1939 წლის 6 მარტის № 53-ში მოთავსებულია ი. სტებუნის დიდი სტატია — „ტარას გრიგოლის ძე შევჩენკო“. წერილი შეიცავს ბიოგრაფიულ ნარკვევს. აქვეა მხატვარ ა. ჩხეიძის მიერ შესრულებული შევჩენკოს სურათი.

1939 წლის 9 მარტს შესრულდა 125 წელი ტ. შევჩენკოს დაბადებიდან. გაზ. „კომუნისტმა“ (№ 55) ამ თარიღს მიუძღვნა მოწინავე წერილი (სათაურით „დიდი სახალხო პოეტი“). წერილში ვკითხულობთ: „შევჩენკო ნათლად ხედავდა, რომ ცარიზმის უღელი ერთნაირად მძიმე და მტანჯველი, გამანადგურებელი და სულისშემხუთავი იყო როგორც უკრაინელი, ისე რუსი, ქართველი და საერთოდ ყველა ხალხისათვის, რომელნიც ხალხთა საპყრობილეში — მეფის რუსეთში ცხოვრობდნენ... მას უყვარდა ყველა ერის მშრომელი ხალხი, ჰუმანიზმის დაუშრეტელი წყარო სჩქეფდა მის შემოქმედებაში“.

გაზეთის პირველ გვერდზეა ცნობა შევჩენკოს ძეგლის გახსნის შესახებ კიევში, და ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი ს მიერ წარმოთქმული სიტყვის შემოკლებული ტექსტი. იქვეა 1939 წლის 6 მარტს კიევში ჩატარებული საიუბილეო-საზეიმო სხდომის ანგარიში. ქართველი ხალხის სახელით მიაპალმებით გამოსულა საქართველოს დღეგაცვის წევრი სანდრო ეული.

„კომუნისტის“ ამ ნომრის ერთი გვერდი მთლიან-

ნად უჭირავს შევჩენკოსადმი მიძღვნილ მასალებს: შალვა რადიანას — „სახალხო პოეტი“, გიორგი ლეონაძის — „ხალხის პოეტი“, სიმონ ჩიქოვანის — „გულისხმაური პოეტი“. გიორგი ლეონიძე წერს: „ბორკილაცრილმა ხალხმა არ დაივიწყა დიდებული მომღერალი და რუსთაველთან და პუშკინთან ერთად იგონებს მას. შევჩენკომ დიდი ხანია გადალახა თავის სამშობლოს საზღვრები და მოწინავე კაცობრიობის პოეტი გახდა. კერძოდ, ქართველ ხალხს ხიბლავს პოეტის რევოლუციური განწყობილება“.

აქვეა დაბეჭდილი შევჩენკოს ორი ლექსი — „პერიბენდია“ (თარგმანი ილო მოსაშვილისა) და „ანდერძი“ (თარგმანი სიმონ ჩიქოვანისა).

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1939 წლის 6 მარტის ნომრის მესამე გვერდი მთლიანად დათმობილი აქვს შევჩენკოს მასალებს: შევჩენკოს ცხოვრების ქრონიკაში რუბრიკით „საბჭოთა პოეტები შევჩენკოზე“ — მოთავსებულია პატარა წერილები: „ჩვენი საყვარელი პოეტი“ — ბელორუსიის სახალხო პოეტ იაკუბ კოლასი, „უდიდესი ნიჭი“ — პ. ანტოკოლსკისა და „ჩვენი მასწავლებელი“ — მაქსიმ რილსკისა. ამ გვერდის მთელი სარდაფი უჭირავს ნ. ბელჩიკოვის სტატიას — „ტარას შევჩენკო“.

იქვეა შევჩენკოს ლექსი „იანვ ფარულად“ (დავით გაჩეჩილაძის თარგმანი) და პოეტის სურათი.

„ახალგაზრდა კომუნისტის“ 1939 წლის 9 მარ-

ტის ნომერში მოთავსებულია ნ. შუბის წერილი — „შევჩენკო და რუსული კულტურა“, ცნობები ტ. შევჩენკოს ძეგლის გახსნაზე კიევიში და ორი ლექსი: „ცამეტი წლისა ვიყავ“ (თარგმანი დ. გაჩეჩილაძისა) და ლაღო ასათიანის მიერ თარგმნილი „კავკასი“ (ნაწყვეტი).

ლაღო ასათიანმა „კავკასი“ მთლიანად თარგმნა და ქუთაისის საქალაქო გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ 1939 წლის 9 მარტის ნომერში დაბეჭდა.



შევჩენკოს დაბადებიდან 125 წლისთავისადმია მიძღვნილი შალვა რადიანის ვრცელი სტატია — „ტარას შევჩენკო“, რომელიც წარმოადგენს შევჩენკოს ცხოვრებისა და შემოქმედების საფუძვლიან მიმოხილვას¹.

ჟურნალის იმავე ნომერშია შევჩენკოს პორტრეტი. აქვეა გიორგი კაჭახიძის ლექსი ტარას შევჩენკოსადმი.

ჟურნალში „ჩვენი თაობა“ (1939 წლის № 4) დაბეჭდილია ბონდო კეშელავას ლექსი დამახასიათებელი სათაურით „შევჩენკო საპყრობილეში“, რომელსაც წამძღვარებული აქვს შევჩენკოსავე სიტყვები: „იძულებული გავხდი ვმალო ლექსები, რვეული, ვიმღერო და ვიტერო მწარე ცრემლებით“.

შევჩენკოს დაბადებიდან 125 წლისთავს მძღვი-

¹ ჟურნ. „მნათობი“, 1939 წ., № 3; გვ. 165—175.

ნავე წერილი და მთელი გვერდი უძღვნა გაზ. „ზარია ვოსტოკამ“ (1939 წლის 9 მარტის № 55), რომელშიაც წარმოდგენილია ალექსანდრე აბაშელის, ვასო გორგაძის, გიორგი ლეონიძის, ალიო მაშაშვილის და გ. ყვარელაშვილის წერილები, აგრეთვე უკრაინულიდან რუსულ ენაზე თარგმნილი შევჩენკოს ლექსები.

შევჩენკოს დაბადებიდან 125 წლისთავისადმია მიძღვნილი გაზ. „საბჭოთა მასწავლებლის“ (1939 წლის 9 მარტის № 20) მესამე გვერდი. აქ საინტერესოა კომკავშირული პრესის ძველი მუშაკისა და მასწავლებლის მიხეილ ცაკაშვილის წერილი — „უკრაინელი ხალხის ღირსეული შვილი“, შევჩენკოს ლექსები: „გაუთხრიათ სამარე“ (თარგმანი მიქელ პატარიძისა), „ჰე მშვიდობით, ჩემო მხარევო“ (თარგმანი დავით გაჩეჩილაძისა) და მწერალ ე. ქარელიშვილის წერილი — „ტარას შევჩენკო“. ავტორი არკვევს პოეტის ადგილს უკრაინელი ხალხის კულტურის ისტორიაში; იგი შევჩენკოს თვლის მხატვრული აზროვნების უდიდეს წარმომადგენლად, რომელმაც „დასაწყისი მისცა ფორმით ბრწყინვალე ევროპული ხასიათისა და შინაარსით ღრმად დემოკრატიულ გრძნობებით გაუღენთილ პოეზიას“. ამიტომ, დასძენს ე. ქარელიშვილი — „ტარას შევჩენკოს პოეზია თავის მხატვრული ბრწყინვალეობითა და პროგრესული რევოლუციური ზემოქმედებითი ძალითა და მნიშვნელობით გასცილდა ნაციონალურ საზღვრებს. დიდი პოეტის

შემოქმედებაში გამოხატულია უკრაინელი ყმა-
გლეხის მძიმე ყოფა, მისი მღელვარე სულის სამყა-
რო, დაუშრეტელი ენერგია და დაუცხრომელი მის-
წრაფება თავისუფლებისა და ადამიანური ცხოვრე-
ბისაკენ. მის მიერ უკრაინის ხალხის ცხოვრების
კოლორიტულ თავისებურებათა ფონზე შექმნილი
სურათები, სახეები ისეთი ტიპიური და დამახასია-
თებელი იყო, რომელიც უდიდესი დამაჯერებლო-
ბით გვაგრძნობინებდა ნიკოლოზ პირველისა და
ალექსანდრე მეორის დროის რუსეთის ხალხის.
გლეხობის ტიპიურ ყოფა-ცხოვრებას“.

ამიტომ იყო, — წერილის ავტორის აზრით, —
შევჩენკოს პოეზია გასაგები და მშობლათური რუსი
ხალხისათვის. „პოეტი ხედავდა, რომ რუსი მშრო-
მელიც ისევე იჩაგრებოდა ნიკოლოზ პირველის
უანდარმული რეჟიმის პირობებში, როგორც უკრა-
ინელი, კავკასიელი და სხვ. ამიტომ თავის ხალხში
იგი სთესდა სიძულვილს და მტრობას მხოლოდ მე-
მამულეების, რუსი - ჩინოვნიკებისა და მეფეების
სადმი.

ეს იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ტარას შევ-
ჩენკოს პოეზია რუსმა ხალხმა თავიდანვე მშობ-
ლიურად მიიღო და შეიყვარა“.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომი-
სარიატის ყოველთვიურ პედაგოგიურ-მეთოდურ
ჟურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის“ 1939
წლის №2-ში მოთავსებულია იასამანის წერილი
„ტარას შევჩენკო“.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პოეტ იასამანს თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის შევჩენკოს ქართულ ენაზე თარგმნისა და პოპულარიზაციის საქმეში. ამ საქმიანობას მას უკრაინული ენის საუკეთესო ცოდნა უადვილებდა. იასამანს ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი უკრაინული ლიტერატურა და, რაც მთავარია, მას უყვარდა შევჩენკო, მისი პოეზიითა და ხალხით; სტუდენტობის წლები მან უკრაინაში გაატარა. უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდა კიევის უნივერსიტეტში.

მეტად საინტერესოდ იკითხება შალვა აღმაშენებლის წერილი—„შევჩენკო, როგორც მხატვარი“¹. ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ მასებისათვის ტარას შევჩენკო ცნობილია, როგორც დიდი უკრაინელი პოეტი, უკრაინული ლიტერატურული ენის ფუძემდებელი და პირველი სახალხო პოეტი, რომელმაც იმდროინდელ ეროვნულ მწერლობაში შეიტანა სოციალურ-რევოლუციური მოტივები, მაგრამ შევჩენკო ძალიან ნაკლებად არის ცნობილი, როგორც მხატვარი, მაშინ, როდესაც შევჩენკოს ყმობისაგან განთავისუფლების საქმეში მხატვრობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა და შევჩენკო მხატვარი უფრო ადრე გახდა, ვიდრე პოეტი.

ავტორი თავის წერილში მიმოიხილავს შევჩენკოს მოღვაწეობას, როგორც წაგნის ილუსტრატორის, უკრაინის სამშობლო ბუნებისა და ცხოვრების

¹ „უკრაინა“ „საბჭოთა ხელოვნება“, 1939 წ., № 3, გვ. 33—38.

მხატვრისას და ასკვნის, რომ „შევჩენკო სამართლი-
ანად უნდა ჩაითვალოს პირველ ნამდვილ რეალის-
ტად რუსულ და უკრაინულ მხატვრობაში“. წერი-
ლი ილუსტრირებულია ტარას შევჩენკოს სურათე-
ბით: „ავტოპორტრეტი“, „შპიცრუტენებით დას-
ჯა“, „დასჯის შემდეგ საპყრობილეში“, „ვ. ნ. რეპ-
ნინას პორტრეტი“.

ეურნალის ამ ნომერშივეა დ. შერმანის წერილი
„ტარას შევჩენკო“.

შევჩენკოს საიუბილეო დღეები გულთბილად და
შინაარსიანად ჩატარდა საქართველოს ერთ-ერთ
თვალწარმტაც კუთხეში — აფხაზეთის ასს რესპუბ-
ლიკაში.

გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ (1939 წლის 9
მარტი) ერთი გვერდი დაკავებული აქვს პოეტის
დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილ მასა-
ლებს.

გაზეთშია ტ. კარტოზიას წერილი „მაქსიმ გორკი
და შევჩენკო“. წერილი აშუქებს საკითხს, თუ რო-
გორ აფასებდა გორკი შევჩენკოს და რა მზრუნ-
ველობას და ყურადღებას იჩენდა ის პოეტის ნა-
წერების რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოქვეყნე-
ბის საქმეში. წერილი შეიცავს საინტერესო მასა-
ლებს შევჩენკოს შემოქმედებისადმი გორკის დამო-
კიდებულების შესახებ.

ი. ენაკოლოფოვის წერილი „თბილისის მასალები
ტ. შევჩენკოზე“ ეხება თბილისის გაზეთ „ობზო-
რის“ 1880 წლის № 451-ში მოთავსებულ პავლე



ყირგიზელი კატია.
1854 — 1857 წწ. სეპია.

პაშინის მოგონებებს: „ერთხელ უკანასკნელი გამოცდის ჩასაბარებლად მივდივარ უნივერსიტეტში (პეტერბურგში, — გ. ნ.). ეს იყო ოქტომბერში. ეტლით ჩავუარე საადმირალო ბულვარს და ვხედავ ვიღაც ხელს მიქნევს. ეტლიდან გადმოვცდი და ბულვარისაკენ გავეშურე. მხატვარი ჩესტოხოვსკი¹ მოჰყვება ჩემთვის ვიღაც ჯცნობ პაროვნებას, რომელსაც ცხვრის მაღალი ქუდი ახურავს — ეს იყო ტარას გრიგოლის ძე შევჩენკო. მე კინალამ დავეცი მუხლებზე მის წინაშე. მინდოდა ხელებზე მეკოცნა, ისე დიდი იყო ჩემი აღტაცება. — მოდი ვაკოცოთ ერთმანეთს, — მომმართა ტარას შევჩენკომ, — გეტყობა, ჩემი ქვეყნიდან უნდა იყო.

არ მახსოვს, რა ვუთხარი მას, ალბათ რაღაც იშვიათად კარგი. ნევის პროსპექტისაკენ მიმავალნი, უკან დაბრუნდნენ და წამიყვანეს სამხატვრო აკადემიის სახელოსნოში, სადაც ცხოვრობდა შევჩენკო. ის მხოლოდ ერთი კვირის ჩასული იყო და ბოდიში მოითხოვა, რომ მისი ოთახი „დაულაგებელია“. მალე გაჩნდა ლუდი, ჩესტოხოვსკიმ წამოიწყო კობზარის სიმღერა, შევჩენკო მოღუშული სდუმდა და მხოლოდ შემდეგ მანაც ააყოლა ხმა“.

დ. თაქთაქიშვილის „უკრაინის უკვდავი კობზა-

¹ მხატვარი გრიგოლ ნიკოლოზის ძე ჩესტოხოვსკი (1820—1893) იყო შევჩენკოს მახლობელი მისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში; პოეტის დასაფლავებისა და მისი ნეშტის უკრაინაში გადასვენების ორგანიზატორი, რის შესახებ დეტოვა მოგონებები.

რი“, რომელსაც უჭირავს გაზეთის სარდაფი, შინა-
არსიანი წერილია. აქვეა შვეჩენკოს პორტრეტი
(მხატვარ ნ. პ. გლუშჩენკოს ნამუშევარი), საკდესის
ფოტოქრონიკის რეპროდუქცია და პოეტის ორი
ლექსი: „ისევ ფარულად ლექსები ვწეროთ“ და
„ფიქრნო ჩემნო“, რომელიც თარგმნილია დ. გა-
ჩეჩილაძის მიერ.

ორივე ეს ლექსი დაწერილია გადასახლებაში —
ორსკის ციხეში. პოეტი მოუხმობს ფიქრებს:

ფიქრნო ჩემნო, გეძებთ, გიხმობთ,
თქვენ ხომ ერთნი მართობთ...
ამ ტიალ დროს ჩემთან იყოთ,
ნუ დამტოვებთ მარტო.

როგორც ვიცით, შვეჩენკოს გადასახლებაში
აკრძალული ჰქონდა წერა და ხატვა, მაგრამ ის მა-
ინც ახერხებდა წერას, რამაც პოეტს ათქმევინა:

ისევ ფარულად ლექსები ვწეროთ,
ვიღრე ძგერს გული ახლის ტრფიალით.

ქვიშის ბორცვს ვნახავ თავშესაფარად
და მალვით დავწერ ლექსის სტრიქონებს.
ვიწუხებ, ვივლი სეილით, უბარი,
და ტყვეს შექნება იქ საიმედოდ —
ფართო დნეპრიდან, როგორც სტუმარი
რომ მოფრინდები, შენ, ჩემო ბედო.

პოეტ ნ. მალაზონიას მიერ თარგმნილი „ანდერ-
ძი“ დაიბეჭდა გაზ. „საბჭოთა აჭარის“ 1939 წლის 9

მარტის ნომერში. იმავე. ნომერშია კრიტიკოს ვ. წულუკიძის ვრცელი წერილი — „ტარას შევჩენკოს შემოქმედება“. იქვეა ი. მალანის სტატია — „დიდი სახალხო პოეტი“, რომელიც შეიცავს შევჩენკოს ბიოგრაფიულ ცნობებს. გაზეთში წარმოდგენილია 1847 წელს გადასახლებაში, ორაკის ციხეში ყოფნის დროს დახატული შევჩენკოს ავტოპორტრეტი.



საიუბილეო დღეებს გულმხურვალედ გამოეხმაურა „სავარდო და სამაისო“ ქუთაისი. გაზეთმა „ინდუსტრიულმა ქუთაისმა“ (რედაქტორი გრ. მსხილაძე), 1939 წელს, 9 მარტის ნომერში მოწინავე წერილი, მეორე და მესამე გვერდი მთლიანად მიუძღვნა ტ. შევჩენკოს დაბადებიდან 125 წლისთავს, რომელშიაც მოთავსებულია მრავალფეროვანი და საინტერესო მასალა.

მოწინავე წერილში ხაზგასმულია, რომ „კავკასიაში“ პოეტმა უმღერა კავკასიის თავისუფლებისმოყვარულ ხალხებს, მან მკაცრი პროტესტი გამოთქვა მეფის თვითმპყრობელობის კოლონიურ-დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ, იმ პოლიტიკისა, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ანგრევდა და აჩანაგებდა კავკასიის ხალხების ცხოვრებას.

„ჰაიდამაკებში“ შევჩენკომ მთელი თავისი პოე-

ტური აღმაფრენით უმღერა უკრაინელი მშრომელი ხალხის რევოლუციურ გმირულ ბრძოლებს პოლონელი შლიახტების წინააღმდეგ.

რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია შევჩენკოში ხედავდა დიდ პოეტს, ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, როცა ამავე ინტელიგენციის ხანგრძლივი და დაუინებითი მოთხოვნით, როგორც იქნა, 10 წლის შემდეგ გაათავისუფლეს ფიზიკურად დასუსტებულნი, მაგრამ სულით კვლავ ამბოხნი და ფოლადისებურად მტკიცე ტარასი.

შევჩენკო ოცნებობდა იმ დროზე, როცა ხალხი აღსდგებოდა, დაღეწავდა ბორკილებს და მტრის სისხლის დაღვრით მოიპოვებდა თავისუფლებას. პოეტი ბრწყინვალე მომავალზე ოცნებობდა და ანღერძად ტოვებდა:

და მეც ხალხის დიად ჰერქვეშ,
ახალ სახლში მარად:
გამიხსენეთ, მომიგონეთ
თბილი სიტყვით, წყნარად.

გაზეთში დაბეჭდილია შოთა ქურდიის — „დიდი სახალხო პოეტი“. ეს მოზრდალი წერილი ასე იწყება: „შეიძლება არაფერი ისე მკვეთრად არ გამოხატავდეს შევჩენკოს ნამდვილ ბუნებას, მისი პოეზიის ნამდვილ საგანსა და შინაარსს, როგორც ფრიად საყურადღებო შემთხვევა სკულპტორ მაკეშინის ატელიეში. შევჩენკო იმ მომენტში მისულა მეგობარ სკულპტორთან, როცა იგი ეკატერი-

ნე მეორის ბარელიეფზე მუშაობდა. პოეტმა არაფერი თქვა. იქვე ჩამოჯდა და ეკატერინე მეორეზე ეს უკვდავი სტრიქონები შექმნა:

თუმც წაქცეულს არა სცემენ,
მაგრამ არც ერთ გაიძვერას
მშვიდობით ძილს არ აცლიან...
და შენც, ძუკნავ, სულ ყველანი,
თვითონ ჩვენ შენი შეილებაც
და მასთან მთელი ქვეყანა
წყველა-კრულვით გიხსენიებთ.

ღიახ! ეს შემთხვევა და ეს სტრიქონები დამახასიათებელია შევჩენკოსათვის. შევჩენკოს პოეტური ჩანგი მუდამ გამოსცემდა მონარქიისადმი სიძულვილით აღსავსე, მრისხანე ხმებს. მისი ჩანგი მუდამ ხალხის სილატაკესა და უუფლებობაზე გოდებდა, ღუდუნებდა და კვნესოდა, მრისხანებდა და ბორგავდა. უკრაინის ხალხის სასახელო შვილო, მისი უკეთესი მერმისისათვის მეზრძოლი შევჩენკო უადრესად ხალხური და სადა პოეტი იყო. გორკი ამბობდა, რომ „შევჩენკო სახალხო პოეტიაო“... სწორედ ამ ღრმა იდეურობისა, ხალხის ჭირ-ვარამის გაზიარებისა და სისადავისათვის შეიყვარა უკრაინის ხალხმა ტარას შევჩენკო, ამიტომ უყვარდათ და უყვართ, ამიტომ არის ის ასე მშობლიური და ახლობელი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის“.

გაზეთშია შევჩენკოს ცნობილი ლექსი „ფაქრნო ჩემნო“ (თარგმანი გივი გაჩეჩილაძისა) და, რო-

გორც ზემოთაც ოთქვა, პოემა „კავკასი“ (თარგმანი ლადო ასათიანისა). მათ გვერდითაა ქუთაისში მომუშავე პოეტთა ლექსები შევჩენკოზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პოეტ გიორგი გიასელი (სამხარაძე) ლექსი — „შევჩენკო მხატვრის ალბომში“.

ამ ლექსს მოჰყვება ახალგაზრდა პოეტის — შალვა ჭინჭველაშვილის ლექსი (1919 — 1961) „ტარას შევჩენკოს“, რომელიც ასე თავდება:

ბევრს აღგვის მიწის პირისგან ჟამთა სვლის
წყალი,
მაგრამ შენს ხსოვნას დავიწყების მტვერი ვერ
დაშლის:
ყოველი ბრძენის მოქმედების ყოველი წამი
მარადისობად გაგრძელდება უკვდავებაში.

საკმაო ინტერესს იწვევს სამამულო ომში დაღუპული ახალგაზრდა პოეტის — დავით პატატიშვილის ლექსი „ტარას შევჩენკო“:

ელოდი დილას, ღამეებს ვერაგს
ტეხდი ვაჟაკის ძლიერი მკერდით, —
ვიცი, პოეტო, გტანჯავდა დიდხანს
კატერინათა მწუხარე ბედი...
ჩვენი სამშობლო აყვავებულა,
ბრწყინავს ზურმუხტი... ელავს აღმასა,
შენი სახელიც ამალღებულა,
ამალღებულა, როგორც კავკასი.

და ვეტრფით დიად სიცოცხლით სავსე
შენი ლექსებით ანთებულ სანთელს, —
შენ პოეზიის ელვარე ცაზე
რუსთველის გვერდით წამოიმართე!

1939 წელს სანდრო ეული წერს პოემას „ტარას შევჩენკო“; ამ პოემის ნაწილი („პოეტის სიყრმე“) იმავე წელს შემოკლებით დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტის“, 26 მაისის ნომერში, ხოლო 20 ივნისს — „ლიტერატურულ გაზეთში“.

* * *

ჟურნალ „ჩვენი თაობის“ 1939 წლის პირველ ნომერში მოთავსებულია თანამედროვე უკრაინელი მწერლის სემენ სკლიარენკოს მეტად მოხდენილად დაწერილი მოთხრობა ტარას შევჩენკოს ცხოვრებიდან — „აირა ოლრიჯი“, რომლის თარგმანი ეკუთვნის ნიკა აგიაშვილს.

აირა ოლრიჯი (1807—1867) გამოჩენილი ზანგი მსახიობი იყო, რომელიც ევროპის მთავარი თეატრების სცენაზე დიდი წარმატებით ასრულებდა ოტელოს, შეილოქს, მეფე ლირს და მაკბეტს. აირა ოლრიჯი რუსეთში 1857 წელს ჩამოვიდა. შევჩენკომ ის 1858 წელს პეტერბურგში ყოფნისას გაიცნო და დაუმეგობრდა.

შევჩენკომ ოლრიჯის თამაში პეტერბურგში ნახა და აღფრთოვანებული დარჩა მისი ნიჭით. 1858 წლის 6 დეკემბერს გახარებული პოეტი წერს თავის უახლოეს მეგობარს, დიდ რუს მსახიობს მ. შჩეპ-

კინს: „ჩვენთან ახლა არის აფრიკელი მსახიობი აირა ოლრიჯი, რომელიც სცენაზე საოცრებას ახდენს“.

ოლრიჯმა, მსახიობმა შავკანიანი მონებიდან და შევჩენკომ, პოეტმა ბატონყმური მონიდან — გაცნობისთანავე გამონახეს საერთო ენა. ისინი დააახლოვა საერთო ბედმა. თანამედროვეთა გადმოცემით ოლრიჯმა არ იცოდა რუსული ენა, ის ლაპარაკობდა ინგლისურად, ხოლო შევჩენკომ არ იცოდა ინგლისური ენა. მიუხედავად ამისა, მათ მშვენივრად ესმოდათ ერთმანეთის. ოლრიჯი მღეროდა ზანგურ სიმღერებს, შევჩენკო — უკრაინულს.

ამ ორი ადამიანის — პოეტი-მხატვრისა და გამოჩენილი მსახიობის შეხვედრა-გაცნობისა და დამეგობრების შემთხვევა მეტად ლამაზად და მხატვრულად აქვს აღწერილი მწერალ სემენ სკლაარენკოს. საჭიროდ მივიჩნiewთ ეს მშვენიერი მოთხრობა-ესკიზი, მისი ბიბლიოგრაფიული იშვიათობისა და შევჩენკოს, როგორც ადამიანისა და მოქალაქის გასაცნობად, შევთავაზოთ დღევანდელ მკითხველს.

* * *

„შუადღე იყო უკვე, მაგრამ გეგონებოდათ, თითქოს დღე ჯერ არ დაწყებულაო. ცის თალხი უბიდან განუწყვეტლივ იფრქვეოდა წვიმა და თოვლი. ოთახში ბინდი იდგა. კუთხეში ობობას თათებზეით გაჩაჩხულიყო მოლბერტი. კედლებიდან უფერულად და მრუმედ გამოიყურებოდნენ ოფორტები.

ბინდბუნდში მიმალულიყვნენ: უბადრუკი სარეცელი, მაგიდა. ორი სელი.

მაგიდასთან მიმჯდარი ტარას შეეჩენკო წამოდგა და ზოზონით მივიდა სარკმელთან. გაასუფთავა გაორთქლილი მინა, გაიხედა ქუჩაში, არსად ჩნდა იმედის ნაპერწკალი! ნისლი ბურავდა პეტერბურგს, კუნძულებს. ნათელი დღეები სადღაც გადაიკარგნენ — დაიწყო შემოდგომა. კვალდაკვალ მოჰყვებოდა მასავით ლირწიანი, თოვლჰყავიანი ზამთარი... ცივა, სინესტეა... ტანში ჰზარავს ტარასს და ტყაცანი გაუდის იმიერკასპიაში გათოშილ ძვლებს, სტკივა თავი, მთელი სხეული.

ბოლთასა სცემდა ოთახში, ნახევრადმთვლემარე. თავის კუთხეს იცნობდა მთელი სიგრძე-სიგანით: ხუთი ნაბიჯი სიგრძით, სამი — გარდი-გარდმო.

დარონინებდა და ფიქრობდა შორეული უკრაინიდან იმ დილით მიღებულ წერილზე. ძმადნაფიცვი ბართლომე სწერდა ბატონის მძიმე უღელზე, ტარასის დის — ირინეს შესახებ.

„მას თავისუფლებას ჰპირდებიან, მაგრამ უმიწოდ გაუშვებენ, — წერს ბართლომე. — რაღა თავისუფლება უმიწაწყლოდ — წყალში გადავარდნა სჯობს!“

ტარასის გული დაეწვა მისთვის სანატრელი და უძვირფასესი დაიას ტანჯული სახის, მისი ბავშვების მოგონებისას.

— ჩემო დაიკო! — ამოიხვნეშა, — ბედკრულნი ვართ ორივენი, ვერასოდეს ველირსებით ბედნიერებას.

ოთახში კი უფროდაუფრო ბნელდებოდა, წყვდიადი აშთობდა, აყრუებდა ყველაფერს. შევჩინკომ აანთო პაწაწინა კანდელი. ოდნავ მბჟუტავი სინათლე კიდევ უფრო საგრძნობელს ჰხდიდა ოთახის სიღარიბეს.

მოაგონდა: დილით ტოლსტოებთან დაპატიჟეს სალამოზე. ჩაცმა დაიწყო. იცვამდა ფაციფუციო, თითქოს ჰსურდა, სასწრაფოდ დაეტოვებია ლატაკი კუთხე.

ტოლსტოებთან შევჩინკომ, მოქანცულმა და მდუმარემ, გულგრილად ჩამოუარა ნაცნობებს. ანაზღეულად თითქოს გამოიღვიძა:

— ოლრიჯ... აირა! — მოესმა ლმობიერი, გულთბილი ხმა. ტარას გრიგოლის ძემ ზეაილო თავი და ყურადღებით შეაჩერდა. მის წინ იდგა საშუალო სიმაღლის, ტანადი კაცი. კანის სიშავის გამო ნაოჭები არ ემჩნეოდა პირსახეზე.

ოლრიჯმა გაიღიმა, და პოეტმა დაინახა ნატიფი თეთრი კბილები, ალერსიანი თვალები. ოლრიჯის სახე გულღია და საამური გახდა.

— მე აირა ვარ, — თქვა ზანგმა და ხელი მკერდზე დაიდო.

თავისი გვარის წარმოთქმის ნაცვლად შევჩინკომ უნებურად მოკლედ მიუგო:

— ტარასი!

ისადილეს ტოლსტოებისას. აქ ხშირად იკრიბებოდა პეტერბურგელი ინტელიგენცია: მწერლები, მხატვრები, არტისტები. შევჩინკო ყოველთვის ის-

ვენებდა ამ საზოგადოებაში. მონაწილეობდა წარმ-
ტაც საუბრებში: ხელოვნებაზე, მხატვრობაზე, ლი-
ტერატურაზე.

მაგრამ ამ დღეს შევჩინკო თითქოს ვერ ამჩნევდა
გარშემო მყოფთ. იჭდა ოლრიჯის გვერდით, მათ
ახლოს — ტოლსტოების ძმისწული ქალი. ამ სალა-
მოს იგი თარჯიმანი იყო: მუსაიფობდნენ პოეტი
ტარას შევჩინკო და გამოჩენილი მსახიობი აირა
ოლრაჯი. არტისტი მოუთხრობდა თავის სამშობ-
ლოს — ქალაქ ბალტიმორის შესახებ.

— პაპაჩემი წინამძღოლი იყო, — ამბობდა ოლ-
რიჯი, — ჩვენში, აფრიკაში, უამრავი ტომია. ერ-
თიანდებიან თითქმის ცალკე ოჯახებიც კი — მტრი-
საგან თავდასაცავად. ხოლო მტერი ბლომად გვეყავს,
ყველას ჰსურს შეიპყრას ზანგი და დაიმონოს...

— როგორც ჩვენში! — წყნარად წარმოთქვა შევ-
ჩინკომ.

ტოლსტაიამ გადაუთარგმნა ოლრიჯს შევჩინკოს
სიტყვები. ჯერ თითქოს ვერ მიხვდა, გახედა ლამა-
ზად გაწყობილ სუფრას, ტურფად მოკაზმულ ბა-
ნოვანებს, დარბაისელ მამაკაცებს... შევჩინკოს
თვალი თვალში გაუყარა და თავი დაუქნია.

დიდხანს მუსაიფობდნენ. აირამ მოიგონა პაპამი-
სი, მოუთხრო მისიონერი მამისა და ზანგი-დედის
შესახებ. დედის მოგონებისას გულთბილი სიყვა-
რულით აუციმციმდნენ თვალები. უამბო დას შე-
სახებ. ის მონობაშია ისევ, და ძმას არ ძალუქს
დახმარება: და შავკანიანია, მდიდარა ადამიანები
პირუტყვად სთვლიან მას.

— არაა საჭირო გადათარგმნა, — უთხრა ტოლსტაიას შევჩენკომ. — გმადლობთ, ყველაფერი მეამის.

და საუბარი გაგრძელდა უთარჯიმანოდ. ოლრიჯი აღტაცებით იგონებდა სამშობლოს, ზანგთა უუღლებობას, მონობას, კატორღას, გაქცეული ზანგების ღვეწას ბატონთა ძაღლებით. თავის სიტყვებს ახმარდა ჟესტებს. შევჩენკო იჭერდა უცხო ენის ნაცნობ სიტყვებს და ესმოდა ყველაფერი, რასაც მოუთხრობდა აირა.

— ბედმა მსახიობი გამხადა, — ამბობდა ოლრიჯი, — მაგრამ შავკანიანი ვარ: თოვლზე უსპეტაკესი სული მაქვს, ყველასათვის უცხო ვარ მაინც.

სტუმრები წამოიშალნენ. სადილი დამთავრდა, ოლრიჯს გარსშემოეხვივნენ. დიასახლისმა ყველას შესთავაზა წასვლა თეატრში.

დათანხმდნენ, საჩქაროდ ჩაიცვეს და ქუჩაში გავიდნენ.

იქ ელოდათ მეეტლეთა მთელი მწკრივი.

იმ საღამოს შექსპირის „ოტელოს“ დგამდნენ. ოტელოს როლში გამოდიოდა ოლრიჯი.

ერთ-ერთ პირველ რიგში მჯდომარე შევჩენკო შეკრთა აირა ოლრიჯის დანახვისას. ის შემოდიოდა სცენაზე იაგოს მაშხალით გაშუქებული. და დეზდემონასადმი სიყვარულით აღფრთოვანებული ოტელო ამბობდა:

— ...ვეუამბობდი, რაც შემმოხვეოდა უბედურება,
რაც — კი ხიფათი გამომეველო ზღვაზედ, თუ
ხმელზედ,
რამდენჯერ საშიშ, საზარელის ნაპრალს პირად
ჩემი სიცოცხლე ბეწვის ეკიდა; ან უწყალო
მტერს
ვით ჩაეუარდი ტყვედ და მონად როგორ
გამყიდეს,
ან ვით დაეიხსენ თავი ჩემი ამ ტყვეობიდან!

და შევჩენკოს თვალწინ გაიღვებდნენ ტრამალე-
ბი ნოვოპეტროვსკის გარშემო, — უსივრცო, მზით
გადახრუკული, გამოფიტული... თვალწინ მიჰქროდ-
ნენ მისი ცხოვრების უნდელი დღეები, ციალებდნენ
სახეები.

— მაშ, შენა ჰფიცავ? — ეკითხებოდა ოტელო.

— ამ მარჯვენას გეფიცებით! — მალუგებდა იაგო.

და შევჩენკოს აგონდებოდა მრავალი ფიცისგამ-
ტები, იაგოსავით გამყიდველი, რომლებიც წვეთ-
წვეთობით სპობდნენ და ანადგურებდნენ ყველაზე
უფრო ძვირფასსა და ბრწყინვალეს.

— დაგვიანდა, დრო აღარ არის! — დაიგმინა
მოტყვილებულმა ოტელომ. და დეზდემონამაც და-
უტევა წუთისოფელი.

— გვიანდაა! — გაიმეორა მდუმარედ შევჩენკო-
მაც.

დარბაზი კი გრიალებდა, მქუხარებდა. ხალხი წა-

¹ „ოტელოდან“ ლექსების თარგმანი ეკუთვნის ივანე
მაჩაბელს.

მოდგა ზეზე, ქედს იდრეკდნენ დიდი აირა ოლრიჯის ნიჭის წინაშე და მხოლოდ თვით აირა ოლრიჯი იდგა სცენაზე უძრავად, ოდნავ მიეღულა თვალნი, ბაგენი მოკუმვოდა უკანასკნელად ამბორიას და ამ ღროს ფერმახდილი, აგრეთვე ნახევრადთვალდახუჭული ტარას შევჩენკო სავარძლებს შორის რამპისკენ გაეშურა.

— სად არის ოლრიჯი? — იკითხა სცენის იქით. იდგა წებოს სუნი და მტვრიან ჰაერში ძნელი იყო სუნთქვა.

— სადაა აირა?

წყნარად შევიდა გენიალური მსახიობის ოთახში. აირა ფართო სავარძელში ჩაწოლილიყო. მაგიდაზე იდგა დიდი კანდელი და აშუქებდა მსახიობის სახეს.

ოლრიჯი მძიმედ სუნთქავდა, მკერდი ამთავორებოდა, — ვერ ახერხებდა სიყვარულისაგან შებოჭილი პირის გაღებას, თვალეზი კვლავ მილულადა.

— აირა! — ნელა დაუძახა შევჩენკომ კარაპინიდან.

ოლრიჯმა თვალი გაახილა. მიმოიხედა, თითქოს არ ესმოდა, თუ რატომ იყო აქ. შეხედა მჭკნარ ყვავილეებს, მაგიდაზე მიგდებულ პარიკს. შეაჩერდა შევჩენკოს თვალეზში, დაინახა ცრემლი. ჰსურდა წამოდგომა სავარძლიდან. ვერ შეიძლო.

— ტარასი! — წარმოთქვა ოლრიჯმა მისთვის ნაცნობი სიტყვა.

— აირა! — გაექანა მისკენ შევჩენკო.

მკერდში ჩაეკრა მსახიობს.

— ჩვენ ორივენი, — ამბობდა შევჩენკო, — ორივენი დავეძებთ ბედნიერებას, ის კი არა ჩანს. არ არსებობს ბედნიერება... გვლალატობს ბედი... მოიწი, ჩემო აირა! მსურს გეამბორო, მეგობარო

არ ყოფნიდა საჭირო სიტყვები. ამ წუთს ველარ ეპოვნა და მათი ძებნაც არ იყო საჭირო. ვილაც აკაკუნებდა კარზე, უხმობდა მსახიობს, მაგრამ არც ოლრიჯს, არც შევჩენკოს არაფერი ესმოდათ.

ტარასი ჩაეკრა თავის შორეულ მეგობარს და ჰკოცნიდა მის გრიმირებულ პირსახეს, ლოყებს, ტუჩებს, თვალებს, საიდანაც შეუჩერებლად იფრქვეოდნენ ცრემლები.

შევჩენკოს ადრე გაელვიძა.

წვიმის, თოვლჰყაპისა და ნისლის შემდეგ მშვენიერი დღე დადგა. მზემ დაფარა კუნძული. შევჩენკოსთანაც შეიჭვრიტა. ღარიბი ოთახი გახალისდა. ღუქელი აფრქვევდა სითბოს.

შევჩენკომ შეიციწო სტუმრის ფეხისხმა. გაექანა შესახვედრად, ჩაეხვია და გადაკოცნა აირა ოლრიჯი.

— მე დაგხატავ, ჩემო კარგო მეგობარო! — ამბობდა შევჩენკო, — შევქმნი სურათს, და როცა ვინმე შეხედავს მას, გაიგებს ჩვენს მეგობრობას. მიხვდება — თუ რატომ შეგიყვარე შენ — ზანგი —

და რატომ შემეყვარე მე — უკრაინელი — აფრიკელმა ადამიანმა. ორივენი საბრალონი ვართ, ორივენი ბედკრულნი.

— დაჯექი აქ, — მიაწოდა სელი შევჩენკომ, — დღეს დავხატავ აირა ოლრიჯის სურათს.

ოლრიჯი მობრუნდა. ფანჯრიდან ათვალიერებდა ქუჩებს, არხებს. და მისი სახე იყო ოტელოსი, რომელსაც თამაშობდა წინაღამით. სახეზე აღბეჭდოდა ტანჯვა-წამება, კაეშანი, სიყვარული და სიძულვილი.

— არა! — წარმოთქვა შევჩენკომ, — შორს ტანჯვა, შორს მწუხარება, აირა! ყველაფერა გაივლის. დარჩება მხოლოდ სიხარული. ვიცინოთ. ოდესმე გვეწვევა სიხარული და ბედნიერება. დასცინე ამ წყეულ წუთისოფელს, აირა! იცინე ჩემო მეგობარო!

შევჩენკომ თვითონვე გაიცინა. აირა გამომცდელად მიაჩერდა მას. ყველაფერს ვერ მიხვდა. შევჩენკომ თვითონვე ფართოდ გადაშალა ხელები, თითქოს მთელი სამყარო უნდა ჩაიხუტოსო. მიუთითა ფანჯრის იქით მოთამაშე მზეზე, მის მხიარულ ათინათს კედლებზე, ხელები მკერდზე მიიბჯინა და შემდეგ თავშეუკავებლად გაიშვირა ისინი მსახიობისაკენ.

აირა მიხვდა და გაიცინა. მის სახეზე, ზანგის მშვენიერ, კეთილშობილ სახეზე, აციალდა სანდომიანი ღიმილი. იცინოდა. ფიქრობდა მზეზე, ადამიანებზე და შევჩენკოსთან შეხვედრის სიხარულზე.

შევჩენკომ ფუნჯი შეახო მქისე ტილოს. ტილოს
წელინელ შეეპარა სიცოცხლე“.

* * *

შევჩენკომ ზეთის საღებავით დახატა ოლრიჯის
პორტრეტი. ეს პორტრეტი შევჩენკოს ერთ-ერთი
უკანასკნელი ნამუშევარია. იგი ადრე დაცული იყო
ტრეტიაკოვის გალერეაში, ამჟამად კი ინახება
ტ. გ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო მუზე-
უმში, კიევში.

* * *

1939 წლის 7 მარტს თბილისის რუსთაველის სა-
ხელობის თეატრში მოეწყო ტარას შევჩენკოს და-
ბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო
საღამო. შესავალი სიტყვა წარმოთქვა შალვა და-
დიანმა, მოხსენებით გამოვიდა შალვა რადიანი,
სიტყვებით—იოსებ გრიშაშვილი, დიმიტრი ბენაშ-
ვილი, კორნელი კეკელიძე (1879—1962), სიმონ
ჯანაშია (1900—1947) და სხვ. საღამო დამთავრდა
მხატვრული განყოფილებით, რომელშიც მონაწი-
ლეობა მიიღეს მწერლებმა და თბილისის თეატრე-
ბის მსახიობებმა. თბილისის სახელმწიფო კონსერ-
ვატორიის სტუდენტმა მ. კეშელავამ შეასრულა
შევჩენკოს ორი სიმღერა უკრაინულ ენაზე.

საიუბილეო დღეებში მთელ რესპუბლიკაში გაი-

მართა შევჩენკოს საიუბილეო საღამოები, მისდამი მიძღვნილი ლექციები; მოხსენებები და საუბრები.

„ლიტერატურული გაზეთი“ (1938 წლის 30 სექტემბერის № 24) ერთ-ერთი ასეთი საღამოს შესახებ წერდა:

„ხალხთა შორის მეგობრობისა და სამშობლოს სიყვარულის ნიშნით ჩატარდა 25 სექტემბერს სოფ. მარტყოფში მოწყობილი ტარას შევჩენკოს შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო.

საშუალო სკოლის ეზოში, ცის ქვეშ, აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. ისმის მხიარული მღერა, ცეკვა, თამაში.

„ჩვენი დიდი სამშობლო უზარმაზარ ტერატორიას შეიცავს, მასში სამოცდაათ ენაზე მოლაპარაკე სხვადასხვა ერი ცხოვრობს. ყველა ამ ერისათვის შევჩენკოს სახელი ძვირფასი და საყვარელია“, — ტაშის გრიალში ათაეებს საღამოს შესავალ სიტყვას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მწერალი შალვა დადიანი.

შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა პოეტი სიმონ ჩიქოვანი. იგი აცნობს კოლმეურნეებს შევჩენკოს ბიოგრაფიას, მისი შემოქმედების გზას და ახასიათებს მას, როგორც უკრაინის ახალი ლიტერატურის ფუძემდებელს, დიდ სახალხო პოეტ-რევოლუციონერსა და ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლს.

მომხსენებელს გაჰყავს პარალელი შევჩენკოს შემოქმედებასა და ქართველი კლასიკოსების: ილიას, აკაკისა და ვაჟას შემოქმედებას შორის.

დასასრულს, ს. ჩიქოვანი ამბობს: დღეს ჩვენ მარტო თბილისი სიტყვით როდი ვიგონებთ ტ. შევჩენკოს, როგორც ნატრობდა პოეტი, — დღეს მხურვალე გულით და სიყვარულით კითხულობენ და იმეორებენ შევჩენკოს ლექსებს საბჭოთა კავშირის ხალხთა მილიონიანი მასები.

შევჩენკოს შემოქმედებისადმი გულთბილი დამოკიდებულებით არის აღსავსე საღამოზე გამოსულ კოლმეურნეთა სიტყვები: „ჩვენ ხალხს უყვარს შევჩენკო, ჩვენი ხალხი მღერის შევჩენკოს ქართულად ისევე, როგორც მღერის შოთას, ილიას და აკაკის“.

მარტყოფის საშუალო სკოლის მოწაფეებმა წაიკითხეს შევჩენკოს ლექსები ქართულად. საუცხოოდ ასრულებდა ხალხურ სიმღერებს მარტყოფის საკოლმეურნეო გუნდი.

დასასრულს, პოეტებმა ალიო მაშაშვილმა, სიმონ ჩიქოვანმა, გიორგი ლეონიძემ, კარლო კალაძემ და ვასო გორგაძემ წაიკითხეს თარგმანები შევჩენკოდან და საკუთარი ლექსები“.

აჭარის საბჭოთა მწერლების კავშირი შევჩენკოს 125 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ლიტერატურულ წრეებში აწყობს მოხსენებებს პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. საღამოები ტარდება აგრეთვე რაიონებში¹.

ბათუმში, აჭარის მწერალთა სახლში, 1939 წლის 6 მარტს ჩატარდა შევჩენკოსადმი მიძღვნილი სა-

¹ გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1939 წ., № 52.

ლამო. სალამოზე პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა მწერალმა პ. ლორიამ, სიტყვებით გამოვიდნენ მწერალი ე. შარაშიძე, პოეტები ნ. მალაზონია და კ. რუსიძე. ნ. მალაზონიამ წაიკითხა ქართულ ენაზე მის მიერ თარგმნილი შევჩენკოს ლექსი „ანდერძი“. ლექსები წაიკითხეს აგრეთვე პიონერებმა გვარაშვილმა, კვაჭაძემ და სხვ.¹

1939 წლის 9 მარტს სოხუმის მასწავლებელთა სახლში ჩატარდა შევჩენკოს დაბადებიდან 125 წლისთავის აღსანიშნავი სალამო.

საიუბილეო სალამოს დაესწრნენ სოხუმის სკოლების მასწავლებლები და მოსწავლეები, მოხსენების შემდეგ ნაჩვენები იყო კინო-სურათი, „კატერინა“².

„ლიტერატურული საქართველოს“ 1939 წლის 30 აპრილის ნომერშია შალვა რადიანის „ტარას შევჩენკო“. იმავე გაზეთშია იოსებ გრიშაშვილის საინტერესო სტატია „შევჩენკო ქართულ ლიტერატურაში“, რომელიც შემდეგ შევიდა ავტორის „ლიტერატურულ ნარკვევებში“. აქვეა მაყვალა მრევლიშვილისა და ვასო გორგაძის შევჩენკოსადმი მიძღვნილი ლექსები.

გაზეთი იუწყება, რომ ტარას შევჩენკოსადმი მიძღვნილ სსრ კავშირულ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე დასასწრებად, რომელიც მოწ-

1 გაზ. „საბჭოთა აქარა“, 1939 წ., № 54.

2 გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1939 წ., № 57.

ვეული იყო 1939 წლის 4 მაისს ქალაქ კიევში, საქართველოდან გაემგზავრნენ შალვა დადიანი, ალიო მაშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, შალვა რადიანი, ილო მოსაშვილი, სანდრო ეული, მიქელ პატარიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე გომიაშვილი, დემნა შენგელაია, რაჟდენ გვეტაძე, გიორგი ლეონიძე და ირაკლი აბაშიძე.

„ლიტერატურული გაზეთის“ შემდეგი ნომრიდან ვიგებთ, რომ ამ პლენუმზე მოხსენებით „შევჩინკო და ქართული ლიტერატურა“ გამოსულა პოეტი ალიო მაშაშვილი¹.

ა. მაშაშვილის სიტყვის სტენოგრაფიული ანგარიში მოთავსებულია იმავე გაზეთში.



ოფიციალური საიუბილეო დღეები დამთავრდა, მაგრამ ინტერესი შევჩინკოსა და შევჩინკოს შემოქმედებისადმი ამის შემდეგაც არ შენელებულა.

ქართული პრესა განაგრძობს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების პოპულარიზაციას.

ყურნალი „ჩვენი თაობა“ ათავსებს ერემია ქარელიშვილის ვრცელ სტატიას — „სოციალური მოტივები შევჩინკოს პოეზიაში“. ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ტარას შევჩინკოს სოციალური ბრძოლა უკიდურესად პრინციპულ

¹ „ლიტერატურული გაზეთი“, 1939 წ., № 15.

სიმაღლეზე აყავდა, იგი არ ერიდებოდა ბრძოლის არავითარ გამწვავებას, მის შინაგან გამძაფრებას. შევჩენკოს „უკრაინა“, იყო უკრაინა უმეფოდ და უმემამულოდ, უკრაინა ყმებისა და მოჯამაგირეების გარეშე, უკრაინა თავისუფალი ხალხისა. ეს იყო მომავლის ნამდვილი ხალხური გაგება. ამაშია მისი შემოქმედების და აზროვნების განსაკუთრებული მნიშვნელობა და ხალხურობა.

მწერალი დაასკვნის, რომ შევჩენკოს პოეზია ყოველთვის შეინარჩუნებს ადამიანის სულზე ჯადოქრული მოქმედების ძალას¹.

შევჩენკოს დაბადების 130 წლისთავისადმია მიძღვნილი იასამანის სტატია, რომელშიაც ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველი ხალხი დიდი ინტერესით ეკიდებოდა და ეკიდება უკრაინის საამაყო პოეტის შემოქმედებას, რომ უკრაინელი გენიოსი იმ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც გაუვლიათ ხალხის ინტერესებისათვის მძიმე ბრძოლის სახელოვანი გზა და თავისი სახელი მჭიდროდ დაუკავშირებიათ მჩაგვრელთა წინააღმდეგ მოშობელი ქვეყნის შეუდრეკელ ბრძოლასთან².

გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ აქვეყნებს პროფესორ ვანო შადურის საქმის ცოდნითა და სიყვარულით დაწერილ სტატიას — „შევჩენკო და სამშობლო“, სადაც წერს: „შევჩენკოს სიკვდილის შემდეგ ხალხში ლეგენდა გავრცელდა, „ბატკო“ არ

1 ქურნ. „ჩვენი თაობა“, 1941 წ., № 4. გვ. 34—45.

2 გაზ. „კომუნისტი“, 1944 წ., № 49.

მომკვდარა, ის ცოცხალია და ძალებს აგროვებს ჩვენს გასათავისუფლებლადო. გლებებს არ სჯეროდათ საყვარელი კობზარის სიკვდილი. მგზნებარე პატრიოტადა რევოლუციონერი, მართლაც, უკვდავი დარჩა. ის ყოველთვის იბრძოდა და დღესაც იბრძვის სამშობლოსა და ხალხის თავისუფლებისათვის“. წერილის ავტორი განაგრძობს:

„ხალხმა, რომელმაც წამოაყენა შევჩენკო, როგორც თავისი ეპოქის მოწინავე მოღვაწე, როგორც საუკეთესო ფიქრების, მისწრაფებებისა და იმედის გამომხატველი — სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა იგი. მის შესახებ ითხზებოდა ლეგენდები, რაც გამოხატავდა ხალხის ყველაზე იდუმალ ფიქრებს.

პოეტის საფლავი გადაიქცა ხალხის სალოცავ ადგილად.

ტარას შევჩენკოს დაბადებიდან 130 წლისთავი დაემთხვა იმ მრისხანე დროს, როცა მთელი საბჭოთა ხალხი მედგარ, შემტევ ბრძოლებს აწარმოებდა ჩვენს ქვეყანაში შემოჭრილ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, რომლებსაც სწაღდათ „ჩვენი ქვეყნის დანგრევა, ჩვენი კულტურისა და ლიტერატურის ჩახშობა, აკი ანგრევდნენ და სწავდნენ უკრაინის ქალაქებსა და სოფლებს, ახლობდნენ, ხვრეტდნენ, აწამებდნენ მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს“. და აი, ამ დროს „ძლიერად გაისმა შევჩენკოს მრისხანე ხმა. ფაშისტურ წყევლიადში დატყვევებულ საფლავიდან დგებოდა თითქოს დიდი კობზარის ბრწყინვალე სახე და სასტიკი

შურისძიებისაკენ მოუწოდებდა უკრაინელ ხალხს, ანუგეშებდა დაობლებულ და დამწუხრებულ დედებს:

ნანგრევიდან

წამოდგება უკრაინა,

წამოდგება ბნელეთს მოსპობს,

სიპართლის შუქს გაშლის.¹

და, ფაშისტების უღლის ქვეშ მგმინავ ადამიანებს სწამდათ, რომ წითელი არმია მათ იხსნის ჯოჯოხეთისაგან“².

ამ იმედით იბრძოდა წითელი არმია. ამ იმედით მძლავრად ეღერდა პოეტის მოწოდება „იძიეთ შური!“.

წერილის ავტორი ხატოვნად ასკვნის, რომ შევჩენკოს პოეზია გასაოცარი სიძლიერით ეხმაურება ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის ქვემეხების გრი-ალსა და თვითმფრინავების გუგუნს. მისი პოეტური სიტყვა დღეს საბრძოლო მოწოდებასავით გაისმის და ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლველად აღვ-ვაფრთოვანებსო.

ამავე გაზეთშია ვ. კასიანის მეტად შთამაგონებელი და დამაზახსიათებელი ნახატი „პარტიზანები შევჩენკოს საფლავზე კანევში“.

დიდი უკრაინელი პოეტის დაბადების 135 წლის-

¹ თარგმანი სიმონ ჩიქოვანისა.

² გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1944 წ., № 9.

თავს საინტერესო წერილი მიუძღვნეს თ. საჯაიამ¹ და ი. მეგრელიძემ².

სტატია „შევჩენკო, აკაკი და ი. გოგებაშვილი“ დაიბეჭდა გაზ. „სახალხო განათლების“ 1949 წლის 31 მარტის ნომერში, რომლის ავტორია ცნობილი ჟურნალისტი, მკვლევარი და პედაგოგი სოლომონ ცაიშვილი (1900—1957). წერილში აღნიშნულია: გაზ. „ზაკავკაზიეში“ გამოქვეყნებული აკაკი წერეთლის მოგონება შევჩენკოზე, სარედაქციო თუ საცენზურო პირობების გამო, დამახინჯებულად არის დაბეჭდილი.

1951 წელს ქართველმა მაცურებელმა სიამოვნებით ნახა და საუკეთესო შეფასება მისცა კიევის კინოსტუდიის მიერ გამოშვებულ ახალ მხატვრულ ფილმს — „ტარას შევჩენკო“, რომლის სცენარი და დადგმა ეკუთვნის ი. სავჩენკოს.

გაზეთ „კომუნისტსა“³ და „ახალგაზრდა კომუნისტში“⁴ იმავე წელს დაიბეჭდა ნ. შველიძის და ო. დავითაშვილის საფუძვლიანი რეზენცია ამ კინოფილმის შესახებ. რეცენზეტებმა აღნიშნეს: სურათი ამალელებლად მოგვითხრობს დიდი უკრაინელი პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ფილმი ჰალალიდგური და მალაღმხატვრული ნაწარმოებიაო.

შევჩენკოს დაბადების 140 წლისთავს პოეტი ხა-

1 გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1949 წ., № 31.

2 გაზ. „საბჭოთა აკარა“, 1949 წ., № 47.

3 გაზ. კომუნისტი“, 1951 წ., № 306.

4 გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1951 წ., № 154.

რიტონ ვარდოშვილი შეხვდა მშვენიერი ლექსით — „ტარას შევჩენკო და აკაკი წერეთელი“. ლექსს ეპიგრაფად წინ უძღვის სტრიქონები აკაკის ცნობილი მოგონებიდან.

უკრაინული ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მცოდნემ, შევჩენკოს პოეზიის პოპულარიზატორმა, პოეტმა და მთარგმნელმა იასამანმა შევჩენკოზე თავისი უკანასკნელი სტატია — „უკრაინელი ხალხის დიდი პოეტი და მოაზროვნე“¹ მიუძღვნა პოეტის დაბადების 140 წლისთავს. ავტორი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხალხი შევჩენკოს იგონებს არა „ჩუმი სიტყვით“, როგორც წერდა პოეტი „ანდერძში“, არამედ მთელი ხმით, სიამაყის გრძნობით, მადლობითა და სიყვარულით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოეტმა იასამანმა გაამდიდრა ქართული ლიტერატურა შევჩენკოს პოეზიის საუკეთესო ნიმუშების თარგმანებით და არა ერთი და ორი სტატია მიუძღვნა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებს.

„შევჩენკო და საქართველო“ ასეთი სათაური აქვს ი. გრიშაშვილის ვრცელ სტატიას², რომელიც ეხება დიმიტრი ყიფიანისა და აკაკი წერეთლის მოგონებებს შევჩენკოზე. ეს წერილი წარმოადგენს ნაწყვეტს მონოგრაფიისა — „შევჩენკო და ქართული მწერლობა“, რომელიც მოთავსებულია ი. გრიშაშვილის „ლიტერატურულ ნარკვევებში“³.

1 გაზ. „კომუნისტი“, 1954 წ., № 57.

2 „ლიტერატურული გაზეთი“, 1954 წ., № 5.

3 იხ. გვ. 180 — 192.

1954 წლის გაზეთ „კომუნისტის“ 3 იანვრის ნომერში დაიბეჭდა პ. ჭიოკაძის წერილი „ხალხთა მეგობრობის მქადაგებელი (ა. წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის მასალებიდან)“.

„ხარკოვში, ტარას შევჩენკოს ძეგლის კვარცხლბეკის ირგვლივ, კიბეებზე აღმართულია ქანდაკებები, რომლებიც გამოხატავენ შევჩენკოს ნაწარმოებთა პერსონაჟებს“... ეს სიტყვები წაუმიძღვარა ეპიგრაფად თავის ლექსს — „შევჩენკოს ძეგლთან“ მარი აბრამიშვილმა.

ეს ძეგლია თუ შენს ლექსებს
თვალი უაღერსებს;

ძეგლია თუ უკრაინის
ძველი კარი შეხსნეს?

ეს ძეგლია, თუ წიგნია,
წიგნში უწვიმია, —

ისე წერე, ისე ხატე —
არ გაგიცინია.

ღრომ ბორკილი გამტვრევინა
მხატვრულ სიტყვის ძალით;

დგას კიბეზე კატერინა —
უბედური ქალი.

სხვა გმირებიც აქ არიან
უკვდავების კართან,

შენი კალთა აფარიათ,
როგორც მშობლის კალთა,

ეს ძეგლია თუ წიგნია,
წიგნში უწვიმია,

ეს ძეგლია, თუ შენს ლექსებს
თვალი უაღერსებს?

არა, ტანჯვას აღარ ელის,

მშვიდობის მზით ბრწყინავს,
 უკრაინა საყვარელი,
 შენი უკრაინა.
 ხალხის ტალღა ტალღას მოსდევს
 და შენს ძეგლთან ღელავს,
 უკრაინის ხმატკბილ მგოსნებს
 შენ ასწავლე მღერა.
 მოდიან და გიცქერიან,
 ვის არ უთქვამს ქება, —
 შენივე ხელით ნაწერია
 შენი უკვდავება“.1

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთმა არა ერთი წერილი მიუძღვნა უკრაინის საამაყო მამულიშვილსა და პოეტს. 1954 წლის 13 მარტს (№ 10) გაზეთში გამოქვეყნებულია ოთარ ბაქანიძის წერილი — „ტ. შევჩენკო (დაბადებიდან 140 წლის-თავის შესრულების გამო)“.

წერილის ავტორის აზრით, დიდმა უკრაინელმა მწერალმა ტარას გრიგოლის ძე შევჩენკომ თავის ლექსთა კრებულს „კობზარი“ უწოდა. ამ პატარა დეტალშიც კი აშკარად გამოსჭვივის პოეტის დაუცხრომელი სურვილი მარად ხალხთან იყოს, მთელი სულით და გულით, მთელი არსებით მშრომელ ხალხს ემსახუროს და მას ეკუთვნოდეს.

აქვეა გრ. კერესელიძის წერილი „შევჩენკო და საქართველო“, რომელიც ეხება ნიკო ნიკოლაძისა და აკაკი წერეთლის მოგონებებს შევჩენკოს შესახებ.

1 „ლიტერატურული გაზეთი“, 1954 წ., № 22.

იგივე გაზეთი 1954 წლის 20 მაისს (№ 19) ბეჭ-
დავს თენგიზ ფერაძის სტატიას — „ტარას შევჩენ-
კო, როგორც მხატვარი“... ავტორი ხაზს უსვამს იმ
გარემოებას, რომ უკრაინელი ხალხის დიდი მომ-
ღერალი ისევე თავისუფლად და სრულყოფილად
ფლობდა ფუნჯსა და ფანქარს, როგორც კალამს,
რომ იგი სამართლიანად ითვლება უკრაინული
ფერწერისა და გრაფიკის კლასიკოსად. მის აღრინ-
დელ ავტობიოგრაფიაში იგრძნობა პოეტისა და
მხატვრის დიდი უშუალობა, ფერთა გამის ჰარმო-
ნიულობა, ადამიანის ინტელექტის გადმოცემისაკენ
მისწრაფება.

ტილოების უდიდესი ნაწილი შევჩენკომ ხალხის
ყოფისა და მდგომარეობის აღწერას უძღვნა. იგი
ფერწერაშიც, ისევე როგორც ლიტერატურულ შე-
დევრებში, უკრაინელი ხალხის დიდ მომღერლად
გვევლინება. მისი სურათები ღრმა სოციალური
შინაარსის მატარებელია.

შევჩენკო ხელოვნების ძირითად ამოცანას მის
შემეცნებითობაში, საზოგადოებისათვის სამსახურ-
ში ხედავს, — ასკვნის თ. ფერაძე.

მართლაც, დიდი პოეტი დიდი მხატვარიც იყო,
მის ტილოებს, ისევე როგორც ლიტერატურულ
ნაწარმოებებს, დედააზრად თავის ხალხის სიყვა-
რული ედო.

გაზეთის ამ ნომერშია გურამ გიორგაძის ლექსი
„შევჩენკოს მხარევ“.

1951 წლის 10 მარტს ტარას შევჩენკოს გარდაც-
ვალებიდან 90 წლისთავთან დაკავშირებით გაზ.

„ინდუსტრიულმა ქუთაისმა“¹ დაბეჭდა ს. მაღლაფერიძის წერილი „ტარას შევჩენკო“. ავტორის თქმით, შევჩენკოს სწამდა, „რომ მალე მშრომელი ხალხი სიმშვიდით, როგორც გამოფენაზე, მეფეს აიყვანს სახრჩობელაზე“. იგი გრძნობს „თავისუფლების სხივჩაუქრობელი მზის ამობრწყინებას“, რომ ეს დღე მალე დადგება:

ამოდის მზე დამას დღეც მოყვება,
დღე სიმართლისა, სიცოცხლის მფენი.
ქვეყნად სიმართლე აწ დამყარდება!
შეფორიაქდნენ უკვე მეფენი“.

1956 წლის 10 მარტის ქუთაისის გაზეთშია (№ 50) მ. კაკიტელაშვილის წერილი „დიდი უკრაინელი პოეტი (ტ. შევჩენკოს გარდაცვალების 95 წლისთავის გამო)“.

1960 წელს გამოქვეყნდა თენგიზ ბუაჩიძის წიგნი — „ლიტერატურული წერილები“, რომელშიაც შესულია ნარკვევი ტარას შევჩენკოს შესახებ. ავტორი დიდ კობზარს — ტარას შევჩენკოს — უკრაინელ მოღვაწეთა იმ პლეადას აკუთვნებს, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა მშობლიური ხალხის ისტორიაში და თავისი შემოქმედებით მსოფლიო ასპარეზზე გაიყვანა იგი; შეითვისა და განავითარა მოწინავე კულტურის ტრადიციები, გამოხატა უკრაინელი ხალხის, პირველ რიგში, დამონებულის,

¹ გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი“, 1951 წ., № 48.

თავისუფლების მოყვარული გლეხობის ოცნებები და მისწრაფებები. თავისი შემოქმედებით შევჩენკომ მთელი ეპოქა შექმნა. მისმა შემოქმედებამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა უკრაინელი ხალხის ნაციონალური და სოციალური თვითშეგნების გამოღვიძებასა და განვითარებაში. შევჩენკოს შემოქმედება უკრაინელი ხალხის ნაციონალურ სიამაყეს წარმოადგენს.

პოეტის გარდაცვალების ასი წლისთავი

1961 წლის 10 მარტს შესრულდა 100 წელი შევჩენკოს გარდაცვალებიდან. ეს თარიღი ფართოდ აღინიშნა საქართველოში. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში, ბიბლიოთეკებში, კულტურის სახლებსა და შემოქმედებით ორგანიზაციებში ჩატარდა სამეცნიერო სხდომები, ლექციები და ლიტერატურული საღამოები.

1961 წლის 9 მარტს, ქართველმა მწერლებმა, დედაქალაქის მშრომელებთან ერთად, თავი მოიყარეს თავიანთ კლუბში უკრაინელი ხალხის გენიალური შვილის — ტარას შევჩენკოს გარდაცვალებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ. მოხსენება დიდი კობზარის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წაიკითხა თენგიზ ბუაჩიძემ, რომელმაც ვრცლად

ილაპარაკა ტარას შევჩენკოს ლიტერატურული მემკვიდრეობის თანამედროვე მნიშვნელობაზე.

სიტყვებით, შევჩენკოს ლექსების თარგმანებისა და მისადმი მიძღვნილი ლექსების კითხვით გამოვიდნენ მწერლები.



პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე ასე იწყებს თავის წერილს — „უკვდავება არწივისა“: „ასე დაწესებულა — თავის დიდ შვილს ხალხი „მამას“ უწოდებს. სულხან საბა ორბელიანს „საქართველოს მამას“ უწოდებდნენ, „ერის მამას“ — ილია. ჭავჭავაძეს, ასევე დაარქვეს უკრაინელებმა ტარას შევჩენკოს „ბატკო“... მისი დიდი შრომისა და დამსახურებისათვის, ხალხის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ დაუცხრომელი ბრძოლისათვის.

მაგრამ განა მარტო უკრაინელთათვისაა სვირფასი ეს ხალხის უფლებებისათვის მამაცი მებრძოლი, პოეტი, ადამიანი, რომლის ფიქრები და გრძნობები ესოდენ გასაოცრად ერწყმოდა ხალხის ფიქრებსა და გრძნობებს?

ყოველი ჩვენთაგანისათვის მახლობელი და გასაგებია ტარასის მგზნებარე, დაკოდილი გულის სიღრმიდან მომდინარე პოეზია.

თვითონ მე ყრმობიდანვე შევიყვარე მისი მრისხანე, „სიმწრითა და ნაღვლით გაქლენთილი ლექსები...“

გ. ლეონიძე იგონებს 1911 წელს თბილისის სა-

ხალხო თეატრში გამართულ შევჩენკოს საიუბი-
ლეო საღამოს, რომელიც უკრაინელ და ქართველ
ხალხთა მეგობრობის დემონსტრაციად გადაიქცა.
„მაშინ ყრმა ვიყავ, მაგრამ კარგად მახსოვს პოლი-
ციელებით ალყაშემორტყმული თეატრი, ისინი
დაძრწოდნენ თეატრის ახლომახლო, მაყურებელთა
დარბაზში კი ტარასის ლექსები და უკრაინელთა
სიმღერები გაისმოდა“.

ეს საინტერესო წერილი ასე თავდება: „შევჩენ-
კოს უკვდავება — უკვდავებაა არწივისა, რომელიც
ხალხის გადმოცემით, ცეცხლში იწვის, იფერფლება
და კვლავ იბადება ალიდან და ფერფლიდან. მისი
სიმღერა ისევე უკვდავია, ვით ხალხი, რომელმაც
ის წარმოშვა.

პოეტო — პრომეთეოსო,
შენს სასტიკ დროს რომ ემღური,
ცხოვრებამ გასვა ძირმწარე,
ძმარი ბაღამში შერთული!
ვერ შემოგძარცვეს ნათელი,
დღესაც იმ სხივით ეგზნები,
სისხლხორცეულად ხალხს დააქვს
შენი ნაცრემლი ლექსები!
სიცოცხლის ცეცხლი დამბერი,
სამშობლოს გამათბობელი...
კობზარი შევარდენია,
სიკვდილის გამაპობელი!!

„მსოფლიო პოეზიის მშვენიება“ — ასეთი სათაუ-
რი აქვს გაზ. „კომუნისტის“ 1961 წლის № 58-ში.

¹ ეურნ. „დროშა“, 1961 წ., № 4.

პროფესორ ანა ჩხეიძის წერილს, რომელიც წარმოადგენს შევჩენკოს ცხოვრებისა და შემოქმედების მიმოხილვას.

აქვე ვ. იმედაძე, წერილში — „მეგობრობის ფესვები“, ეხება ქართველებსა და უკრაინელებს შორის მეგობრობის საკითხებს. იგი წერს: „რევოლუციამდე ქართველი ახალგაზრდობის მნიშვნელოვანია წილი უკრაინაში სწავლობდა. უმაღლეს განათლებას იძენდა კიევიში, ხარკოვში, ოდესაში. ეს გარემოება ხელს უწყობდა უკრაინელი და ქართველი ხალხების ისტორიული მეგობრობის განმტკიცებას.

შევჩენკოს იუბილეს აკრძალვამ (1914 წელს — გ. ნ.) ააღელვა მთელი მოწინავე რუსეთი, უკრაინის სტუდენტობა და მასთან ერთად ქართველი სტუდენტობაც“.

ვ. იმედაძე იმოწმებს კიევის მაშინდელი კომერციული სასწავლებლის სტუდენტის — აწ განსვენებული აკ. მაჭავარიანის ნაამბობს: „კომერციული სასწავლებლის სამ სტუდენტს დაგვევალა იუბილეს აკრძალვის წინააღმდეგ პროკლამაციის დაბეჭდვა და სტუდენტთა შორის გავრცელება... მეფის სატრაპებმა პროვოკატორების საშუალებით გაიგეს ჩვენი გეგმები და მიიღეს წინასწარი ზომები. ქუჩები აივსო ქვეითი და ცხენოსანი პოლიციით, რომელიც დემონსტრანტებს უმოწყალოდ უმასპინძლებოდა მათრახებით. პოლიცია თავს დაესხა ჩვენს დემონსტრაციასაც, რომელიც მარსელიოზის სიმღერით მოედნისაკენ მიეშურებოდა, გარს შე-

მოერტყა მას, დაატუსაღა დემონსტრაციის ათი ზელმძღვანელი და გაგზავნა უახლეს საპოლიციო უბანში.

...ციხეში ყოფნისას ქართული ანბანი შევასწავლე ერთ უკრაინელ სტუდენტს, სამაგიეროდ მან ჩვენ, ქართველებს, შეგვასწავლა შევჩენკოს უკვდავი „ანდერძი“ (უკრაინული სიტყვები და სიმღერა), რასაც დიდი ხალხით ვმღეროდით“.

ამავე დემონსტრაციის მონაწილე, კიევის უნივერსიტეტის სტუდენტი გრიგოლ მეძმარიაშვილი (ეჭიმი) გადმოგვცემს ასეთ ეპიზოდს: „სხვა ქართველ სტუდენტთა შორის დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდნენ კოტე გეგელიძე და დავით ჩხეიძე (პოეტი თურდოსპირელი). ისინი მაღალი და შავგვრემანები იყვნენ, მკვეთრად გამოირჩეოდნენ დემონსტრაციის მონაწილეთაგან. როცა დემონსტრაცია მიუახლოვდა საოპერო თეატრს, ქართველ სტუდენტებთან პოლიციის ჩაფარი მივიდა და შეურაცხმყოფელი დაცინვით მიმართა. ქართველმა სტუდენტებმა პოლიციის მოხელეს თავმომწონედ უპასუხეს, რომ ისინი სავსებით შეგნებით და ნებაყოფლობით გამოვიდნენ დიდი უკრაინელი პოეტის იუბილეს აკრძალვის გამო თავისი აღშფოთების გამოსაცხადებლად“.

მესამე მონაწილე ამ დემონსტრაციისა — ეჭიმი ნიკოლოზ ჩხეიძე დასძენს: „კრემჩატიკისა და ფუნდუკლევის ქუჩების კუთხეში პოლიციამ ალყა შემოარტყა დემონსტრაციას, რომელშიც ბევრი

ქართველი იყო, ნაწილი დაგვიჭირეს და წაგვიყვანეს უნივერსიტეტთან ახლომდებარე საპოლიციო უბანში. — ტარასოვის ქუჩაზე. აქ 40-მდე ქართველა მოხვდა, მათ შორის მეც. ჩამოგვართვეს სტუდენტთა მატრიკულები. დაკითხვის დროს ჩაფარი ხშირად ხვდებოდა გვარებს, რომლებიც „ქესა“ და „შვილზე“ ბოლოვდებოდა. პოლიციის მოხელემ გაცემით მოგვმართა დაპატიმრებულ ქართველ სტუდენტებს: „რა ძალა გადგიათ, რომ მონაწილეობთ მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში, ზურგს მათრახებს უშვერთ. რა თქვენი საქმეა. შევჩენკო ხომ თქვენი მწერალი არ არის“.

ვ. იმედაძის ამ საინტერესო მასალებიდან და 1914 წლის „სახალხო გაზეთისა“ და გაზ. „აზრიდან“ ჩვენ მიერ ამოღებული დეპეშებიდან (კიევიდან, ოდესიდან და ხარკოვიდან) ნათლად ჩანს, თუ როგორი სიყვარულითა და თავდადებით გამოხატეს ქართველმა სტუდენტებმა თავიანთი ხალხის უდიდესი პატივისცემა და სიყვარული უკრაინელი ხალხის სასიქადულო შვილის — ტარას შევჩენკოსადმი.

„კომუნისტის“ იმავე ნომერში გამოქვეყნებულია შევჩენკოს ლექსი „ანდერძი“ (მთარგმნელი სიმონ ჩიქოვანი) და პ. ჭიოკაძის წერილი — „შევჩენკო და ჩვენი აკაკი (სხვიტორის მუზეუმის მასალებიდან)“.

„შევჩენკოს ლექსები და პოემები თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა თითქმის ყველა ენაზე. საბჭო-

თა ხალხებს უყვარდათ და პატივის სცემენ უკრაინის გენიალურ სახალხო პოეტს. მისმა შემოქმედებამ დიდი გავლენა იქონია საბჭოთა კავშირის მოძმე ერების ლიტერატურაზე, სლავი ხალხის ლიტერატურაზე“. ასე იწყებს თავის წერილს „ლიტერატურული გაზეთის“ 1961 წლის № 11-ში უკრაინული ენისა და ლიტერატურის მცოდნე, ნსცოვანი მწერალი — მთარგმნელი გიორგი ნამორაძე, და განაგრძობს: „უკრაინის ხალხს გულწრფელად უყვარს ტარას შევჩენკო და თვით ტარასსაც უყვარდა იგი განუზომელი სიყვარულით. თავს ევლებოდა, იზიარებდა მის ჭირ-ვარამს და თავის ნაღვლიან ფიქრებს უზიარებდა. უკრაინელ ხალხს უყვარს იგი იმიტომ, რომ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე შევჩენკო მისთვის იბრძოდა, მისთვის იტანჯებოდა.

მთელი საუკუნე გავიდა შევჩენკოს გარდაცვალებიდან. უკვდავი კობზარის ბუმბერაზულ სახეს დროთა მსვლელობამ ახალი შარავანდედი შემატა. მისი ლექსები ხალხურ სიმღერებად არის ქცეული და უკრაინელი ხალხი დიდი გრძნობით მღერის ამ სიმღერებს და ეს იმიტომ, რომ მგოსანი გულის სიღრმემდის ჩასწვდა მშობელი ხალხის ნაგრძნობებს, განცდებს და თავისი შემოქმედებით გამოხატა მისი სულიერი კეთილშობილება“.

გიორგი ნამორაძე ასე ამთავრებს თავის წერილს: „უკრაინელი ხალხი, მთელი ჩვენი სამშობლოს ხალხები არასოდეს არ დაივიწყებენ უბრწყინვალეს

პოეტს, თავისუფლებისათვის დიდ მებრძოლს ტარას შევჩენკოს“.

ამავე გაზეთში გამოქვეყნებულია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ი. ენიკოლოფაშვილის წერილი — „შევჩენკოს თანამებრძოლი საქართველოში“. წერილი ეხება კიევში კირილე-მეთოდეს ძმობის სახელით ცნობილი საიდუმლო ორგანიზაციის წევრს ნიკოლოზ გულაკს. „ნ. გულაკმა გასული საუკუნის 40-იან წლებში, უკრაინელი ხალხის სხვა საუკეთესო შვილებთან ერთად, შექმნა ფარული საზოგადოება. ამ საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იყო სლავი ხალხების და, პირველ რიგში, რუსი და უკრაინელი ხალხების ერთიანობის განმტკიცება“.

როცა ჯაშუშმა პეტროვმა გასცა ორგანიზაცია, ტ. შევჩენკოსთან ერთად დააპატიმრეს ნ. გულაკიც¹, რომელიც (როგორც ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის ი. ენიკოლოფაშვილი) სამ წელიწადს დამწყვდეული იყო შლისელბურგის ციხეში, შემდეგ კი გადაასახლეს პერმში, პოლიციის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ, განთავისუფლების შემდეგ 1863 წელს იგი ინიშნება ჯერ ქუთაისის გიმნაზიაში,

¹ ნიკოლოზ ივანეს ძე გულაკმა დაკითხვის დროს პასუხი არ გასცა III განყოფილების მიერ დასმულ კითხვებზე, რისთვისაც მას სამი წლით პატიმრობა, ხოლო შემდეგ შორეულ გუბერნიაში გადასახლება მიესაჯა. შემდგომ პერიოდში ნ. გულაკმა სახელი გაითქვა, როგორც საზოგადო მოღვაწემ, მეცნიერმა და მწერალმა.

ზოლო შემდეგ თბილისში - (პირველ გიმნაზიაში) მათემატიკისა და ლათინური ენის მასწავლებლად.

თბილისში ოც წელიწადზე მეტი ხნის ყოფნისას ნ. გულაკმა ღრმად შეიყვარა საქართველო და ქართველი ხალხი. კარგად შეისწავლა ქართული ენა და ლიტერატურა. თავისი ნაყოფიერი სამეცნიერო და სამწერლო მოღვაწეობით დიდად შეუწყო ხელი უკრაინის, რუსეთისა და საქართველოს კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას.

შევჩენკოს ახლობელი მეგობარი ნ. გულაკი უკრაინელი ხალხის შესანიშნავი შვილია, რომელიც იბრძოდა დესპოტიზმის წინააღმდეგ და რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ხალხთა მეგობრობის დიდი იდეებისადმი სამსახურს.

საქართველოში ნ. გულაკის მუშაობისა და მოღვაწეობის საკითხებს ეხება ბ. პირადოვი წერილში — „ნიკოლოზ გულაკი — ტარას შევჩენკოს მეგობარი“¹.

იქვეა ტ. შევჩენკოს ლექსი „ანდერძი“, თარგმნილი სიმონ ჩიქოვანის მიერ, და ოთარ ბაქანიძის სტატია — „პოეტი — დემოკრატი“.

მეტად საინტერესო წერილებით გამოეხმაურა გაზ. „თბილისი“ (1961 წ., 10 მარტი, № 59) ტ. შევჩენკოს გარდაცვალების 100 წლისთავს. აქ დაიბეჭდა თ. ხუროშვილის „შთაგონების წყარო“, რომელიც თავისი შინაარსით მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა:

¹ ურნ. „მნათობი“, 1961 წ., № 3.

„ხალხური სიმღერა ტარას შევჩენკოს უსაყვარლესი და განუყრელი თანამგზავრი იყო. იგი ხარბაღ ისმენდა მათ, თვითონაც შესანიშნავად მღეროდა, იწერდა და აგროვებდა ტექსტებს, შემდეგ კი საკუთარ შემოქმედებაშიც იყენებდა. მრავალი ლექსითუ პოემა, ხალხური სიმღერის შინაარსი, მთლიანად უკრაინელი ხალხის ხელოვნებასთან არის დაკავშირებული.

პოეტ მოქალაქეს, დაბეჩავებული უკრაინელი გლეხების მოამაგეს ყველაზე მეტად იზიდავდა ის სიმღერები, რომლებშიც გამოხატული იყო ხალხის სიძულვილი. მჩაგვრელთა მიმართ. სიმღერები ჰაი-დამაკებზე, კარმელიუკზე, სტენკა რაზინზე ყველაზე მახლობელი იყო მისთვის და რევოლუციური პოეზიის შთამაგონებელი წყარო გახდა. უყვარდა აგრეთვე ბურლაკების, ჩუმაკების, რეკრუტებისა და მოჯამაგირეთა სიმღერები. უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევდა ისტორიულ სიმღერებსა და უკრაინულ „დუმკას“.

უკრაინელმა ხალხმა თავიდანვე საკუთრებად მიიჩნია შევჩენკოს პოეზია და სიმღერებში უკვდავყო მისი ლექსები. ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეშივე დაიწყო მისი პოეზიის მუსიკალური ინტერპრეტაცია. „კობზარის“ მუსიკის პირველი ავტორი იყო ხალხი, რომელმაც ბევრი შესანიშნავი მელოდია შექმნა მის ტექსტებზე. ამ საგანძურიდან შეიძლება დავასახელოთ მრავალი სიმღერა, რომელიც კარგად ცნობილია არა მარტო უკრაინაში,

არამედ ჩვენშიც: „ჩემი ფიქრები“, „შფოთავს და კვენისის დნეპრი უნაპირო!“, „ანდერძი“, ეს უკანასკნელი რევოლუციური სიმღერად იქნა აღიარებული

ბევრი შემოქმედება გახდა მუსიკალური შთაგონების საგანი, მაგრამ ტ. შევჩენკოს პოეზია ამ მხრივ განსაკუთრებულია. საკმარისია ითქვას: რომ მის ტექსტზე 500-ზე მეტი მუსიკალური ნაწარმოები დაიწერა უკრაინაში, რუსეთში და სხვაგანაც.

უკრაინული კლასიკური მუსიკის ფუძემდებელმა ნ. ლისენკომ თავისი პირველი ვოკალური ნაწარმოები ტ. შევჩენკოს „ანდერძის“ ტექსტზე შექმნა დიდი ვუნდისა და სოლისტებისათვის. ამ ლექსის რევოლუციური პათოსი შემდგომშიც მრავალ კომპოზიტორს იზიდავდა და 30-მდე სხვადასხვა სახის ნაწარმოები შეიქმნა. თვითონ ლისენკოსათვის ტ. შევჩენკოს პოეზია ვოკალური შემოქმედების ძირითად წყაროდ იქცა და გრანდიოზული ციკლი შექმნა საყვარელი პოეტის ტექსტებზე. ლისენკოს შევჩენკოს „კობზარის“ მუსიკა მისი შემოქმედების მთელ გზას სწვდება და სხვადასხვა უანრისა და ფორმის 90-მდე ნაწარმოებს შეიცავს. კანტანტაში — „გაიხარე, ჯეჯილო“, მონუმენტურ გუნდში — „იან ჰუსი“, დრამატულ მონოლოგში — „ღელავდა უკრაინა“, რომანსში — „რატომ გაშავდა მწვანე მინდორი“ გადმოცემულია უკრაინის გმირული წარსული, საბრძოლო მოწოდება, სოციალური პროტესტის მოტივები.

„ტ. შევჩენკოს „კობზარი“ ნ. ლისენკოს შემოქ-

მეცდების ერთ-ერთი დიდი მონაპოვარია. ეს არის ბოეზიისა და მუსიკის ორგანული შერწყმის მშვენიერი მაგალითი, სადაც ორი სახალხო კორიფე ხელს უწყდის ერთმანეთსა, — აღნიშნავდა უხუცესი უკრაინელი კომპოზიტორი ლუდკევიჩი.

გენიალური შემოქმედების პოეტური სახეები მრავალ საოპერო და სხვა დიდი ფორმის ნაწარმოებშიც აისახა. პირველი ოპერა „კატერინა“ ნ. არკასს ეკუთვნის.

ვერც კი დავასახელებთ მეტ-ნაკლებად ცნობილ უკრაინელ კომპოზიტორს, რომელსაც არ მიეპართოს ტ. შევჩენკოს ბოეზიისათვის. დიდი სარომანსო ციკლები შექმნეს კ. ზარემბამ და პ. სოკოლსკიმ. ვოკალურ-სიმფონიური ჟანრის ნაწარმოებებია ლუდკევიჩის კანტატა-სიმფონია „კავკასიონი“, რევუცკის პოემა-კანტატა „პუსტინა“, კ. დანკევიჩის სიმფონიური პოემა „ტარას შევჩენკო“, ბალეტი „ლილეია“, ლიატოშინსკის კანტატა „ანდერძი“, მეიტუსის ოპერა „ჰაიდამაკები“ და მრავალი სხვა.

ტ. შევჩენკო გენიალურ რუს კომპოზიტორებსაც იზიდავდა. პ. ჩაიკოვსკის მრავალრიცხოვან რომანსებს შორის უმშვენიერესია მის ტექსტებზე დაწერილი „ალუბლის ბაღი“, „სალამო“ და დუეტი „წყლის პირს ბაღჩაში“. მ. მუსორგსკიმ შექმნა ვოკალური მუსიკის შედევრები „პოპაი“ და „დნებრის პირას“, ხივრიას შესანიშნავი სიმღერა ოპერა „სოროჩინის ბაზრობიდან“. რახმანინოვის ცნობილი რომანსებია „კვლავ მარტო ვარ“, „შე-

მიყვარდა საბედისწეროდ“. კობზარის იდეებმა ბევრ საბჭოთა კომპოზიტორს ააღებინა ხელში კალამი.

საქართველოშიც შეიქმნა მუსიკალური ნაწარმოებები, რომელთა შორის აღსანიშნავია გ. ჩხიკვაძის მიერ შერეული გუნდისათვის დამუშავებული სიმღერა „ვქარგავ, ვქარგავ“.

დიდი კობზარის პოეტური შემოქმედება თითქმის მთლიანად ამღერებულა მუსიკის ენით და კვლავაც მრავალი ნაწარმოების შთამაგონებელი იქნება“.

ასეთია ეს მეტად შინაარსიანი და საქმის ცოდნით დაწერილი სტატია. ამ საკითხს — „ტარას შევჩენკო და უკრაინული სიმღერა“ — მიუძღვნა წერილი პროფესორ გ. ჩხიკვაძემ¹ ჟერ კიდევ 1954 წელს.

გაზ. „თბილისის“ ზემოთ მითითებულ ნომერში მოთავსებულია ს. არღუნელის წერილი „დიდი პოეტის საფლავი“, რომელიც ეხება პეტერბურგიდან ტ. შევჩენკოს ნეშტის გადმოსვენებას უკრაინაში და მისი ძეგლის დადგმისა და გახსნის ისტორიულ ცნობებს.

იქვე ლ. კიკნაძის წერილი („ფურცლები წარსულიდან“) ეხება XX საუკუნის რევოლუციამდელი პერიოდის შევჩენკოს მთარგმნელებსა და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებმაც გააშუქეს ჩვენს ქარ-

¹ „ლიტერატურული გაზეთი“, 1954 წ., № 22.

თულ პრესაში შევჩენკოს შემოქმედება და მოღვაწეობა.

გაზეთის ამ გვერდზეა პოეტ აკაკი გეწაძის — „ლექსები, სხივად მოსული გულთან“.

შევჩენკოს შემოქმედებას არა ერთხელ გამოეხმაურა გაზეთი „სახალხო განათლება“.

„დიდი უკრაინელი პოეტის შევჩენკოს პოეზია, — წერდა გაზ. „სახალხო განათლებაში“¹ ლ. დეისაძე, — ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების გამოჩენილ მწერალთა შემოქმედებასთან ერთად, ემსახურება ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეს“, მისი აზრით ტ. შევჩენკო ინტერნაციონალურ პოეტად წარმოგვიდგება უფრო იმიტომ, რომ მის შემოქმედებაში ღრმად აისახა მშობლიური უკრაინელი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრა. ყველაფერი ეს პოეტმა შესანიშნავად დახატა ნაციონალური ხელოვნებისათვის დამახასიათებელ მხატვრულ ფორმებში, რაც მის პოეზიას ანიჭებს მაღალ იდეურობას და დამაჯერებლობას.

ავტორის დასკვნით, ტარას შევჩენკო თავის ხანმოკლე, მაგრამ მღელვარე სიცოცხლის მანძილზე მგზნებარედ უმღეროდა ხალხთა თავისუფლებას. ძმობას, მეგობრობას. მისი უკვდავი შემოქმედება ძვირფას საგანძურადაა შესული უკრაინისა და მსოფლიო ლიტერატურის ოქროს ფონდში.

მეტად შინაარსიანი წერილი („ლიტერატურულ

¹ გაზ. „სახალხო განათლება“, 1961 წ., № 10.

მუზეუმში“) დაბეჭდა. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტმა“¹; ავტორი შალვა გოზალიშვილი წერს: „...დიდი პოეტის უკვდავსაყოფად მადლიერმა უკრაინელმა ხალხმა ბევრი რამ გააკეთა. ამისი ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლია ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი კიევში, რომელიც 1949 წლის 24 აპრილს გაიხსნა ქალაქის შევჩენკოს სახელობის ღირსშესანიშნავ ბულვარზე.

მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში წარმოდგენილია პოეტის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა, ასახულია მისი საზოგადოებრივი და რევოლუციურ-პოლიტიკური მოღვაწეობა.

მუზეუმში თავმოყრილი მდიდარი ექსპონატები დაახლოებით 4000 აღწევს. მათ შორისაა მხატვრული სურათები, პორტრეტები, წიგნები (უნიკუმები), სკულპტურული და კერამიკული ნიმუშები, მხატვრული და ხალხური შემოქმედების ოსტატთა ნიმუშევი, ამათგან რვაასამდე მხატვრული ნიმუშევი ტარას შევჩენკოს მიერ არის შესრულებული.

გამოფენის ერთ-ერთ დარბაზში წარმოდგენილია მხატვარ ვ. მ. ჩერნიშკოვის მიერ შეარულებული დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის სურათი, აქვეა მხატვრული ტილო — „აკაკი წერეთელი სიტყვას ამბობს ტ. შევჩენკოს საიუბილეო საღამოზე თბილისში 1914 წელს...

¹ გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1961 წ., № 30.

გამოფენაზეა აგრეთვე ცნობილი ქართველი მხატვრის უჩა ჯაფარიძის ნამუშევარი — ტარას შევჩენკოს დიდი სურათი“.

გაზეთის ამ ნომერშია ვ. რუსეცკის ნახატი — ტ. შევჩენკოს სურათი. ხელმოუწერელი წერილი „ტ. გ. შევჩენკო“ და ნაწყვეტი ოქსანა ივანენკოს მოთხრობიდან — „შლიახი ტარასა“.

გაზ. „ზარია ვოსტოკამ“ 1961 წლის 10 მარტს (№ 59) ერთი გვერდი მთლიანად დაუთმო დიდი პოეტის გარდაცვალების 100 წლისთავს. აქვე მოთავსებულია კ. მახარაძის ნახატი — შევჩენკოს სურათი, პოეტის ლექსი — „ანდერძი“ ქართულ და რუსულ ენებზე.

პავლე ღუღუშაური წერილში — „ძმობის მზე კაშკაშებს“, აღნიშნავს, რომ „შევჩენკოსა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ისე, როგორც რევოლუციამდელი უკრაინელებისა და ქართველების ხალხურ შემოქმედებაში, ბევრია საერთო მოტივები, აკ. წერეთლის ისტორიული ნაწარმოებების („ბაში-აჩუკი“, ნათელა“) ძირითადი აზრი ეხმაურება შევჩენკოს „გამალიასა“ და „ჰაიდამაკებს“.

ერთნაირი მოტივები ისმის შევჩენკოსა და ილია ჭავჭავაძის ზოგიერთ ნაწარმოებში. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ილია ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილში“, მასში, ისე როგორც შევჩენკოს „სიზმარში“ და „ისაიაში“ ისმის ტირილი, გოდება მშობლიური მხარის გმირულ წარსულზე, შავბნელ მდგომარეობაზე და იმავე დროს გამოსჭვივის იმედი უკეთესი მერმისისათვის“.

იქვეა ირაკლი აბაშიძის წერილი „დიდი კობზარი“, კ. ბობოხიძის ლექსი „უკრაინის მომღერალი“ (ვ.პანოვის თარგმანი) და აკაკი გელოვანის წერილი — „სალამი შენ, რუსთაველის მხარიდან“.

უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი გელოვანმა მეტად საინტერესო წერილი მოათავსა აგრეთვე ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1961 წ., №3, გვ. 5—12). ასევე სიყვარულითა და საქმის ცოდნითაა დაწერილი მისი „ტარას შევჩენკო“, რომელიც 1961 წელს ცალკე წიგნად გამოსცა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ.

იმავე წელს გამოიცა კონსტანტინე პაუსტოვსკის „ტარას შევჩენკო“, რომლის თარგმანი ეკუთვნის ვალენტინა ძიძიგურს.

ვ. იმედაძემ დაწერა სპეციალური სტატია „შევჩენკო და საქართველო“, რომელიც დაიბეჭდა „ლიტერატურნაია გრუზიას“ 1961 წლის № 3-ში (გვ. 93 — 96).

შევჩენკოს გარდაცვალების ასი წლისთავი გულთბილად აღნიშნა გაზ. „საბჭოთა ოსეთმა“. 1961 წლის 10 მარტის ნომრის ერთი გვერდი მთლიანად უკავია იუბილარისადმი მიძღვნილ მასალებს.

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. კირილიუკი თავის წერილში „დიდი კობზარის უკვდავება“ მკითხველს აცნობს პოეტისა და მწახტვრის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტის კარპეზ დონაძის წერილში ხაზგასმულია, რომ შევჩენკოს სახელი მუდამ იქნება ნათელი მზესავით და სპეტაკი წყაროსავით.

ამ ნომერშია ვასილ ბაიაძის მიერ თარგმნილი ლექსი „ანდერძი“.



უკრაინის დედაქალაქ კიევში 1961 წელს საზეიმო ვითარებაში ჩატარდა შევჩენკოს გარდაცვალებიდან 100 წლისთავის იუბილე. ამ ზეიმის მონაწილის, აკაკი ბელიაშვილის (1903—1961) წერილი დაიბეჭდა „ლიტერატურულ გაზეთში“ (1961 წ., 24 მარტი, № 13), სადაც, სხვათა შორის, შემდეგს ვკითხულობთ:

„...კიევის საოპერო თეატრში პოეტმა მიკოლა ბაჟანმა გახსნა ტარას შევჩენკოს გარდაცვალების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

თავის შესავალ სიტყვაში მიკოლა ბაჟანმა ილაპარაკა შევჩენკოს შემოქმედების სიდიადეზე, უკრაინელი ხალხის ეროვნული თვითშეგნების იმ დიდ სიმტკიცეზე, რომლის ფუძემდებელი იყო ეს გენიალური პოეტი-დემოკრატი.

ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ცნობილი პოეტი მაქსიმ რილსკი, მან ილაპარაკა შევჩენკოს ბიოგრაფიაზე, შემოქმედებაზე და იმაზე, თუ როგორ გადაიქცნენ ამ დიდი პოეტის ცნობილი ლექსები „ჩემი ფიქრები“, „ღრიალებს და კვნესის უსაზღვ-

რო დნეპრი“, „აი მისი ხვედრი“ და ბევრი სხვა ზალხურ სიმღერებად, ხოლო მისი „ანდერძი“... ამ ლექსზე არ შემოძლია მე თვითონ არ ვსთქვა რამდენიმე სიტყვა. იგი თარგმნილია მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე. ეს პატარა ლექსი მართლაც რომ გაოცებს თავისი უბრალოებით, მაგრამ წარმოუდგენელი სიძლიერით....

საღამოს ოფიციალური ნაწილის გახსნისას შესრულებულ იქნა ჯერ საბჭოთა კავშირის, ხოლო შემდეგ უკრაინული ეროვნული ჰიმნი. ცხადია, მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი ისმენდა ორივე ჰიმნს.

ოფიციალური ნაწილის დამთავრების შემდეგ შედგა კონცერტი. დასაწყისში უკრაინის სახელმწიფო სიმღერის ანსამბლმა დააგუგუნა შევჩენკოს „ანდერძი“. და მე ჩემს თვალებს არ ვუჯერებდი, როდესაც მთელი დარბაზი მაშინვე ფეხზე წამოდგა და ეს სიმღერაც, როგორც ეროვნული ჰიმნი, ისე მოისმინეს...“



ამით ვამთავრებთ ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას იმის შესახებ, შევჩენკოს ნაწერებიდან თუ რა გადაითარგმნა ქართულ ენაზე, ვინ გადაითარგმნა, როდის ან სად დაიბეჭდა ისინი; აგრეთვე შევჩენკოს ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი სტატიებისა და წერილების მიმოხილვას, რომლებიც ქართულ პრესაში დაიბეჭდა.

შეგნებულად ავუარეთ გვერდი რაიონული გაზეტების მიმოხილვას, გარდა ერთი-ორი შემთხვევისა, რაც გარკვეული აუცილებლობით იყო გამოწვეული.

ზოგიერთი სტატიიდან და წერილიდან ამოვიღეთ ცალკეული ადგილები, რომლებიც ავსებს ჩვენს ცნობებს შევჩენკოს შესახებ და ერთგვარ წარმოდგენას აძლევს დღევანდელ მკითხველს იმის შესახებ, თუ რა იწერებოდა და როგორ შეფასებას აძლევდა ქართული პრესა დიდი კობზარის შემოქმედებას.

ერთი კი ცხადია, როგორც რევოლუციამდელ, ისე რევოლუციის შემდგომი პერიოდის ყველა წერილსა და სტატიას წითელი ზოლივით გასდევს უდიდესი სიყვარული, პატივისცემა, თანაგრძნობა და მეგობრულ-ძმური დამოკიდებულება შევჩენკოსა და მისი სამშობლოს — უკრაინის მიმართ.

ეს გასაგებიც არის, რადგან უკრაინელ და ქართველ ხალხებს, ერთმანეთთან აკავშირებს ურღვევი მარადიული მეგობრობა, რომლის ისტორიულ ფესვებს, როგორც ამის შესახებ ზემოთ ითქვა, შორეული წარსულისაკენ მივყავართ, უფრო ახლო პერიოდში კი მწერლები, კალმის ოსტატები გვევლინებიან უკრაინელ და ქართველ ხალხთა ძმობის მოციქულებად.

ტარას შევჩენკო, დავით გურამიშვილი, აკაკი წერეთელი, ლესია უკრაინკა (1871 — 1913), — აი, მარად უჭკნობი სახელები, რომლებიც ორი მოძვე

ხალხის მარადიული მეგობრობის სიმბოლოდ იქცნენ.

საქართველოსა და ქართველი ხალხის სითბოთი და პატივისცემით იყო გარემოსილი ტარას შევჩენკოს შემოქმედების ტრადიციათა ღირსეული გამგრძელებელი ლესია უკრაინკა, რომელმაც თავისი ცხოვრების საკმაო ნაწილი საქართველოში გაატარა.

ასეთივე სითბოთი და სიყვარულით იყო გარემოსილი დიდებული პოეტი დავით გურამიშვილი უკრაინისა და უკრაინელი ხალხისაგან, როგორც სიცოცხლეში, ისე სიცოცხლის შემდეგაც.

რევოლუციის შემდგომ პერიოდში ეს მეგობრული ურთიერთობა უფრო განმტკიცდა და მყარ საფუძველზე დადგა.

შეიქმნა ლიტერატურული-შემოქმედებითი ურთიერთობა. 1931 წელს საქართველოში მოეწყო უკრაინის კულტურის დეკადა. თბილისს ესტუმრა თეატრი „ბერეზილის“ მთელი შემადგენლობა გამოჩენილი რეჟისორის ლეს კურბასის ხელმძღვანელობით, რაც უადრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

ასევე ეწყოფა ქართული კულტურის დეკადა უკრაინაში, რომელმაც განამტკიცა ორი მოძმე რესპუბლიკის კულტურის მუშაკთა კავშირი.

უკრაინელი მწერლები, პოეტები და კულტურის მოღვაწეები განამტკიცებენ მეგობრულ და ძმურ ურთიერთობას ქართველ ხალხთან. თავის მხრივ, ქართველი მწერლებიც სიყვარულით ასახავენ უკრაინელი ხალხის ცხოვრებას.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს ქართველმა მწერლებმა მიუძღვნეს კრებული „საბჭოთა უკრაინას — ქართველი მწერლები“. ამ კრებულშია მოთავსებული ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები, რაც კი შეუქმნიათ ქართველ მწერლებს უკრაინელ და სხვა ხალხთა მეგობრობაზე.

პოეტი სიმონ ჩიქოვანი ასე მიმართავს გერმანელ ფაშისტებისაგან უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ველზე დაღუპულ საბჭოთა კავშირის გმირს — ნ. გოგიჩაიშვილს:

შენ უკრაინამ მკერდში ჩაგიკრა,
კიევის ბაღში წევხარ ქართველი,
თვალის სინათლე კი არ ჩაგიქრა,
ძმობას აუნთე, როგორც სანთელი.

კულტურისა და ხელოვნების მუშაკების ამ მისაზამდ მაგალითის გამოხმაურებაა — ძმურა და საქმიანი კავშირის დამყარება უკრაინასა და საქართველოს მეცნიერთა შორის. ისინი მთელ რიგი აქტუალურ მეცნიერულ საკითხების გადაჭრაში ეხმარებიან ერთმანეთს.

მეგობრობა აკავშირებთ ერთმანეთთან უკრაინისა და საქართველოს მალაროელებსა და კოლმეურნეებს. ურთიერთგამოცდილებაა გაზიარება და სტუმრობა მათ შორის ერთგვარ ტრადიციად იქცა, რომელიც სადღესასწაულო ხასიათს ატარებს.

ასევე საინტერესოა და მისასალმებელი სტუდენტთა გაცვლა თბილისისა და კიევის პედაგოგიურ ინსტიტუტებს შორის. უკრაინელი ქალიშვილე-

ბი სვეტლანა ფედოსენკო და ვერა კოძარეხკო პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის III კურსის სტუდენტები არიან. ეუფლებიან ქართულ ენას, ეცნობიან ჩვენს ტრადიციებს. აქედან სანაცვლოდ II კურსის ორი სტუდენტი ალექსანდრე მუშკუდიანი და ანდრო ოთარაშვილი გაგზავნეს კიევს, რომ შეისწავლონ და დაეუფლონ უკრაინულ ენას. ეს ურთიერთობა იმ მომავალი კულტურული კადრების მომზადების დასაწყისია, რომელიც ხელს შეუწყობს უკრაინული და ქართული კულტურის კავშირის უფრო მეტად განმტკიცებას.

ასევე მისასალმებელია და სასარგებლო ლექტორების გაცვლა ამავე ინსტიტუტებს შორის. 1962 წელს პროფესორმა თედო ბეგიაშვილმა კიევის პედაგოგიურ ინსტიტუტში წაიკითხა ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსი. იმავე დროს თბილისის სტუდენტებმა უკრაინის ლიტერატურის ისტორიიდან მოისმინეს უკრაინელი პროფესორის იური კობილეცკის ლექციები.

ი. კობილეცკისაგან ქართველი კოლეგები ხშირად იღებენ გულთბილ ბარათებს. უკანასკნელად მან ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის კაბინეტს მეგობრობის ნიშნად გამოუგზავნა დიდი უკრაინელი მწერლის ტარას შევჩენკოს ბიუსტი¹.

დიდი კობზარის პოეზია დღესაც ემსახურება

¹ იხ. გაზ. „თბილისი“, 1963 წ., № 254, თ. აფჰქიძის წერილი — „მარად ჰყვოდეს მეგობრობის ყლორტები!“

ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეს. ის ხალხთა ძმობის მგოსანია. მისი ლექსები მარად დაუბერებელია და უქკნობი.

შევჩენკოს სახელს ერთნაირი სიტბოთი და სიამაყით წარმოთქვამს ყველა ხალხი, მის ნაწარმოებს ერთნაირი გატაცებით კითხულობენ მრავალ ენაზე.

პოეტს უზომოდ, მთელი გულით უყვარდა არა მარტო თავისი უკრაინა, არამედ ყველა ჩაგრული ერა. თავის სამშობლოს დიდი პატრიოტი ძმური თანაგრძნობის ხელს უწვდიდა ყველას. ის იბრძოდა ხალხთა მეგობრობისათვის, ამის საუკეთესო საილუსტრაციო მაგალითად გამოდგება მისი მეგობრობა აფრიკელ ზანგ აირა ოლრიჯთან, დიდ რუს მსახიობთან, რუსული სამსახიობო ხელოვნებას რეალისტური სკოლის ფუძემდებელთან, შევჩენკოსავით ყოფილ ყმასთან — მიხეილ სიმონის ძე შჩეპკინთან, პოლონელ ბრონისლავ ზალესკის და სიგიზმუნდ სერაკოვსკისთან და სხვებთან, რომლებთანაც შევჩენკოს აახლოებდა, ახეგობრებდა უკუღმართი ცხოვრების მძიმე ხვედრო, ამას ცხადად ადასტურებს როგორც სხვადასხვა ერის წარმომადგენლებთან მასი მეგობრობა, ისე მასი შემოქმედება.

სასიქადულო ქართველმა მგოსანმა — აკაკიმ შევჩენკოსადმი მიძღვნილ საღამოზე (1914 წელს) მოსწრებულად თქვა: ასეთ დიდ ადამიანს წარმოშობს მხოლოდ დიდი ერი, მაგრამ ეს დიდი ადამიანი, თავის ერის გარდა სხვა ერებსაც ეკუთვნისო.

დიან! შევჩენკო სხვა ერებსაც ეკუთვნის. პოლონელი პოეტი იუზეფ ბოგდან ზალესკი (1802—1886), რომელიც შევჩენკოს გარდაცვალებას გამოეხმაურა ლექსით — „ტარასის საფლავი“, სამართლიანად მოუწოდებდა პოლონელებს პატივი ეცათ დიდი უკრაინელი პოეტის ხსოვნისათვის.

პოეტის მელოდიები, სიმღერები და ლექსები მრავალ კომპოზიტორს გადაჰქონდა ნოტებზე და მათ შორის პოლონეთის დიდ კომპოზიტორსა და პიანისტს, მსოფლიო მუსიკის ერთ-ერთ კლასიკოსს ფრედერიკ შოპენსაც (1810—1849).

ტარასის ტიტანური და ღრმად ტრაგიკული ფიგურა შუქურასავით ანათებს და გზას უჩვენებს ყველას, თუ როგორ უნდა სამშობლოს საყვარული და სამსახური.

პოეტია მხოლოდ იგი:

„ვინც ტანჯულა ერის წყლულით,
წმინდა გრძნობით განმსჭვალულა.

ვინც, „ჩაქოლა ბოროტება“, ან „დაჩაგრულ გულს მოფინა სასოება“.

შევჩენკოს პოეზია ადამიანის გამამხნეველ ჰანგად ისმოდა იმ უკუღმართ დროს, როდესაც სიმართლე და პატიოსნება იტანჯებოდა თავაშვებული ძალმომრეობის კლანჭებში. მაშინ დიდი კობზარის პოეტური სიტყვა რაზმავდა და ამზადებდა ხალხს მომავალი გმირული ბრძოლებისათვის.

აქ უნებურად გვახსენდება ერთი ძველი ამბავი: როცა მტრებთან გარემოცულმა, სასოწარკვეთალებაში ჩავარდნილმა სპარტელებმა თავიანთ მოძმე ხალხს, ძველ ათენელებს შეუთვალეს: „გვიშველეთ, თორემ დავიღუპებით!“ ათენელებმა მათ სპასუხოდ ერთი კოჭლი მგოსანი, სახელად ტირტეოსი გაუგზავნეს. ეს კოჭლი პოეტი წარუძღვა სპარტელთა ლაშქარს, განამხნევა და თავისი მშვენიერი ჰანგებით მეომართ უძლეველი სული ჩაუდგა, მტრებს თავზარი დასცა, გაფანტა და სპარტელთა სამფლობელოდან განდევნა.

ხალხთა ჭრილობის მოშუშებაში დიდაა შევჩენკოს დამსახურება. ის იმის მაგალითია, თუ როგორ უნდა ემსახურო სამშობლოსა და მშობელ ხალხს. პოეტს შეეძლო ამაყად ეთქვა, რომ შეასრულა თავისი ცხოვრების დანიშნულება, რომ განახორციელა თავისი ცხოვრებისეული მოწოდება.

სამშობლოს მხურვალე სიყვარულით, ხალხთა შემოქმედებითი ძალების რწმენით, უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის გმირული პათოსითაა გამსჭვალული მისი უკვდავი „კობზარის“ თითოეული სტრიქონი, მთელი მისი პოეტური შემოქმედება და პირადი ცხოვრება.

ის ქმნიდა ხალხისათვის, ხალხს ესმოდა მისი, ამიტომ მის ქმნილებას დავაწყება არ ელის.

შევჩენკოს სიძღვრებს მღერის თავისუფალი უკრაინა, მასთან ერთად სხვა ქვეყნების ხალხებიც, უკრაინელი ხალხის გენიალური პოეტი, მგზნე-

ბარე პატრიოტი, თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი, ხალხთა თავისუფლებისა და სიმაართლის მგზნებარე მქადაგებელი, იყო მთელი პროგრესული კაცობრიობის ფიქრთა გამომხატველი.

დრომ, უამთა სრბოლამ ვერ გააუფერულა, დავიწყებას ვერ მისცა გენიალური მოაზროვნისა და შემოქმედის ტარას შევჩენკოს სახელი. პირიქით, ის უფრო აელვარდა და ახლებზრად აედერდა, ახლა უფრო თვალსაჩინოდ და მთელი ძალით გამოჩნდა შევჩენკოს პოეზიის უჭკნობა სიდიადე. ამიტომაა, ხალხი რომ ცდილობს, ყოველმხრივ განამტკიცოს მისი სახელი და დიდება. ამაშია მისი უკვდავება. პოეტი იღვწოდა ხალხისათვის, ხალხის ბედნერებასათვის. მასაც შეეძლო ზოგიერთივით ხობტბა შეესხა მეფე-ტირანისათვის და მისი წყალობა, დიდება და ყურადღება დაემსახურებოდა. იყვენ პოეტები, შევჩენკოს თანამედროვენი, როგორც უკრაინაში, ისე რუსეთში, რომლებიც ჰქუხდნენ მაშინ, პირველ პლანზე იდგნენ, რადგან გარდა პოეტური ნიჭისა, მათ გააჩნდათ ნიჭი და უნარი „რევერანსებისა“, სინამდვილის შეფერადებისა. მათ ხსოვნას მტვერი ფარავს, შევჩენკო კი ბრწყინავს, როგორც ელვარე ვარსკვლავი. მან გაუძლო საუკუნეს. ის გაუძლებს საუკუნეებს. მის ქმნილებებს სიკვდალი არ უწერია.

პოეტი-მებრძოლის ლექსებს ჰქონდა უდაღესი

გამარეგოლუციონერებელი გავლენა. პეტრაშევე-
ლები ხელნაწერებად, არალეგალურად ავრცელე-
ბდნენ. შევჩენკოს პოემებს — კერძოდ: „კავკასი“,
„სიზმარს“ და სხვებს.

პეტრაშევესკის ცნობით, ხალხში ვრცელდებოდა
შევჩენკოს მრავალი ლექსი, რაც უკრაინაში ძლიე-
რა მდელვარების საფუძველს ჰქმნიდა, კირილე-
მეთოდეს ძმობის საზოგადოების წევრთა დაპა-
ტიმრებასთან დაკავშირებით უანდარმთა შეფა
გრაფი ორლოვი მეფე ნიკოლოზ პარველს სწერდა:
„...ბევრს აღმოაჩნდა შევჩენკოს უალრესად თავხე-
დური და აღმაშფოთებელი შინაარსის ლექსები და
სხვა ხელნაწერები, მეტნაკლებად პარველის
მსგავსი“.

თანამედროვეებში დიდ ინტერესს იწვევდა არა
მარტო პოეტური ქმნილება, არამედ შევჩენკოს
პირადი „ბედისწერაც“. პოეტის შემოქმედება
შორს სცილდება უკრაინული ეროვნული ლიტე-
რატურის ჩარჩოებს და მსოფლიო პროგრესული
კულტურის საერთო კუთვნილება ხდება.



გარდა პოეზიისა და მხატვრობისა, შევჩენკო
გატაცებული იყო სამეცნიერო-კვლევითი მუშაო-
ბით. მან დიდი შრომა გასწაა ეთნოგრაფიისა და
ფოლკლორის დარგში, უდიდესი გატაცებით
სწავლობდა ხალხთა ზნე-ჩვეულებებს, აგროვებდა

და სწავლობდა ხალხურ შემოქმედებას, იწერდა ხალხურ სიმღერებს, თქმულებებს.

მან დატოვა ძვირფასი მასალები XIX საუკუნის შუა წლების უკრაინელთა ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ, ხალხთა ტიპების, უკრაინული სოფლების, დაბებისა და ქალაქების აღწერები.

დიდი მეცნიერული მნიშვნელობა ჰქონდა 40-იან წლებში შეეჩენკოს საქმიანობას. როგორც ცნობილია, მან აღწერა და ჩახატა უკრაინის ძველი ისტორიული ძეგლები, მონაწილეობას იღებდა ისტორიული სამარხების გათხრებში.

პოეტი ღრმად იყო დაინტერესებული მშობლიური ენის, ლიტერატურისა და ხალხის ისტორიით. მან კარგად იცოდა, რომ ენის დაკარგვით ერი კარგავს ეროვნებასაც. ამიტომ იყო, რომ ასე თავგამოდებით იბრძოდა მშობლიური უკრაინული ენისა და ლიტერატურის დაცვა-გამდგრებისათვის. მის ბრძოლას კეთილი ნაყოფიც მოჰყვა.

პოეტს გატაცებით უყვარდა ხალხური სიმღერები, ლეგენდები და ზღაპრები, აგროვებდა და სწავლობდა ხალხურ შემოქმედებას, დიდად აფასებდა მის მხატვრულ და შემეცნებით მნიშვნელობას.

შეეჩენკომ განავითარა უკრაინული ენა, გაფართოვა, გააღრმავა ხალხური სიმღერებს შინაარსი და მოტივი, რომელიც მან თავისა შემოქმედების საფუძვლად აიღო.

მისი პოეზია მახლობელია და თანამედროე ხალხური შემოქმედების, როგორც თავისი იდეური შინაარსით, თემატიკითა და სიუჟეტით, ისე თავისი ფორმით, პოეტური ხერხით, რითმითა და ენით.

პოეტს განზრახული ჰქონდა დაეწერა დადი შრომა უკრაინის ისტორიის შესახებ, რისთვისაც თავი მოუყარა დიდხალ ისტორიულ მასალას. სამწუხაროდ, თითქმის ყველა ის მასალა დაიკარგა მისი დაპატიმრების დროს.

განსაკუთრებით მის ცხოველ ინტერესს იწვევდა უკრაინისა და რუსეთის გლეხთა აჯანყების ისტორია. ის სწავლობდა რაზინის, პუგაჩოვის, კარმელუკის, ელეზნიაკის, გონტასა და სხვების აჯანყებებს. სახალხო აჯანყებებს მრავალ გმირს უმღერა მან თავის ნაწარმოებებში.

გადასახლებაში ყოფნის დროს პოეტმა გააკეთა შუა აზიის ქალაქებისა და სიმაგრეების (სადაც მას უხდებოდა ცხოვრება), მის გარშემო მყოფი ადამიანებისა და პეიზაჟების ჩანახატები. განსაკუთრებით საინტერესოა მისი ჩანახატები მომთაბარე ყირგაზთა ყოფისა და ზნე-ჩვეულებათა შესახებ.

ეს მდიდარი მასალა მნიშვნელოვანია არა მარტო ისტორიული, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, არამედ ის განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს თვით შევჩენკოს პიროვნებისა და შემოქმედების შესწავლისათვის.

უდიდესი დამსახურება შევჩენკოსი, როგორც ისტორიკოსისა, იმაში მდგომარეობს, რომ მან, წინააღმდეგ ნაციონალისტთა წვრილბურჟუაზიული კონცეფციისა (რომლებიც ისტორიული განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალად ცნობდნენ რელიგიას, თავადაზნაურობასა და კაზაკ დიდკაცობას, უარყოფდნენ კლასებსა და კლასობრივი ბრძოლის არსებობას უკრაინული ეროვნებას შიგნით), ძირითად მამოძრავებელ ძალად აღიარა ხალხი, ხალხთა მასები. მან უმღერა ხალხთა გმირულ ბრძოლას როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრების წინააღმდეგ და ამით ცხადყო, რომ იგი ცნობს და ხედავს კლასებსა და კლასობრივი ბრძოლის არსებობას უკრაინაში.

ვერც ავა დედინაცვლისაგან ოჯახში მიყენებულმა ტანჯვამ, ვერც დამცირებამ, ვერც იმ „მასწავლებელ“ დიაკების მხეცურმა მოპყრობამ, რომელთა სწავლების მთელი ხერხი მხოლოდ მოწაფეთა ცემა-ტყეპით და დამცირებით განისაზღვრებოდა და ვერც მემამულე ენგელგარდტის ფარეშად ყოფნამ, გული ვერ გაუტეხა მომავალ პოეტს. ის ისწრაფვის წინ და გზას იკვლევს კეთილი ადამიანების დახმარებით. იმედით შეყურებს მომავალს, იმედით კურნავს ყველა უბედურებას, უბედურება კი მას აკვნადანვე დაჰყვა. ათა წელი გაატარა სტოიკურად და ვაჟკაცურად გადასახლებაში, შუა აზიის უდაბნოში.

გადასახლებაში, უბედურებაში შევჩენკოს თავს და-

ადგა წამების გვირგვინი. მას წმინდა მოწამედ სახავდნენ, როგორც ნიკოლოზ I მეფობის საშინელ მსხვერპლს. პოეტს არ დარჩა დრო პირადი ცხოვრებისა და სიხარულისათვის. ვილნოში განცდილი თავისი პირველი სიყვარული პოლონელ ქალიშვილთან უიღბლო გამოდგა, როგორც შემდგომი მისი ყველა გატაცება. ცხოვრების მთელი გზა მან ეწულად განვლო. ოჯახს ვერ მოეკიდა. უძეოდ გადაშენდა.

აი, გზა, გზა ეკლიანი, რომელიც ამ ტიტანურა ნებისყოფის ადამიანმა განვლო. პოეტის სული და ნებისყოფა ვერ გატეხა ვერავითარმა ძალადობამ, სასჯელმა და ტირანულმა მოპყრობამ.

ამაშია მისი ღირსება, ზნეობრივი სიდიადე, ამიტომაც ის ერის „უსაყვარლესა მგოსანი“, რომლის „სახელი იზრდება მარად“, რომლის ლექსებმა „ოდითვე ჰპოვეს ხალხების გულში მარადი ბინა“, ხოლო მისმა ქნარმა „უკრაინა, მშობელა მხარე — გაადიდა ჰანგთა ნათელით“.

ამიტომ ცოცხლობს, მზესავით ბრწყინავს და მარად იცოცხლებს უკრაინის უკვდავი მგოსანი ტარას შევჩენკო.

პოეტის ისტორიული როლის, მისი მოღვაწეობისა და შემოქმედებას შესახებ უკრაინის გამოჩენილი მწერალი-დემოკრატი, ტარას შევჩენკოს ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელა ივანე ფრანკო (1856—1916) 1914 წელს წერდა:

„იგი იყო გლების შვილი და თავადი გახდა სულის სამეფოში.

იგი ყმა იყო, და საკაცობრიო კულტურის დიდ ძალად იქცა...

მან ათი წელი ითმინა რუსეთის სამხედრო სუსხი და უფრო მეტა გააკეთა რუსეთის თავისუფლებისათვის, ვიდრე ათმა ძლევა მოსილმა არმიამ...

ბედი სდევნიდა მას მთელ სიცოცხლეში, მაგრამ უანგმა ვერ დაფარა მასი სულის ოქრო, მისი კაცობრიული სიყვარული ვერ შეცვალა სიძულვილმა, მისი რწმენა — სასოწარკვეთილებამ.

ბედი არ აშურებდა მისთვის მწუხარებასა და ტანჯვას, მაგრამ ვერ დათრგუნა მისი სიხარული, რომელიც მთელი მისი სიცოცხლის ჯანსაღ წყაროდ ჩქეფდა.

ბედმა მხოლოდ სიკვდილის შემდეგ მისცა მას ყველაზე კარგი საჩუქარი: უკვდავი სახელი და მარად ახალი სიტკბოება, რასაც მისი ნაწარმოების კითხვით განიცდის მალიონობით ადამიანთა გული“¹.

დიდმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ მეტად ხატონად და მშვენივრად თქვა: „შევჩინე, პუშკინა, მიცკევიჩი — ეს ისეთი ადამიანები არიან, რომლებმაც ხალხის სულს მთელი სიძლიერით და სილამაზით გამოხატავენო“.

ცხოვრებისა და შემოქმედების იმ გზამ, რომე-

¹ Иван Франко, Сочинение, т. 9, М., 1959, стр. 177.
240

ლიც ასე მამაცურად და სახელოვნად განვლო უკრაინის მრავალწამებულმა კობზარმა, სამარადისო დიდებითა და უკვდავებით შემოსეს მისი სახელი.

საბჭოთა ქვეყნისა და მსოფლიო პროგრესული ხალხები სიყვარულით აღნიშნავენ თვითმპყრობელობისა და ბატონყმური უკუღმართობის წინააღმდეგ მებრძოლი პოეტის ტარას გრიგოლის ძე შევჩენკოს დაბადებიდან ასორმოცდაათი წლის იუბილეს.



შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 5

I

ბავშვობა	9
პეტერბურგში	13
უკრაინაში	26
კვლავ პეტერბურგში	32
მეორედ უკრაინაში	37
დაპატიმრება და გადასახლება	41
განთავისუფლება	64
გარდაცვალება	78

II

შევჩენკო და რევოლუციამდელი საქართველო	83
შევჩენკო და საბჭოთა საქართველო	144
შევჩენკოს ნაწარმოებები ქართულ ენაზე	145
შევჩენკო საბჭოთა ქართულ პერიოდიკაში	153
პოეტის დაბადების 125 წლისთავი .	161
პოეტის გარდაცვალების 100 წლისთავი	208
* * *	226

რედაქტორი ნიკა აგიაშვილი
გამ-ბის რედაქტორი ვ. კახაძე
ტექრედაქტორი მ. ასათიანი
კორექტორები } ვ. გოგსაძე
 } ნ. ჯანელიძე

*

ჟალაეცა წარმოებას 15. I. 1964 წ. ხელმოწერილია დასაბუქ-
დად 12. II. 1964 წ. ანაწყოების ზომა 4,5×7,25. ქალაღდის
ზომა 70×90¹/₃₂. საავტორო ფორმათა რაოდ. 7,62. საგამომ-
ცემლო-საადრ. ფორმათა რაოდ. 7,8. ფიზიკურ ფორმათა
რაოდენობა 15,25.

ტირაჟი 2000. შეკვ. № 24. უე 03621.

შასი 43 კაკ.

*

სტამბა № 1, თბიღისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Типография № 1, Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.